

644
1961/3

ՀԱՅԿԵՆԱ
ՆՈՒՆԱԳՐԱՐԱՆ

Օրալըրտն

8

შ ი ნ ა კ რ ს ი

კომუნისტური	საზოგადოების	აზიენების
პროგრამა		8
3. მხატვარიანი — ერთა დიალი მეგობრობა...		10
3. ნატროშვილი — ფრთები, ფრთები გვინდა...		15
თ. შილაქი — გასეირნება პონის ეტლით (მოთხრობა)		19
ჯ. ჩარპიანი — ლექსები		80
ს. კორინთელი — ხანამ ცოცხალი ხარ (რომანი. გაგრძელება)		93
ა. აბულაშვილი — ლექსები		110

მთავარის დღიური

მ. შინძლამე — ქარველები 25-ე მერიდიანზე...	112
--	-----

კრიტიკა და პუბლიცისტიკა

ა. გაშირილია — გერონტი ქიქოძე	129
ბ. შატბერაშვილი — გურამ რჩეულიშვილი...	132
ც. თოფურაძე — ერნესტ ჰემინგუეის პირველი რომანები	137
ჯ. ზუმბურაძე — ილია — ლიტერატურის კრიტიკოსი	144

აგვისტო

გამომცემლობა
 „საბჭოთა მწიარალი“

მომავლი მხრიდან

კრიტიკა



4458

8

1961

რედაქტორი ვახტანგ ჭელიძე

სარედაქციო კოლეგია:

თ. ბაღურაშვილი, რ. თვარაძე (პ/მგ მდივანი), კ. კალაძე, გ. შატბერაშვილი,
ო. ჩხეიძე, გ. ციციშვილი, ნ. ჭავჭავაძე, ს. ჭილაია.

რედაქციის მისამართი: თბილისი, მახარაძის ქ. № 14, ტელ. № 3-87-02.

ბელმოწერილია დასაბეჭდად 9/IX-61 წ. ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 10. პირობით
ფორმათა რაოდენობა 13,7. შეკვ. № 1358. უე 03670. ქალაქის ზომა 70×108. ტირაჟი 5.700.

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს მთავარპოლიგრაფიკამოცემლობის ბეჭდვით
სიტყვის კომბინატი, თბილისი, მარჯანიშვილის ქ. 5.

Комбинат печати Главполиграфиздата Министерства культуры
Грузинской ССР, Тбилиси, ул. Марджанишвили, № 5

კომუნისტური საზოგადოების აშენების პროგრამა

მეცნიერული კომუნიზმის პირველი პროგრამული დოკუმენტი — „კომუნისტური პარტიის მანიფესტი“ — ადამიანებს, რომლებიც წარმოების იარაღებს ამოძრავებდნენ და საზოგადოების არსებობისათვის აუცილებლად საჭირო მატერიალური დოვლათის მოპოვებას ახორციელებდნენ, მოუწოდებდა: „პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!“

კლასობრივი ბრძოლის, პროლეტარიატის მსოფლიო-ისტორიული როლის, პარტიისა და მშრომელი მასების კლასობრივ ბრძოლაში მისი ისტორიული როლის, სოციალისტური რევოლუციის, მუშათა კლასის დიქტატურისა და რევოლუციური ტაქტიკის უმნიშვნელოვანესმა დებულებებმა პოვეს ასახვა კომუნისტური პარტიის ამ მანიფესტში.

„აჩრდილი დადის ევროპაში — აჩრდილი კომუნიზმისა“, — წერდნენ პროლეტარიატის დიდი მასწავლებლები კ. მარქსი და ფ. ენგელსი.

შემდეგ მოხდა ის, რაც უნდა მომხდარიყო: თეორია დაეუფლა მასებს და იგი მატერიალურ ძალად იქცა. კომუნიზმის იდეალებით აღფრთოვანებულ ჯერ ათობით და ასობით, მერე კი ათასობით და მილიონობით ადამიანს ზედღიზედ მიჰქონდა იერიში ძველ სამყაროზე:

პარიზის კომუნა.

ოქტომბრის რევოლუცია.

სოციალისტური რევოლუციები ჩინეთში, ევროპისა და აზიის მთელ რივს სხვა ქვეყნებში...

საერთაშორისო რევოლუციური მოძრაობის ცენტრმა XX საუკუნის დამდეგს რუსეთში გადმოინაცვლა. რუსეთის პროლეტარიატი ბოლშევიკების პარტიის ხელმძღვანელობით, რომელსაც სათავეში ედგა ვლადიმერ ილიას-ძე ლენინი, ამ მოძრაობის ავანგარდი გახდა.

პირველი პროგრამა რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის მეორე ყრილობამ მიიღო 1903 წელს. მეფის თვითმპყრობელობის, ხოლო შემდეგ ბურჟუაზიული წყობილების დამხობა და პროლეტარიატის დიქტატურის დამყარებისათვის ბრძოლა — ასეთი იყო ამ პროგრამის მიზანი. 1917 წლის თებერვალში დაემხო მეფის რეჟიმი. 1917 წლის ოქტომბერში დაიბადა ისტორიაში პირველი სოციალიზმის ქვეყანა. პარტიის პირველი პროგრამა შესრულებულ იქნა.

მეორე პროგრამა, რომელიც 1919 წელს მიიღო პარტიის მერვე ყრილობამ, მიზნად ისახავდა სოციალისტური საზოგადოების აშენების ამოცანას.



ნას. საბჭოთა ხალხმა, კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, უმოკლეს ვადაში უზრუნველყო სოციალიზმის მშენებლობის ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის მიერ შემუშავებული გეგმის წარმატებით განხორციელება. სოციალიზმმა საბჭოთა კავშირში მთლიანად და საბოლოოდ გაიმარჯვა. შესრულებულ იქნა პარტიის მეორე პროგრამაც.

ახლა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია იღებს თავის მეცამეტე პროგრამას — კომუნისტური საზოგადოების აშენების პროგრამას.

ამუშავებდა რა ახალ პროგრამას, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია, მისი ლენინური ცენტრალური კომიტეტი ნ. ს. ხრუშჩოვის მეთაურობით ეყრდნობოდა სსრ კავშირის მშრომელთა, მთელი საერთაშორისო მუშათა კლასის განვლილი ბრძოლების შედეგებს, ჩვენს ქვეყანასა და სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში სოციალიზმის მშენებლობის უდიდეს გამოცდილებას. ახალი პროგრამის პროექტი მთლიანად ინარჩუნებს ორი წინანდელი პროგრამის შემკვიდრებობას და წარმოადგენს „კომუნისტური მანიფესტის“ იდეების კანონზომიერ განგრძობას. ეყრდნობა რა საზოგადოებრივი განვითარების ობიექტურ კანონებს, პროგრამის პროექტი იძლევა ღრმა, მარქსისტულ ანალიზს თანამედროვე ეპოქისა, რომლის ძირითად შინაარსს შეადგენს კაპიტალიზმიდან. სოციალიზმში გადასვლა, ორი ურთიერთსაწინააღმდეგო საზოგადოებრივი სისტემის ბრძოლის ეპოქისა, კოლონიური სისტემის ლიკვიდაციის ეპოქისა, სოციალიზმის გზაზე სულ ახალი ხალხების გადასვლის, მსოფლიო მასშტაბით სოციალიზმისა და კომუნისმის გამარჯვების ეპოქისა.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის იენისის პლენუმმა ერთსულოვნად მოიწონა სკკპ პროგრამის პროექტი და მიიღო გადაწყვეტილება გამოქვეყნებულ იქნას იგი სსრ კავშირის ყველა კომუნისტის, ყველა მშრომლის ფართოდ განსახილველად. პარტიის ახალი პროგრამა შეტანილი იქნება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXII ყრილობის განსახილველად და დასამტკიცებლად. ამიტომ ამ წინასაყრილობო პერიოდში მეტად სერიოზული მნიშვნელობა აქვს პროგრამის პროექტის ღრმად შესწავლასა და განხილვას, რადგან ამ საკითხზე მსჯელობის შედეგები მხედველობაში იქნება მოდებული პროგრამის პროექტის საბოლოო განხილვისას.

სკკპ პროგრამის პროექტმა ცხოველი გამოხმაურება პოვა ყველა საბჭოთა ადამიანის, მათ შორის ჩვენი რესპუბლიკის მშრომელების გულში. საქართველოს სსრ ქალაქებსა და სოფლებში, სამრეწველო საწარმოებში, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, დაწესებულებებსა და ჯარის ნაწილებში ფართოდ გაიშალა ამ ისტორიული მნიშვნელობის დოკუმენტის შესწავლა და განხილვა. რესპუბლიკის ბევრ საწარმოში, კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში მშრომელები ეცნობიან სკკპ პროგრამის პროექტს და, მხურვალედ იწონებენ რა მას, ვადიდებულ სოციალისტურ ვალდებულებებს იღებენ პარტიის XXII ყრილობის აღსანიშნავად.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო გადაწყვეტილება სკკპ პროგრამის პროექტის პროპაგანდის ღონისძიებათა შესახებ. პარტიის საოლქო, საქალაქო და რაიონულ კომიტეტებს, პირველად პარტიულ ორგანიზაციებს წინადადება მიეცათ მოაწყონ პროგრამის პროექტის ფართო განხილვა და დროულად განაზოგადონ წინადადებანი და შენიშვნები, რომლებიც შემოდის პარტიული ორგანიზაციებისაგან, ცალკეული კომუნისტებისა და მშრომელებისაგან. პარტიულ კრებებსა და კონფერენციებთან ერთად, პროგრამის პროექტის განმარტება და განხილვა უნდა წარმოებდეს საწარმოებში,



კომპერტურებებსა და საბჭოთა მეურნეობებში, დაწესებულებებსა და საკრებულოებში, აგრეთვე მოსახლეობის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, საჭმელში განსაკუთრებით მნიშვნელოვანი როლი ეკუთვნის პარტიული და კომკავშირული კომიტეტების მომხსენებლებს, პროპაგანდისტებსა და ავტორებს, მეცნიერებს, ლიტერატურისა და ხელოვნების დარგის მუშაკებს, უმაღლესი და საშუალო სკოლების პროფესორ-მასწავლებლებს. ჩვენი საპატიო მოვალეობაა აქტიური მონაწილეობა მივიღოთ სკკპ პროგრამის პროექტისა და მისი ისტორიული მნიშვნელობის ახალგაზრდობისათვის ფართოდ განმარტებაში.

ჩვენმა ახალგაზრდობამ უნდა იცოდეს, რომ ახალი პროგრამა შემოქმედებითად განაზოგადებს სოციალიზმის მშენებლობის პრაქტიკას, ითვალისწინებს მთელი მსოფლიოს რევოლუციური მოძრაობის გამოცდილებას და, გამობატვს რა პარტიის კოლექტიურ აზრს, განსაზღვრავს კომუნისტური მშენებლობის მთავარ ამოცანებსა და ძირითად ეტაპებს. პროგრამის პროექტის ამოსავალი პუნქტია ის ობიექტურად კანონზომიერი დებულება, რომ კომუნისტური საზოგადოების აშენება საბჭოთა ხალხის უშუალო პრაქტიკული ამოცანა გახდა, რომ კომუნისში, რომელიც ოდესღაც მხოლოდ აზრდილად გვეჩვენებოდა, დღეს თანადროულობის უდიდესი ძალაა დედამიწის ვეებერთელა სივრცეებზე.

პარტიის უმაღლესი მიზანი, რომელიც განსაზღვრავს და განაპირობებს საბჭოთა ხალხის ამოცანებს მომავლისათვის, არის კომუნისტური საზოგადოების აშენება. „კომუნისში, — ხაზგასმულია პროგრამის პროექტში, — არის უკლასო საზოგადოებრივი წყობილება, სადაც წარმოების საშუალებათა ერთიანი საერთო-სახალხო საკუთრებაა, საზოგადოების ყველა წევრი სოციალურად სავსებით თანასწორია, ადამიანთა ყოველმხრივ განვითარებასთან ერთად საწარმოო ძალებიც გაიზრდებიან მუდამ განვითარებადი მეცნიერებისა და ტექნიკის საფუძველზე, საზოგადოებრივი სიმდიდრის ყველა წყარო სავსე ნაკადად იდენს და განხორციელდება დიადი პრინციპი „თვითეთულისაგან — უნარის მიხედვით“. კომუნისში თავისუფალ და შეგნებულ მშრომელთა მაღალორგანიზებული საზოგადოებაა, რომელშიც დამკვიდრდება საზოგადოებრივი თვითმმართველობა, საზოგადოებისათვის საკეთილდღეო შრომა ყველასათვის გახდება პირველი სასიცოცხლო მოთხოვნილება და შეგნებული აუცილებლობა, თვითეთულის უნარი გამოყენებული იქნება უდიდესი სარგებლობით ხალხისათვის“.

აი, რა არის კომუნისში!
 მაშინ მთლიანად განხორციელდება პარტიის ლოზუნგი: „ყველაფერი ადამიანისათვის, ადამიანის კეთილდღეობისათვის“.

საბჭოთა კავშირი უახლოეს ათ წელიწადში — 1961—1970 წლებში — ერთ სულ მოსახლეზე პროდუქციის წარმოების მხრივ გადააჭარბებს კაპიტალიზმის ყველაზე მძლავრ და მდიდარ ქვეყანას — ამერიკის შეერთებულ შტატებს. მნიშვნელოვნად ამაღლდება მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობა და კულტურულ-ტექნიკური დონე; ყველა კომპერტურება და საბჭოთა მეურ-



ნეობა გადაიქცევა მაღალმწირობებლურ და შემოსავლიან მეურნეობად. მართლ-
თადად დაკმაყოფილება საბჭოთა ადამიანის მოთხოვნილება კეთილმოწყობი-
ლი ბინებით, გაქრება მძიმე ფიზიკური შრომა და სსრ კავშირი გახდება ყვე-
ლაზე მოკლე სამუშაო დღის მქონე ქვეყანა. მომდევნო ათწლეულში — 1971—
1980 წლებში — შეიქმნება კომუნისზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და მთე-
ლი მოსახლეობისათვის უზრუნველყოფილი იქნება მატერიალურ და კულტურ-
რულ სიკეთეთა სიუხვე; მაშინ საბჭოთა საზოგადოება ახლოს მივა მოთხოვნი-
ლების მიხედვით განაწილების პრინციპის განხორციელებასთან და მოხდება
ერთიან საერთო-სახალხო საკუთრებაზე თანდათანობით გადასვლა: სსრ კავშირ-
ში ძირითადად აშენდება კომუნისტური საზოგადოება.

მაგრამ კომუნისტური საზოგადოების აშენებისათვის საკმარისი არ არის
მხოლოდ მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნა და, ამავე დროს, იმისათვის,
რომ შეიქმნას ასეთი ბაზა, საჭიროა უზრუნველყოფილ იქნას ადამიანთა შეგნე-
ბის მაღალი დონე. კომუნისზმზე გადასვლა გულისხმობს კომუნისტურად შეგ-
ნებული და დიდად განათლებული ადამიანების აღზრდასა და მომზადებას. იმი-
ტომ, რომ, რაც უფრო მაღალია საზოგადოების წევრთა შეგნება, მით უფრო
სრულად და ფართოდ იშლება მათი შემოქმედებითი აქტივობა კომუნისზმის
მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნაში, შრომის კომუნისტური ფორმებისა
და ადამიანთა ახალი ურთიერთობის განვითარებაში და, მაშასადამე, მით უფრო
აწრაფად და წარმატებით წყდება კომუნისზმის მშენებლობის ამოცანები. „პარ-
ტიას,—ნათქვამია, პროგრამის პროექტში,—თანამედროვე ეტაპზე იდეოლოგიურ
მუშაობაში მთავარ ამოცანად მიაჩნია ყველა მშრომელის აღზრდა მაღალი იდეუ-
რობისა და კომუნისზმისადმი ერთგულების, შრომისა და საზოგადოებრივი
მეურნეობისადმი კომუნისტური დამოკიდებულების სულისკვეთებით, ბურჟუა-
ზიულ შეხედულებათა და ზნე-ჩვეულებათა გადმონაშთების სრული დაძლევა,
პიროვნების ყოველმხრივი, ჰარმონიული განვითარება, სულიერი კულტურის
ნამდვილი სიმდიდრის შექმნა. პარტია განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანი-
ჭებს მოზარდი თაობის აღზრდას“.

თავისთავად ცხადია, რომ ახალი ადამიანის ფორმირება ხდება კომუნისზმის
მშენებლობაში მისი აქტიური მონაწილეობის, ეკონომიურ და საზოგადოებრივ
ცხოვრებაში კომუნისტური საწყისების განვითარების პროცესში. ადამიანის
შეგნების გარდაქმნას კოლექტივიზმის, შრომისმოყვარეობისა და ჰუმანიზმის
სულისკვეთებით იწვევს საზოგადოების წევრთა ერთობლივი, გეგმაზომიერად
ორგანიზებული შრომა, მათი ყოველდღიური მონაწილეობა სახელმწიფოებრივი
და საზოგადოებრივი საქმეების მართვაში. აქედან გამომდინარეობს პარტიის
ამოცანები იდეოლოგიის, აღზრდის, განათლების, მეცნიერებისა და კულტურის
დარგში.

კომუნისტური შეგნების დანერგვის დარგში პარ-
ტია ამოცანად ისახავს მთელი მოსახლეობის აღზრდას მეცნიერული კომუნის-
მის სულისკვეთებით, ამასთან ცდილობს, რომ მშრომელები დაეუფლონ
მარქსისტულ-ლენინური მოძღვრების იდეებს, ღრმად შეიგნონ მსოფლიო გან-
ვითარების მსვლელობა და პერსპექტივები, სწორედ გაერკვენ მოვლენებში
ქვეყნის შიგნით და საერთაშორისო ასპარეზზე, შეგნებულად აშენონ ცხოვრება
კომუნისტურად. მეცნიერული მსოფლმხედველობის ფორმირება, შრომითი აღ-
ზრდა, კომუნისტური მორალის დამკვიდრება, ადამიანის პიროვნების ყოველ-
მხრივი და ჰარმონიული განვითარება, კაპიტალიზმის გადმონაშთების დაძლევა
ადამიანთა შეგნებასა და ქცევაში, ბურჟუაზიული იდეოლოგიის ანტიხალხური,

რეაქციული არსის მხილება — ასეთია პარტიის ამოცანები კომუნისტური მუშაკების დანერგვის დარგში.

ს ა ხ ა ლ ხ ო გ ა ნ ა თ ლ ე ბ ი ს დ ა რ გ შ ი პარტია ამოცანად ისახავს გონებრივ და ფიზიკურ შრომას შორის არსებითი განსხვავების აღმოფხვრას. ამ ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სოციალური პრობლემის გადაჭრას და კომუნისტური საზოგადოების ყოველმხრივ განვითარებულ წევრთა ფორმირებას ხელს შეუწყობს სახალხო განათლების ისეთ პრინციპებზე დაყენება, როცა მოზარდი თაობის სწავლა და აღზრდა მჭიდროდ იქნება დაკავშირებული ცხოვრებასთან, ნაყოფიერ შრომასთან, რომ მოზრდილ მოსახლეობას შეეძლოს შეახამოს წარმოების სფეროში მუშაობა სწავლისა და განათლების განგრძობასთან პირადი მოწოდებისა და საზოგადოების მოთხოვნილებათა შესაბამისად. საყოველთაო სავალდებულო საშუალო განათლების განხორციელება, სკოლამდელი და სასკოლო ასაკის ბავშვთა საზოგადოებრივი აღზრდა, პირობების შექმნა, რომლებიც უზრუნველყოფენ მოზარდი თაობის განათლებისა და აღზრდის მაღალ დონეს. უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების შემდგომი განვითარება, რათა ყველამ, ვისაც სწავლა სურს, მიიღოს უმაღლესი ან საშუალო სპეციალური განათლება, — ასეთია პარტიის ძირითადი ამოცანები განათლებისა და აღზრდის დარგში.

მ ე ც ნ ი ე რ ე ბ ი ს დ ა რ გ შ ი პარტიის განსაკუთრებული ზრუნვის საგანია მეცნიერების განვითარება და სახალხო მეურნეობაში მისი მიღწევების დანერგვა, მეცნიერების შეერთება წარმოებასთან, რათა მეცნიერების გამოყენება გახდეს საწარმოო ძალების მძლავრი ზრდის გადაწყვეტი ფაქტორი. ყველაზე დიდმნიშვნელოვანია შემდეგი ამოცანები: თეორიული კვლევის განვითარება, რათა უზრუნველყოფილი იქნას ბუნებისმეტყველების წამყვანი დარგების, მათემატიკის, ფიზიკის, ქიმიის, ბიოლოგიის განვითარების მაღალი დონე ტექნიკურ, სამედიცინო, სასოფლო-სამეურნეო და სხვა მეცნიერებათა აღმავლობისა და ეფექტიანობისათვის. ინტენსიურად უნდა ვითარდებოდეს კვლევითი მუშაობა საზოგადოებრივ მეცნიერებათა დარგში, რომლებიც შეადგენენ საზოგადოების განვითარების ხელმძღვანელობის მეცნიერულ საფუძველს. ამ დარგში მთავარია კომუნისტური მშენებლობის პრაქტიკის შესწავლა და თეორიული განვითარება. სოციალიზმის ეკონომიური, პოლიტიკური და კულტურული განვითარებისა და კომუნისტური მისი გადაზრდის ძირითადი კანონზომიერებათა გამოკვლევა, კომუნისტური აღზრდის პრობლემების დამუშავება.

კ უ ლ ტ უ რ უ ლ ი მ შ ე ნ ე ბ ლ ო ბ ი ს, ლ ი ტ ე რ ა ტ უ რ ი ს დ ა ხ ე ლ ო ე ნ ე ბ ი ს დ ა რ გ შ ი პარტია დაუცხრომლად იზრუნებს ლიტერატურის, ხელოვნების, კულტურის აყვავებისათვის, თვითეული ადამიანის პირადი უნარის რაც შეიძლება სრულად გამოსავლინებლად ყველა პირობის შექმნისათვის, ხალხში მაღალმხატვრული გემოვნებისა და კულტურული ჩვევების ჩამოყალიბებისათვის. კომუნისტური საზოგადოების წარმატებით აშენებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს მოსახლეობის კულტურულ ზრდას, რადგან სწორედ ამაზე დაამოკიდებული საწარმოო ძალების აღმავლობა, ტექნიკის პროგრესი და წარმოების ორგანიზაცია, მშრომელთა საზოგადოებრივი აქტივობის ამაღლება, თვითმმართველობის დემოკრატიული საფუძვლების განვითარება და ყოფაცხოვრების კომუნისტური გარდაქმნა. „კომუნისტური კულტურა, — ნათქვამია პროგრამის პროექტში, — რომელმაც შეიწოვა და ავითარებს ყოველდღე საუკეთესოს, რაც მსოფლიო კულტურას შეუქმნია, ახალი, უმაღლესი საფეხურია კაცობრიობის კულტურულ განვითარებაში. იგი განასახიერებს სა-



ზოგადობის სულიერი ცხოვრების მთელ მრავალფეროვნებასა და სიმდიდრეს ახალი სამყაროს მაღალ იდეურობასა და ჰუმანიზმს. ეს იქნება უკლასო საზოგადოების საერთო-სახალხო, საერთო-საკაცობრიო კულტურა“. პროგრამის პროექტი ითვალისწინებს კულტურის მატერიალური ბაზის შემდგომ მძლავრ აღმავლობასა და ამასთან დაკავშირებით პოლიგრაფიული მრეწველობის გაფართოებას, კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების ქსელის გადიდებას, სახალხო უნივერსიტეტების, თეატრალური კოლექტივებისა და სხვა თვითმოქმედი კულტურული ორგანიზაციების ფართოდ განვითარებას.

დიდ მნიშვნელობას ანიჭებს პარტია ლიტერატურისა და ხელოვნების აღმზრდელი თითო რილის შემდგომ ამღლებას. იმისათვის, რომ დაძლიონ საზოგადოებრივი განვითარების თანამედროვე ეტაპით ნაკარნახევი დიდი ამოცანები, ჩვენს მწერლებსა და ხელოვნების დარგის მუშაკებს ნათლად უნდა ჰქონდეთ წარმოდგენილი ლიტერატურისა და ხელოვნების განვითარების მთავარი ხაზი, მთავარი მიმართულება სოციალიზმიდან კომუნიზმში გადასვლის პერიოდში. პროგრამის პროექტში ამის შესახებ სხარტად და გარკვევით არის ნათქვამი: „ლიტერატურისა და ხელოვნების განვითარებაში მთავარი ხაზია კავშირის განმტკიცება ხალხის ცხოვრებასთან, სოციალისტური სინამდვილის სიმდიდრისა და მრავალფეროვნების მართალი და მაღალმხატვრული ასახვა, ახლის, ნამდვილად კომუნისტურის შთაგონებული და მკაფიო წარმოსახვა და ყოველივე იმის მხილება, რაც ხელს უშლის საზოგადოების წინსვლას“.

ქვეშარტად პროგრამული დებულებაა.

განსაკუთრებით ხაზგასმით არის აღნიშნული პროგრამის პროექტში საბჭოთა ლიტერატურისა და ხელოვნების დიდი იდეურ-აღმზრდელი თითო რილი და მნიშვნელობა, როგორც ახალი ადამიანის სულიერი გამდიდრებისა და ზნეობრივი აღზრდის მძლავრი საშუალებისა. ჩვენს მწერლებსა და ხელოვნების მუშაკებს უნდა ახსოვდეთ, რომ ისინი მოწოდებული არიან იყოს სიხარულისა და შთაგონების წყარო მილიონობით ადამიანისათვის, გამოხატავდნენ მათს ნებას, გრძნობებსა და ფიქრებს, ეხმარებოდნენ მათ ახალი ცხოვრების შენებაში.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მიერ კომუნიზმის მშენებლობის ამოცანების წარმატებით გადაწყვეტისათვის მთელ პრაქტიკულ მოღვაწეობაში უდიდესი მნიშვნელობა აქვს ახალი წესდების პროექტს, რომელიც აგრეთვე გამოქვეყნდა პრესაში საყოველთაოდ გასაცნობად და სკკპ ყველა წევრისა და წევრობის კანდიდატის განსახილველად.

„პარტია ხალხისათვის არსებობს და ხალხს ემსახურება, — ნათქვამია სკკპ წესდების პროექტში.— იგი საზოგადოებრივ-პოლიტიკური ორგანიზაციის უმაღლესი ფორმაა, საბჭოთა საზოგადოების ხელმძღვანელი და წარმმართველი ძალაა. პარტია ხელმძღვანელობს საბჭოთა ხალხის დიად შემოქმედებითს საქმიანობას, ორგანიზებულ, გეგმაზომიერ, მეცნიერულად დისაბუთებულ ხასიათს აძლევს მის ბრძოლას საბოლოო მიზნის — კომუნიზმის გამარჯვების მიღწევისათვის“.

პარტია ყოველთვის მოითხოვდა და ამჟამადც მოითხოვს თავისი წევრებისაგან განახორციელონ ავანგარდული როლი პრაქტიკულად, ყოველდღიურ პრაქტიკულ საქმიანობაში.

კომუნისტის უპირველესი მოვალეობაა:


იბრძოდეს კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნისათვის; იყოს შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულების მაგალითი;

ზრდიდეს შრომის ნაყოფიერებას;
 იყოს ყოველთვის ახლის, პროგრესულის წამომწყები, მხარს უჭერდეს
 და ავრცელებდეს მოწინავე გამოცდილებას;
 ეუფლებოდეს ტექნიკას, სრულყოფდეს თავის კვალიფიკაციას;
 უფრთხილდებოდეს და ამრავლებდეს საზოგადოებრივ სოციალისტურ სა-
 კუთრებას — საბჭოთა სამშობლოს ძლიერებისა და აყვავების საფუძველს.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXII ყრილობა, რომელიც გა-
 ნიხილავს და დაამტკიცებს პარტიის ახალ პროგრამასა და წესდებას, უდიდესი
 ისტორიული მნიშვნელობის მოვლენა იქნება. არა მარტო ჩვენი ქვეყნის, არა-
 მედ მთელი მსოფლიოს ხალხების ცხოვრებაში. ყრილობის გადაწყვეტილებანი
 ხელს შეუწყობენ მსოფლიო სოციალისტური სისტემისა და საერთაშორისო
 კომუნისტური და მუშათა მოძრაობის შემდგომ განმტკიცებასა და განვითარე-
 ბას მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალიზმის გამარჯვებისათვის ბრძოლის
 საქმეში.

კომუნიზმი ასრულებს ისტორიულ მისიას — იხსნას ყველა ადამიანი სოცია-
 ლური უთანასწორობისაგან, ყველა ფორმის ჩაგვრისა და ექსპლოატაციისაგან,
 ომის საშინელებათაგან, — და ამკვიდრებს დედამიწაზე მშვიდობას, შრომას,
 თავისუფლებას, ყველა ხალხის თანასწორობასა და ბედნიერებას.

თვითეული ჩვენთაგანის საპატიო მოვალეობაა იყოს ამ ისტორიული მისიის
 აქტიური და შეგნებული მონაწილე, იყოს კომუნიზმის მშენებელთა მოწინავე
 ხაზზე.



ვლადიმერ მაჭავარიანი

ერთი დიდი მემოზროვა

თანამედროვე ცხოვრებამ ეროვნული საკითხი ერთ ურთულეს და უმნიშვნელოვანეს საკითხად აქცია. ის ძველი, მაგრამ ამავე დროს მუდამ ახალი საკითხია. სხვადასხვა დროს ის სხვადასხვა ასპექტში წარმოგვიდგება.

ეროვნული საკითხი სოციალური საკითხია. ცნობილია, რომ ისტორიის განვითარების გარკვეულ საფეხურზე ყალიბდება ეროვნული კოლექტივები. ამ კოლექტივებს შორის მყარდება გარკვეული დამოკიდებულება. წარმოიშვებიან ეროვნული მოძრაობანი. ეროვნული მოძრაობანი წარმოშობენ ეროვნულ საკითხს.

ეროვნული საკითხი მოიცავს არა მარტო ეკონომიური, პოლიტიკური ცხოვრების სფეროს, ის მენტალურად გრძნობათა, განცდათა სამყაროშიც პოულობს თავის გამოვლინებას და გამოხატულებას.

აღმაინი არ შეიძლება არ ფიქრობდეს სამშობლოზე, მის წარსულზე. აწმყოზე, მომავალზე, მის ბედზე, მის ზედღურზე. ჯერ კიდევ ძველი რომაელი იტყოდა ხოლმე: *Salus patriae — suprema lex.*

დღევანდელ საზოგადოებრივ ცხოვრებაში ეროვნულ საკითხს მეტად მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს. ჩვენს თვალწინ დაიმსხვრა საუკუნეების მანძილზე შექმნილი კოლონიალიზმის რთული ეკონომიური, პოლიტიკური, სამხედრო სისტემა.

ასეული მილიონობით ხალხები ერებად ყალიბდებიან. მტკიცდება ეროვნული შეგნება, ეროვნული სიამაყის გრძნობა. თითქოს მკვდრებით აღდგენ დიდი ცივილიზაციის შემოქმედი ხალხები და ისინი ახლა ეროვნული დროშის გარშემო ირანშებიან.

ამ გარემოებას ყველა აღნიშნავს და ცდილობს მას სათანადო ანგარიში გაუწიოს. ცნობილი ამერიკელი ისტორიკოსი, პრეზიდენტ კენედის ერთ-ერთი უახლოესი მჩრეველი, იანკის იმპერიალიზმის ბარდი ამას წინათ წერდა:

„ლათინურ ამერიკაში, აფრიკაში, შუა აღმოსავლეთში და აზიაში აი რა ხდება: ძველი საზოგადოებანი იცვლიან თავის გზებს, რომ მსოფლიო არენაზე შექმნან და განამტკიცონ თავისი ეროვნული თვითმყოფადობა, და თავის ხალხებს მისცენ საშუალება ისარგებლონ ყველა დოვლათით, რომელსაც თანამედროვე ცივილიზაცია და ტექნიკა ჰქმნის. ეს ჰემშარიტად რევოლუციური პროცესია. ის ეხება ტრადიციული ცხოვრების ყველა ასპექტს: ეკონომიურ, სოციალურ და პოლიტიკურ სფეროებს.“

ეს სწორი და სამართლიანი აღიარებაა. სხვა საკითხია თუ როგორ დასვენებს აკეთებს პროფესორი როსტოუ ამ ფაქტიდან და როგორ პერსპექტივებს უსახავს ის ეროვნული ცხოვრების დამკვიდრების და განახლების პროცესში მყოფ ხალხებს.

ექვთისტანელია, რომ სხვადასხვა კლასს სხვადასხვაგვარად ესმის ეროვნული საკითხი. არც თუ ისე იშვიათად ექსპლუატატორთა კლასები თავის ვიწრო ინტერესს ერის ინტერესად წარმოგვიდგენენ. ეს ასე იყო წარსულში და ახლაც ასეა. ამიტომაც, რომ ექსპლუატატორთა კლასის ეკონომიური ინტერესი სცილდება ერის ინტერესს და მშრომელთა ფართო მასები კლასობრივი ბრძოლის საშუალებით და შემწეობით, რევოლუციური ბრძოლებში წყვეტენ ხალხის უმრავლესობის, ერის ზოგად ინტერესს.

ჩვენი პარტია, მისი დამაარსებელი და ბელადი ვლადიმერ ილიას ძე ლენინი მუდამ უდიდეს ყურადღებას აქცევდა ეროვნულ საკითხს. ჩვენს პარტიას უხდებოდა მრავალეროვან სახელმწი-



ფოს წიაღში მოქმედება. ეროვნული საკითხის უგულვებელყოფა პროლეტარიატს დამარცხების
ემუქრებოდა.

ამ საუკუნის გარიჟრაჟზე, „ისკრის“ ფურცლებზე, ჯერ კიდევ პარტიის მეორე ყრილობის
მოწვევამდე, ვ. ი. ლენინი თავის ნაშრომებში, სტატიებში, შენიშვნებში მრავალმხრივ ამუშა-
ვებს ეროვნულ საკითხს. რევოლუციონერ ისკრელთა თაოსნობით პარტიის მეორე ყრილობამ
1908 წელს დაამტკიცა პარტიის პირველი პროგრამა, მრავალმხრივ დააფუძნა ეროვნული სა-
კითხი.

იმ ბნელ დროს, როდესაც რუსეთის იმპერიაში ცარიზმის რეაქცია მძვინვარებდა, ჩვენმა
პარტიამ აშვარად ჩამოაყალიბა თავისი ეროვნული პროგრამა: „რუსეთის სოციალ-დემოკრა-
ტიული მუშათა პარტია თავის უახლოეს პოლიტიკურ ამოცანად ისახავს მეფის თვითმპყრობე-
ლობის დამხობას და მის შეცვლას დემოკრატიული რესპუბლიკით, რომლის კონსტიტუციაც
უზარუნველყოფდა:

... § 7. წოდებათა მოსპობას და ყველა მოქალაქის სრულ თანასწორუფლებიანობას, მიუხე-
დავად სქესისა, რელიგიისა, რასისა და ეროვნებისა (ხაზი ჩვენია.— ვ. მ.);
§ 8. მოსახლეობის უფლებას, მიიღოს განათლება მშობლიურ ენაზე, რაც უზარუნველყოფილი
ქნება იმისათვის საჭირო საკლდეის შექმნის სახელმწიფოსა და თვითმმართველობის ორგანი-
ზების ხარჯზე... მშობლიური ენის შემოღებას ყველა ადგილობრივ და საზოგადო და სახელმწი-
ფო დაწესებულებაში სახელმწიფოებრივი ენის თანაბრად; § 9. სახელმწიფოს შემადგენლობაში
შემავალი ყველა ერის თვითგამორკვევის უფლებას“.

პარტია იმთავითვე შეებრძოლა ბუნდის რეაქციულ კულტურულ-ნაციონალური ავტონომიის
პროგრამას და მოითხოვა რუსეთის იმპერიაში შემავალი ერების არა მარტო კულტურული,
არამედ პოლიტიკური, ეკონომიური თვითგამორკვევა სუვერენული ტერიტორიული სახელმწი-
ფოებრივობის ფარგლებში.

შედგომ წლებში, განსაკუთრებით რეაქციის წლებში, ახალი რევოლუციური აღმავლობის
წლებში, პარტია, ვ. ი. ლენინი, მისი უახლოესი მოწოდებები, ყურადღებით ამუშავებენ ეროვნ-
ულ საკითხს. 1913 წლის რსდმპ ც. კ. „წაფხულის“ თათბირი სპეციალურად იხილავს ეროვნულ
საკითხს. თათბირმა აღნიშნა, რომ ერთა თვითგამორკვევის უფლება ნიშნავს სახელმწიფოებრივი
გამოყოფის უფლებას; ენის საკითხში კი თათბირმა აღნიშნა, რომ საჭირო არ არის ერთიანი სა-
ხელმწიფოებრივი ენა. ამ დადგენილებით პროლეტარიატის პარტია გემოვნს, როგორც აშკარა
რეაქციონერებს, ასიმილატორებს, რომელნიც ერთა გადაპარტნივების პროცესის დასაჩქარებლად
დევნიდნენ ჩაგრულ ერთა ენას, ყოველი ჯეროს შავრამელებსა და ლიბერალებს, რომელნიც
სავალდებულო სახელმწიფო ენის მოთხოვნით აიძულებდნენ მშრომელთა ფართო მასებს მიე-
ღოთ ის ენა, რომელსაც ისინი არ იცნობდნენ თავიანთი დუბიური მატერიალური მტკვარეო-
ბის გამო, რადგან მათ საშუალება არ ჰქონდათ, ესწავლათ და თავიანთი შეიღებისათვის ესწა-
ვლენინათ არამშობლიური ენა. ვ. ი. ლენინი წერდა, რომ შავრამელები მოითხოვენ უცხოტო-
მელთა ჩაგვრას, იმას, რომ განუყოფელ რუსეთში ყველა ხალხი ველიკოროსულ საწყისს ემორ-
ჩილებოდესო.

ვ. ი. ლენინი იცავდა რუსულ ენას, მის სიღადეს, მის უტკნობ სიღამაზეს... „ტურკენევის,
ტოლსტოის, დობროლიუბოვის, ჩერნიშევსკის ენა დიადი და მსლაგრი... ჩვენ, რა თქმა უნდა
იმის მომხრეები ვართ, — წერდა ვ. ი. ლენინი, — რომ რუსეთის ყოველ მტკვარებს შესაძლებ-
ლობა ჰქონდეს შეისწავლოს დიადი რუსული ენა“, მაგრამ არა იძულებით და ჯობით, არამედ
ნებაყოფლობით. ვ. ი. ლენინი წერდა: „რუსულ ენას არ სჭირდება, რომ მას ჯოხის შიშით
სწავლობდეს ვინმე“, ამ საკითხის დასმასა და გადაწყვეტაში მოჩანს ვ. ი. ლენინის დიადი დიად-
ლექტორა.

კაპიტალიზმი არღვევდა ეროვნულ კარჩაქცილობას, სულ უფრო და უფრო მტკიცდებო-
და ეკონომიური, პოლიტიკური, კავშირთიერთობა რუსეთის ხალხთა შორის. აღნიშნულმა,
ვაჭრობა, ფართო საქმიანობა, ტრანსპორტის განვითარება, ერთი სიტყვით, ახალი ცხოვრება
რუსულ ენას საჭიროდ ხდიდა ყველა ადამიანისათვის. ვინც ამ უზარმაზარ იმპერიაში ცხოვ-
რობდა და მოქმედებდა. ვ. ი. ლენინი აღნიშნავდა, რომ ეს ობიექტური ფაქტორები თავისთა-
ვად უკავდავდნენ გზას რუსულ ენას, რომ თვით რუსული ენის, რუსული კულტურის ინტერე-
სები მოითხოვდნენ, რათა მოსპობილიყოს მისი იძულებითი გავრცელება.

სოციალისტური სახელმწიფოს პრაქტიკამ დაადსტურა დიდი ლენინის შეხედულებათა
სრული სისწორე. ახლა ჩვენში და მთელ მსოფლიოშიც სწავლობენ რუსულ ენას, რუსულ
კულტურას.

ვ. ი. ლენინი მოითხოვდა განსაკუთრებით სათუთ დამოკიდებულებას ეროვნული ვრძობებ-
ბისადმი. ეს ბუმბერაზი ადამიანი შიშით ავადმყოფობის დროს, ცხოვრების უკანასკნელ წლებ-



შიც, ასწავლიდა პარტიას, მშრომელებს, საბჭოთა ხალხს ეროვნულ საკითხში გამოჩინათუქდრუნულ დღეს წინდახედულება. ვ. ი. ლენინი 1922 წელს წერდა: „ქართველი ერის მიმართ... უმნიშვნელოა ტად პროლეტარული დამოკიდებულება მოითხოვს ჩვენგან უადრეს სიფხიზლეს, თავზიანობასა და დამთობლობას“. ეს სიფხიზლე, გვასწავლის ლენინი, მით უფრო აუცილებელია, რომ „პანაწლავრო ის უნდაობლობა, ის ექვიანობა, ის წყენა, რაც ისტორიულ წარსულში მიუყვებია მისთვის „დღემპრობებლური“ ერის მთავრობას.

ვ. ი. ლენინი აღნიშნავს, რომ „არაფერა ისე არ აფერხებს პროლეტარული კლასობრივი სოლიდარობის განვითარებას და განმტკიცებას, როგორც ეროვნული უსამართლობა, და არაფერს ისე მწვევიდ არ განიცდიან „შურაოცუყოფილი“ ნაციონალები, როგორც თანასწორობის ფრძნობა და ამ თანასწორობის დარღვევას, თუნდაც დაუდევრობით, თუნდაც ხუმრობის ხაზით, ამ თანასწორობის დარღვევას მათი ანხანავა პროლეტარების მიერ, ან რატომ არის, რომ ამ შემთხვევაში სჯობია ეროვნულ უმცირესობათადმი დამთობლობისა და ლმობიერების მხრივ გადავაშლამოთ, ვიდრე დავაკლოთ მარილი. აი რატომ არის, რომ ამ შემთხვევაში პროლეტარული სოლიდარობის და, მასხასადამე, პროლეტარული კლასობრივი ბრძოლის ძირითადი ინტერესი მოითხოვს, რათა ჩვენ არახოლეს არ მოვეპყრათ ფორმალურად ეროვნულ საკითხს, არამედ ყოველთვის გავითვალისწინოთ, სავადლებულო განსხვავება ჩაგრული (ანუ პატარა) ერის და მჩაგვრელი (ანუ დიდი) ერის პროლეტარის მიმართ“. (ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 86, გვ. 693).

უფრო ადრე, ავსტრიელი მარქსისტების და ბუნდის კულტურულ-ნაციონალური იდეალისტური, რეაქციული პროგრამის კრიტიკასთან დაკავშირებით, ვ. ი. ლენინი წერდა: „განა შეხატლებელიაო, შეგვეკითხებინა, უჩრუუნველდევყოთ, თანასწორობისაგანობის საუქმველზე, ერთი ქართველი ბავშვის ინტერესები პეტერბურგის 48.076 მოწაფეშიო?... ჩვენ არ დავიცავთ არაფერს საზიანოს და არ მოვითხოვთ არაფერს შეუძლებელს, თუ ამ ბავშვისათვის მოვითხოვთ უფასო საზიანო აუდიტორიას ქართული ენის, საქართველოს ისტორიისა და სხვა ლექციების საფუძის, მისთვის ქართული წიგნების გადატანას ცენტრალური ბიბლიოთეკიდან, საზიანის მიერ ხარჯების ნაწილის გადახდას ქართველი მასწავლებლის გასამრგელოდ და სხვ...“ (ლენინი, თხზ., ტ. 19, გვ. 688—689).

პროლეტარული, რევოლუციის გამარჯვების შემდეგ, სოციალისტური მშენებლობის პირველივე გამოცდილების შედეგად, ვ. ი. ლენინი ასეთ დასკვნამდე მიდის: „ეროვნული და სახელმწიფოებრივი განსხვავებანი ხალხებსა და ქვეყნებს შორის... კიდევ ძალიან და ძალიან დიდხანს დარჩებან პროლეტარიატის დიქტატურის მსოფლიო, (ხაზი ჩეჩენა, ვ. მ.) მასშტაბით განხორციელების შემდეგაც კი“ (ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 81, გვ. 97—98). ვ. ი. ლენინის ამ დებულებას განსაკუთრებული ხაზი ვაუსვა პარტიის ისტორიულმა მეოცე ყრილობამ.

ჩვენი პარტიის მერვე ყრილობამ, რომელიც მიიღო პარტიის მეორე პროგრამა, აგრეთვე დიდი ყურადღება დაუთმო ეროვნულ საკითხს. იმ პროგრამის დამუშავების და განხილვის დროს ვ. ი. ლენინი სასტიკად ებრძოდა ბუხარინ-პიატავოვის ჯგუფის ნიბილისტურ პოზიციას ეროვნულ საკითხში და პარტიის ყრილობამ ერთხმად დაუჭირა მხარი ვ. ი. ლენინის თანმიმდევრულ ინტერნაციონალისტურ პოზიციას.

პარტიის მომდევნო ყრილობამ, განსაკუთრებით მეთექვსმეტე ყრილობამ, განავრცეს ვ. ი. ლენინის, ჩვენი პარტიის ეს ინტერნაციონალური ხაზი და დაგმეს როგორც დიდმპრობელური შოვინიზმი, აგრეთვე ადგილობრივი ბურჟუაზიული ნაციონალიზმი.

პარტიის პროგრამის პროექტი, რომელიც ახლა სახალხო განხილვის საგანი გახდა, განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს ეროვნულ საკითხს. ახლა ჩვენს ქვეყანაში, მთელს მსოფლიოში სულ სხვა ვითარებაა, სოციალიზმმა საბოლოოდ გამარჯვა ჩვენს ქვეყანაში, დამყარდა მსოფლიო სოციალისტური სისტემა. ჩვენ ვამუშავებთ კომუნისტურ მშენებლობის დიად პროგრამას. ახლა ეროვნული საკითხი ჩვენთან სხვაგვარად დგას. გამარჯვებულმა სოციალიზმმა, როგორც ამას ყოველთვის ითვალისწინებდა ვ. ი. ლენინი, ჩვენი პარტია, არამეთუ მოსპო ერები, მათი ენები, არამედ პირიქით, ყველა პირობა შექმნა, რათა ერები განმტკიცებულყვნენ ეკონომიურად, პოლიტიკურად, სახელმწიფოებრივად, კულტურულად, გაფორმებულიყვნენ ეროვნული ენები. ძველი ბურჟუაზიული ერების ნანგრევებზე წარმოიქმნენ და განმტკიცდნენ ახალი, სოციალისტური ერები, რომელნიც ახლა სამუდამამოდ შეავსირებულნი არიან ერთიან, მძლავრ თანასწოროფლებიან ოჯახში. ყველა ერთი, დიდი თუ პატარა, ახლა თანასწოროფლებიანია. ერთა დიდი ოჯახი საბჭოთა სახელმწიფო ერთიარად იცავს როგორც დიდი, ისე პატარა ერების ყველა ინტერესს. ეს ვითარება აღნიშნულია პროგრამის პროექტში. „სოციალიზმის პირობებში... ვკითხულობთ პროექტში... ხდება ერების აყვავება, მტკიცდება მათი სუვერენიტეტი... ყველა ერთი თანასწოროფლებიანია“. (საბჭოთა კავშირის კომუნის-

ტური პარტიის პროგრამა, პროექტი, 1961, გვ. 150—151). პროგრამის პროექტი აღნიშნავს: „სსრკ კავშირში კომუნისმის გამარჯვების შემდეგ კიდევ უფრო დაახლოვდებიან ერები... მაგრამ ეროვნულ განსხვავებებთან, განსაკუთრებით ენობრივ განსხვავებებთან წაშლა მნიშვნელოვანად უფრო ხანგრძლივი პროცესია, ვიდრე კლასობრივი საზღვრების წაშლა“ (იქვე, გვ. 151—152).

პროექტში განსაკუთრებითაა აღნიშნული, რომ პარტია შემდეგშიც უზრუნველყოფს სსრკ კავშირის ხალხთა ერების თავისუფალ განვითარებას. ეს რასაკვირველია იმას ნიშნავს, რომ არც ერთ ენას არ ენიჭება არავითარი პრივილეგია, რომ „ხალხების ძმური მეგობრობისა და ურთიერთდობლის პირობებში ეროვნული ენები ვითარდებიან თანასწორუფლებიანობისა და ურთიერთგამოდების საფუძველზე“. პროექტი სრულიად სამართლიანად აღნიშნავს, რომ ყოველი ჯურის ნაციონალიზმის გამოვლინებათა ლიკვიდაცია „შეესაბამება სსრკ კავშირის ყველა ერთსა და ეროვნების ინტერესებს, თვითეულ საბჭოთა რესპუბლიკას შეუძლია შემდგომ აყვავდეს და განმტკიცდეს მხოლოდ სსრკ კავშირის მოქმედი სოციალისტური ერების დიად ოჯახში“ (იქვე, გვ. 155).

ხალხთა ძმობის, ინტერნაციონალიზმის დიადი იდეები, რომელნიც აღბეჭდილია პროგრამის პროექტში, კიდევ უფრო განამტკიცებენ ჩვენს რიგებს, ხელს შეუწყობენ საბჭოთა ხალხის ახალ მომავალ, ისტორიულ გამარჯვებებს.

პროგრამის პროექტში დასახულია საბჭოთა ქვეყანაში ეკონომიური, პოლიტიკური, სახელმწიფოობრივი, საზოგადოებრივი, კულტურული მშენებლობის გიგანტური გეგმა. ამ გეგმის განხორციელება ხელს შეუწყობს სოციალისტური ერების შემდგომ განმტკიცებას და განვითარებას. დიადი იდეალების განხორციელება, რომელთა შესახებ ასე შთამაგონებლად არის მოთხრობილი პროგრამის პროექტში, ითვალისწინებენ არა საბჭოთა რესპუბლიკების უფლებათა და საუკეთესოების შემცირებას თუ შეზღუდვას, არამედ მათ განმტკიცებას და გაძლიერებას.

გაშლილი კომუნისტური საზოგადოების მშენებლობა განამტკიცებს იმ ძმობას, ურთიერთგაგებას, რომელიც საბჭოთა, სოციალისტური ერებს შორის დამკვიდრდა, ის მრავალ ახალს შეიტანს ამ დამოკიდებულებაში, რომელიც კიდევ უფრო განამტკიცებს ერთა შორის ნდობას და პატივისცემას.

ეს დიადი ამოცანები რომ განხორციელდეს, საჭიროა ჩვენმა პარტიამ, საბჭოთა ხალხმა იბრძოლოს პარტიის ეროვნული პროგრამის სწორი გატარებისათვის, მისი დამახინჯების ყოველგვარი ცდის წინააღმდეგ, იბრძოლოს რევიზიონიზმს და დოგმატიზმს, ეროვნული განსაკუთრებულობის მავნე თეორიებს, ნიჰილიზმის რეციდივებს ეროვნულ საკითხში. ამ მხრივ ჩვენს პარტიას უდიდესი ისტორიული გამოცდილება აქვს და ეს გამოცდილება ბევრად შეუწყობს ხელს პროექტში დასახულ გრანდიოზულ ამოცანების აღნიშნულ ვადებში შესრულებას.

პარტიას პროგრამის პროექტი განიხილავს ეროვნულ საკითხს ან მარტო ჩვენს ქვეყნის საშინაო ვითარების გათვალისწინებით. პროექტი მრავალმხრივ განიხილავს იმ ისტორიული თვალსაზრისით სრულიად ახალ დამოკიდებულებებს, რომელნიც დამყარდა სოციალისტურ ქვეყნებს შორის სოციალისტურ მსოფლიო სისტემაში. რასაკვირველია, დამოკიდებულებანი სოციალისტურ ქვეყნებს შორის და დამოკიდებულებანი საბჭოთა სოციალისტური ერთა შორის არც შეიძლება იყოს და არც არის ინდენტური. სოციალისტური სახელმწიფოთაშორისო დამოკიდებულებაც სოციალისტური ინტერნაციონალიზმის პრინციპებს ემყარება, რომელნიც ითვალისწინებენ, როგორც ცალკეული სახელმწიფოს, ისე მსოფლიო სოციალისტურ ბანაკის, როგორც ერთიანი მებრძოლი კლექტივის ინტერესებს.

ამ სახელმწიფოების სოციალისტური ბუნება, მათი სოციალისტური, ჭეშმარიტად დემოკრატიული სტრუქტურა, საზოგადოების ყოველი წევრის თავისუფლება, რომელიც მიღწეულია ამ ქვეყნებში, უზრუნველყოფენ ამ სახელმწიფოთა შორის სრული პარამონიის დამყარებას. ეს პარამონია ითვალისწინებს ყველა სახელმწიფოს ეკონომიურ, პოლიტიკურ, სამხედრო, სახელმწიფოებრივ, კულტურულ ინტერესთა ისეთ შემაშენებლს, რომ უზრუნველყოფილ იქნას ამ ქვეყნების სწრაფი განვითარება სოციალიზმის, კომუნისმის მშენებლობის დიად გზაზე. წინაწინული, განვითარებული ქვეყნები ყოველგვარ დახმარებას გაუწევენ მათთან შედარებით, გარკვეული ისტორიული პირობების გამო ჩამორჩენილ ქვეყნებს. „სოციალისტური სახელმწიფოების თანამშრომლობა საშუალებას აძლევს თვითეულ მათგანს ყველაზე რაციონალურად და სრულად გამოიყენოს თავისი რესურსები, განავითაროს საწარმოო ძალები, სოციალიზმის ქვეყნების ეკონომიური და მეცნიერულ-ტექნიკური თანამშრომლობის, მათი სახალხო-სამეურნეო გეგმების კოორდინაციის, წარმოების სპეციალიზაციისა და კოოპერირების პროცესში ყალიბდება შრომის საერთაშორისო განაწილების ახალი ტიპი“ (იქვე, გვ. 30—31).



სოციალისტური ქვეყნების ძმური ერთიანობა და თანამშრომლობა თვითელი უმაღლესი ეროვნული ინტერესებს შეესაბამება. ის დიდი მიღწევები ეროვნული მშენებლობის დარგში, რომლებიც გააჩნია საბჭოთა ქვეყანას, მთელ მსოფლიო სოციალისტურ სისტემას, აღაფრთოვანებენ კოლონიალიზმის უღლისაგან განთავისუფლებულ ხალხებს. ეს ხალხები ახლა დიდის უურაღლებით სწავლობენ ჩვენი ქვეყნის ისტორიულ გამოცდილებას, განსაკუთრებით საბჭოთა ხალხების განვითარების უჩვეულო, უმაგალითო ჩქარი ტემპების განმსაზღვრელ პირობებს. კოლონიური ქვეყნები, რომელნიც ახლასან განთავისუფლდნენ უცხო დამპყრობთა პოლიტიკური მონობისაგან, მისწრაფიან სრული ეკონომიური კულტურული ემანსიპაციისკენ.

კოლონიური ქვეყნების ხალხები იმის აღიარებამდე მიდიან, რომ კომუნისტების მიწნები შეესაბამება ერის უმაღლეს ინტერესებს.

ახალი ეროვნული სახელმწიფოები სულ უფრო აქტიურად გამოდიან დამოუკიდებელ ძალად მსოფლიო ასპარეზზე, ამასთან ობიექტურად ესაა ძირითადად პროგრესული, რევოლუციური და ანტიიმპერიალისტური ძალა.

ჩვენი პროგრამა საჭვეუწოდ აღიარებს, რომ „საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას ძმური კავშირი ხალხებთან, რომლებმაც მოიშორეს კოლონიური, ნახევრადკოლონიური უდიდო, მაჩანია თავისი საერთაშორისო პოლიტიკის ერთ-ერთ ქვაკუთხედად. ამ კავშირს საფუძვლად უდევს მსოფლიო სოციალიზმისა და მსოფლიო ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის სასიცოცხლო ინტერესების ერთობა“. ჩვენი პარტიის მოქმედების ეს გეგმა მისი ეროვნული პოლიტიკის ლენინური, ინტერნაციონალური ნახიათითაა განპირობებული.

საბჭოთა სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკა მისი საშინაო მოღვაწეობის ანარეკლია. კომუნისტების ინტერნაციონალისტური პოლიტიკის ძლიერებას, მის მსოფლიო რეზონანსს ახლა დასავლეთის პრესაც აღიარებს. ამას წინათ ცნობილი ამერიკელი პუბლიცისტი ჯორჯ სპაიგლმენი „ჰერპერს მეგჯინის“ ფურცლებზე აღნიშნავდა: „კომუნისტებს იმიტომ უჭირავთ ხელში ინიციატივა, რომ ისინი თავს ესხმიან უკვე განწირულ წყობილებას. ისინი გამოდიან იმ ინსტიტუტების და ინტერესების წინააღმდეგ, რომელნიც უარყოფილი და დაგმობილია მსოფლიოს ხალხთა უმრავლესობისაგან, ისინი გამოდიან და ებრძვიან კოლონიალიზმის წინააღმდეგ, თეთრი ადამიანის რასიზმის წინააღმდეგ აზიაში, აფრიკაში, ლათინურ ამერიკაში, ისინი ებრძვიან ფეოდალ-მიწათმფლობელთა და სოფლის ვაჭარ-ჩარჩების კერძო საკუთრებრივ ინტერესებს, ისინი ებრძვიან მრეწველ ექსპლოატატორებს, მილიტარიზმის და კლერკალიზმის საწივრობებს ესპანეთში და ლათინურ ამერიკაში, ისინი ებრძვიან უნიათო და სინდისგარეცხილ მთავრობებს, ისინი ებრძვიან გახრწილი სისტემის ყველა ნარჩენებს და ნამსხვრევებს, რომლებიც მხოლოდ იმიტომ არსებობენ, რომ ჩვენ მათ მხარს ვუჭერთ“. მართლაც რომ გონიერი აღიარებაა.

პარტიის ეროვნული პროგრამა მისი დიდი ისტორიული მოღვაწეობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ნაწილია. პარტია დაწმუნებულია, რომ კომუნისმის მშენებლობის პროგრამა ჩვენი ხალხის დაძაბული შრომის შედეგად უქვეყნლად იქნება განხორციელებული. ერთა ძმობის, მეგობრობის, ერთობის, ერთსულღვნების, მარმონის დიდი ლენინური იდეები მუდამ იმარჯვებდნენ და კვლავ გაიმარჯვებენ.



გიორგი ნაზროშვილი

ფრთები, ფრთები გვინდა...

„ფრთები, ფრთები გვინდა, კიდევ ფრთები გვინდა“, წერდა თავის ლექსში გალაკტიონ ტაბიძე, პოეტი, რომელიც სეისმოგრაფის სიზუსტით გრძნობდა და განიცდიდა ყოველ ნაბიჯს ადამიანის აზრის წინსვლისა თუ წინ გაფრენის ვრცელსა და დაუსრულებელ გზაზე. „კაცობრიობას ფრთები სჭირდება, — ამბობდა მეორე გამოჩენილი ქართველი მწერალი გერონტი ქიქოძე, — ორი დიდი ფრთა, რათა ცხოვრების პროზა, გვირუკის სინამდვილე მაღალი პერსპექტივიდან დაინახოს, ის დასძლიოს და გადალახოს“.

უამფრთებოდ, დასკვნადა მწერალი, კაცობრიობა ვერასოდეს გამოვიდოდა გვიმარაში მცოცავი არსების მდგომარეობიდან და საბოლოოდ ემპირიზმის ჭაობში ჩაფლდებოდა.

საინტერესოა, რომ შემოთმთქვანილი ორივე ამონაწერიდან არც ერთი არ ეხება სპეციალურად ტექნიკის სფეროს — გალაკტიონის ლექსში ლაპარაკია ნიჟორწმინდის; ტაძარზე, ფრთაშეღულუნეს რომ უწოდებს პოეტი და მასში ხედავს ადამიანის მარადიულ და შეუჩერებელ სწრაფვას ციკლენ, სივრცეში შეჭრისკენ, ხოლო გ. ქიქოძის წერილში სიტყვა ეხება ბარათაშვილის მერანს, რომელშიც ასევე გამოხატულია კაცობრიობის მარადიული სწრაფვა წინ და მაღლა. დიხს, აქ სპეციალურად ტექნიკაზე, კოსმოსურ ხომალდებზე არ არის ლაპარაკი, მაგრამ როცა ეცნობი საბჭოთა ადამიანის განსაკუთრებულ გამარჯვებებს კოსმოსის დაუფლების დარგში, უნებურად გაგონდება ეს სტრიქონები, გაგონდება იმიტომ, რომ იური გაგარინისა და გერმანიე ტიტოვის სასწაულებრივი გაფრენები უსაზღვრო, დაუსაბამო და თვალშეუდგამ სივრცეში — მარტოოდენ ტექნიკის გამარჯვება არ არის, ეს მთელი საკაცობრიო ცივილიზაციის, მთელი კულტურის, ადამიანის დაუცხრომელი გონების მანამდე უნახავი ზეიშია, ეს ადამიანის უძველესი ოცნების ზეიშია, იმ ოცნებისა, რომელსაც მარტო კომუნიზმმა შეასხა ფრთა; ეს მარტო კონსტრუქტორის კი არა, პოეტისა და ფილოსოფოსის გამარჯვებაც არის; აქ ადამიანის გენიამ შეიძლო და საჭირო გააკეთა ის, რასაც ოდესღაც კაცობრიობა სიზმრებით ხედავდა ოციელის „მეტამორფოზებში“, სადაც მოთხრობილი იყო, თუ როგორ გაფრინდნენ ათენელი სკულპტორი და მისი შვილი ცისკენ სანთლის ფრთებით; მაგრამ ძველი ბერძნული მითი ტრაგიკულად მთავრდებოდა — შუის სიმსურველად აღნობდა სანთლის ფრთებს და მფრინავი ზღვაში ვარდებოდა; საბჭოთა კოსმონავტიკის ფოლადის ფრთებს კი არაფრისა არ ეშინია, ის გამოქვლილია ისე, რომ თამამად დაფრინავს უსაზღვრო სივრცეებში, და მას აქვს ძალა ხვალ გაფრინდეს უფრო შორს, გაფრინდეს უცხო პლანეტებზე და ახალი სასწაულები ამცნოს ქვეყანას.



გაჩინის დღიდან დაჰყურებს ადამიანს თავზე ეს ვარსკვლავებით მოქედილი ზეცა, გაჩინის დღიდან შეჰყურებს მას კაცის თვალი, ესწრაფვის, ლაპობს ამოცნოს მისი საიდუმლოებანი.

თერთმეტი თუ თორმეტი წლისა ვიწებოდი. ალაზნის გაღმა, ქიაურის ტყეში ვიყავი. გაუვალი და დაბურული იყო მაშინ ეს ტყეები, აქა-იქ თუ წაწყდებოდი თითო მტკავლის ოდენს საყუდრად გატეხილ ახოს. ჩვენ ყანის თავში ვისხედით, შებინდებული იყო, გლეხკაცის ვახშობის დრო. ირგვლივ ტყე იდუმალად შრალდებდა, ხმაურობდა, ათას რაჟის წამოგაღვანდებდა და აი მაშინ გავიგონე ერთი საგულისხმო ზღაპარი სახელგანთქმულ მუშაზე. აქვე ერთი რამ უნდა შეგინებო — კახეთში მაშინ მუშა რომ გეხსენებინა, ყველას თვალწინ წარმოუდგებოდა არა საქარხნო პროლეტარი, არამედ ყანის მკელი. რატომღაც მარტო მას ერქვა მუშა, სხვას არავის — არც მწვემს, არც მვეინახებს. ეტყობა ასე იყო ეს ისტორიულადაც, გაიხსენეთ თუნდაც გურამიშვილი: „მუნ მოყვრის მუშას თავს ვადექ, მკას ვუპირებდით ყანას“. „არ შეყრილიყო ჯერ



მუშა, იყენენ მოსახვედელ შორითა... მაგრამ, როგორც ჩანს, ეს მარტო კახეთში კი არაა მხოლოდ საქართველოში ასე უოფილა, ამას ამტიციებს ჰაკეის „მუშის ნატურა“:

ვისაც რა უნდა უყვარდეს,
სულ სხვაა ჩემი ტრფიალი,
მიყვარს პირწმინდა ნამგალი,
მისი ყანაში ტრიალი.

ან გავიხსენეთ მეორე ლექსი „მუშები“:

ციხკრის ვარსკვლავიც კაშაშუმბს,
ის ხომ თვით უფლის თვალია,
დაჰხარის მუშას, როცა ის
საქმეზე მიმავალია,
ადეკი, ღმერთი ახსენე,
დავხედოთ იმ ჩვენს ყანასა,
გულგასახეხებად დანამულს
ნიავე ეტყვის ნანასა.

ამას გარდა, კახეთში მუშა ერქვა კიდევ იმ პატარა ჯგოსს, რომლითაც ყანის მკელი ძნას შეტყარავდა ხოლმე... მაგრამ უოველივე ამან შორს წაგვიყვანა. დავუბრუნდეთ ისევ იმ საღამოს, ალაზნის გაღმა, ჭიაურის ტყეში რომ ვისხედით და იქ მოსმენილი ზღაპარაც გავიხსენოთ.

— ჰოდა, გაუჭირდა, ძმობილო, ამ კაცს ცხოვრება, ძალიან გაუჭირდა. როგორც მატყლის დართო საჩრეტლზე, ისე წეწა და წეწა სიღარიბემ. გოგო-ბიჭებსა შოლდათ და მამა რომ მინდვრიდან მობრუნდებოდა, ხელეში შეშხედავდნენ — რა მოიტანაო. ერთი დღიური ყანა ჰქონდა და ეს იყო იმის იმედი, მაგრამ წამოუშინა სეტყვამ და მთელი ყანა მიწაში ჩაიტანა. ჩასწყდა კაცს გული, ტყუია რომ დაეკრათ, ის ერაინა. დაქარგა ეს იმედიც, აილო ნამგალი და ჭირაზე წავიდა. თანაც, კაცებო, — აქ მოხრობელმა ირგვლივ ყველას გადახედა. — თურმე ის კაცი მუშა იყო ისეთი, ბადალი არა ჰყავდა ქვეყანაზე... ჰოდა, წავიდა... იარა, იარა და ერთი მდიდარი კაცის ყანას მიადგა. იმ კაცს ასი დღიური ყანა ჰქონდა, თვითონ პატრონი ყანის თავში იდგა და გაჟურებდა ტალღა-ტალღა რომ წებოდა შემოსული ყანა ნიავეზე. მიადგა მუშა და ეუბნება:

— დროზე თუ არ მომეც, ჩაწვება. რას მომცემ, რომ ეგ ასი დღიური ერთ დღეს, მშის ჩახვლამდე მოვიგყო... თუ ვერ მოვასწარი, არაფერი არ მინდა შენო.

მდიდარმა ებვით აშხედ-დაშხედა მუშას, გაიცინა და უთხრა:

— ისეთი რა ჯადო გაქვს, რომ ასი კაცის საქმეს ერთ დღეს გააკეთებო!

— აი ჩემი ჯადოო, — თავისი მარჯვენა უჩვენა ყანის მკელმა.

ყანის პატრონმა მაინც არ დაუჯერა და ეს უთხრა:

— შენ თუ მაგას შეიძლება, მოსავალი ნახევარი შენი იყოს და ნახევარი ჩემიო.

დაქარცხელი ხელი ხელს. შევიდა მუშა ყანაში, შუადღემდე ულო გრიხა, მერე დაიწყო მკა, მაგრამ რა დაიწყო... მიღის და მიაქვს ნაფთები ნაფთებზე... როგორც ქარი, ისე მიღის... გავიდა მინდვრის ბოლოს, ერთი ძნადა ჰქონდა შესაკრავი, სულ ბოლო ძნა, როცა მზე ჩავიდა და სულ ერთი ჩიქი-ლა უჩანდა. მოუხადა მკელმა მკელი მზეს, დაუჩოქა მუხლებზე და შეეხედა:

— შენი მადლის ჭირიმე, ცოტა ხანს კიდევ მოიცადე, ნუ დამლუპავ, ერთი ძნადა მკვს შესაკრავიო...

— არა, დავიდალე, — უთხრა მზემ, — იცი საიდან მოვდივარო — აღარ მოუცადა და ჩავიდა. ყანის პატრონს, ამ სასწაულის შემხედვარეს, გული დაეწვა და მკელს აგრე უთხრა:

— წაიღე ძმობილო, ნახევარი შენაო.

— არა, მზემ არ მომცა. პირობა პირობაა... შენ შენთვის და მე ჩემთვისო.

გადაადგო ნამგალი და წავიდა ცარიელ-ტარიელი.

ჩვენ სულგანაბულნი ვუსმენდით იმ ზღაპარს და მე მაშინ ვერ ვხვდებოდი, საით უშიწნებად ბეჭდავს, რა უნდოდა ეთქვა მას — ის, რომ მზეც ამა ქვეყნის მძღვართა მხარეზეა, თუ ის, რომ მზეც ყანის მკელით დადლილია, ისიც ხომ მუშაა, ქვეყნისა და გლეხკაცის საქმეზე თავგადკლული. მაინც ის მივიკრდა, რომ ძია გიო (ასე ეძახოდნენ ზღაპრის მოქმედს) მზეზე რაღაც ახლო ნაცნობივით, შინაურავით ლაპარაკობდა, როგორც ისეთ რამეზე თუ ვინმეზე, ვისაც შეიძლება დილითაც მიხსალმო, სახეწარიც უთხრა, ქულიც მოუხადო, დაუჩოქო და გულიც მოულობო.

— გაოცებით და ხარბად შევეყურებდი ძია გიოს. უფრო იმის გამო, რომ ათასი რამ გამეგონა თვითონ მასზე. ისეთი რამე, რაც ჯერ არც წიგნებში წამეკითხა და არც საღმრთო მომხმინა, ძალზე უცნაური კაცი იყო — რაღაც თვისებური, ხან გულუბრყვილო და ხან პირველყოფილურად

ბრძნული სიტყვა და აზრი ჰქონდა, რაღაც დაახლოებით ვაჟს მინდიახვით ალღო თუ გუმწმინდა და მასზე ამბობდნენ, ცაც ისე კარგად იცის, როგორც შირაქის მინდორი, როგორც შირაქში ყველა ბურქსა თუ ღღერს იცნობს, ისე ცაზეც ყველა ვარსკვლავს იცნობს.

ჰოდა, უნდა სცნობოდა კიდევ, ხელობა ჰქონდა ისეთი, უამისოდ არ შეიძლებოდა. გლეხკაცი იყო, მწყემსიც იყო და მხვინელ-მთხველიც.

მაშინ საქართველოში ჯერ რადიო არ იყო და, ცხადია, არც ამინდის ბოულტეტენებს ვაღმოსცემდნენ. ამიტომ, ახა როგორ უნდა გაგვეგო, რა ამინდი იქნებოდა ხვალ, შხაჟუნა წვიმა წამოვიდოდა, თუ მზე დასწვავდა ყველაფერს; არც ღღერსი და არც ღღერსი სათი რომ არა სტარდებოდა და მზე და ვარსკვლავები იყო მისი უწუბუნები საათი; ეს კიდევ არაფერი; უფრო საკვირველი ის იყო, რომ მარტო მან იცოდა, ხვალ, ვთქვათ სამშაბათ ღღერს, საშინელ სიტხებს დაიჭერსო — ამას მიხვდებოდა წინასახამოს და ამისათვის საქმარისი იყო უბრალოდ გაველო ცვრიან ბალახზე — ნამის მიხვევით შეიტყობდა ხვალინდელ ამინდს, და კიდევ იმის მიხვევით, რა ღღერი იყო ცა, მკართალი იყო თუ მოდალდაღე ესა თუ ის თანავარსკვლავები; მან ისიც იცოდა, როდის დაიწყებოდა დიდი წვიმები. საქმარისი იყო მას ძაღლის თანავარსკვლავების გამოჩენა დაენახა, და უკვე იცოდა რა შავი ღღერ დაადგებოდა მოხვალს, როგორ დასკდებოდა მიწის პირი გვაღლისაგან; მან იცოდა ღამის რომელ საათზე სად იყო ხომლი და რას იუწყებოდა ის, სად იყო ხარ-გუთანი (დიდი დათვის თანავარსკვლავები), სად იყო სასწორი, ღანარჩენ ვარსკვლავებს თავის შერქმულ სახელებს ეძახოდა, როგორც გლეხკაცი დაარქმევს ხოლმე სახელებს თავის ხარებსა თუ ძროხებს: ოხოლა, ფუძილო, ნისლა, მყავალა, მარგალიტა და ა. შ. და ამ ვარსკვლავებზე ის ლაპარაკობდა, როგორც თავის მეზობლებზე — ზოგი ავია და ზოგი ბორბოლი, ზოგი კეთილი და ხელისგამმართელი, ზოგი ცხარასა და საქონელს იცავს და იფარავს, ზოგიც, პირიქით, განწყვეტს ხოლმე. მის დაკვირვებებში მრავალი ვაღმომცემული თუ თავად მიგზნებული ჭეშმარიტია ახრიც იყო და ბევრიც ვულუბურული ცრუ რწმენაც — მას, მაგალითად, სჯეროდა, რომ ხომლის თანავარსკვლავებს ამოსვლისას საქონელი უნდა მოარიდო. ერთხელ ცხენი ვერაფერს მოვაფარე, ხომლმა დაშხედა, დაკრა და წამიხდინა, მერე იმ ფრინველივით ცხენმა ბარგანაობა დაიწყო. ხომლი ხომ ასეა და სამაგიეროდ ცისკარი კი ვულუმოწყალა, მას მარტო ჩვილი ყრმა უნდა მოარიდო და ა. შ.

როგორც ხედავთ, ჩვენ ბევრიც გვოს კოსმოგონიაში ბევრი ვულუბურულია იყო, მაგრამ მასში იყო ისიც, რასაც მას თანამედროვე მეტეოროლოგიაც დაუდასტურებს, სახელდობრ ის, რომ ამინდის წინასწარმეტყველი მუდამ ცაში უნდა იცქირებოდეს; ახლა ხომ ყველამ იცის, რომ ამინდი ჩვენს ღელამიწაზე დამოკიდებულია იმისაგან, თუ რა ხდება საბლანეტათაშორისო სივრცეში.

და მაინც მთავარი ის იყო, რომ აღამიანი, საერთო, სადაც უნდა ყოფილიყო ის, შიშით შესტკეროდა შეუცნობელ ვარსკვლავებს. ძველი კაცობრიობა რაღაცით ვაგდა იმ ბერბაცს, რომელმაც ბევრი რამ არ იცოდა კოსმოსზე, ზოგი რამ იცოდა, მაგრამ არა ჰქონდა ფრთები აფრინელიყო იქ. და აი მხოლოდ ახლა დაიწყო ახალი ერა აღამიანის გონების ძლევამოსილი წინმხედლობის ისტორიაში — საბჭოთა კოსმონავტიკა გაჩნდნენ ვარსკვლავებში და პირველი ბილიები გაკაფეს იდუმალი და უცნობი სამყაროებისაკენ.

რა დიდი გზა განვლო კაცობრიობამ, რაოდენი სატანჯველი გამოიარა აღამიანმა საუკუნეთა მანძილზე, ვიდრე აისრულებდა ამ ნატვრას — შეფრინდებოდა უძირო გალაქტიკის იდუმალ სამყაროში!

სწორედ ამიტომ, 1961 წლის 12 აპრილი — იური გაგარინის გაფრენის დღე და იმავე წლის 6 აგვისტო, როცა გერმანე ტიტოვმა 250 კილომეტრის სიმაღლეზე 17-ჯერ შემოუარა ღელამიწას გარშემო — კაცობრიობის ისტორიაში ღარჩებთან, როგორც თარიღები ახალი ეპოქის — კოსმოსის დაპყრობის ეპოქის დაწყებისა.

როდინდელია ეს ნატვრა? დაწყებული ანტიკური საბერძნეთიდან, თუ უფრო ადრე, ძველი აღმოსავლეთიდან არა, რომელი საუკუნის ფილოსოფოსსა თუ ფიზიკოსს არ უოცნებია ამაზე, რომელ პოეტს არ მიუპყრია თვალი კოსმოსის ლურჯი ეთერისათვის? საქმარისია აქ მარტო რუსთაველი და დანტე გავიხსენოთ. მომდევნო საუკუნეებში აწვალბთ და არ აძინებთ ეს ფიქრი. ლეონარდო და ვინჩი მარტო ოცნებს ფრთებზე შედობდა კოსმოსში, ხოლო ბაირონი „დონ-ღუანის“ მთავი თავში ამბობდა: ოდესმე აღამიანი მთვარეზეც გაფრინდება.

და აი, ახლა ისამუს ფრთებს ძველი ოცნება — ეს უკვე სასწაულის ახდენაა, როცა ტიტოვი კოსმოსური ხომალდის კაბინის იდუმინატორებიდან რეპორტიორული კინოაპარატით იღებს ღელამიწისა და ცის ფოტოსურათებს და ამ ფოტოსურათებზე აღებუდილია ამოზრტულია ჩვენი პლანეტისა და მისი გარემოცველი შირავენდები, რომელიც ჯერ ნაწი ცისფერია, ხოლო

24-58

17 წლ. სპ. სპ.




შემდეგ ზურმუხტის ფერით, ღურჯივით და იისფერით გადაღის სავსებით შავ ცაში... იმ შავ ცაში ჩანს კაშკაშა ვარსკვლავები, რომლებიც თანაბარი, არამოციმციმე შუქით ანათებენ.

განუზომელია ამ გაფრენების მნიშვნელობა მეცნიერებისათვის, კაცობრიობის კეთილდღეობისათვის; და ეს დიდი, მანამდე არნახული და არგაგონილი გამარჯვება საბჭოთა ადამიანისა — განამტკიცებს მსოფლიო მშვიდობის საქმეს. ის მეტყველებს იმ ყოველმხრივ უპირატესობაზე, რომელიც გააჩნია სოციალისტურ სისტემას კაპიტალისტურთან შედარებით; ეს გაფრენები მთელმა მოწინავე კაცობრიობამ შეაფასა, როგორც დასაწყისი იმ უზარმაზარი ამოცანების განხორციელებისა, რომლებსაც სახავს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ახალი პროგრამის პროექტი — ეს ახალი კომუნისტური მანიფესტი.

აი რა უზარმაზარი მასშტაბებით იწყება ამ დიდ წინასწარდასახულებათა განხორციელება! იწყება იგი კოსმოსში გაფრენით, უმაგალითო გმირობით, რომელიც განამტკიცებს ჩვენი პლანეტის მრავალი მილიონობით ადამიანის რწმენას უკეთესსა და მზიურ მომავალზე.

საბჭოთა კოსმონავტების გაფრენით მთელმა მოწინავე კაცობრიობამ კვლავ გადაღვა ნაბიჯი წინ, თავისი უკეთესი მომავლისაკენ, კომუნისტისაკენ. ადამიანს უკვე აქვს ის ფრთები, რომლებსაც ნატროშვა მრავალი საუკუნის მანძილზე.



42-28

თავაზ ჭირაძე



ბუსიინა- ბუსი კონის ქობილი



1

დიდი ხეები ოდნავ ქანაობდნენ და მათი მძიმე, წვიმით გაქვნილი ჩრდილები აივანზე ამოხტომას ცდილობდნენ. ეს ხის ძველი აივანი რამდენიმე ოჯახს ეკუთვნოდა. ფერადი, დაფლეთილი ტილოებით გადატიხრული, სკივრებითა და ნავთქურებით, ტახტებითა და დანჯარეული ველოსიპედებით სავსე აივანი გრძელსა და ვიწრო ბორანს ჰგავდა, რომელიც თითქო ერთიანად აყრილ ხალხს უჩუპარი წვიმის ბურუსში მიაკურებდა.

ნიკას ფანჯარასთან სკამი მიედგა, რაფაზე იდაყვები დაეყრდნო და წვიმას უყურებდა. „ნუთუ ყველაფერი გათავდა, ნუთუ ყველაფერი გათავდა...“ თითქო გაწვეტილი ფიქრის გაგრძელებას ლამობდა და წვიმა მატარებლის ზმაურივით ესიტყვებოდა. ეზოში სიწყნარე იდგა და წვიმის ხმა კიდევ უფრო ამძაფრებდა სიმშვიდის განცდას. უკვე გვიან იყო და აივანზე აღარავინ გამოდიოდა. მეზობელ ოთახშიც წყნარად იყვნენ. სახლს ძალიან თხელი კედლები ჰქონდა და ოდნავი ჩქამიც კი ისმოდა ხოლმე.

„ნუთუ ყველაფერი...“

ნიკას გვერდით რკინიგზელის ოჯახი ცხოვრობდა. ქმარი — მაღალი და მსუქანი კაცი, რომელსაც ნაყვავილევი სახე და წითელი ფერის თმები ჰქონდა, სახლში იშვიათად თუ გამოჩნდებოდა. ის მთელი კვირით სადღაც მიდიოდა და მერე უფენია მოადგებოდა ხოლმე კარზე ცოლს. მოწნული გალიებით წიწილები მოჰყავდა და, პიკამოში გამოწყობილი, მთელი დღე წიწილებს თავს დასტრიალებდა. ხან კონსერვის ქილით წყალს უდგამდა, ხან პურს უფშხენიდა და თან რაღაცას გატაცებით ეჩურჩულებოდა.

ის ვერც მეზობლების დამცინავ ღიმილს ამჩნევდა და ვერც ცოლის სევდიან მზერას. ქალი ნაღვლიანი თვალებით აშტერდებოდა და ქმარიც ხანდახან

გაკვირვებული ამოხედავდა ხოლმე, თითქო უნდოდა ეკითხა — რა იყო, რა იყო ხომ არ მოხდაო, მაგრამ ისევ დაიხრებოდა და თავის საქმეს მიუბრუნდებოდა.

— მაქანკლით გათხოვებამ იცის, ბატონო, — ამბობდნენ მეზობლის ქალები. თუმცა რკინიგზელის ცოლი ძალიან უყვარდათ და თვალში რომ ჩავარდნოდათ — ხელს არ ამოისვამდნენ.

რკინიგზელის ცალი გამხდარი და კაფანდარა ქალი იყო. ამ ერთი შეხედვით ულამაზო ქალს მომწესხველი გამოხედვა ჰქონდა. საკორაოდ შეყრილ მეზობლებს ხანდახან არჩილიც შეუერთდებოდა. არჩილი აივანზე გამოვიდოდა, ხან გალიებთან მოფუსფუსე რკინიგზელს შეაცქერდებოდა, ხან მოაჯირზე დაყრდნობილ მიაის. არჩილის ხვერდის შარვალ-ხალათს აშკარად ეტყობოდა, რომ მის ტანზე არ იყო შეკერელი. მაღალი და ოდნავ ბეჭებში მოხრილი არჩილი სათვალეს იხსნიდა, ცხვირსახოცით წმენდდა, მერე იკეთებდა და ისევ იხსნიდა. რატომღაც გამუდმებით ღელავდა, თითქო რაღაცას ფიქრობდა და სხვა არაფერი აინტერესებდა. მაინც გამოდიოდა აივანზე, ცოტახანს მეზობლების ლაპარაკს მიუვდებდა ყურს, მერე უეცრად მიტრიალდებოდა და ოთახში შევიდოდა. მისი ოთახი სულ აქვარიუმებით იყო სავსე. არჩილი ბიოლოგი იყო და ასლა დისერტაციას წერდა. აქვარიუმებში ათასნაირი თევზი დაცურავდა და ფანჯრიდან შემოსულ მზის სხივებზე ოთახი დასიზმრებულს ჰგავდა. არჩილი სკამს ახლოს მიიდგამდა და მინის კედელზე ცხვირმოჭყყლეტი თევზებს დაკვირვებით უცქერდა. ერთხელ სტუმრად შესულ ნიკას უთხრა:

— იცი, თევზები ფიქრობენ...

ნიკას გაკვირვებული სახე რომ დაინახა, დაუმატა.

— ჰო, თევზი ადამიანის სიახლოვეს ფიქრს სწავლობს...

მას აქეთ, რაც ნიკა ამ სახლში გადმოვიდა, რკინიგზელის ცოლი მხოლოდ ერთხელ შემოვიდა მის ოთახში. კვირა დღე იყო და რკინიგზელი აივანზე ფუსფუსებდა. ქალმა დააკაჟუნა, შემოპატიჟებას აღარ დაუცადა და პირდაპირ შემოაღო კარი.

— უკაცრავად...

ნიკა წამოწოლილი იყო, წამოხტა, პიჯაკი სკამიდან აიღო და ჩაიცვა:

— უკაცრავად...

ქალმა არაფერი უთხრა... კართან გაჩერდა და იქაურობას თვალი მოავლო. ოთახში მხოლოდ მაგიდა, ერთი სკამი, საწოლი და პირმომტკრეული დიდი დოქი იდგა. კუთხეში აყუდებულ მოლბერტზე მაღალი, თეთრი ცხენის სურათი იყო დამაგრებული... ცხენს კისერი მოეღრიცა და დიდრონი, სევდიანი თვალეებით იცქირებოდა. კედლებთან ჩარჩოში ჩასმული ტილოები და დაგრაგნილი გრძელი ქაღალდები ეწყო. თაროზე საღებავების პაწაწინა კოლოფები და ქოთნებიდან თავამოყოფილი ფუნჯები მოჩანდა. სულ ზედა თაროზე კი რამდენიმე ხელადა იდგა.

— დაბრძანდით, — უთხრა ნიკამ ქალს.

ქალი მოლბერტთან მივიდა და სურათს შეხედა, კარგახანს უყურა, არაფერი უთქვამს, ოდნავ, თითქმის შეუმჩნევლად გაიღიმა და ნიკას მოუბრუნდა:

— მე მაია მქვია...

და თვალბში შეხედა.

ნიკა რატომღაც დაიბნა. ჯერ ხელი გაუწოდა, მაგრამ როცა ნახა, რომ ქალი ხელის ჩამორთმევას არ აპირებდა, სკამი გამოსწია და თქვა:

— დაბრძანდით...

„რას ავიკვიატე ეს სიტყვა, ხომ ვხედავ არ ჯდება...“

მერე დოქი აიღო — მოყუდება უნდოდა, მაგრამ შერცხვა, თვალთშეშვით დაუწყო ძებნა, ვერც კიჩა იპოვა, დოქს თავი დაანება და ძლიეს გასაგონად თქვა:

— მე... ნიკა...

ქალი უღიმოდა. ნიკას ვერ გაეგო — უღიმოდა თუ დასცინოდა. წრიალებდა, წვალობდა და თავის თავზე ბრახობდა. ქალმა მაგიდიდან წიგნები და ქალღლები აკრიფა და კუთხეში იატაკზე დააწყო, მერე თაროსთან მივიდა, თითის წვერებზე რომ აიწია, ნიკა გაწითლდა: — „ლენჩი“, — გაუჯავრდა თავის თავს. მაიამ თაროდან ქოთანს ჩამოიღო, მაგიდაზე დადგა და წიგნებზე დაგდებული დამკვნიარი მიხაკი შიგ ჩაღო. ოთახი თითქო გამოიცვალა, გაღამაზდა და განათდა. პაწაწინა, გამხმარმა ყვავილმა სახე უცვალა ყველაფერს, ნახატებიც გამოჩნდა. ნახატებს რომ შეხედა, ნიკას ძალა მიეცა და გათამამდა:

— მე სამხატვრო აკადემიაში ვსწავლობ... წელს ვამთავრებ... საღამოობით ვმუშაობ... კინომექანიკოსი ვარ...

ქალმა არაფერი უპასუხა. ისევ მოლბერტთან მივიდა. ისევ იმ თეთრ ცხენს დაუწყო თვალყურება. უყურა, უყურა და მერე უცებ თქვა:

— ნახვამდის...

და წავიდა...

მას მერე სტუმრად აღარ შემოსულა.

ისევ წვიმდა. ნიკა ადგა, კედლისკენ პირშექცეული ნახატი აიღო და მოლბერტზე დაამაგრა. თეთრი ცხენი ნაღვლიანი თვალებით უყურებდა. მერე ნიკას გაახსენდა, თუ რატომ დახატა ცხენი.

... ეს იყო დიდი ხნის წინათ. მაღალი, თეთრი ცხენი დაღმართზე ჩაიყვანეს და თხრილში ჩააყენეს. ცხენმა თავი ასწია და წინა ფეხები ორმოს კიდეს ჩამოჰკრა, ფხვიერი მიწა ორმოსი ჩაიყარა და ცხენმა თავი გაიქნია. დიდრონ, ჰკვიან თვალებს საწყლად ატრიალებდა.

— მიდი, ზაქრო, ბარემ გაათავე, — თქვა მსუქანმა მილიციელმა. ის ნაფოტით ჩექმიდან ტალახს იცილებდა და, თავჩაღუნული, საქმით იყო გართული. ზაქრომ უკან მოიხედა, ნიკას თვალი შეასწრო და დაუტატანა:

— დაიკარგე აქედან, შე ლაწირაკო...

ნიკა მოტრიალდა.

ხმელ ბალახს გაეყვითლებინა მინდორი. მინდორის იქით მაღალი სახლები მოჩანდა, სახლებს იქით კი — ამწეები. მინდორში ქარი ჰქროდა და მიმოყრილ თუნუქის ძველ ღუმელებში, კონსერვების ქილებსა და დაგრაგნილ ქანგთან მავთულებში ეღრიალებდა.

ნიკამ ნაბიჯი გადადგა და სწორედ მაშინ გავარდა თოფი.

ცხენს თავი მიწის ყრილზე დაეყრდნო და დიდრონი, გადათეთრებული თვალებით იცქირებოდა. ზაქრო ორმოსთან ჩაცუცქულიყო და ცხენს უყურებდა...

ნიკას ფრთხილი, ძალიან ჩუმი კაკუნი მოესმა. ნეზობლის კართან ვიღაც იდგა და ნარბენი კაცივით მძიმედ სუნთქავდა. კაკუნი გამეორდა. ნიკამ იცოდა, ვინც იყო ეს გვიანი სტუმარი. ერთხელ ეზოში შეხვდა და მისმა ბავშვურმა, დაძაბულმა სახემ გააკვირვა. კაცს მფრინავის ტანისამოსი ეცვა და ქუდი ხელში ეჭირა.

უხმოდ აუარა გვერდი ნიკას და რკინიგზელის კარზე დააკაუნა. მერე რამდენჯერმე კიდევ მოვიდა გვიან ღამით და ერთხელ კიდევაც მიესალმა ნიკას.



მფრინავს ბედნიერი, ცისფერი თვალები ჰქონდა, თითქოს სადღაც, უმეტესად მოკვდავთათვის მიულწეველ ადგილას მიუხაროდა. კარი გაიღო და მერე უხმაუროდ მიიკეტა. მეზობელ ფანჯარებში სინათლე ჩაქრა და თითქო წვიმის ხმა გაძლიერდა. ნიკა ადგა, მაგიდიდან სიგარეტების კოლოფი აიღო და ისევ ფანჯარასთან დაჯდა. პირველმა ნაფაზმა ოდნავ თავბრუ დაახვია. მერე ერთხელ კიდევ ძალიან მაგრად მოქაჩა და სიგარეტს სული შეუბერა. ნიკას სიამოვნებდა თამბაქო. მერე ოთახის სიცარიელე შეიგრძნო და გაუკვირდა. ოთახის კედლები ნახატებით იყო სავსე და ქვევითაც კედლისკენ პირშექცეული, ჩარჩოებში ჩასმული ტილოები ეწყო. ნიკა მათთან არასოდეს თავს მარტო არ გრძნობდა და ცოცხლებივით მიმართავდა ხოლმე. არაერთხელ დაუჭერია თავისი თავი, რომელიმე ნახატისათვის თვლია რომ ჩაუკრავს და გაუღიმიან, თითქო მისგანაც პასუხს მოეღოსო. როცა ხატავდა, სურათს ესაუბრებოდა და თითქო ადამიანთა ლაპარაკს აჩვენებდა. მარინესადმი მიწერილ წერილებსაც უკითხავდა და აცახცახებული ხმით ჩურჩულებდა:

„...მთელს ჩემს არსებაში შენი სიყვარული ისე ხმაურობდა, როგორც შემოდგომის მზიან დღეებში სახეშეცვლილი გაზაფხული ხმაურობს, ბრუნავს, ეთამაშება თაღებს, გუმბათებს, ღობეებს, სტოვებს თავის თავბრუდამხვევ სუნს ქვაფენილებზე, კიბეებზე, მინებზე, ბუკინისტების გაშლილ მაგიდებზე-გაზაფხულისა და შემოდგომის ამ ბრძოლაში იგრძნობოდა აუცილებლობა და ლამაზი იყო ისევე, როგორც კაცისა და გაუხედნავე ცხენის, ხომალდისა და ზღვის ჭიდილი...“

ნიკას გაახსენდა თავისი წერილები და გაიღიმა. წამოდგა, მაგიდასთან მივიდა და საათს დახედა — ათი იყო. „საათის ისრები მაშინ მოძრაობენ, როცა არ უყურებ...“ სიგარეტი საფერფლეში ჩააქრო და სარკესთან მივიდა. დღეს კინოში წასასვლელი არ იყო. ნიკას ძალიან მოსწონდა თავისი სამსახური. ოთახს, საღაც კინოაპარატები იდგა, კაიუტას ეძახდა, რადგან მრგვალი და მომცრო ფანჯარები ჰქონდა დატანებული.

ნიკა მალა სკამზე იჯდა და ჰუჭურუტანაში იხედებოდა. ხშირად ჰგონებია, რომ პატარა კაიუტას იქით დელავდა ნამდვილი, უნაპირო ზღვა. თუმცა ოთახში თუთუნის მოწვევა აკრძალული იყო, ის მაინც ბეგრს ეწეოდა, სწევდა ხარბად, როგორც მოწაფე ნამალავ პაპიროსს. მის თანაშემწეს, პატარა ისორ ბიჭს, ხელისხურგზე ტუშით ვეება ჩანგი დაეხატა. ბიჭს „ჩიბოს“ ეძახდნენ და ეს ზედმეტი სახელი უხდებოდა. ჩიბოს შეეძლო მთელ თვეს ეცქირა ერთი და იმავე ფილმისათვის. ის მიწებებული იყო სარკმელს და მძიმედ სუნთქავდა.

— ჩიბო, — ეძახდა ნიკა: — ჩიბო!

ჩიბოს არ ესმოდა.

— ჩიბო, წადი, სიგარეტები მიყიდე...

ჩიბოს მოჰქონდა სიგარეტები და ისევ სარკმელს უბრუნდებოდა.

— ჩიბო, ხელი მიჩვენე...

ჩიბო გაუწვდიდა ხელს და იღიმებოდა. მისი ღიმილი თუთრ, ძალიან მკვეთრად წასმულ საღებავს ჰგავდა. ისე, უმიზნოდ წასმულ საღებავს. ნიკა დახედავდა ჩიბოს ხელისგულზე დახატულ ჩანგს და ეტყუოდა:

— ჩიბო — შოპენი!

თუთუნის ფერფლი აცვიოდა მკერდსა და მუხლებზე. ნიკა უსმენდა დარბაზის სუნთქვას. მას უყვარდა ეს ვეება, ხალხით გაკედილი დარბაზი. უყვარდა მისი ხმაური და ხანდახან ღიმილით უგდებდა ყურს გაბრაზებულ ამოძახილს: „მეწალე, მეწალე!“

— წადი, ჩიპო, სიგარეტები მიყიდე!..

წვიმდა.

„წვიმაში გავლას ახლა არაფერი სჯობია“.

მერე ძია კოწია გაახსენდა. კოწია ხელმოცარული მხატვარი იყო და ხანდახან მულტიპლიკაციური ფილმებისთვის აკეთებდა ნახატებს. ნიკას ზოგჯერ კარგს საღებავებს აძლევდა, საიდანაც დიდი ნაცნობობით რომ შოულობდა. ძია კოწია საინტერესო მოსაუბრე იყო და ნიკაც სიამოვნებით უგდებდა ხოლმე ყურს.

ეზოდან რომ გამოვიდა, წინ მიმავალი ლანი შენიშნა. ნიკამ მაშინვე იცნო მფრინავი და უნებურად უკან გაჰყვა. უფრო იმიტომაც აედევნა, რომ ამ კაცის მოძრაობა მეტად უცნაური და ლამაზი იჩვენა. მისმა დაძაბულმა, უცნობ რიტმს აყოლილმა სიარულმა მოხიბლა და დაიმორჩილა კიდევ. მფრინავი ხელებს იქნევდა, თითქო უხზოდ მღეროდა და ქუდს ჰაერში აფრიალებდა, მიდიოდა და ხმას არ იღებდა, თუმცა მისი სხეულის რხევა ხმამაღალ სიმღერას მოითხოვდა, თითქო მიდიოდა იმ გზაზე, რომელიც გაქიმული იყო სიჩუმიდან ყველაზე ხმამაღალ და მნიშვნელოვან სიტყვამდე. კაცი ცირკის ჯამბაზის ლამაზი და მოხერხებული მოძრაობით ზედ წონასწორობას ინარჩუნებდა. წვიმდა. წვიმისაგან გაბაცებულ ცაში, როგორც შეოროთქლილ სარკეში, ბუნდოვანად ირეკლებოდა მუქი სახურავები და მავთულები. მოღუშულ ჩრდილებად ქცეული ხეები ცხვარობდნენ სადღაც ზევით, საკუთარ სამყაროში, და ნიკას ესმოდა მათი თავშეკავებული სუნთქვა.

მერე მფრინავს ქუჩის ძაღლები აედევნენ, შემოეხვივნენ და გაწუწულები ნელი ნაბიჯით გაჰყვნენ. მფრინავი მიდიოდა და ხელებს იქნევდა, ის ალბათ რაღაცას ლაპარაკობდა კიდევ, მაგრამ ნიკას მისი ხმა არ ესმოდა. ძაღლები მორჩილად და ერთგულად მისდევდნენ, როგორც დიდი ხნის მერე შეხვედრილ პატრონს. ეს იყო უჩვეულო სანახაობა, მფრინავი მწყემსივით მიდიოდა გზაზე. ნიკას რატომღაც თვალწინ წარმოუდგა დამით სიზმარივით ბუნდოვანი აეროდრომის წითელი და მწვანე ნათურები და სადღაც ბინდში ვეებერთელა თვითმფრინავის სილუეტი, განათებული ფრთებითა და კუდით. პროექტორების შუქზე, თვითმფრინავის გარშემო, ადამიანები დაფუსფუსებდნენ და მათი მთართოვარე ჩრდილები იხლართებოდა თვითმფრინავის ჩრდილებსა და სინათლეში.

მარინე დილით მოვიდა. ფერდაკარგული, მობუზული და აწეწილი. არაფერი უთქვამს, ოთახში შემოვიდა და ჩემოდანი იქვე, კართან დადგა. საწვიმარი არ გაუხდია, სკამზე ჩამოჯდა და ნიკას შეაცქერდა. ნიკა ფანჯარასთან იდგა და სიგარეტს ეწეოდა...

ის ყველაფერს მიხვდა.

ნიკა წინათაც ფიქრობდა, რომ ასეთი რამ შეიძლებოდა მომხდარიყო, შეიძლებოდა მარინე მოსულიყო, თუმცა სიტყვაც კი არ უთქვამს მარინესთვის, და რაც გათხოვდა („დათო ცნობილი მხატვრის შეილია, თვითონაც მეტად სინაპათიური ახალგაზრდაა“, — თქვა ქალბატონმა ეკამ), საერთოდ ერიდებოდა მას. ისინი მხოლოდ ერთხელ, ისიც შემთხვევით შეხვდნენ ერთმანეთს და, უხერხული დღემილის შემდეგ, მარინემ ჰკითხა:

— ნიკა, გაბრაზებული ხარ?

ნიკამ მაშინ არაფერი უპასუხა. ეს იყო ყველაზე უფრო დაუფიქრებელი შეკითხვა. მარინემ ალბათ არ იცოდა, თუ რას ეკითხებოდა ნიკას.



„გაბრაზებული ხარ! ბრაზი! რა არის სიბრაზე, რა უმწეო და არასწორი მთქმელი სიტყვაა. შეიძლება გაუბრაზდე ძმას, მახლობელს, მეგობარს, შეიძლება გაუბრაზდე შენს თავს, რაიმე სულელურს რომ იტყვი, რაიმეს რომ ვერ გააკეთებ, ანდა გააკეთებ და საწინააღმდეგო რამ გამოვა, სხვანაირად გაგიგებენ, კარგის მაგივრად ცუდს დაინახავენ, თუთრზე — შავიო, გეტყვიან, აი, მაშინ შეიძლება გაბრაზდე“.

2

მარინე ნიკას ბავშვობიდანვე იცნობდა. ის მარინეზე ორი წლით უფროსი იყო და მაშინ მათ მეზობლად ცხოვრობდა. ნიკა უმწო, გამბდარი და ჭორფლიანი ბიჭი იყო. ყოველთვის აწვალებდა მარინეს. მარინეს არ სწყინდა და ნიკას ახლოს ყოფნას ცდილობდა. მარინე იცვამდა წითელ წინწკლებიან კაბას, თავზე უხარმხარ ბაბთას იკეთებდა და ნიკა მას „ლედი ჰამილტონს“ ეძახდა. თუმცა ნიკამ არ იცოდა ვინ იყო ლედი ჰამილტონი, მაგრამ მოსწონდა ეს სახელი და ამიტომაც ეძახდა მარინეს. მარინეს კი უხაროდა. ერთხელ მარინემ ნიკა თეატრში დაპატიჟა. მან ნიკას ხასიათი კარგად იცოდა და ამიტომ ღეღამისი — ქალბატონი ეკა მიუგზავნა.

ქალბატონმა ეკამ უთხრა ნიკას:

— ყმაწვილო, ჩაიცვით სუფთად და წამოდით თეატრში...

ნიკამ გაოცებისაგან პირი დააღო.

განა შეიძლებოდა ქალბატონ ეკასათვის უარი გეთქვა!

წარმოდგენა რომ დაიწყო, ბავშვები გაინახნენ.

... ტყის ახლოს ცხოვრობდა ერთი კეთილი გოგონა, რომელსაც ძალიან უყვარდა ბებია...

მარინე და ნიკა ნაყინს ჭამდნენ.

ნიკამ ნაყინით გასერილი ხელი მოჰკიდა მარინეს და გაუღიმა. მარინემაც ღიმილით უბასუხა:

— კაბა ნუ დამისვარე...

ნიკამ ახლა გახამებულ საყელოზე წაუსვა ნაყინი. მარინე იღიმებოდა და სრულებითაც არ ჯავრობდა.

... მგელმა წითელქუდას უთხრა:

— მოდი, გენაცვალე, მოგხვие შენს ბებიას!..

მარინე შეკრთა, მიეყრდნო ნიკას და გაინახა. ნიკამ ჯერ გვერდზე გაწევა დააპირა. მარინეს თბილი და ნაზი მხარი ჰქონდა.

ნიკა იჯდა, უხერხულად გაწვდილ ხელში ნაყინი ეჭირა და იხედებოდა პირდაპირ, სულ პირდაპირ.

... ერთხელ მამამ ნიკა ზღვაზე წაიყვანა. გახადა ტანსაცმელი, ხელში აიყვანა მალლა ასწია და უთხრა:

— შეხედე, ნიკა, შეხედე!..

ნიკას გაუხარდა, მას გაახსენდა სიტყვა, რომელსაც დიდი ხანია ეძებდა და წვალობდა:

„— ჰო, მარინე ლამაზია!..“

ნიკა, — მოესმა უეცრად: — წავიდეთ...

მარინე იცინოდა, ლოყებზე ფოსოები გასჩენოდა და ისედაც ვიწრო თვალები კიდევ უფრო დაწვრილებოდა.

ქალბატონი ეკა საღდაც იყურებოდა:

„ალბათ ძალიან შორს“...

ვიწრო კარებში ერთი ორომტრიალი იდგა. კარის მხოლოდ ერთი გაღებული ზედა ნაწილი გაეღოთ და ხალხი ძლივს გადიოდა. ბიჭები განგებ ჰკრავდნენ გზას და გოგონებს აწვალებდნენ. უეცრად ვიღაცა ბიჭმა მარინეს ზაბთაზე ხელი გამოჰკრა და მოაძრო.

— ოჰ! — შეჰკვივლა მარინემ.

ბიჭი მსუქანი იყო. მოკლე შარვალი და წითელი ხალათი ეცვა. ღონიერი და თავის ყოვლისშემძლეობაში დარწმუნებული, უტიფრად იყურებოდა.

— მოიტა, — უთხრა ნიკამ მსუქან ბიჭს და ხელი გაუწოდა.

ბიჭმა არაფერი უპასუხა. იდგა დონიჯშემოყრილი, იცინოდა.

ნიკას უცებ გაახსენდა ქუჩაში ყურმოკრული ფრაზა: „მაშინ დათქა ვერელმა მთაწმინდელს ერთი გემრიელი თავური აჭამა“.

ნიკა გაქანდა და ცხვირპირში თავი ააჩუყა ბიჭს. ატყდა ერთი ამბავი. იმ ალიაქოთიდან ნიკას მხოლოდ ქალბატონ ეკას ხმა დაამახსოვრდა:

— ხულიგანი!

ნიკა ამაყად მოდიოდა და დაფხრეწილ ხალათს ქამარში იტანდა.

— გტკივა?

— არა...

სახლთან რომ მივიდნენ, მარინემ უჩუბრუხლა:

— ვინ არის ლედი ჰამილტონი?

— ლედი ჰამილტონი?

— ჰო...

— არ ვიცი...

— სულელი...

*

ეზოში, აგურის კედლის ჩრდილში ზის პაპა იორამი და თვლემს. თავი გვერდზე გადავარდნია და გამხდარი, მოწურული მხრები გაჩეხილ წვერში ჩაქარგვია. გრძელი, დამკუნარი ხელები მუხლებზე შემოუხვევია და ჩუმად, ოდნავ გასაგონად ფშვინავს. შიშველ თევზებზე ჭიანჭველები დაუტოცავენ. პაპა იორამი ვერაფერს გრძნობს, რადგან უცნაურ სიზმარს ხედავს.

სამყარო იყო შიშველი. მიწა, ცა, მზე. ღმერთს დაცხა და შექმნა ხე. ხემ უთხრა:

— წყალი მწყურიაო.

ღმერთმა დაჰკრა მიწას კვერთხი და ნაპრალიდან წყალმა ამოხეთქა.

— ოჰ! — გაუხარდა მას, ცივი წყალი რომ იგემა: — კარგია.

წყალმა თხოვა:

— თევზებით ამავსეო.

ღმერთმა შექმნა თევზი.

აიყვანა ხელში პაწაწინა, ოქროსფარფლებიანი თევზი და გაიღიმა. მას იშვიათად უხაროდა რაიმე და მოუნდა თავისი სიხარულის გამხელა. მიიხედა, მოიხედა: ანგელოსების გარდა არავინ იყო ირგვლივ. ანგელოსები კი ისეთი სულელები იყვნენ, რომ ამ ქვეყნის არაფერი გაეგებოდათ.

და ღმერთმა შექმნა კაცი.

კაცმა ცხოვრების შექმნა მოსთხოვა ღმერთს. ღმერთი დათანხმდა. ამდენი არასოდეს უშრომია მას. მერე მიწვა და მიიძინა. კაცი დადიოდა ბალახში და ქვებს ესროდა ჩიტებს. მოლაღურები ეხვეოდნენ ლედვის ხეს. ფართო ფოთლებიდან პირდაღებული ლეღვები იჭვრიტებოდნენ.



ღმერთს ჩეროში ეძინა... გაჩეჩილ თმასა და წვერს დაეფარა მისი ტანი. შიშველ ფეხებზე კიანჭველები დაუცოცავდნენ. ღმერთი რაღაცას ჩურჩულებდა და კაცი გრძნობდა — ღმერთი ძილში მას ელაპარაკებოდა. და უცებ კაცმა სიმღერა დაიწყო. ღმერთმა თვალი გაახილა და ჰკითხა:

— ეს რომ მე არ მისწავლებიაო?

კაცმა არაფერი უთხრა...

— პაპა იორამ, პაპა იორამ! — ეძახის მარინე.

იორამს არ ესმის.

პაპა იორამის შვილიშვილი — ზურიკო — უკვე სამი დღეა ლოგინში წევს. პაპა იორამი მარინეს და ნიკას მეზობელია. ის ქვევით, პირველ სართულზე ცხოვრობს და ზაფხულობით სულ ეზოში ზის. ზის აგურის კედელს მიყრდნობილი და თვლემს.

მარინე და ნიკა ზურიკოს არ შორდებიან, ბავშვებს ეცოდებათ ზურიკო, ზურიკოც განუწყვეტლივ ეძახის მათ და სიცხიანი ხელებით ეთამაშება.

პაპა იორამი ნელა ახელს დამძიმებულ ქუთუთოებს, ერთხანს გაოგნებული უყურებს მარინეს:

— ზურიკო?

— ჰო, ჰო, პაპა იორამ, გეძახიან...

იორამი იღებს ჯოხს და ფლოსტებს იჩოჩებს, მერე თითქო რაღაც გადაიფიქრაო, თავს მაღლა სწევს და მარინეს აცქერდება:

— მარინე, შვილო...

— რა, პაპა იორამ?

— მეშინია, შვილო, მეშინია!..

აგურის კედელზე ცარციტ ფეხბურთის კარია მიხატული, თამაშით დაღლილი ბიჭები ერთად მოგროვილან და უსმენენ მერაბს.

— კახა, ამოდი, თევზის ქონი დალიე, — იძახის მეორე სართულიდან ქალი და თან ბალიშს ბერტყავს.

— მერე, მერე? — კითხულობს კახა.

— არ მიდიხარ?

— არა...

— მონადირემ ქვაზე მწიფე ბანანები დააწყო და თვითონ ბუჩქებში შეიმალა.

— კახა, მამამ თქვა, თუ არ ამოვაო...

— მერე, მერე...

პაპა იორამი წამოდგა და სახლისკენ წაფარფატდა.

— ამ ერთ დღეს მაინც დამასვენე, ღმერთო...

ოთახში ბნელოდა. ერთმანეთში არეული ნივთების ჩრდილები უცნაურად გადახლართულიყვნენ. პაპა იორამი საწოლთან დაჩოქილიყო.

ჭერზე ჩრდილები თამაშობდნენ და თრთოდნენ. მარინე და ნიკა კუთხეში იდგნენ და სულგანაბლნი მისჩერებოდნენ პაპა იორამს. ფანჯრის ჩარჩოში კრიჭინა იჯდა და კრიჭინებდა. ეზოდან შემოსული სინათლე პაპა იორამს აცახცახებული გრძელი ხელის მტევანს უნათებდა. აი, ამ ხელით უხატავდა იორამი ზურიკოს გაფრენილ წეროებს. ზურიკოს წეროები უყვარდა და ყველაფერს მათ ამსვავსებდა. წეროები ახლა ოთახში დაფრინავდნენ და პაპა იორამს ესმოდა, თუ როგორ ეხეთქებოდნენ ხორცშესხმულ ჩრდილებს. ჩრდილები საგნიდან გადმოსული სულებივით უცხონი და საიდუმლოებით მოცულნი იყვნენ.

ეზოდან შემოსულ სინათლეზე ათასნაირ სახეს იღებდნენ, ხან მიუწვდომელი ციხე-დარბაზის მესერივით ეწყობოდნენ, ხან კი წვიმიანი დღის დაფლეთილი ღრუბლებივით დაჩოჩავდნენ მოხუცის მხრებზე. პაპა იორამს სტკიოდა მხრები. ზურიკოს უდაბნოს ბალახით ფერწასული კანი და დასიცხული თვალები ჰქონდა.

უდაბნოს ბალახი!

— ღმერთო, უშველე ზურიკოს, თუ სადმე ხარი..

პაპა იორამი მორწმუნე კაცი არ იყო. მას ხანდახან თუ გაახსენდებოდა ჩუმი, მისავით გაწვალებული მოხუცი ღმერთი, რომელიც მის სულში დაბუთა ჩიტივით უწყინრად ცხოვრობდა. პაპა იორამს ღმერთი კიდევ ეცოდებოდა, რადგან არ სწამდა იგი და ყოველთვის თითქო დამნაშავედ იდიმოდა, როცა ღმერთზე იგავეებს ჰყვებოდა.

— უშველე, თუ სადმე ხარ, ღმერთო! ღმერთო! ღმერთო!

— უშველე, უშველე, ზურიკოს, თუ სადმე ხარ...

ახლა ხმამალლა ლაპარაკობდა პაპა იორამი. ლაპარაკობდა ბრაზით, თითქოს რაღაცისათვის უჯავრდებოდა ღმერთს. სიტყვები გულიდან ეკლიანი ბურთებივით მოგორავდნენ, უჩხვლეტდნენ ყელს, ენას, ძარღვებს. „რას ვერჩი იმ საცოდავს!.. რას ვერჩი იმ საცოდავს...“

ეზოდან შემოსულ სინათლეზე ცახცახებდნენ გრძელი, დაღლილი ხელები. ბრწყინავდა ცრემლი.

ჭრიჭინებდა ჭრიჭინობელა.

ოთახში დაფრინავდნენ წეროები და მოხუცის მხრებზე ღრუბლები დაჩოჩავდნენ.

და სწორედ მაშინ იმ ნახევრად ჩაბნელებულ ოთახში, პირველად იგრძნო ნიკამ, რომ მარინე უყვარდა. უყვარდა ეს სმენადქცეული გოგო, რომელიც ზურიკოს დასავით ეფერებოდა. მარინეს გრილი მკლავი ჰქონდა და ნიკა ფრთხილად, თითის წვერებით შეეხო მის ხელს. მარინემ ამოიხედა.

— მარინე...

— რა იყო, ნიკა, — ჩურჩულითვე უპასუხა მარინემ.

— გესმის?

მარინემ თავი დაუქნია.

იქნებ წუხილისა და ცრემლის ის ერთნაირი განცდა იყო ყველაფრის დასაწყისი?..

უცერად თამაშობებში, მტკვარზე ცურვაში, მტრედების ფრენაში ამოტივტივდა სახე ბიჭისა, რომელიც სრულებით არ ჰგავდა ნიკას და ნიკამ მიანიც იცოდა, რომ თვითონ იყო. იმ ბიჭს უკვე ყველაფერი ესმოდა, ანსხვავებდა სიხარულისა და მწუხარების ცრემლს, ხედავდა ჩრდილებისა და სინათლის თამაშს — რაც მთავარია — უყვარდა.

— ღმერთო, ღმერთო, — ისმოდა პაპა იორამის ხმა: — გაგიკვირდა განა? ჩემი ხმამალალი სიტყვა გაგიკვირდა?

პაპა იორამს ერთადერთი შვილი ჭერჩში დაეღუპა. ომი რომ გათავდა, პაპა იორამი შვილის საფლავის სანახავად წავიდა. ომში დაღუპულ მეომართა სასაფლაოს შესასვლელთან ობელისკი იდგა და პაპა იორამმა ზედ თავისი შვილის სახელიც ამოიკითხა:

...ღმერთი ბებერი იყო და სიარული უჭირდა. კაცს კი ყველაფერი უნდოდა ენახა. ის მიხტოდა ქვიდან ქვაზე, მიცურავდა მდინარეებს, ეკიდებოდა წვიმას, როგორც საქანელას, და მთვლემარე არწივებს უსტვენდა.

ღმერთი მისდევდა და ეძახდა:

— მოიცა, მოიცა, ფეთიანო...

კაცი უწვდიდა ხელს, აპყავდა მთაზე და ეუბნებოდა:

— ნახე, ნახე, რა ლამაზია!

ერთხელ მშვენიერი ნეკერჩხლების ტყეში ისინი მგლების ბრძოლას წააწყდნენ. მგლებს ერთმანეთისათვის ყელში ჩაესოთ კბილები და ღრღინდნენ. ბალახზე სისხლი იღვრებოდა და მგლების ყრუ, გაბმული ხრიალი ისმოდა. კაცი მივარდა და მგლები ერთმანეთს მოაშორა. მგლები ხელიდან უსხლტებოდნენ და კვლავ ერთმანეთისაკენ მიიწევდნენ. კაცმა გაკვირვებით შეხედა ღმერთს:

— რა არის ეს?

ღმერთმა თვალი ააჩილა.

— ეს რაღა საჭირო იყო?

კაცს ხელზე მგლის სისხლი უბრწყინავდა, რომელიც ვერ იქნა და ვერაფრით ვერ მოიშორა. სისხლი მძიმე იყო და ხელს სწვავდა.

თავჩაღუნული ღმერთი კაცს უკან მიჰყვებოდა. მან იცოდა რაღაც, რაც დღემდე არ გაუმხელია კაცისათვის...

ექიმი დაუტკუნებლად შემოვიდა. პატარა ტყავის ჩანთა სკამზე დადო და მაშინვე საწოლთან მივიდა.

— ადექით, — უთხრა პაპა იორამს.

პაპა იორამი კენესით წამოდგა:

— ექიმო...

ექიმმა ზურვიკოს შუბლზე ხელი დაადო. მერე ჩანთა გახსნა, აბების კოლოფი ამოიღო, მარინეს „წყალი მომიტანეო“ — უთხრა და სკამზე ჩამოჯდა.

— სიცხემ დააწია, საერთოდ, საშიში არაფერია, რამე რომ იყოს, ათასი სავადმყოფოა და ათასი საშუალება, რამ შეგაშინათ, ბატონო...

ოთახში უფრო და უფრო ბნელდებოდა. ჩრდილები გამუქდნენ, ერთმანეთს შეუერთდნენ და გაინაზნენ.

ეზოდან ბავშვების ხმა ისმოდა:

— მონადირემ უთხრა — ეს მეთედ გაგიშვი, ახლა კი ველარ გამექცევიო...

— მერე, ე?

— ამოდი, ბიჭო, ჩაი დალიე...

— სინათლე აანთეთ, — თქვა ექიმმა...

ექიმი ახალგაზრდა კაცი იყო. მარინემ სინათლე აანთო და ისევ ნიკას გვერდით დადგა.

— რა გქვია, ბიჭიკო? — კითხა ექიმმა ნიკას და ლოყაზე ხელი მოუთათუნა.

იმ დღეს მზიანი დარი იდგა და ნიკამ მარინე მუსიკალურ სასწავლებლამდე მიაცილა. ჩუმად მიდიოდა. მიდიოდნენ აუჩქარებლად, რადგან მზით გავსებულ ქუჩაში გავლა სიამოვნებდათ. ნიკას ხელები ჯიბეში ჩაეწყო, მარინეს თითქოს არც კი უყურებდა.

დიღხანს იარეს ასე ჩუმად.

მზე ეთამაშებოდა თაღებს, გუმბათებს, ღობეებს, სტოვებდა თავის თავბრუდამხვევ სუნს ქვაფენილებზე, კიბეებზე, მინებზე, ბუკინისტების გაშლილ მაგიდებზე, უხილავი ტალღებით ენთქებოდა მათ სხეულებს და სადღაც გაფხზულით გავსებულ სამყაროში იტაცებდა. ისინი მიდიოდნენ ნელა და გრძნობდნენ, რომ მათი სეირნობა უჩვეულო იყო. თითქო ჯერ უხილავ, გამო-

უცელ სიამეს უახლოვდებოდნენ და ყოველი სიტყვა თითქო დააფრთხობდა, განაშორებდა მათ სასიამოვნო განცდას.

მარინეს მუჭი ვარდისფერი კაბა ეცვა, ხელში ნოტების აბგა ეჭირა. ორი პატარა, გვერდზე გაწვდილი ნაწნავი თოჯინას ხელივით ქანაობდა და ნიკა, მისდაუნებურად, თითს აყოლებდა მათ მოძრაობას, როგორც უცებ გახსენებულ მოტივს.

ვარდისფერი კაბა მუხლებს ძლივს უფარავდა.

თმებში მზე ბზინავდა და თითქო

ყვავილები ჩაეწნა თმებში...

ის ფეხს ისე ადგამდა, თითქოს მალლა აღიოდა და გაზაფხულის ფოთლების უსასრულობას უერთდებოდა...

დუმილი რომ აუტანელი შეიქნა, ისევ ნიკამ გადაწყვიტა ხმის ამოდება. რაც არ უნდა ყოფილიყო, მაინც ბიჭი იყო და მას უნდა გაეებდა პირველს.

— პო, — გაავრძელა მან.

ამ სიტყვის მეტი ვერაფერი გაახსენდა. ისიც ისე ამოისროლა, თითქო გადაყლაპული ბურთი ამოაგდო.

— რა? — შეეკითხა იმ წამსვე მარინე. ეტყობოდა, მოუთმენლად ელოდა სიჩუმის დარღვევას და რატომღაც დაძაბული იყო.

• — პო-მეთქი, და გათავდა, მეტი არაფერი...

გაბრაზდა ნიკა თავის თავზე.

მარინეს გაეღიმა. მკლავში ხელი გაუყარა და ოდნავ მიეკრო მხრით. ეს იყო გულუბრყვილო, მოუფიქრებელი მოძრაობა, მაგრამ ისეთივე ბუნებრივი, როგორიც იყო ეს დღე, ქუჩები, სურნელოვანი აკაციები და მოუხეშავი, ფერადი ტროლეიბუსები.

ნიკას ხელები ჯიბეში ჩაეწყო, თავი მალლა აეწია და ასე გაბუტულივით მიდიოდა. რაზე ბრაზობდა, თვითონაც არ იცოდა, ნამდვილად ბრაზობდა კი?

ხილზე რომ გადავიდნენ, მარინემ თქვა:

— ო, როგორ მიხდა ზღვაში ბანაობა!

— მარინე, სად მიდიხარ წელს დასასვენებლად?

— არ ვიცი ჯერ... დედას კისლოვოდსკში უნდა წასვლა. კისლოვოდსკი ძალიან უხდება. ექიმებმა ურჩიეს, წელსაც უსათუოდ წადიო. მე კი შარშან კინალამ მოვკედი იქ, ისეთი მოწყენილობა.

— იცი რა, მარინე, მოდი წელს ნურსად ნუ წახვალ, — გადაწყვიტა უცებ ნიკამ.

— რას ამბობ, ნიკა! — შეიცხადა მარინემ.

— ოჰ, დიდი ბოდიში, ქალბატონო ეკა... ოჰ, უკაცრავად. ქალბატონო ეკა...

— კარგი, ნიკა, თუ ხათრი გაქვს, ხომ იცი, რომ მწყინს...

— დიდი ბოდიში, ქალბატონო ეკა, — განაგრძობდა ნიკა, წელში იხრებოდა, ხელებს შლიდა და თავაზიანად იღიმებოდა.

— ნიკა, გეყოფა...

მარინეს თვალები ცრემლებით ავესო, ხმა აუკანკალდა. ნიკამ უეცრად ხელი მოჰკიდა და მკერდზე მიიკრა:

— მარინე!..

მარინემ თავი დაიქნია და ქვევიდან ცრემლიანი თვალებით ამოხედა.

ნიკამ მარტო ერთხელ აკოცა მარინეს. აკოცა იქვე, ხალხით გავსებულ ქუჩაში, მუსიკალური სასწავლებლის პირდაპირ.



არაფერს არ ფიქრობდა, არავისი არ რცხვენოდა, ისევე, როგორც აქრუნული შერცხვება ადამიანს სხეების წინაშე თვალების გახელა, ხმის ამოღება, წყლის დაღება.

— წადი, მარინე, — თქვა მან.

— ჰო, წავალ, ნახვამდის...

მარინემ ქუჩა გადაირბინა და სასწავლებლის კარი შეაღო.

3

ძველი კომოდის თავზე შვიდი თეთრი სპილო ცხოვრობს. სპილოები სიმალლეზე დაწყობილნი დგანან და ასე დგომაში ატარებენ მთელ სიცოცხლეს. ისინი დგანან ოდნავ გვერდშექცევით და თვლემენ. სპილოების ახლოს სილის საათია, რომელიც უკვე აღარავის სჭირდება. სილა ყრია ქვედა ბურთულაში და ალბათ ასე უმოძრაოდ იქნება მუდამ. ჩამოილია დრო... გაჩერდა დრო... გაქვედა დრო...

— ალბათ ჩემი, — ამბობს ყველაზე დიდი სპილო.

— არა, ნამდვილად ჩემი, — ამბობს ყველაზე პატარა. დანარჩენი ხუთნი ჩუმად არიან. მათ ეშინიათ და ემალებიან დროს.

დიდი სპილო იცინის, რადგან მისთვის ყველაფერი სულერთია. მისი დრო გდია ქვედა ბურთულაში და ალბათ ასე იქნება მუდამ.

— ჰა, ჰა, ჰა, — იცინის პატარაც. ის ცოტა თავხედია და თავის ტანთან შედარებით ზედმეტ სითამამეს იჩენს. დიდი სპილო გულში ბრაზობს, მაგრამ დასატუქსავად არ სცალია და განა აქვს რაიმე მნიშვნელობა, დატუქსავ თუ არა პატარა, თავხედ სპილოს?..

სპილოები დგანან ოდნავ გვერდშექცევით და თითქოს საღდაც მიდიან.

ისინი ვერ გრძნობენ მოძრაობას, რადგან არა აქვთ საკუთარი დრო.

ისინი დადიოდნენ ერთად და ზორთუმებით ამტვრევდნენ ბეებს. დადიოდნენ მძიმედ და მათ ფეხქვეშ მიწა იზნიჭებოდა. სიცხეში მდინარეში ჩადიოდნენ და მთვრალ საყვირებს მიმსგავსებული ხმებით გამოხატავდნენ სიხარულს. მერე ადამიანმა ქვისაგან გამოთალა ისინი და აქ ძველი კომოდის თავზე დააწყო.

„თეთრ სპილოს ბედნიერება მოაქვს ოჯახისათვის!“

„რა გულუბრყვილოა კაცი! — ფიქრობენ სპილოები: — განა შეიძლება ასეთ პატარა სპილოებს დააკისრო ამხელა მოვალეობა...“

დედა ყოველ დილით მტვერს აშორებს მათ და ტირის...

ნიკამ ოთახში ძველი, დანჯღრეული მოტოციკლი შემოაგორა. მოტოციკლი სრულიად უვარგისი იყო და მხოლოდ ჯართადლა თუ გამოდგებოდა. ნიკამ მთელი კვირა უტრიალა ირგვლივ. გაისვარა, ამოიგანგლა, იატაკზე იჯდა, იატაკზე ჭამდა, იატაკზე ეძინა მთელი კვირა.

და აი, ერთ დღეს მოტოციკლმა ხმა ამოიღო. ჯერ რაღაც გატაკუნდა, მერე ტაკუნს თახთახი მოჰყვა, რომელიც ნელ-ნელა ჯოჯოხეთურ ხმაურად იქცა.

— ნიკა! — დაუძახა დედამ.

თუმცა მოტოციკლი ვერასოდეს ვერ ამოძრავდებოდა, მაგრამ განა ეს ხმა, ეს დიდებული ხმა საკმარისი არ იყო!

ნიკა უკვე მოტოციკლზე იჯდა და ფიქრში შორეულ გზაზე მიაქროლებდა გაკრიალებულ მანქანას. მოტოციკლი ცახცახებდა, გუგუნებდა, რახარახებდა.

— ნიკა!

ნიკა მსოფლიოში ყველაზე დიდ შეჯიბრებაში მონაწილეობს. გადასალაზავია ბევრი, ძალიან ბევრი ჯებირი და თხრილი. ვზა ხრიოკებზე, რიყზე, ტალახსა და კლდეებში გადის. გორაკები და ბორცვები დაფარულია უამრავი მაცურებლით. ვზის პირას დგას მარინე და ხელს უქნევს:

— კიდევ ცოტაც, კიდევ ცოტაც, ნიკა, ნიკა!

და ნიკა მიფრინავს. იგი მთლიანად ტალახშია ამოსვრილი.

— ნიკა!..

ნიკამ მხარზე ხელის შეხება იგრძნო. მოიხედა. დედა სევდიანი თვალებით უქეპრდა და მარტო ტუჩების კუთხეში უკრთოდა ოდნავ შესამჩნევი ღიმილი.

ნიკამ მოტორი გამორთო და მანქანიდან გადმოვიდა.

რა ცოტას მოითხოვდა მისგან და პატარა სიხარულიც კი ვერ მიანიჭა სიცოცხლეში. ყოველთვის ფიქრობდა, რომ ხვალ, ხვალ უსათუოდ გააკეთებდა დედისათვის რამეს, წაიყვანდა სადმე, ექიმს აჩვენებდა, მოუვლიდა, თავზე დაადგებოდა. ხვალ, ხვალ უსათუოდ... და ყოველთვის ავიწყლებოდა, სხვა საზრუნავი უჩნდებოდა, სხვა რამეზე ფიქრობდა. დედა კი არ ახსენებდა და არაფერს სთხოვდა. ერთხელ ნიკა მარინესთან ერთად მოდიოდა ქუჩაში და უეცრად დედა დაინახა. ეტყობოდა ძალიან დაღლილიყო. ძველი გახუნებული პალტო ეცვა და თავზე უხეში ნაცრისფერი შალი ჰქონდა მოხვეული. მძიმე ჩანთა მოჰქონდა და ტარება უჭირდა. ახლოს რომ მოვიდა, რატომღაც მათ თვალი აარიდა. ნიკას გული ჩაწყდა, მიხვდა, რომ დედას გამოჩენა არ უნდოდა. იქნებ ასე კარგად ჩაემულ ქალიშვილსაც მოერიდა.

— დედა! — დაუძახა ნიკამ.

დედამ მოიხედა, გაჩერდა და გაუღიმა.

ნიკა მივიდა, ჩანთა ჩამოართვა და უთხრა:

— მე წამოვიღებ...

მერე მარინეს მიუბრუნდა:

— ნახვამდის, მარინე...

დედამ მარინეს თავი დაუქნია და მასაც გაუღიმა.

მარინეც მიესალმა, მერე უცებ მიტრიალდა და წავიდა.

ვზაში დედა ესაყვედურებოდა:

— არ უნდა დაგენებებინა, შვილო, თავი, ეწყინება...

— მე ეს ადრეც ვიცოდი, შვილო, — უთხრა დედამ, საბანი გაუსწორა და საწოლზე ჩამოუჯდა: — ნუ იჯავრებ, იცოდე, ყველაფერი თავის ღროზეა კარგი. თუ იმ გოგოსაც უყვარხარ...

— მარინესტო, დედა...

— ჰო, თუ მარინესაც უყვარხარ... მაგრამ ცოტა ადრე კია. გენაცვალე... ყველაფერი კარგად გათავადება. ოღონდ ნუ აჩქარდები, იფიქრე, კარგად იფიქრე და რაც შემძლია, ხომ იცი, შვილო, მე არაფერს დავიშურებ შენთვის...

ნიკა კედლისკენ გადაბრუნდა და თქვა:

— იცი რა, დედა, შენი მრცხვენია...

— ამხელა კაცს სიყვარული აღარ უნდა შერცხვეს. კარგია მე რომ ვიცი ყველაფერი. დამიჯერე, ნამდვილად ასე სჯობია.

მერე წამოდგა:

— აბა, ახლა დაიძინე, ხვალ ადრე უნდა ადგე, აკადემიაში არ დაგაგვიწყნებო
 დეს, პირველი დღეა და რას იტყვიან...

საწოლს რომ მოშორდა, ნიკამ თვალი შეასწრო: დედამ სარკეში ჩაიხედა და ჰალარა თმები გაისწორა, თითქოს თავის თავს გაუღიმა და სინათლე ჩააქრო.

4

მარინეს მამას — მირიანს — წვეულება ჰქონდა.

„უღლ დროს შემოვედი“ — იფიქრა ნიკამ.

ის მხოლოდ მარინეს ვშობლებს იცნობდა, სხვებს კი პირველად ხედავდა. სტუმრები უმეტესად მირიანის ამხანაგები იყვნენ. ზონზროხა, მსუქანი, გაყინულილებული ბიძები, რომლებიც, ეტყობოდათ, მოუთმენლად ელოდნენ როდის დაგვიძახებენ — „სუფრასთან მობრძანდითო“.

ბროლის მაღალ ჭიქებში ტყდებოდა სინათლის სხივი და სუფრას მაცდუნებელი ბურუსი ერტყა. ვიღაცას ელოდნენ და მირიანი მაღიმალ საათზე იხედებოდა. მერე მაგიდასთან მივიდა, სურა აიღო და ჭიქებში ღვინო დაასხა:

— სანამ დაგსხდებოდეთ, ღვინო გავსინჯოთ, — მიიპატიჟა სტუმრები.

— რა მოუთმენელი ხარ, მირიან, — ღიმილით გაუწყრა ქალბატონი ეკა, რომელიც ნიკას თითქოს ვერც კი ამჩნევდა.

— დედა, — დაუძახა მარინემ: — ეს ნიკაა, ჩემი ამხანაგი.

— როგორ გაზრდილხართ, ყმაწვილო, ვერ გიცანით. — ქალბატონმა ეკამ თეთრი, ფაფუკი ხელი გაუწოდა ნიკას: — სასიამოვნოა, სასიამოვნო...

მარინე იცინოდა და წითელი კაბის შრიალით მაგიდას ურბენდა გარს. ხან თეფშს გადადგამდა, ხან დანა-ჩანგალს გაასწორებდა. მერე სურიდან მიხაკი ამოიღო და თმაში გაიკეთა. იმ წამსვე ნიკას მოხედა, თითქო ეკითხებოდა: მიხდება თუ არაო...

— ეს გოგო რალაც ატაცებულა, — თქვა ქალბატონმა ეკამ.

მირიანმა ნიკასაც მიაწოდა ღვინით სავსე ჭიქა:

— მიირთვით.

კაცები თვალებს ჰუტავდნენ და ღვინოს სვენებ-სვენებით სვამდნენ:

— შესანიშნავია!

— ვადასარგვი ღვინოა, ბატონო...

— ატენურია...

— არა, — იცინის მირიანი.

— აბა?

— გამოიცანი...

— მუხრანული?

— ჰო...

ნიკას ღვინო ძალიან მოეწონა. ბროლის მაღალი ჭიქა ხელში ეჭირა და ღვინოს წრუბავდა. რომ გამოცალა, მაგიდასთან მივიდა და კიდევ დაისხა. გამობრუნდა და სავარძელში ჩაჯდა. ღვინით გავსებულ ჭიქას სინათლეზე გახედა და მერე ერთბაშად გადაჰკრა ღვინო. ცარიელი ჭიქა ხელში ეჭირა. კიდევ წამოდგომა და მაგიდასთან მისვლა ეუხერხულა — „რა ამბავიაო?“ — იფიქრა, მიიხედ-მოიხედა და იქვე გვერდით ტელევიზორზე დადგა ჭიქა. მერე ფეხი ფეხზე გადაიღო და სტუმრებს დაუწყო თვალეირება. ქალბატონი ეკა მიუახლოვდა, გაუღიმა და თან ტელევიზორიდან ჭიქა აიღო. მისი ღიმილი უფრო დამცინავი იყო, ვიდრე თავაზიანი, და ნიკამ შეამჩნია ეს. მანაც ქალბატონ ეკას



ისე გულთადად გაუღიმა, თითქო რაღაცა საიდუმლო საქმეში მოკავშირედ გულისხმობდა. ქალბატონმა ეკამ თვალი ააჩრია.

თბილისში ტელევიზორები ახალი შემოსული იყო და ქალბატონ ეკას ძალიან უყვარდა თავისი ტელევიზორი. ტელევიზორი სასტუმრო ოთახის ყველაზე უფრო შესამჩნევ ადგილას, დაბალ მაგიდაზე იდგა, აფრიებული კერპივით გაბერილი. შაბათობით ქალბატონი ეკა იღებდა ტელეფონის მილს, ბეჭდებით დამძიმებული თითებით კრეფდა ნომრებს და მეგობარ ქალებს პატივებდა:

— ნუცა, გენაცვალე, დღეს კარგი გადმოცემაა და ჩვენთან ვუყუროთ.

ქალები რომ შეგროვდებოდნენ, ქალბატონი ეკა შეწუხებული ხმით დაიწყებდა:

— ხვალ წყნეთში მივდივარ, არ იქნა და არ დაადგა სამედიკალინური ჩვენი აგროკის დამთავრებას. მირიანამაც დიჩემია — გინდა თუ არა, ყველაზე უკეთესი უნდა იყოსო. ნინო, ჭირიმე, მანქანაში ერთი ადგილი ნაქვს, ხომ არ გამოისიერებელი ჩემთან ერთად?..

ოთახში ელადა შესანიშნავი ავეჯი, კარადებში ბრწყინავდა ბროლი და ფაიფური. კედლებზე ეკიდა ძვირფასი, მოოქროვილი ჩარჩოებში ჩასმული სურათები: დათვის ბელები და მძინარე ქალიშვილები, მთვარით განათებული ზღვა და თეთრმოსასხამიანი ბელუინები.

— ჰმ, — ჩაახველა ნიკამ.

მირიანემ მოიხედა. ნიკას დამცინავე ღიმილს თვალა ააჩრია და ისევე სუფრას მიუბრუნდა. ქალები ახალგაზრდა პოეტს შემოეხვედნენ, რომლის ლექსებზეც ბევრს ლაპარაკობდნენ ამ ბოლო დროს. პოეტი მირიანის შორეული ნათესავი იყო. საკმაოდ მოძველებული შავი კოსტუმი და ყვირთელი, საზაფხულო ფესხაც-მელები ეცვა. ეტყობოდა, ყელსახვევი უჭერდა და მალიმალ თითს იყოფდა საყელოში. მწითური სახე ჰქონდა და როცა იცინოდა — უზარმაზარ მზესუმზირას ჰგავდა. პოეტი სკამის კიდეზე იჯდა და არ იცოდა, სად დაედგა ცარიელი ჭიქა.

— წაგვიკითხეთ რამე სიყვარულზე, — უთხრა ნუცამ. პოეტი გაწითლდა. რაღაცა თქვა აბნეულად და ძალიან გაურკვეველად, „არ მანსოვს“ თუ „დამავიწყდას“ მსგავსი. მერე, თითქო მძიმე რამეს იშორებდა, დაიწყო ლექსის კითხვა. როცა დამთავრა, ყველას სათითაოდ გაუღიმა და თქვა:

— ეს არის...

მერე წამოდგა, რატომღაც თითის წვერებზე გაიარა და ჭიქა იმანაც ტელევიზორზე დადგა.

ქალბატონი ეკა მოვიდა და ჭიქა ტელევიზორიდან აიღო.

— ჩვენი სტუმარი იგვიანებს...

მირიანი მოვიდა, პოეტს მხარზე ხელი დაჰკრა: „ნიქია, ნიქიაო“, — თქვა და ისევე სტუმრებს მიუბრუნდა.

ძია კირილე, რუსთავის მეტალურგიული ქარხნის მუშა, რომელიც მირიანთან ერთად სწავლობდა და დღეს ქუჩაში შეხვედროდა, საათზე იხედებოდა:

— მართლაც ძალიან იგვიანებს თქვენი სტუმარი, მაგრამ ჩვენც მგონი სტუმრები ვართ.

ამ მაღალ, ხმელ კაცს ერთი ჭალარაც კი არ ერია თმაში და მაინც ყველა „ძია კირილეს“ ეძახოდა.

— მირიან, თქვენ დასხედით და ისიც მოგისწრებთ, — თქვა ქალბატონმა ეკამ.

მირიანმა შევებით ამოისუნთქა და სტუმრებს „მობრძანდითო“, დაუძახა.

თვითონ წავიდა და სუფრის თავში დაჯდა.

— დავსხდეთ, დავსხდეთ, — იძახდა ის და თან ხელებს იფშვინებდა.

— ბარემ ცოტაც დავიცადოთ, — იხუმრა ძია კირილემ.

— კარგი, დავიცადოთ, — უცებ დაეთანხმა მირიანი, მაგრამ ხუმრობას მიუხვდა და კირილეს თითი დაუქინია: — კვიმატი იყავი და კვიმატი დარჩი!

ამ დროს ზარმა დარეკა.

— მოვიდა! — მირიანი წამოხტა.

— უკაცრავად, — ქალბატონი ეკა ნარნარი რხევით კარის გასაღებად წავიდა.

— კიდევ ერთი სადღეგრძელოც...

— ნება მიბოძეთ...

— სიმონ, დალიე...

— ჩუმიად, თამადას მოვუსმინოთ...

— ეს ჩემს მეგობარსა და შესანიშნავ ადამიანს...

— მარილი ჭე დავიწყნიათ...

— ამხანაგებო, ჩვენი მეგობრობა დაიწყო ჯერ კიდევ მაშინ...

— ამდენს რატომ სწყევთ, ყმაწვილო, მიირთვით რამე...

— თქვენ სულ სიყვარულზე წერთ?

— ეგ სურა ცარიელია?

— დიალ...

— მომაწოდეთ, სავსეს მოვიტან...

— კარგი ქალია, მე და ჩემმა ღმერთმა...

— კარგი შენ დაგემართოს...

— ძალიან დიდი ჭიქაა, რამდენი ჩადის ნეტავ?

— ამისთანა ღამაში ჭიქით კი დავლევ, ძმაო...

— მირიან, შენ არა ხარ კარგი კაცი, — თქვა უცებ ძია კირილემ.

ყველა გაჩუმდა და უხერხული ღუმელი ჩამოვარდა. გაწითლებული მირიანი ფეხზე წამოდგა, ის აქეთ-იქით დაბნეული იცქირებოდა და არ იცოდა, რა ეთქვა. ხელში დიდი ჭიქა ეჭირა და ჭიქიდან ღვინო იღვრებოდა.

— მირიან, არა ხარ კარგი კაცი-მეთქი, — ახლა უფრო ხმამაღლა თქვა ძია კირილემ და ისიც ფეხზე ადგა.

— კარგი, კირილე, გაჩუმდი, რას ამბობ, კაცო! — აწყნარებდნენ აქეთ-იქიდან.

— მე ვიცი, რასაც ვამბობ. რა მეგობარი ხარ შენ ჩემი? როდის ვიკითხავს ჩემი ამბავი, როდის დავიძახია: მოდი, კირილე, პატარა ვილაპარაკოთ, გამეხარდებო...

მირიანი კიდევ უფრო გაწითლდა და ქალბატონ ეკას შეაშტერდა. ქალბატონი ეკა სდუმდა.

— ყველაფრის ყიდვა შეგიძლია, მირიან, ადამიანობის ყიდვაა ცოტა ძნელი, — ყვიროდა კირილე.

ძია კირილე მთვრალი იყო. ის ისე ყვიროდა, თითქოს დიდი ხნის ნაფიქრსა და ნატანჯს იშორებდა გულიდან.

— ამას გეუბნები მე და გაიგე...

ძია კირილეს ფერი დაკარგოდა, თვალები უბრწყინავდა. ხელში რატომღაც ღომით სავსე თეფში ეჭირა.

ქალბატონმა ეკამ გაიცინა:

— კირილე, დადგი თეფში, რა აღრე მოგეკიდა ლენო...

— უკაცრავად, ქალბატონო, მაგრამ...

ახლა სხვებმაც აღარ დააცალეს კირილეს, თეფში გამოართვეს და სკამზე ძალით დასვეს.

ქალბატონი ეკა მირიანთან მივიდა:

— თამადაო, ჩანჩალაო...

მირიანს რაღაცის თქმა უნდოდა.

ქალბატონმა ეკამ პირზე ფაფუკი ხელის გული დააფარა.

„ასე აჭმევენ ცხენს შაქარს“, — გაიფიქრა ნიკამ.

მარინე კართან იდგა და ნიკას უყურებდა.

პატარები რომ იყვნენ, ეზოში ერთად თამაშობდნენ. მაშინ ომი იყო და ომობანას თამაშის მეტი არაფერი ახსოვდათ. ეზოში ერთი გამხმარი ლეღვის ხე იდგა. ლეღვის ხეზე თოკები ჰქონდათ გაბმული და კენწეროზე წითელი დროშა დაემარებინათ. ეს ხე მათი კრეისერი იყო და ბავშვები ხიდან აღარ ჩამოდიოდნენ.

— ბუმ, ბუმ, ბუმ, — ისმოდა ხიდან და შეწუხებული მეზობლები ამ ბებერი ხის მოკრას აპირებდნენ. ერთხელ ცულიც კი გამოიტანეს, მაგრამ ნიკას მამამ არ დაანება, — ბავშვებს უხარიათ, თამაშობენ, რა გინდათ, გაერთონ, ისედაც ბევრი რამ აკლიათო. მეზობლებმა ბევრი იდავეს, იკამათეს და ბოლოს ხელი ჩაიჭინეს. თქვენ ყოფილხართ, პატრონო, უფროსები, ჩვენ კი ბავშვებიო...

ერთ დღეს მათი მეგობარი გელა სათამაშოდ ეზოში არ ჩამოსულა... გელას მამა ფრონტზე იყო და სამ პატარა ბიჭს დედა უვლიდა. გამხდარი, ჩამოლეული ქალი ქალაქგარეთ ქარხანაში მუშაობდა და, უთენია წასული, შინ გვიან ბრუნდებოდა. ხელში ხან თოკით შეკრული ფიცრის ნაფორები ეჭირა, ხან ტილოში გახვეული პური. ქალი ჩუმად გაივლიდა ეზოს. თავჩალუნული მიდიოდა და, ეტყობოდა, ფეხს ძლივს ადგამდა. გელა და მისი პატარა ძმები ხიდან ჩამოხტებოდნენ და დედას უხმოდ აედევნებოდნენ. ქარხანაში წასვლის წინ დედა გელას პურს უტოვებდა, რომ მერე ძმებისათვის გაენაწილებინა. ბიჭი პურს ხალათის უბეში ინახავდა, ხელს არ ჰკიდებდა და შუადღისას თავისი ტანით გამთბარ პურს ძმებს უყოფდა. ძმები ერთმანეთს გვანდნენ. სამივე გამხდარი, ჭორფლიანი და ქერა ბიჭები იყვნენ და ყოველ თამაშს მთელი არსებით ეძლეოდნენ. ნიკას ისინი ძალიან უყვარდა. მათთან სტუმრად რომ მივიდოდა, ამოიღებდა ფანქარს და მაგიდაზე შედგმულ ნავთქურის შუქზე გემებსა და თვითმფრინავებს უხატავდა. პირდაღებული პატარა ბიჭები ხელში შესცქეროდნენ და ერთხელ ცირკში ნახული ილუზიონისტივით პატივს სცემდნენ.

ბიჭები რომ სათამაშოდ არ გამოვიდნენ, ნიკა მიხვდა, რომ რაღაც კარგი ამბავი არ იყო მათ თავს. კიბე აირბინა და კარზე დააკაკუნა. ხმა არავინ გასცა. ნიკა კარს მიაწვა და კარი მაშინვე გაიღო. ოთახში ბნელოდა, მხოლოდ ნავთქურის მკრთალი შუქი ანათებდა ოთახს. მაგიდასთან მიდგმულ ტახტზე თავჩალუნული ქალი იჯდა და ტიროდა. დედას შვილები ირგვლივ შემოსხდომოდნენ და დიდივით დამწუხრებულები ხმას არ იღებდნენ.

ნიკა კარებშივე გაჩერდა. და ბიჭებს შეაშტერდა. მერე გელა წამოდგა, ნიკას ხელი მოჰკიდა და დედასთან მიიყვანა.

ქალმა ნიკას შეხვდა. არაფერი უთქვამს. უყურებდა და უხმოდ ტიროდა.

მერე ხელები მხრებზე დააწყო და აქვითინდა. ნიკა მიხვდა, გული ჩაწყდა და რალაცამ, ჯერ გამოუტყდელმა, შეაძრწუნა. მწუხარება, რომლისთვისაც ის ჯერ პატარა იყო, ამ ნავთქურით ოდნავ განათებული ოთახივით გადაეფარა მის შეგნებას და ქალის ცრემლიანი ხელების შეხებამ თითქო სახეზე ცეცხლი წაუქიდა. ვერაფერი თქვა, ცრემლები მოაწვა, გამოტრიალდა და გამოიქცა.

კიბეზე რომ ჩამოდიოდა, ქალბატონი ეკას შინამოსამსახურის დაშას ხმა მოესმა:

— ნიკა, ნიკა, მოიცადე...

ნიკა გაჩერდა.

დაშამ კიბე ჩამოიბრინა და თუნუქის პატარა კასრი გაუწოდა:

— ქალბატონმა ეკამ მითხრა, ნიკა ნავთზე გავეგზავნებო...

ნიკამ კასრი ხელიდან გამოგლიჯა და კედელს მიანარცხა. კასრი ხმაურით მიეხეთქა კედელს და მერე რახრახით კიბეზე დაგორდა...

5

ბავშვობაში ხატავდა ყველგან: სილაში, მინაზე, ქვებზე, კედლებზე, დაფაზე.

ხატავდა ფანქრით, ნახშირით, ცარციით, ჩხირით, თათითაც კი.

წვიმის დროს სარკმელთან დაჯდებოდა და შეოროთქილ მინაზე ათასნაირი ნახატი გამოჰყავდა. საგნებს მისთვის დაკარგული ჰქონდათ ჩვეულებრივი ელფერი. ისინი ყოველთვის შიშს, სიხარულს, აღტაცებას ან სევდას იწვევდნენ.

ყველაზე უფრო ნიკას ღრუბლები აოცებდა, და სულჩადგმულები ეგონა ისინი. ღრუბლები ჰგავდნენ ცხენებს, აქლემებს, სპილოებს, ჰგავდნენ ცხრათავიან დევებს და ალქაჯებს.

ღრუბლებით სავსე იყო ცა.

ღრუბლებით სავსე იყო სახლი.

მათი ჩრდილი ევინა ყველაფერს.

ნიკა იდგა და შეჰყურებდა მათ უცნაურ სახეცვლილებას.

მერე მოვიდოდა მამა, მხარზე ხელს დაადებდა და „ვისიადილოთო“—ეტყოდა. ნიკას უყვარდა მამის ღიმი, დახეთქილი ხელები, რომელთა შეხების მერეც საგნები უფრო მიმზიდველნი ხდებოდნენ. ხელებს თუთუნის, სველი მიწისა და წებოს სუნი ასდიოდათ. ეს სურნელი ნიკას აბრუებდა და მას შეეძლო მთელი დღე მჯდარიყო მამის გვერდით, ჩუმად ემზირა მისი მოძრავი, საკვირველი ხელებისათვის. თვითონაც ხელებზე დაიხედავდა ხოლმე, — მას თეთრი და სუსტი ხელები ჰქონდა.

მამას ბევრი ლაპარაკი არ უყვარდა: ის ღურგალი იყო და ხელოსანი კაცის სიღინჯე ჰქონდა. შინ გვიან ბრუნდებოდა. ტყავის ბრტყელ ქაპარს მოიხსნიდა, საწოლის თავზე გადაკიდებდა და სკამზე დაჯდებოდა. ხელებს მუხლებზე დაიწყო და ცოტახანს ასე მდუმარედ იჯდა. მთელ დღეს ფეხზე ნადგომი, ერთიანად მოეშვებოდა და გაჩუმებული და მხრებჩამოყრილი ისვენებდა. სადილად რომ დასხდებოდნენ, პურს გატეხდა და იტყოდა:

— დიდება ღმერთსა.

მერე დაისხამდა ღვინოს და სვამდა თვალდახუჭული, ჭიქას პირიდან არ იცილებდა — თითქო რალაცა უნეტარესი იპოვა და ეწაფებო.

მამამ იცოდა ღვინის გემო.

სალამოთი, როდესაც ღუმელში ცეცხლს დაანთებდნენ, როცა დედა ყველა-

ფერს მიალაგებდა, მამა დაუძახებდა და ეტყოდა:

— აბა, მაჩვენე...

ნიკა გამოიტანდა ქაღალდებს, ქვებს, ფიცრის ნამტკრევეებს და მამას წინ დაუწყობდა. მამა ჩიბუხს ტენიდა, გაშვებული ცერით აწვებოდა თუთუნს და თან ნახატებს უცქერდა. მამას შეეძლო გვიანობამდე ეცქირა მისი ნახატებისათვის, ეცქირა ისეთი გულმოდგინებით, როგორც ფიცარს რანდავდა, ანდა სასურავეიდან თოვლს ჰყრიდა ხის ფართო ნიჩბით.

ცოტა რომ წამოიზარდა და მისი ნახატები „პიონერმა“ და „დილამ“ დაბეჭდა, მამამისი ნახატები ჟურნალებიდან ამოჭრა და საგანგებოდ ნაყიდ ალბომში ჩააქრა. მერე ის ალბომი თავის უჯრაში ჩაკეტა და ხანდახან, კვირაობით, ამოიღებდა და გულდასმით ათვალიერებდა.

ღუმელში წითელი ცეცხლი ღუმუნებს. კედლებზე უზარმაზარი ჩრდილები აყუდებულან. დაძაბული, მითითლოვარე ჩრდილები თითქოს რაღაცას ელიან, რათა დაიწყონ მოძრაობა, არივდარივონ სიმყუდროვე, განეფინონ აღამიანთა ფიქრებს, იბატონონ საგნებზე.

წვიმს, უკვე მეორე დღეა წვიმს...

იატაკზე ეცემა წვიმის მსხვილი წვეთები. წვეთები ხმაურით სკდებიან და მოლივლივე გუბებს ქმნიან.

დღეა იღებს სპილენძის დიდ თასს და დგამს იატაკზე, სწორედ იქ, სადაც წვეთები ეცემა.

თასი იწყებს სიმღერას:

ერთი, ორი, სამი, ოთხი.

ტა-ტა-ტა-ტა...

მამა სავარძელში ზის და სძინავს.

მის ფეხებთან თვლემს შავი კატა.

კატას ბეწვი უბზინავს.

ხანდახან გაახელს დამძიმებულ თვალებს და ოთახის სიმყუდროვეს აკრთობს მწვანე ფერი. მაგიდაზე მაღალი ლამპა დგას. ხანდახან გაიტკაცუნებს და ჩრდილები შეკრთებიან, გვერდს იცვლიან, როგორც მძინარე აღამიანები.

ლამპის შუქი ფორთოხლის ნაფცქვენივით გღია თასში.

თასი მღერის:

ერთი, ორი, სამი, ოთხი.

ტა-ტა-ტა-ტა...

თასი ივსება.

მისი ხმა თითქო ახლა უფრო შორიდან მოისმის:

ერთი, ორი...

ტა...

ტა...

კატა ახელს თვალებს, დგება, იზმორება და ებლაუქება პატრონის შარვლის ტოტებს.

დღედას ხელიდან თეფში უვარდება...

.....

კუბოს თავი კედელზე იყო მიყუდებული. გიჟი ეფრემა შემოვიდა, ქუდი მოიხადა და კუბოს თავზე დააკაუნა:

— მაგარია! — თქვა და გაიცინა.

სასაფლაოზე ქარი ქროდა. მისი მოუხვენარი სხეული თავისუფლად დებოდა გაშლილ ტაფობზე და ხეებს, რომლებსაც გზადაგზა ეჯახებოდა, სიმთვრალესავით ეკიდებოდათ მისი განუწყვეტელი ცახცახი. ეს იყო ზევით, ჰაერში. მიწაზე კი ათას ნაწილად, ათას შოლტად ქცეული ქარი განუწყვეტლივ სისინებდა და ხმელი ბალახის ღეროები მასთან ერთად ხმას გამოსცემდნენ. სამარის პირას მესაფლავეები იდგნენ და ნიჩბებით სამარეში მიწას ჰყრიდნენ.

ბალახის გამხმარ ღეროზე კალია იჯდა და ქანაობდა. ბალახის ღერი თრთოდა და ქარისა და კალიის სიმძიმით იზნიქებოდა. ქარი ძლიერდებოდა და მისი ხმა უფრო მკაფიოდ ისმოდა. ის ადამიანთა სხეულში ისევე თავისუფლად გადიოდა, როგორც წყალში სხივი, და თითქოს თან გაჰქონდა მათი ფიქრი და გულისზრახვა.

კალიამ ისკუბა და საფლავეში ჩახტა.

6

— მამა, — თქვა დათომ: — მე და მარინე ცალკე ვიცხოვრებთ...

მამა სავარძელში იჯდა და გაზეთს კითხულობდა. ჯერ თითქო არც გაუგია, გაზეთი ნელა დააკეცა და სათვალე შუბლზე აიწია:

— რა თქვი?

— ცალკე ვიცხოვრებთ-მეთქი...

მამა წამოდგა და ოთახში გაიარ-გამოიარა. მერე მაგიდასთან გაჩერდა და კოლოფიდან პაპიროსი ამოიღო:

— ასანთი მომეცი...

დათომ ასანთი ანთო და გაუწოდა.

მამამ ღრმად ჩაისუნთქა კვამლი და ნათაზს ამოაყოლა:

— გაგიყდი?..

— არა, არ გავგიყებულვარ... ვიფიქრე და გადავწყვიტე, რომ ასე სჯობია...

— რატომ იფიქრე, სინტერესოა...

— ახლა ვერ გეტყვი, მერე აგიხსნი ყველაფერს...

— რას ქვია, ვერ შეტყვი... იქნებ ისიც დავავიწყდა, მამაშენი რომ ვარ?

— არა, არ დამვიწყებია... ჯერ ერთი, ინსტიტუტი დავამთავრე და მინდა ვნახო, რა შემძლია... ჩემი ამხანაგების უმეტესობა ასეა, მშობლებს კი არ უყურებენ ხელებში...

— მაგრამ ვერც იმას იტყვი, რომ კარგი ცხოვრება ხელს გიშლიდეს...

კიდევ, კიდევ რა მიზეზით გადაწყვიტე წასვლა?

ამის თქმა კი დათოს უჭირდა და ალბათ ვერასოდეს ვერ ეტყოდა სიმართლეს. თვითონაც კარგად არ იცოდა, თუ საიდან დაიბადა ეს უცნაური გრძნობა, როდის შეიბარა სულში იჭვი და მამა მის შეგნებაში ბაქანზე დარჩენილ კაცივით ნელ-ნელა დაპატარავდა, დაპატარავდა და მერე მთლიანად ბურუსში გადავიდა...

მამა დათოს ბავშვობიდანვე ანებივრებდა და ყველა სურვილს უსრულებდა, ტოლივით ეთამაშებოდა, ფეხბურთზე დაჰყავდა და წიგნებს უკითხავდა. დათოს ახსოვდა მამა გამხდარი, წვეროშეხებული, მხარზე სამხატვრო ჩანთა გადაკიდებული. ახსოვდა პატარა, ნახევრადბნელი ოთახი, ფანჯარასთან მაგიდაზე დახრილი მამა. მამასთან ამხანაგები მოდიოდნენ, დედა სუფრას გაშლიდა და მერე კუთხეში დაჯდებოდა ჩუმად. იჯდა ასე გაჩუმებული, კაცების კამათსა და ხარხარს უსმენდა. დათოს მამამისის ამხანაგებიდან ძია სანდრო ყველაზე



უფრო მოსწონდა. ძია სანდრო პატარა ტანის კაცი იყო. ყოველთვის იცინოდა და თავს დათოს მეგობრად აცხადებდა. დათო ცოტა რომ წამოიზარდა, ახალ ბინაში გადავიდნენ. მამამ დიდ ოთახში თავისი სახელოსნო მოაწყო. ახლა იმ ოთახში იკრიბებოდნენ ამხანაგები. ძია სანდროს ნახატები მოჰქონდა და კედელთან აწყობდა. კაცები იდგნენ და იმ ნახატებს საათობით უყურებდნენ. ძია სანდრო რატომღაც დღეღაღა, კუთხეში დგებოდა და პაპიროსს პაპიროსზე ეწყოდა. მერე დედა ავად გახდა. ის მუდამ ლოგინში იწვა, იშვიათად თუ წამოდგებოდა და დათოს მისი შეცვლილი სახე ცოტათი შიშსა ჰკვირდა.

— დათო, — დაუძახებდა დედა: — მოდი აქ, დამენახე...

დათო მივიდოდა და საწოლთან ახლოს გაჩერდებოდა. დედა წამოიწყო და მისი ცივი ხელების შეხებისას დათოს რატომღაც ცრემლები მოაწვეებოდა ხოლმე... მამა ახლა ხშირად მიდიოდა სახლიდან, მიდიოდა და გვიან ბრუნდებოდა.

ასე გადიოდა დრო. ერთხელ დათომ მშობლების ხმამალალ ლაპარაკს მოჰკრა ყური. გაუკვირდა და დედის ოთახის კართან მივიდა. კარი ოდნავ ღია იყო და დათო მარტო მამას ხედავდა. მამა საწოლის თავზე იდაყვებით დაყრდნობილიყო და, წინ გადახრილი, ეტყობოდა დედას უსმენდა. დედა რალაცას ლაპარაკობდა, მაგრამ დათო მის სიტყვებს მკაფიოდ ვერ არჩევდა.

— ალბათ ასე იყო საჭირო, — თქვა მამამ: — ასე იყო საჭირო-მეთქი. შენ არ გესმის და ნუ ლაპარაკობ...

დათომ დედის ხმა ახლა გარკვევით გაიგონა:

— ჰო, მე არაფერი არ მესმის...

დედა ცოტახანს გაჩუმდა, მერე ხმას აუწია:

— იცოდე, ეს უსინდისობაა, გამოხვიდე და კრებაზე გალანძლო მეგობარი, რომელსაც გუშინ აქებდი...

— გუშინ ვაქებდი...

— ახლაც დარწმუნებული ხარ, რომ სანდრო ძალიან კარგი მხატვარია...

— არ შემიძლია თვალი დავხუჭო, არ შემიძლია, — იყვირა მამამ.

— არ შეგიძლია, რომ მართალი იყო, არა?

მე კი სულ სხვანაირად მეგონა... შენი ყველაფერი მჯეროდა...

— დამანებე თავი...

— მაინც რა მოხდა, გამოფენაზე უარი უთხრეს?

— ჰო, უარი უთხრეს...

— შენც კვერი დაუკარი?..

მამამ არაფერი უპასუხა.

— მითხარი, — ძლივს გასაგონად თქვა დედამ.

— სიმართლე ვთქვი...

— არა, სიმართლე არ გითქვამს. შენ სანდროსი შეგეშინდა.

— ვიცოდი, რომ ამას მეტყვოდი, ამას ადრეც ვგრძობდი, მეყოფა... მეყოფა...

და მამა ოთახიდან გამოვარდა, კარებში შეფეთებულ შვილს ზედაც არ შეხედა, ქუდი დაიხურა და წავიდა.

მას მერე ძია სანდრო მათთან აღარ მისულა. მერე დათო სოფელში წაიყვანეს. თბილისში რომ დაბრუნდა, მაშინვე დედის ოთახში შეიბრინა; მაგრამ იქ დედა აღარ დახვდა. ლოგინი გაესწორებინათ. საწოლის თავთან დედის გადიდებული სურათი ეკიდა. დედა სევდიანი თვალებით უცქერდა და მისი გაცრეცილი ღიმილი უცნაურსა და მწუხარე შუქს გამოსცემდა. დიდხნის მერე, როცა



დათო უკვე ინსტიტუტში სწავლობდა, ძია სანდროს გამოფენა გაიხსნა. წინა დღით მამა უგუნებოდ იყო. სადილს პირი არ დააკარა. პაპიროსს ეწეოდა და თითქო რალაცის თქმა უნდოდა, მაგრამ ვერ ბედავდა, შვილისაც ერიდებოდა და სწორედ ამ გაუბედობის გამო თავის თავზე ბრალვობდა. მერე ველარ გაუძლო და მიიწვია თქვა:

— აი, ახლა ნახავენ, თვითონ დარწმუნდებიან, რომ მართალი ვიყავი...

დათომ თავი ასწია და მამას შეხედა.

— ხვალ სანდროს გამოფენა იხსნება, — თქვა მამამ.

— ძია სანდროს გამოფენა?

— ჰო... არ მესმის... ეტყობა აღარაფერი მესმის...

— ლაპარაკობენ, რომ...

— ლაპარაკობენ... ლაპარაკობენ...

— თუ კი ხალხს მოსწონს?

— ხალხი ხმასაა აყოლილი...

— ვის ხმას? როგორც ვიცი, ძია სანდრო თავის თავზე არ ლაპარაკობს, ამბობენ, სახლიდანაც კი არ გამოდისო...

ცოტა ხანს გაჩუმდა და მერე ბოლოსდაბოლოს კითხა ის, რასაც დიდხანია აპირებდა:

— იქნებ კარგია და შენ ვერ ამჩნევ?

მამას სახეზე სისხლი მოაწვა; ერთიანად გაწითლდა და შეცვლილი ხმით უთხრა:

— მე, მე ვერ ვამჩნევ?..

ასე გაბრაზებული მამა დათოს ჯერ არ უნახავს. იგი სკამიდან წამოვარდა, ხელებით მაგიდას დაეყრდნო და დათოს შეაკცერდა, რალაცის თქმა უნდოდა, მაგრამ ხმის ამოღებას ვერ ახერხებდა. ასე უყურა ერთხანს, მერე გატრიალდა და კარები ისე გაიჯახუნა, კინაღამ შუშები ჩამოლევწა...

დათოს ინსტიტუტში არაერთხელ გაუგონია ამხანაგების მიერ მამის მისამართით გადაკრული სიტყვები. დათო ძალიან წუხდა, მაგრამ წუხილს ვერ ამხელდა. მამასაც ვერაფერს ეუბნებოდა. სათქმელი სათქმელს ემატებოდა და დათო ხშირად დაძაბული ანდა ზედმეტად გაღიზიანებული ელაპარაკებოდა მამას.

დათოს შეეცოდა მამა. „არ უნდა მეთქვაო“, — იფიქრა, მაგრამ განა შეეძლო არ ეთქვა? ერთხელ და სამუდამოდ ხომ უნდა მოეშორებინა ქვასავით მძიმე სათქმელი. მერე წამოდგა, საწვიმარი აიღო და გარეთ გამოვიდა.

ძია სანდრო ვაკეში პატარა ორსართულიან სახლში ცხოვრობდა. დათომ ზარი დარეკა. ცოტა ხნის ლოდინის შემდეგ კარი მოხუცებულმა ქალმა გაუღო. ქალს სათვალე ეკეთა და ქვევიდან შესცქეროდა დათოს.

— ბატონი სანდრო შინ არის? — იკითხა დათომ.

— კი ბატონო, მობრძანდით...

და წინ გაუძღვა. ჩქარი ნაბიჯით მიდიოდა და თან გაუჩერებლად ჩიფჩიფებდა:

— წაიღეს, როგორც იქნა წაიღეს... ახლა ქვეყანა ნახავს, ბატონო... სანდრო ისეა გახარებული, რომ...

„გაზეთის კორესპონდენტი ვგონივარ“, — იფიქრა დათომ.

მერე კიბეს აუყვანენ. მერე სართულზე, ეტყობა, სახელოსნო იყო.

— სანდრო, შენთან არიან, — დაუძახა ქალმა.

დათო გაჩერდა და ნათელ ოთახს თვალი მოავლო. ოთახი სულ მთლიანად ცარიელი იყო. ყოველ შემთხვევისათვის დათოს პირველად ასე მოეჩვენა. იქნებ გადათეთრებული, შიშველი კედლები ჰქმნიდნენ სიცარიელის გრძობას. მერე დათომ ძია სანდრო დინახა. ძია სანდრო ოთახის კუთხეში იჯდა. იმავე კუთხეში დიდი ტახტი და რამდენიმე მოლბერტი იდგა.

დათოს დანახვაზე ძია სანდრო წამოდგა და მისკენ წამოვიდა. ის თითქო ძალიან შორიდან მოდიოდა, იქნებ ეს ისევე ამ შიშველი კედლების ბრალი იყო. ძია სანდრო მოტეხილიყო და დაბერებულიყო. თმა ერთიანად გათეთრებოდა და წელში ოდნავ მოხრილი, ფეხს ათრევდა. დათოს რომ მიუახლოვდა, ხელი გაუწოდა და უთხრა:

— გისმენთ, ყმაწვილო.

„ვერ მიცნო“, — გაიფიქრა დათომ.

— ძია სანდრო, მე დათო ვარ, არ გახსოვართ?

ძია სანდრომ ფეხი უკან გადადგა, თავი ასწია და შეხედა:

— დათო?

უეცრად გაიღიმა, ხელები გაშალა და მოეხვია:

— დათო! დათო! რამხელა გაზრდილხარ, ბიჭო!

მერე შუა ოთახში გაიყვანა:

— როგორ მოხდა, როგორ გაგახსენდი? — პასუხს აღარ დაუცადა, მოტრი-
აღდა და შიშველ კედლებზე ხელით ანიშნა:

— ხედავ?

წავიდა, კედელს ხელი დაარტყა და სთქვა:

— აქ ოცი წელი ეკიდა „მზე“...

მერე ნაბიჯი გადადგა:

— აქ „ნარიყალა“...

კიდევ გადადგა ნაბიჯი:

— აქ ეკიდა ერთი ჩემი მეგობრის პორტრეტი... ომში დაიღუპა საწყალი...

ახლა მეორე კედელთან მივიდა:

— ამ კედელზე სულ სიჭაბუკის დროის ნახატები მქონდა...

შენ არ გინახავს ისინი...

მერე გაჩერდა:

— აი, ამ ადგილას კი „ყვითელი ჩიტები“... ნახე, უსათუოდ ნახე, გამოფე-
ნახე ხელმარცხნივ, სულ ბოლოში კიდეა... გაგეცინება, რომ გითხრა: ეს ჩიტები
მე დამესიზმრა, ფერადი სიზმარი ენახე, ისინი ისხდნენ დიდი ხის მუქ რტოზე...
აი, ასე...

მოტრიაღდა და მოლბერტებისკენ აჩქარებული ნაბიჯით წავიდა. იქ ტახტ-
ზე დაყრილ ნივთებში რაღაც მოძებნა და ისევე მობრუნდა. ძია სანდროს ხელში
ნახშირი ეჭირა. კედელთან მივიდა და ხატვა დაიწყო. დათო თითქო სულ მთლი-
ანად დაავიწყდა, ხატავდა და თან რაღაცას გაურკვეველად ლაპარაკობდა. ცო-
ტახანს ასე იყო. მერე დათოს მოუბრუნდა:

— სწავლობ?

— დიახ.

— შენც მხატვარი ხომ არ გამოხვედი, ბიჭო?

— არა, ძია სანდრო, მშენებელი ვარ...

— აი, ეგ მომწონს... იცი, მეც მინდოდა, რომ შენ ინჟინერი გამოსული-
ყავი...

— ოჯახში ერთი მხატვარი საკმარისია, — დათომ გაიცინა.

- არა, მაგიტომ არა... მართლა, მამა როგორ არის?
- დათოს რატომღაც შერცხვა. პასუხის გაცემა დააგვიანა და ისევ ძიძის დრომ გააგრძელა:
- მას ერთი კარგი თვისება აქვს, რაც სწამს — არ გადათქვამს... კაცმა არ იცის, ვინ არის მართალი... ჯიუტები ხშირად იმარჯვებენ... აი, მეც ჯიუტი ვარ, ძალიან ჯიუტი...
- დათოს მხარზე ხელი დაადო:
- არ იფიქრო, რომ ცხოვრება იოლი რამ არის...
- ცოტახანს გაჩუმდა... ისევ თავის ნახატს მიუბრუნდა, რამდენიმე ხაზი გაავლო და თქვა:
- მინდა, რომ შენ ბედნიერი იყო... საწყალი დედაშენი...
- შენ გეკითხებიან. ამხსენი, რატომ გადაწყვიტე ცალკე ცხოვრება? დათო გამოერკვა, თავი ასწია და მამას შეხედა:
- მერე გეტყვი-მეთქი, ხომ გითხარი...
- მარინემ გირჩია?
- არა, მარინეს არაფერი არ უთქვამს...
- ვიცი... მარინე ალბათ არ გირჩევდა.
- რას ნიშნავს „ალბათ არ გირჩევდა“? რატომ ამბობ მაგას?..
- არა, ისე... მარინე, შე მგონი, ჭკვიანი გოგოა...
- მამა!
- კარგი, კარგი... კი მაგრამ სად აპირებთ გადასვლას?
- ჩემი მეგობარი ჩინეთში მიდის ორი წლით, ბინა ცარიელი რჩება...
- შენი ნებაა, მაგრამ იცოდე, რომ ხალხი დაგვეცინებს...
- არა, არავენ არ დაგვეცინებს...



მარინე მთელი დღე მართო იყო. დათო საბურთალოზე სახლის მშენებლობაზე მუშაობდა და დღე და ღამე თავზე ედგა საქმეს.

მარინე ხან წიგნს კითხულობდა, ხან კი ფანჯარასთან იჯდა და ქუჩაში იყურებოდა. პირველ ხანებში მეგობრები მოაკითხავდნენ ხოლმე. მოვიდოდნენ და არეგდარეგდნენ ბინას. იცინოდნენ, მხიარულობდნენ, კამათობდნენ.

მარინეს უეკირდა: მათთან ერთად სკოლაში სწავლობდა, მათთან ერთად დადიოდა კინოში, თეატრში, ნაყინის საჭმელად. ისინიც მაშინ მასავით ქარაფშუტა გოგონები იყვნენ და საგასტროლოდ ჩამოსულ ოპერის მომღერლებს საათობით ელოდებოდნენ ქუჩაში. მათთან ერთად ატარებდა ბაკურიანში არღაღეგებს, მათთან ეძინა, მათთან ციგაობდა და თხილამურებით დადიოდა. სად. ან როდის ვაიყარა გზები? როდის დაშორდნენ ისინი? როგორ ვერ შეამჩნია, როგორ ვერ გაიგო?..

მერე აღგებოდა და როიალს მიუჯდებოდა. უკრავდა დიდხანს, თითქოს ყველაფერი ავიწყლებოდა, არაფერს აღარ ფიქრობდა, ნაცნობ სამყაროში ხვდებოდა, სადაც ყველაფერი ალერსიანი და ხვევრდივით ნაზი იყო. დაკვრის დროს კარგ ხასიათზე დგებოდა, ნელ-ნელა ეუფლებოდა სიამაყის გრძნობა, ხვდებოდა, რომ კარგად უკრავდა.

— მასწავლებლობა უნდა დავიწყო, — უთხრა ერთხელ სტუმრად მისულ დედას.

— არაფრის გულისთვის, — შეიცხადა ქალბატონმა ეკამ: — არაფრისთვის! შენ უნდა საკუთარი კონცერტები გამართო, შენ მასწავლებლობისათვის არა ხარ დაბადებული. აბა წარმოიდგინე მთელ დღეს ვილაც გამოშტერებული ბავშვის გვერდით ჯდობა და დო, რე, მი, ფას ძახილი! განა შენ ამას შესძლებ... ერთი წუთითაც არ იფიქრო...

მარინეს რატომღაც თავისი მუსიკის მასწავლებლები გაახსენდა. ეს ხანშიშესული ქალი მარტოხელა იყო, მუსიკალურ ტექნიკუმში მუშაობდა და შინ გვიან ბრუნდებოდა. მარინე მასთან სწორედ მაშინ მიდიოდა, როცა მასწავლებელი საკმელს იმზადებდა. მარინე ნოტებს გაშლიდა და დაკვრას დაიწყებდა. მასწავლებელი მეორე ოთახში რალაცას ნაყავდა და თან მარინეს ეხმაურებოდა:

— ერთი, ორი, სამი, ერთი ორი, სამი...

— დათომ კეთილი ინებოს და მასწავლებლები დაგაყენოს თავზე.

მარინე დათოზე ისედაც გაბრაზებული იყო. მაგრამ საკვირველი ის იყო, რომ თვითონ არ იცოდა, რატომ იყო გაბრაზებული. დათოს საქმის მეტი არაფერი ახსოვდა. თუმცა ხანდახან გამონახავდა დროს და მარინე სასაციროდ მიჰყავდა. თან ისევ თავის საქმეზე ელაპარაკებოდა. უყვებოდა თუ რას აკეთებდა, როგორ აშენებდა სახლს, როგორ ემატებოდა სართული სართულს.

დათოს სულ რალაცის ავსება და აშენება ეწადა. სულ მშენებლობაზე ლაპარაკობდა, არ მოსწონდა, თბილისის უბნების შეღებვა რომ დაიწყეს, რადგან თბილისის თავისი საკუთარი განუშეორებელი ფერი აქვსო — ამბობდა. დადიოდა ვეება, ტალახიანი რეზინის ჩექმებით, ბრეზენტის ჯუბით. სახლში რომ შემოვიდოდა, კირისა და ცემენტის კვალს სტოვებდა. მერე მთელი დღე ოთახში მისი უზარმაზარი ნაფეხურები მოჩანდა. საკმელი სასაღილოდ მოჰქონდა. კვირაობით მოჰყავდა ქალი, არეცხვინებდა და აუთოვებინებდა სარეცხს, იატაკს მოაწმენდინებდა და თვითონაც ეხმარებოდა.

ამიტომ? ამიტომ ბრაზობდა მარინე?

არა, რა თქმა უნდა, მარტო ამიტომ არა.

ეს იყო რალაც საკუთარი უმწეობით გამოწვეული ბრაზი. უმწეობა კი თვალნათლივ ჩანდა. ის, რითაც მარინე აქამდე ცხოვრობდა, უფერული ხდებოდა, უფერული და მეტად უინტერესო. კონცერტები, დღეობები, აგარაკებზე წასვლა. არა, დათო არაფერს არ უარყოფდა, მაგრამ მარინე ხედებოდა, რომ დათოს სხვანაირად ესმოდა ყველაფერი და, რაც მთავარია, დათო მართალი იყო. რატომ იყო მართალი დათო? აი, ეს არ ესმოდა მარინეს, ამას ვერ ხედებოდა.

— შენ ყოველთვის საწინააღმდეგო უნდა თქვა...

— არა, თუ ატყობ, ყოველთვის გეთანხმები...

— ტყუი, დათო, არასოდეს არ მეთანხმები, შენს თანხმობაში ყოველთვის სხვა, დაფარული აზრია ზოლმე...

— ასეც უნდა იყოს...

— რატომ უნდა იყოს ასე?

— იმიტომ რომ მე მართალს ვამბობ, შენ კი ოცნებობ მხოლოდ...

— მართალი გითხრა, ვერ გავიგე... საერთოდ ბევრი რამე არ მესმის შენი...

— სამწუხაროა...

— დათო, ნუ ლაპარაკობ ასე მშვიდად...

— მე იშვიათად ვღელავ ზოლმე... უბრალოდ სასაცილოა ჩვენი ლაპარაკი... კარგი, ნუ ბრაზობ... ოღონდ ხანდახან უნდა დამიჯერო ზოლმე...

— ისედაც ბევრს გიჯერებ, გიჯერებ და ვგრძნობ, რომ რალაცას ვკარგავ,

თანაც ისეთს, რაც ძალიან მიყვარდა...

— მარინე, მოდი აქ...

— დამანებე თავი...

მარინე წინათ სულ სხვანაირად ცხოვრობდა. ცხოვრობდა უღარდელად, თავყანისმცემლებით გარშემორტყმული. არც ფიქრობდა, რომ რამე შეიცვლებოდა. ანდა რა უნდა შეცვლილიყო? მის ყოველ სიტყვას ყურადღებით უსმენდნენ და თავაზიანი ღიმილით პასუხობდნენ. მარინე ბევრს მოსწონდა. უხაროდა, როცა დაბნეული ბიჭები უშნოდ წითლდებოდნენ და ხმას ვერ იღებდნენ. რაც მთავარია, ყოველთვის მართალი იყო. ასე შეაჩვიეს თავიდანვე იდეითონაც აღარ უფიქრდებოდა თავის სიტყვასა თუ საქციელს.

„ნიკა... ნიკას მე ნამდვილად ვუყვარდი...

ღმერთო ჩემო, ნუთუ მართლა ასეთი სულელი ვარ...“

ქარი დილიდანვე ჰქროდა. ზღვაც ძალიან ღელავდა და თუმცა მზიანი დღე იყო, დამსვენებლები ნაპირზე არ გამოსულან. ზღვა იყო რუხი, ოღონდ ალაგ-ალაგ მწვანე ფერი გადაჰქროდა. იგი ბრაზობდა. შფოთავდა და გათათეთრებულ მხრებს ქვებზე იმსხვრევდა. ისევ უკან გარბოდა და, გამოქანებული, ამოდ ასკდებოდა მიწას. ნაპირი სილიანი იყო და ეს ადგილი საუკეთესო პლიაჟად ითვლებოდა. პლიაჟს იქით სოფელი იწყებოდა. წითელკრამიტიანი სახლები თითქო ტრიფოლიატების ცოცხალ ღობეებს შეეჩერებინა და გარინდებულები იდგნენ ახლა ევკალიპტებსა და ალვებში ჩაფლულნი.

მარინე და დათო ღობესთან ახლოს ისხდნენ და ზღვას უყურებდნენ. დათოს პერანგი გაეხადა, ხელები მუხლებზე შემოეკვლო და უსტვენდა. დათო ცუდად უსტვენდა, ტუჩები წინ უშნოდ გამოეშვირა და მაინც, ეტყობოდა, სტვენა სიამოვნებდა.

— ხედავ რა ფერია ზღვა! — თქვა მარინემ. დათოს სტვენა არ შეუწყვეტია, ისე დაუქნია თავი.

— მწვანე და შავი...

ამ სოფელში უმთავრესად მეთევზეები ცხოვრობდნენ. მათი არტელი ხშირად მთელი კვირით გადიოდა ზღვაში და ხან ყირიმამდე აღწევდა.

ღობეებსა და აივნებზე ბადეები იყო გაკიდებული და ზოგიერთ სახლის კედლებზე გრძელი ნიჩბები მიეყუდებინათ. ტიტლიკანა ბავშვები მთელი დღე ზღვის ნაპირას დარბოდნენ და სილაში კოტრილობდნენ. სოფელი ძალიან პატარა იყო. ზედ ზღვასთან იწყებოდა და იქვე თავდებოდა. თითქო თვითონაც ზღვას ეკუთვნოდა — ზღვიდან გამორიყული პაწია სამყარო, მარილისა და თევზის სუნით გაჟღენთილი.

ნაპირთან ახლოს ფარდული აეშენებინათ. ამ ფარდულში ავდრის დროს ნავებსა და კასრებს ინახავდნენ. ზღვის მხარეს მოქცეულ კედელში წავის ცისფერი ფიკარი იყო ჩატანებული, რომელსაც შავი დიდი ასოებით ეწერა: „თოლია“.

მალაშა, გამხდარმი ქალმა ბავშვი მოიყვანა და სწორედ იმ კედელთან ჩრდილში დასვა. მერე რამდენიმე ნაბიჯი წინ გადადგა და შუბლზე ზელმოჩრდილულმა ზღვას გახედა.

— მეთევზეები ყოველთვის იგვიანებენ, — სთქვა მარინემ. მერე სიცილით დაუმატა: — ეშმაკმა იცის კაცების გზა-კვალი.



მარინე ფეხზე წამოდგა. დათომ შეხედა მის მზით დამწვარ ტანს, მკლავ ფეხებს და ბიჭურ, ვიწრო თეძობებს.

— მარინე...

მარინე ზღვისკენ წავიდა. მას წითელი საბანაო კოსტუმი ეცვა. ფეხს ფრთხილად ადგამდა და წელში იზნიქებოდა.

— მარინე.

მარინე მოტრიალდა და ფართოდ გახელილი თვალებით შეხედა:

— რა?

— ნუ ჩახვალ, ძალიან დელავს...

მარინემ არ უპასუხა. ზღვასთან მივიდა და წყალში მუხლამდე ჩადგა. გამოქანებული ტალღა დაეჯახა და ერთიანად გაწუწა. მარინემ გაიცინა. უკან გადახტა და დათოს დაუძახა:

— ბრაზობს...

მერე ისევ შევიდა წყალში, ახლა უფრო ღრმად. ტალღა კიდევ დაეჯახა, დაეჯახა უცებ და წააქცია. მარინე წამოდგა. ის იცინოდა, იცინოდა ხმამაღლა, თითქო ბრაზით, ვიღაცის ჯიბრზე. ტალღას ებრძოდა. ხელებს იქნევდა, ეცემოდა, ისევ დგებოდა და იცინოდა.

— მარინე, ამოდი!

მარინეს დათოს ხმა არც კი გაუგია.

— ამოდით, ქალიშვილო, ნუ ეთამაშებით ზღვას, — დაუძახა მაღალმა ქალმა. მარინე მოტრიალდა და ნაპირთან დაყრილ ქვევებზე წაფოროხილდა, წამოდგა და წყლიდან ამოვიდა.

დათო მივიდა:

— მომეცი ხელი...

მარინემ ხელი არ გაუწოდა.

მას სახე გაფითრებოდა და ტუჩები უფრო თოვლიანი. დათოსთვის არ შეუხედავს, უხმოდ წავიდა და წინანდელ ადგილას დაჯდა.

მაღალმა ქალმა ბავშვი აიყვანა. მათ რომ ჩაუარათ, წამით შეჩერდა და მარინეს უთხრა:

— არ შეიძლება, გენაცვალე...

მარინეს ხმა არ ამოუღია. სილაში გაწვა და ხელები თავიქვეშ ამოიღო. დიდხანს დუმდნენ. მარინე იწვა და ცას უყურებდა.

— ხომ არ წავიდეთ? — თქვა დათომ.

— დათო, შენ გეშინია დელვის?

დათომ გაიცინა:

— რა თქმა უნდა, მეშინია...

— ახლა ვინც ზღვაშია, იმათაც ეშინიათ?

— არ ვიცი, ალბათ იმათაც ეშინიათ.

— მათ ხომ უყვართ ზღვა?

— ჰო, უყვართ...

— განა შეიძლება ერთდროულად გეშინოდეს და გიყვარდეს?

— „შიში შეიქმს სიყვარულსა“, — გაიცინა დათომ.

მარინე გაჩუმდა. რალაცას ფიქრობდა.

ცოტახნის დუმილის მერე თქვა:

— დათო, მე შენი არ მეშინია...

დათომ შეხედა მარინეს. მარინე იწვა და ცას უყურებდა. ცაზე პაწაწინა

თეთრი ღრუბლები გარბოდნენ, გარბოდნენ სწრაფად, თითქოს სადღაც რეზობოდათ.

— რატომ უნდა გეშინოდეს ჩემი?

— არა, ისე ვთქვი...

ლობიდან მამალი გადმოხტა და იქვე ღობის ძირას სილა ნისკარტით გაქეჭა. მერე წელი, დინჯი ნაბიჯით ზღვისკენ წავიდა. ცარიელ, მშითა და ქარით გავსებულ ნაბირზე წითელი მამალი ძალიან ღიმი მოჩანდა. მამალი მიდიოდა და უხარმავარ ბიბილოსა და მალა აშეგრილ მბზინვე ბოლოს მიარხევდა. მერე გაჩერდა. მალა აიხედა და ხმამაღლა დაიყვილა.

— ეს მამალი გადამრევს, — თქვა დათომ: — შუადღესაც ყვიის.

მარინე წამოდგა:

— წავიდეთ შინ... შემცივდა...

ქვის ბოძებზე შედგმული სახლის კიბეზე ჯარისკაცი იჯდა. მას ეცვა ხაკის შარვალხალათი და მძიმე ჩექმები. ამ სიციხეში საყულოზე ერთი ღილიც კი არ ჰქონდა შესხნილი. ქუდი შუაზე გაეყეცა და სამხრეს ქვეშ გაერჭო. ჯარისკაცს დაჭორფლილი სახე და ძალიან ქერა თმები ჰქონდა. სახესა და ხელეზე მზე მოჰკიდებოდა და მზეს გადაჩვეული კანი წითლად ვარვარებდა. იჯდა და მზეს უმზირას აკნატუნებდა. ერთი შეხედვით სტუმარს ჰგავდა, ან დასასვენებლად ჩამომუჯდარ კაცს. ნამდვილად კი ამ სახლში ცხოვრობდა, ამ ოჯახის შვილი იყო და ახლა ათღლიანი შევებულებით ჩამოსულიყო. მარინეს და დათოს ამავე სახლში ჰქონდათ ოთახი დაქირავებული. ჯარისკაცი მათ მეტად თავაზიანად ხვდებოდა, ფეხზე ადგომით ესალმებოდა და მარინეს რატომღაც ოდნავ დარცხვენით უღიმოდა.

პირველ დღეს, ჩამოსვლისთანავე, მშობლებმა რაღაცა შეატყვეს, შვილის გარინდება ეუცხოვათ, მაგრამ არაფერი უთქვამთ, გაჩუმდნენ. უფრო რძლისა მოერიდათ, რომელსაც მათი შვილი მეტად გულგრილად, ძალდატანებული ღიმილით შეხვდა.

ჯარისკაცი მთელ დღეს ეზოში დარატრატებდა. ხან ღობესთან მიდგებოდა და გზას უყურებდა, ხან კიბეზე ჩამოჯდებოდა. ღილსაც კი არ იხსნიდა, თითქო გასაქცევად იყო მომზადებული და ვიღაცის ნიშანს ელოდა. ცოლი ეზოში საქმიანობდა. სარეცხს რეცხდა, ქათმებს საყენეს უყრიდა და პატარა ბიჭს, რომელსაც წითელწინწკლებიანი პერანგი ჰქონდაც ვერ უფარავდა, წარამარა უმიზეზოდ სცემდა. ჯარისკაცი მათ ზედაც არ უყურებდა. მარტო ერთხელ დაუძახა ატირებულ ბავშვს:

— მოი, გოგია, აქ მოი...

ბავშვი რომ მიუახლოვდა, ჯარისკაცმა მზესუმზირით სავსე პეშვი გაუწოლა:

— გინდა?

ცოლმა ხელზე ხელი დაარტყა და მზესუმზირა დააპნეცინა:

— ხომ დაიდრჩო. შე უბედურო...

ჯარისკაცს მამამ ერთორ დღეს უყურა, უყურა და მერე უთხრა:

— რა მოგივიდა, ბიჭო შენ?

— რა უნდა მომსკლოდა?

— რა ვიცი, კი ხარ გაშტერებული და...

ჯარისკაცმა არაფერი უპასუხა.

— რატომ არ გამოდიხარ, ბიჭო ზღვაზე?

- რა ვიცი...
 - არც ჩვენი ნავი გინდა ნახო?
 - ნავი?
 - ჰო, ნავი...
 - ნავი როგორ არ მინდა ვნახო...
 - აბა ადექი და წადი ნაპირზე...
 - წავალ, აბა რას ვიზამ...
- მაგრამ არც კი წამოწეულა.
მამამ ტილოს ქუდი მოიხადა და სახეზე ჩამოჰკრა:
— ეჰ...

მეორე დილით ჯარისკაცმა დათო ეზოში შეაჩერა. მკლავში ხელი გამოსდო და ქიშკართან მიიყვანა, თან აქეთ-იქით იხედებოდა, თითქო ეშინოდა, ვინმემ არ დაგვინახოსო.

- შეიძლება გკითხოთ?
 - როგორ არა...
- დათოს გაუკვირდა, მაგრამ არ შეიმჩნია და თვითონაც მეტად სერიოზული სახე მიიღო.
- სხვანაირად ნუ ჩამომარტმევთ და...
 - თქვით, თქვით...
 - თქვენი ცოლი...
 - რა?
 - ის ხომ თქვენი ცოლია?
 - დიად, ცოლია...
 - ნუ გაგიკვირდებათ, თუ გკითხავენ...
 - არა, არ გამიკვირდება, მითხარით...
 - გიყვართ თქვენი ცოლი?
- დათომ ხელი გააშვებინა, გვერდზე გადა და ჯარისკაცს შეხედა...
- ასეც ვფიქრობდი, — თქვა ჯარისკაცმა: — ვიცოდი, რომ გაგიკვირდებოდით...
 - არ მესმის, — უპასუხა დათომ: — რატომ მეკითხებით?
 - ეჰ, რომ იცოდეთ...
 - „ეს ბიჭი თავხედია ან გიჟი“, — გაიფიქრა დათომ...
 - სულელი გგონივართ? — ჯარისკაცმა გაიღიმა: — ჰო, ალბათ სულელიცა ვარ...
 - არა, რატომ, — დათომ მეტი ვერაფერი მოახერხა.
 - ჩემი უბედურება ისაა, რომ სხვა მიყვარს...
 - როგორ თუ სხვა, — დათო ჯერ ვერ მიხვდა...
 - თქვენ ხომ იცით, მე ცოლი მყავს...
 - ვიცი, როგორ არა...
 - აი, სწორედ ეგა მკლავს, მე სხვა მიყვარს...
- დათო იდგა გაჩუმებული და ჯარისკაცს უყურებდა.
- ვერავისთვის ვერ მითქვამს და აი, გადავწყვიტე თქვენთვის მეთქვა, რაც არ უნდა იყოს, თითქმის ტოლები ვართ...
 - მერე და ის ვინ არის?
- დათოს თავისი შეკითხვა თვითონვე გაუკვირდა:
„რა მნიშვნელობა აქვს თუ ვინ არის მეორე...“

ჯარისკაცს თითქო არც გაუგია, ისე განაგრძო:

— მთლად ბავშვი ვიყავი, როცა ცოლი შემრთეს, არაფერი მესმოდა...

მერე გაჩერდა:

— თუმცა თქვენ რას უშველით ჩემს გაჭირვებას... უკაცრავად...

მიტრიალდა და სახლისკენ წავიდა.

გზაზე მამალს ფეხი მოუქნია, მამალი დაფრთხა, აიფხორა, გაქანდა და ღობეზე შეხტა, ფრთები გაშალა და აფორიაქებულმა ხმამაღლა დაიყვილა.

— დათო, მე ასეთი სულელური თქმა ვიცი ხოლმე... გუშინ...

— მარინე, მე აღარც კი მახსოვს...

— ჰო, შენ ძალიან კეთილი ხარ...

— მარინე...

— შენ შეგიძლია შეუნდო, აპატიო შეცდომები... შენ შეგიძლია...

— მარინე, ნუ დავიწყებთ თავიდან...

— კარგი, გავჩუმდები, მაგრამ ერთს გეტყვი: — მე მირჩევნია გამიბრაზდე ხოლმე...

— განა ღირს გაბრაზებად?

— ჰო, რა თქმა უნდა, არ ღირს, განა შეიძლება გაბრაზება ერთი სულელი გოგოს გულისთვის...

— არა, მარინე, მე ეგ არ მითქვამს...

— ვიცი, როგორც თქვი... მეტსაც გეტყვი — შენ კარგი ბიჭი ხარ...

— გმადლობთ...

— და გაცილებით მეტი გესმის ჩემზე...

— მარინე...

— არა, არ ვტყუი, მართალს ვამბობ, ეს ისეთივე სიმართლეა, როგორც ის ამბავი, რომ მე ძალიან ბევრი ნაკლი მაქვს...

— მარინე, ეგ ნაკლი არ არის, შენ უბრალოდ ბევრ რამეს ვერ ხედავ და არც გინდა დაინახო...

— აი, ზომ გითხარი... ვერ ვხედავ... მართალია, ვერ ვხედავ...

— ეგ არაფერი, მოვა დრო და დაინახავ, მიხედები, რომ ცხოვრებაში ყველაფერი ისე არ არის, როგორც შენ გინდა...

ზღვა ღელავდა... ღია საკმელთან ნარბენ კაცივით მძიმედ სუნთქავდა და თითქო სახლის კედელზე აცახცახებულ ხელებს აფათურებდა,

— დათო, იცი მე რას ვფიქრობ...

დათო დუმდა...

— არ გაინტერესებს?

— თქვი, გისმენ...

— არა, არაფერს... საერთოდ თვითონ არ ვიცი, რას ვამბობ.

— ნუთუ მართლა ეშინიათ ზღვის? — თქვა მარინემ...

— ეშინიათ...

— ნუთუ მართლა ეშინიათ საცოდავი ზღვის?

— საცოდავი ზღვის! — დათომ გაიცინა...

— არ გესმის — ტირის...

— ჰო, ტირის, მაგრამ აბა სცადე და მოეფერე...

— ნუთუ მეზღვაურებსაც ეშინიათ ზღვის?

ოთახში ზოქო შემოფრინდა, ბზულით მიაწყდა კედლებს, ელნათურას.

- იბრძოდა, წვალობდა. თითქო ისევ გარეთ გაფრენა უნდოდა, მაგრამ ვერ ხეზუნდა და ამოდ ენარცხებოდა კედლებს.
- ნეტავი თბილისშიც თუ წვიმს...
- დათომ არ უპასუხა.
- ასე ადრე არ უნდა წამოგსულიყავით ზღვაზე... ზღვა სექტემბერშია კარგი...
- მე ახლაც მომწონს...
- ყველაფერს თავისი დრო აქვს...
- მართალი ხარ, ყველაფერს თავისი დრო აქვს... წინათ ბავშვი იყავი... ახლა...
- ახლა?.. მართლა, სულ ახლახან ვიყავი ბავშვი... კვირაობით დედას ბაღში მიყვავდი და პონის ეტლით მასეირნებდა. გინახავს პონის ეტლი?
- არა...
- ოჰ, გადასარეგია!.. პონის ეტლი! ნუთუ მართლა არ გინახავს პონის ეტლი?
- არა, არ მინახავს...
- მახსოვს, გზა ყვითელი ფოთლებით იყო მოფენილი... პონის ეტლს ერთი მაღალი ჭალარა კაცი დაჰყვებოდა...
- ჩააქრე სინათლე, ოთახი ხოჭოებით გაივსო...
- ეტლი მიდიოდა ძალიან ნელა... შემოივლიდა წრეს და გაჩერდებოდა.
- არ გესმის? ჩააქრე სინათლე...
- ბავშვებს ყვითელი ფოთლების გვირგვინები გვეკეთა და ძალიან გვიხაროდა პონის ეტლით სეირნობა... ეტლი რომ გაჩერდებოდა, ჭალარა კაცი მოვიდოდა და ჩამოგვსვამდა ხოლმე...
- დიდი საქმე ჰქონია...
- თან ყველას გვიღიმიოდა...
- ყოჩაღ!
- ერთ დღეს ჭალარა კაცი მოწყენილი იყო და ზედაც არ ვეყურებოდა...
- რატომ ნეტავი?
- მე კინალამ ვიტყვ... მარინე ცოტა ხანს გაჩუმდა, მერე თქვა:
- უცნაურია, როგორ იცვლება ადამიანი...
- ადამიანს შეუძლია ერთ დღეში ისე გამოიცვალოს, რომ სრულებით სხვა კაცად იქცეს.
- შეც მაგის მეშინია. მინდა, რომ ჩემს ირგვლივ ყველანი უცვლელნი დარჩნენ...
- დათომ გაიცინა:
- გააჩნია, როგორ გიჭირავს თავი...
- მინდა, რომ ბევრი რამე მაპატიონ ხოლმე... მინდა, რომ გამიგონ. ხომ შეიძლება ზოგჯერ შევეცდე. განა არა მაქვს ამის უფლება?
- დათოს ეუცხოვა მარინეს ხმა.
- უფლება როგორ არა გაქვს, მაგრამ...
- რა მაგრამ? აი ეგ „მაგრამ“ არის სწორედ, მე რომ მაშინებს, ვიცი, შენ იტყვი: „ლოგიკურად თუ ვიშჯელებთ“... მე კი მგონია, რომ ბევრი რამე, რაც ლოგიკურად სწორე არ არის, ხშირად ჰეშმარიტებაა, უფრო ადამიანური ჰეშმარიტებაა, ვიდრე ლოგიკური... თუმცა დავანებოთ თავი ამაზე ლაპარაკს, ხომ გესმის, როგორ ღელავს, ცოტათი მეშინია კიდევ...



— შენ რომ არ გეშინია ზღვის?

— მეშინია, ახლა მეშინია, როცა ასე საცოდავად ტირის...

ხოჭო ნათურას დაეჯახა და იატაკზე დაეარდა, გულადმა დაეცა და საცოდავად აფაფხურდა.

— მართლა არ გინახავს პონის ეტლი?

— რამდენჯერ უნდა ვითხრა, არა-მეთქი...

— ვერ დავიჯერებ... განა რამე შეედრება პონის ეტლს ნეტავი შემქმნლის, ახლაც სიამოვნებით გავისეირნებდი პონის ეტლით...

— მარინე!

— ნუთუ, ნუთუ მართლა არ გინახავს პონის ეტლი?!

მეორე ოთახიდან ხმადაბალი ლაპარაკი ისმოდა, მარინე და დათო სიტყვებს ვერ არჩევდნენ, მაგრამ ხვდებოდნენ, რომ კედლის იქით ცოლ-ქმარი ჩხუბობდა. უმეტესად ქალის ხმა ისმოდა. ქალი ლაპარაკობდა სწრაფად, რაღაცას უხსნიდა და აჯერებდა ქმარს. უეცრად გაჩერდებოდა და ტირილს დაიწყებდა. ტირილი კი მკაფიოდ ისმოდა. ქალი ხმამალლა ტიროდა, მაგრამ მოულოდნელად ჩერდებოდა და ისევ ლაპარაკს განაგრძობდა. კი არ ლაპარაკობდა, თითქო გაბმით კენსოდა და მოთქვამდა. უცნაური იყო: ქალის ხმა ახლა ზღვის ხმასა ჰგავდა, მასავით გამწარებული და შეკრთალი აწყდებოდა კედლებს და ნიჟარის ყრუ გუგუნევით უჩუმარ სევდას იწვევდა.

მარინე წამოდგა და ფანჯარასთან მივიდა:

— გაწვიმდა...

დათოს ხმა არ გაუცია. სულ სხვანაირი იყო წვიმა ზღვაზე, იგი გავლიძებულ სტიქიონის სიმღერას ჰგავდა და უსაზღვრო იყო, როგორც ზღვა და ზეცა. ზღვა ახლა ღრუბლებზედაც მბრძანებლობდა და ღრუბლები თითქო მის ტალღებად ქცეულიყვნენ. ისინი ზვირთებივით ეხეთქებოდნენ სახლებსა და ხეებს და ალბათ მათ წიაღშიც ისევე შეიძლებოდა ცურვა, როგორც ზღვაში.

— ღრუბლები ცაში ასულ დაღუპულ ხომალდებს გვანან, — თქვა მარინემ.

— ეს სად წაიკითხე? — კითხა დათომ.

— არსად, — მარინემ გაიცინა: — არსად არ წამიკითხავს. რატომღაც ახლა ასე ვიფიქრე.

ოთახში ცხელოდა. დაქორთვლილ ნათურას უამრავი მწერი ეხვეოდა.

მარინე წვიმას უსმენდა:

„სხვები ცხოვრობენ შორს, მზიარულობენ და რაღაცა უხარიით... შენ კი შეჩერებიხარ წვიმას...“

— ახლა ღვინოს დავლევდი, — თქვა დათომ.

— შენ რომ არ გიყვარს ღვინო?

— უცბათ მომინდა...

მეორე ოთახში ქალი გაჩუმდა. ცოტახანს სიჩუმე ჩამოვარდა, ახლა ჯარიისკაცმა დაიწყო ლაპარაკი.

დათომ უცებ დაიძინა.

მარინე ცოტახანს კიდევ იდგა ფანჯარასთან, მერე მოტრიალდა და სინათლე ჩააქრო.

დილით ჯარისკაცი დათოს ღიმილით მიესალმა:

— თქვენ ნამდვილად სწორე იყავით...

— რა ბრძანეთ?

— ნამდვილად მართალი იყავით, რომ მითხარით, სულელი ხარო...

— მე ეგ არ მითქვამს...

— როგორ არა, აღარც კი ვახსოვთ, — ჯარისკაცმა გაიცინა და თავი გაქნია, აივანზე წითელი მამალი დაბაჯბაჯებდა. ჯარისკაცი უცებ დაიხარა და მამალს ბოლოში ხელი სტაცა. მერე აკრიახებული მამალი მკერდზე მიიკრა და ეზოში ჩავიდა.

მარინე ოპერის პირდაპირ წიგნის მაღაზიაში შევიდა. მას იქ ნაცნობი გამყიდველი ჰყავდა, რომელიც ყოველთვის უნახავდა საინტერესო წიგნს. რამდენი ხანია აღარ მიუკითხავს მისთვის, რამდენი ხანია წიგნი აღარ უყიდა. ნაცნობი გოგონა არ დახვდა, მარინე ცოტახანს გაჩერდა, გამოფენილი წიგნები შეათვალიერა და მაღაზიიდან გამოვიდა. რუსთაველის პროსპექტს დაუყვავა, ნელა მიდიოდა და თან ხალხს ათვალიერებდა. პროსპექტი ყოველთვის გამველელებით იყო სავსე. ეს ქუჩა ქალაქის ყოველი მხრიდან იზიდავდა ხალხს, არასოდეს ერთნაირი არ იყო: დილით, შუადღისით და საღამოთი გამუდმებით სახეს იცვლიდა, მაგრამ ყოველთვის ლამაზი რჩებოდა.

ლაღიძის წყლებთან რომ მივიდა, ვიღაცამ დაუძახა. მარინე მოტრიალდა და მაღალი, კარგად ჩაცმული ბიჭის პირისპირ აღმოჩნდა.

— მარინე, გამარჯობა.

ბიჭმა ორივე ხელი ჩამოართვა და აღტაცებული თვალებით შეხედა.

— ლევან!

მარინეს გაუხარდა. ლევანიც იმ უდარდელ ხანას ეკუთვნოდა, რომელზედაც ამ ბოლო დროს რატომღაც ხშირად ნაღვლობდა ხოლმე.

ლევანი კონსერვატორიის ხშირი სტუმარი იყო. თითქმის ყველა კონცერტს ესწრებოდა და იმ წრეს, რომელშიაც მარინეც ტრიალებდა, ლევანი ძალიან მოსწონდა. ლევანი მაშინ ყურნალისტობას აპირებდა. რამდენიმე პატარა რეცენზიაც დაბეჭდა საღამოს გაზეთებში, თუმცა ამ რეცენზიებს თვითონვე დასცინოდა, და მუსიკალური სასწავლებლის გოგონებს შორის დიდად განათლებული კაცის სახელი ჰქონდა გავარდნილი. ლევანი ყურადღებიანი კავალერი იყო. კონცერტის ბოლოს უსათუოდ მოვიდოდა, მარინეს ნომერს გამოართმევდა, პალტოს აუღებდა და ისეთი მოხდენილი დარდიმანდობით ჩააცმევდა, რომ მარინე მაღლობით სავსე თვალებით შეხედავდა. ლევანი რამდენიმე წლით უფროსი იყო და გოგონებს ესეც მოსწონდათ. უფრო სწორედ, 'სიამოვნებდათ, დიდი ბიჭის ყურადღებას რომ იმსახურებდნენ...

— როგორა ხარ, დაკარგულო გოგო? — ჰკითხა ლევანმა ღიმილით...

— ო, ლევან, როგორ გამეხარდა, რომ იცოდე...

ლევანმა მკლავში ხელი გაუყარა:

— შეიძლება ცოტა გაგაცილოთ?.. — თან ისეთი სერიოზული სახე მიიღო, რომ მარინეს გაეცინა:

— კარგი იქნება, რამდენი ხანია შენთან არ მილაპარაკია...

— მე მთელი საუკუნე მეგონა... ნამდვილად კი თურმე რა ნელა გადის დრო...

ლევანი მარინეს მიჰყვებოდა და თან ნაცნობებს წამდაუწუმ ესალმებოდა.

— ლევან, რამდენს იცნობ!

— მე მთელ თბილისს ვიცნობ...

— ალბათ კარგია, როცა ამდენი ნაცნობი გყავს...

— ჰო, კარგიცაა და ცუდიც...

— ცუდი?

— ეჰ...

ლევანმა ხელი ჩაიქნია:

— მარინე, გახსოვს უკანასკნელად რომ მიგაცილე სახლში. მაშინ შენს ქუჩაზე აკაციები ჰყვოდნენ... სად დარჩა ის დრო?..

— თეთრი აკაციების იქით...

ორივემ გაიცინა...

— მარინე, რაც იყოს, იყოს, გეტყვი: მე შენ მიყვარდი...

— ლევან...

მარინემ იგრძნო, რომ გაწითლდა. თითქოს გაუხარდა კიდევ, არა, მას არა, სულის სიღრმეში გაუხარდა რაღაცას, რომელიც მას აღარ ეკუთვნოდა.

— ძალიან მიყვარდი... ნუთუ ვერ გრძნობდი, გამოსტერებული თვალე-ბით რომ გიყურებდი...

ლევანმა ისევ გაიცინა... გაიცინა გულიანად, სინანულის ნატამალიც კი არ იყო ამ სიცილში...

— ლევან, ტყუილ... როგორ შემეძლო მე, საწყალსა და უმწეო გოგოს, შენი სიყვარული არ შემემჩნია...

მარინე ახლა განგებ ხუმრობდა, იცინოდა, უნდოდა მისი სიცილიც ლევანის სიცილს დამსგავსებოდა, მასავით უდარდელი ყოფილიყო, მაგრამ გრძნობდა, რომ თავს ძალას ატანდა. უცნაური იყო, ლევანის სიყვარულის გამხელამ იგი ააღელვა, მათრობელმა ძალამ დაიპყრო მისი არსება, სულ სხვა მხარეს გაიტაცა წამით.

„თეთრი აკაციების იქით“.

— მარინე, მე შენ მიყვარდი, — თითქო ხელმეორედ შემოესმა, მაგრამ უფრო შორიდან. ახლა სხვა ეუბნებოდა ამ სიტყვებს... იმ სხვას არ ჰქონდა ასეთი უდარდელი სიცილი. მისი ხმა ცახცახებდა, წვალობდა და ცეცხლის ალივით ეკიდებოდა მარინეს სხეულს.

„ეს ხომ ნიკას ხმაა!“ — მიხვდა უეცრად მარინე: „ნიკას ხმა!“

მარინეს გაუხარდა: უნდოდა მინებებოდა ამ თავბრუდამხვევ ცთუნებას, მაგრამ უეცრად გამოერკვა, რადგან ლევანის ხელის მოჭერა იგრძნო.

— გახსოვს თუ არა? — ეკითხებოდა ლევანი.

— მახსოვს, როგორ არა...

არ იცოდა რაზე პასუხობდა, მაგრამ ლევანს მისი დაბნეულობა არც კი შეუტყვია, იგი რაღაცას ყვებოდა.

— ჰოდა, იმის მერე...

ლევანი გაჩუმდა.

— რა იმის მერე?

— იმის მერე შემეყვარდი, მარინე... თუმცა რაღადროს ესაა, შენ უკვე გათხოვილი ხარ...

* — განა გათხოვილი ქალის სიყვარული არ შეიძლება? — შეეხმაურა მარინე.

— მარინე, გადამრევ!

ლევანმა ხელეები გაშალა:

— იცოდე, აქვე დაგიჩოქებ...

მარინე იცინოდა:

— ლევან, რა სულელი ხარ!

„განა გათხოვილი ქალის სიყვარული არ შეიძლება?“

თითქოს ისევ იმ ბურანში დაბრუნდა, თითქო ნიკას ხმას შეესიტყვა, თითქო თავის გასამართლებელი რაღაც იპოვა.

— დავიჩოქო? — ეკითხებოდა ლევანი...

— წამო, ლევან, ვიართო...

„საკვირველია, არიან კაცები, რომლებთანაც რაც არ უნდა თქვა, რაც არ უნდა გააკეთო — თითქო არაფერი მომხდარა, არავითარი დანაშაულის გრძნობა არა გაქვს. მათ არ შეუძლიათ რამე გატკინონ...“

— მარინე, კიდევ უკრავ?

— ჰო, ვუკრავ, ჩემთვის...

— სამწუხაროა... შენ ძალიან კარგად უკრავდი...

— არა, ლევან, მე არ ვუკრავდი კარგად... მეგონა, რომ ვუკრავდი...

მარინეს ცოტათი კიდევ ეწყინა, ლევანმა რომ სხვა რამეზე დაუწყო ლაპარაკი... ეწყინა, მაგრამ მაშინვე თავისთავს გაუჯავრდა.

— მოდი, მარინე, ჩვენი შეხვედრის აღსანიშნავად, დღეს კონცერტზე წავიდეთ... გერმანელი დირიჟორია ჩამოსული.

— მართლა?

— სიმფონიური ორკესტრი მაინც და მაინც არ მიყვარს, მაგრამ...

— მაგრამ რა?..

— ყველა ამბობს, კარგიაო და მეც ვუჯერებ...

მარინემ გაიცინა:

— მომწონს შენი გულახდილობა...

— გმადლობთ... წავიდეთ თუ არა? ახლავე მითხარი, ბილეთები უნდა ავიღო...

— არ ვიცი... დათოს ხომ უნდა ვუთხრა...

— უთხარი მერე, დათო სად არის?

— დათო მშენებლობაზეა, საბურთალოზე...

— წავიდეთ და ვუთხრათ...

— მე წავალ და ვეტყვი...

— რატომ, გამოგაცილებ... ჯობია ორივე წარვდგეთ კერპის წინაშე...

— კარგი, წავიდეთ...

— აბა, მე ტაქსი ავიყვან...

დათო არც ისე ადვილი მისაგნები იყო. მარინე ერთხელ მოვიდა აქ დათოს სანახავად. მის მერე ბევრი რამ შეცვლილიყო. ირგვლივ ახალი სახლების შენება დაეწყო. ყველგან აგური, კირი და ცემენტი ეყარა. ტაქსი მოშორებით გააჩერეს და თვითონ კითხვა-კითხვით გაუდგნენ გზას. ზოგჯერ დათოს არ იცნობდა, ზოგი ხელს იშვერდა: „აგერ, ეო!“ სახლებს შორის უზარმაზარი გუბები იდგა, ქუჩყიან წყალში ამწეების ანარეკლები თრთოდნენ.

ბოლოს, როგორც იქნა, მიაგნეს დათოს.

— დათო! — დაუძახა მაღალმა ქერა ქალმა, რომელსაც შარვალი ეცვა: — შენთან არიან!

დათომ უშემაჯობებლად ფანჯრიდან გადმოიხედა, მარინე რომ დაინახა, ხელი დაუქნია:

— ახლავე ჩამოვალ...

ლევანი იდგა და ფიჯაკიდან მტვერს წკიპურტით იშორებდა. მეტად შე-

წუხებული სახე ჰქონდა და თუმცა ნაძალადევად იღიმებოდა, აშკარად ბოდა, რომ ცოტა დაბნეული იყო.

დათო სატვირთო ლიფტს ჩამოჰყვა და მათკენ წამოვიდა. ვეება ხელთათმანები გაიხადა და ჯიბეში ჩაიწყო. ახლოს რომ მივიდა, ლევანს თავი დაუქნია და მარინეს ღმილით კითხა:

— რა მოხდა, რა ქარმა გისროლა?

— დათო, ჯერ გაიცანი, ჩემი ამხანაგია — ლევანი...

ლევანმა ქუსლები ერთმანეთს მიართყა, წელში ოდნავ მოიხარა და ხელი გაუწოდა.

— დათო, — უთხრა მარინემ: — კონცერტზე მინდა წავიდე...

— კონცერტზე მე ვეპატიყები მარინეს, გთხოვთ ნება დართოთ...

დათომ გაკვირვებით შეხედა მარინეს:

— მარინე, რა კითხვა გინდოდა, ისე წასულიყავი...

— რა ვიცი...

— კი, ბატონო, თუ კი ჩემი თანხმობა აუცილებელია...

ლევანი ისევ მოიხარა:

— გმადლობთ...

— ვიფიქრე, დაგაგვიანდებოდა და იმიტომ მოვედი...

— მეც სიამოვნებით წამოვიდოდი, რომ მეცალოს. — დათო მიტრიალდა და სახლისკენ ხელი გაიშვირა: — ვამთავრებთ.

— ვიცი, რომ არ გცალია...

მატარებელი ამ ადგილას სვლას უკლებს. იგი მიდის ნელა, უზარმაზარი და მძიმე... გაჩაღებული ფანჯრებით. შლაგბაუმთან ხალხი მოგროვებულა, მატარებლის გავლას უცდიან. დგანან მანქანები, ურმები, ველოსიპედიანი მგზავრები. ხალხს მატარებლის ყურება უყვარს. მატარებელი ჰგავს ბორბლებზე შემდგარ სახლს. კაცს უყვარს ყველაფერი, რაც კი სახლს აგონებს. გარდა ამისა, მატარებელი დადის სწრაფად და მოძრაობის დროს იგი განსაკუთრებით ლამაზია. დამით კი იგი შეუღარებელია: ვეებერთელა შავი ლანდი განათებული ფანჯრებით და მისი ხმაური, რომელიც წვიმის ხმასავით ათას რამეზე დაგაწყებინებს ფიქრს.

შლაგბაუმთან დგას პატარა გოგონა და მატარებლის გავლას უცდის. თუმცა გოგონას სრულებითაც არ უნდა, რომ მატარებელმა ჩქარა გაიაროს. ის უყურებს მატარებელს და ახსენდება, რომ თვითონაც სადღაც უნდა წასულიყო, მაგრამ სად? აი, ეს კი არ ახსოვს. იქნებ იგი ამ მატარებელს უნდა გაყოლოდა? იქნებ ამიტომაცაა ერთი ფანჯარა ჩაბნელებული? მატარებელი სვლას უკლებს. იგი ახლა გამოკვეთილად მოჩანს ბინდში და შლაგბაუმთან გაჩერებული მანქანების ფარების შუქზე იმ სადგურის ამოკითხვაც კი შეიძლება, რომლისკენაც ახლა მატარებელი მიდის. გოგონა დგამს ნაბიჯს წინ, მაგრამ უხეში შეძახილი აჩერებს:

— ფრთხილად!

ამ სიტყვას გოგონა უკვე შეეჩვია. ეს სიტყვა ბავშვობიდან ესმოდა. რაც არ უნდა გაეკეთებინა, რაც არ უნდა ეთქვა, მაშინვე გაიგონებდა:

— ფრთხილად, ფრთხილად!

და გოგონაც გადაეჩვია რკინიგზაზე სირბილს, ქალაქის გარეთ მინდორში ხეტიალს, თავის მეგობარ პატარა ბიჭთან ერთად თამაშს. პატარა ბიჭს ჰქონდა ჯიუტი თვალები და არაფრის არ ეშინოდა. იგი ერთხელ ჩაჯდა მატარებელში



და წავიდა შორს. გოგონამ დააგვიანა. ახლა დგას ჩაკეტილ შლაგბაუმთან და მატარებელს უყურებს.

„ნუთუ ისიც უნდა წასულიყო ამ მატარებლით?“ — ფიქრობს ის.

მატარებელი უმატებს სვლას და ნელ-ნელა ბინდში ჩკარგება. ერთმანეთის მიყოლებით ქრებიან მატარებლის ფანჯრები.

მარინე ტაშს არ უკრავდა. ის იჯდა და ფიქრობდა. დიდხანია ასე არ უმოქმედია მუსიკას. თითქო მის არსებაში ვიღაც მეორე ცხოვრობდა, მიტოვებული და მივიწყებული. ახლა მან გაიღვიძა, თითქო მუსიკა ის ენა იყო, რომელზედაც ლაპარაკობდა, და რადგან აქამდე მისი არ ესმოდათ, ახლა თავისუფლად დაიწყო ბორიალი სულში და თითქო მიყუჩებული ტკივილებიც გაანთავისუფლა.

— მუსიკა, — იტყოდა ხოლმე მარინეს ფრანგულის მასწავლებელი: — ეს უკვდავი ენაა, რომელიც ჩვენ ხანდახან გვესმის ხოლმე, დიდი მწუხარებისა და სიხარულის ჟამს.

მასწავლებელი ჭიკაძე, მსუქანი კაცი იყო, მას მალაფარდოვანი ლაპარაკი უყვარდა და ხშირად დიდ მოაზროვნეთა სახელებს იშველიებდა.

მარინეს ახლა რატომღაც გაახსენდა მასწავლებლის ნათქვამი სიტყვა. მასწავლებელმა თვალები ჭერს მიაპყრო და ხელი მკერდზე მიიღო:

— ლარომდეკოს უთქვამს: „განშორება უცნაური რამ არის, იგი სპობს წუთიერ გატაცებას, ნამდვილ სიყვარულს კი ზრდის, ისევე როგორც გრიგალი აქრობს სანთელს, მაგრამ ხანძარს კი აჩაღებსო“.

„ხანძარი თეთრი აკაციების იქით“, — გაიფიქრა მარინემ და გაიღვიძა. ასე უყვარდა ლაპარაკი მის მასწავლებელს.

— ვადასარეგია სიბელიუსი, — თქვა ლევანმა: — თოვლი და სანთლები

— ჰო, თოვლი და სანთლები, — გაიმეორა მარინემ.

„საკვირველია, რა სხვადასხვანაირად ფიქრობენ ადამიანები“...

დაბალ ტახტზე წამოწოლილი დათო წიგნს კითხულობდა. მარინე შემოვიდა და მაგიდასთან გაჩერდა. ჟურნალი აიღო, გადაფურცლა და ისევ მაგიდაზე დააგდო. ცოტახანს ისე იდგა, მერე წიგნების კარადასთან მივიდა, გააღო და თაროზე შედგმული ჭერა თოჯინა გადმოიღო. თმა გაუსწორა, წამოიღო და მაგიდაზე დასვა. თვითონ მაგიდას იდაყვებით დაეყრდნო და თოჯინას შეაკვირდა. უყურა, უყურა და მერე ძალიან ხმადაბლა თქვა:

— მეტი აღარ შემიძლია...

დათოს წიგნი არ მოუშორებია, ისე ჰკითხა:

— რა იყო, მარინე?

— მეტი აღარ შემიძლია-მეთქი...

— რა აღარ შეგიძლია? თქვი...

— აღარ შემიძლია ასე ცხოვრება...

დათომ წიგნი გადააგდო:

— როგორი ცხოვრება? ამიხსენი...

— არ ვიცი, არ ვიცი... ოღონდ კი ერთი ნამდვილია... აღარ შემიძლია...

დათო უეცრად გამოიცვალა. წამოდგა, მარინესთან მივიდა და ხელი მოაკიდა:

— მარინე...

მარინემ თვალი აარიდა.

— მარინე!

მარინემ ხმა არ გასცა...

— ჩემთან ცხოვრება აღარ შეგიძლია?

დათოს ხმა ჩაუწყდა, ყბა აუცახცახდა.

— მითხარი!

ეს უკვე ყვირილი იყო. დათოს თვითონვე გაუკვირდა და შეეშინდა:

— მითხარი, — დაუყვავა.

მარინე დუმდა. ტუჩები მოექუმა და გვერდზე იყურებოდა, ფერი დაჰკარგოდა და ხელები მკერდზე მიეკრა.

— მითხარი, მარინე, მითხარი.

ახლა უკვე ევედრებოდა დათო. ევედრებოდა, მაგრამ გრძნობდა, რომ პასუხის მოსმენა არ უნდოდა, რალაცას გრძნობდა, არ იჯერებდა და თუმცა „მითხარიო“, უმეორებდა, უნდოდა მარინეს არაფერი ეთქვა. ასე ჩუმად მდგარიყო და არაფერი ეთქვა...

— მითხარი, მითხარი!..

მერე უეცრად მოდუნდა, მოეშვა, ხელები ჩამოუვარდა და აცახცახებული, გაბზარული ხმით უთხრა:

— შენ არ იცი, შენ არ იცი, როგორ მიყვარხარ.

თავისი სისუსტის თვითონვე შერცხვა, შერცხვა, მაგრამ უკან აღარ დაიხია, თანდათან აუწია ხმას, ახლა უკვე მართლა იყვირა:

— მიყვარხარ!

მერე ხელები მხრებში მაგრათ ჩაავლო:

— ხმა ამოიღე, მარინე, ხმა!

მარინე დუმდა. იგი გაკვირებული იყო. ის, რისიც ეშინოდა, მოხდა, მაგრამ დათოსგან ამას კი არ ელოდა. დათოს ასე არ იცნობდა...

— გამიშვი ხელი...

დათომ უბიძგა და მარინე კედელს მიეჯახა. მერე თითქო განოერკვა და მთელი სიცხადით შეიგნო ყველაფერი. ცოტახანს ასე გაშტერებული იღვა, მერე მოტრიალდა, მარინეს არც კი შეხედა, ფანჯარასთან მივიდა და ფარდა გადასწია.

— დათო, განა არ უნდა მეთქვა, რასაც ვფიქრობდი?

დათომ ხმა არ გასცა.

— ჩვენ დამაღობანას ვთამაშობდით. მაგრამ შენ კი არა, თითქო საკუთარ თავს ვემაღებოდი... როდემდე უნდა ყოფილიყო ასე?..

დათომ არც ახლა გასცა ხმა...

7

— ნიკა, ნიკა, მე უბედური ვარ...

ნიკა დაბნეული იყო, არ იცოდა, რა ეთქვა. არც ის იცოდა, უხაროდა თუ სწყინდა მარინეს მოსვლა. თუმცა მის დაბრუნებას გულის სიღრმეში ყოველთვის ფიქრობდა, ევერებოდა ამ ფიქრს, ელოლიავებოდა, ანებიერებდა და ზრდიდა, მაგრამ ახლა, როდესაც ატირებულ მარინეს პირისპირ შერჩა — დაიბნა და ვერაფერი თქვა.

„ნუთუ მარინეს ეგონა, რომ მე არაფერს ვეტყოდი?..“

— გაიხადე საწვიმარი...

მარინემ თავი მაღლა ასწია და შეაჩერდა:

— ნიკა...

ის აღარ ტიროდა, ცრემლიანი თვალებით უცქერდა და თან თმებს მაღლა აწევდა, ისწორებდა. მერე საწვიმარი გაიხადა, იქვე, სკამზე გადაკიდა და ნიკასთან ახლოს მივიდა:

— ნიკა, თუ შენ...

— დაწყნარდი, მარინე, დაწყნარდი...

— თუ შენ კიდევ გიყვარვარ, ხელს ნუ მკრავ, მე ახლა არსად არა მაქვს წასასვლელი, რაღაცა შემართება, თვითონ არ ვიცი რა...

— მე არც წინათ მიკრავს ხელი...

— ჰო, მართალი ხარ. ნუთუ არაფრის დავიწყება არ შეგიძლია?

— მე ისე ცოტა რამ მახსოვს, რომ...

— ნიკა, ნიკა, ყველაფერს ნუ მათქმევინებ... ნუ მათქმევინებ... მეგონა, არ შემირთავდი...

— შეიძლება მართალიც იყავი...

— ნიკა!

— ჰო, შეიძლება მართალიც იყავი... განა მე მაშინ ცოლის შერთვა შემეძლო, ან განა ახლა ვარ საცოლედ მოწყობილი. განა დედაშენმა არ თქვა: მაგას შეიღს როგორ გავატანო. ალბათ მართალი იყო ქალბატონი ეკა. ყველაფერი ის, რასაც შენ ფიქრობდი, რაზედაც ოცნებობდი, რისთვისაც გამზადდებდნენ და გზრდიდნენ — მე ნამდვილად არ შემეძლო მომეცა...

— ნიკა, შენ ხომ გიყვარდი...

— განა ეს საკმარისი იყო?..

— საკმარისი... მართალი ხარ, ნიკა... ყველაფერი ახია ჩემზე...

— მე ნიშნის მოგებით არ გელაპარაკები, უბრალოდ ვახსენებ — ასე და ასე იყო-მეთქი.

— ისედაც ყველაფერი გავიხსენე, გავიხსენე და ცრემლით გამოვიტირე, განა რასმეს უშველის ცრემლი...

— ცრემლი ბევრ რამეს შველის. ცრემლი სიკვდილსაც კი ამსუბუქებს... ცრემლს გააჩნია...

— სინანულის ცრემლია ყველაზე ძნელი...

— სინანულის ცრემლი ადვილია, ტირი და გსიამოვნობს, გამშვიდებს, გატყუებს და ბურანში ვითრევს. გგონია მართალი ხარ, რადგან სტირიო...

— განა ვიტყვია როდისმე?

— არა, არასოდეს არ მიტყვია...

— აბა, არ გცოდნია რა არის ცრემლი...

— ჯობია დავანებოთ ასეთ ლაპარაკს თავი... თმა დიეჩარცხნე...

მარინეს თმები... განა შეეძლო აუღელვებლად ეცქირა. ის ეკუთვნოდა მისი სიზმრებისა და ოცნებების სამყაროს. ხშირად წარმოიდგენდა, როგორ ივარცხნინდა მარინე თმას, როგორ ტკაცუნობდა სავარცხელი და როგორ არ თმობდნენ თავისუფლებას ჯიუტი თმები... მათ ჰქონდათ წვიმის უცნაური თვისება — შეეძლოთ შეეცვალოთ განწყობა კაცისათვის...

მარინემ გაიღიმა:

— გაწეწილი ვარ...

ხელჩანთიდან სავარცხელი ამოიღო და სარკესთან მივიდა. ნიკა მიტრიალდა. მას თითქო ეშინოდა ოცნებაში წარმოდგენილი სურათის დარღვევისა...

— ახლა შეიძლება შემომხედო...

ნიკა არ მობრუნებულა, სიგარეტი ამოიღო და მოუქიდა.

— მარინე, — დაიწყო მან და გაჩუმდა. უძნელდებოდა. რის თქმასაც აპირებდა, უქირდა, ფიქრობდა, იქნებ არც არის საქიროო, მაგრამ მაინც თქვა:

— მარინე, შენ კარგად იფიქრე?..

— არა, მე არაფერი მიფიქრია... ავდექი და წამოვედი... ნიკა, შენ არ იცი...

— მარინე, არ მინდოდა ეს მეთქვა შენთვის, მაგრამ... იმასაც გეტყვი, რომ მე მეტად მოსაწყენი კაცი ვარ, უფერულ ცხოვრებას ვეწევი, დღისით ვხატავ, საღამოობით კინოში ვმუშაობ და იქ აღებული ხელფასია ჩემი შემოსავლის ერთადერთი წყარო...

— ნიკა!

ნიკამ შეხედა მარინეს, მას თვალები ცრემლით გავსებოდა და ტუჩები უთრთოდა... შეეცოდა, თუმცა შეცოდება ყოველად უადგილო გრძნობა იყო ახლა... მან მარინეს ხმაში, ცრემლებსა და გამოხედვაში რაღაც ახალი დაინახა; ეს მარინეს არ ჰგავდა. ეს არ იყო ძველი სიამაყე, არ იყო გულგრილი, უზრუნველი, არაფრისმთქმელი სიტყვა. მისი ცრემლები ნამდვილად სწვავდნენ და მის სიტყვებს გულიდან ამოყოლილი წუხილი ახლდა თან. რა იყო ის, რა უჩინარი და დაუძლეველი ძალა არღვევდა მის არსებას, აფორიაქებდა გონებასა და სულს და, როგორც მორევში მოყოლილს, აქეთ-იქით ახეთქებდა.

— ნიკა, შენ არ იცი... მეც ვერ მითქვამს, ვერ გამოგებინებია, სიტყვა არ მყოფნის ვითხრა ის, რასაც განვიცი... ზღვაზე ერთხელ ვნახე, გემის ღუზა ვერაფრით ვერ ამოათრიეს. ეტყობა, ფსკერზე რაღაცას წამოედო და მაგრად ჩაიჭედა შიგ. გემი ცახცახებდა და ვერსად კი ვერ მიდიოდა. აი ის ღუზა, ფსკერზე რაღაცას წამოდებული ღუზა, მთელ ჩემს ცხოვრებას ერთ ადგილას ჰყინავდა და ნაბიჯსაც ვერ ვდგამდი ისე, რომ მისი უხეში მოჭაჩვა არ მეგრძნო. დღეს ღუზაზე მობმული ჯაჭვი უეცრად გაწყდა და ახლა ასე უაზროდ მოგებტე აქ... არ ვიცი, სწორია თუ არა ჩემი საქციელი, მე ახლა არაფერი არ ვიცი...

ნიკა მივიდა, მხარზე ხელი მოჰხვია:

— დამშვიდდი, დამშვიდდი, მარინე...

რა უნდა ეთქვა? ეს არ იყო მარტო საყვარელი ქალის მიერ მისი გახსენება და მათი სიყვარულის გამეორება...

და ნიკა უეცრად მიხვდა: მას უნდა გადაეწყვიტა, მიეღო თუ არა მარინე, რადგან მარინეს მიღება მისგან განსაკუთრებულ ძალას მოითხოვდა. მას უნდა გაეგო — ჰქონდა თუ არა თვითონ ის უნარი, რომელიც ასე აფრასავით აწყვეტილ, მშფოთვარე სულს დაამშვიდებდა და კალაპოტში ჩააყენებდა, ჰქონდა თუ არა მას ის სუნთქვა, რომელსაც ჩაჰბერავდა მარინეს, რათა მას ახლებური ცხოვრება დაეწყო...

„გაქვს თუ არა უფლება მოატყუო ადამიანი, რომელიც შენგან შევლას მოითხოვს?“

ამდენი ფიქრი, ამდენი განსჯა და აწონ-დაწონა! საიდან მოდის, საიდან გაჩნდა? ნუთუ ეს იმის ბრალია, რომ მარინე აღარ მიყვარს...

ფიქრი... ამდენი ფიქრი...“

ნიკას ოთახში გაჩერება აღარ შეეძლო, მისთვის აუცილებელი იყო სადმე წასვლა, ქუჩაში გავლა, ხეებისა და ცის, სახლებისა და მთების დანახვა, რათა ცოტა გამორკვეულიყო, გონზე მოსულიყო და მარინესთვის პასუხი გაეცა.

— მარინე, მამატიე, მე ცოტახნით უნდა წავიდე, საქმე მაქვს, მალე დაე-

ბრუნდები, შენ დამშვიდდი, დაისვენე, ნუ იტირებ ოღონდ, იცოდე...

ნიკა ქუჩაში გამოვიდა და ნელი ნაბიჯით დაღმართს ჩაუყვავა. განუწყვეტელი წვიმის შემდეგ დღეს დალიდანვე გამოედარა და გაზაფხულის მზეს უცებ წაეშალა წვიმის კვალი. მარტო აკაციების გამძაფრებული სურნელი და ფოთლების ხასხასი იწვევდა წვიმის გახსენებას. ხეების ჩრდილი უკვე სასიამოვნო გამხდარიყო და ნიკა ტროტუარის გვერდით დარგულ ჭადრის პატარა ხეებს მიპყვებოდა. აჰ, ქალაქის შუაგულშიც კი, იგრძნობოდა გაზაფხულის სუნი, რომელიც დიდი თოვლის შემდეგ ასდის ხოლმე გაზაფხულს. გაზაფხულის სურნელი, ქალაქში გაგონილი მამლის ყვილივით, აბიზინებულ მინდვრებსა და მოშრიალე ჭალებზე ვაფიქრებინებდათ და სადღაც ბავშვობაში თუ მატარებლის ფანჯრიდან დაინახული მდინარის პირას მდგარი ტირიფებივით უსაზღვროდ გაშლილ გაზაფხულზე მკაფიო წარმოდგენას ჰქმნიდა.

ნიკა მიდიოდა და, საკვირველია, არაფერზე ფიქრობდა. ის სულითხორცამდე გაზაფხულს მინებებოდა და ნაწვიმარზე გამოაშკარავებული ქუჩის ფერები უცნაურ ასოციაციებს აღუძრავდა. ეს ფერები ნელ-ნელა რომელიღაც ნაცნობ მელოდიაში გადადიოდა და ნიკა დაჟინებით ცდილობდა მის გახსენებას.

ქუჩაში უამრავი ხალხი ირეოდა. ვადიებს ბავშვები გამოეყვანათ და პატარა ოთხთვალა ეტლებს, რომლებშიც ბავშვები ისხდნენ, ნელა მიაგორებდნენ. მოდიოდნენ სტუდენტები, ხელჯოხიანი მოხუცები და მუდამ საყელოშებნეული სამხედროები.

გაზაფხულის დღეს საზეიმო განწყობილება გადაეცა მათთვის და აკაციების თეთრი, უზარმაზარი ფრთებით ქალაქი თითქო მალდა, პაერში ეკიდა.

ნიკას უეტრად გარკვევით მოესმა მუსიკის შორეული ხმა. ეს ხმა ახლოვდებოდა და ფარავდა ყველაფერს. იგი იღვრებოდა სახლების სახურავებიდან, ტელევიზორისა და რადიოს ანტენებიდან, ხეებიდან და გამკლელთა სხეულებიდან. ხმა იყო ნაცნობი, ძალიან ნაცნობი და მახლობელი და ნიკას უცბათ გაახსენდა, სად მოისმინა ეს მუსიკა პირველად. ეს იყო ამ რამდენიმე წლის წინ. მარინემ ნიკას კონსერვატორიის ბილეთი მისცა და სთხოვა, უსათუოდ, უსათუოდ მოდიო. ნიკა დაპირდა, დაპირდა და შეასრულა კიდეც. წავიდა, კოსტუმი გააწმენდინა, დააუთოვებინა; სუფთა, თეთრი პერანგი ჩაიცვა და ყელსახვევიც გაიკეთა. კონსერვატორიაში რომ მივიდა, კონცერტი უკვე დაწყებული იყო და თერთმინამა ქალმა ნიკა პარტერში არ შეუშვა. „ჩუმიად, ჩუმიად, ახალგაზრდავ“ — უთხრა და ხელით ანიშნა, მალდა ადიო. ნიკა კიბეებზე ავიდა და ქანდარის კარი შეაღო. იატაკი საშინლად ჭრაჭუნობდა და რამდენიმე გოგონამ წყენით მოხედა. ნიკა წავიდა და წინ, ქანდარას გაყოლებულ მოაჯირთან, სვეტს მიეყრდნო.

მას მუსიკა ძალიან უყვარდა, მაგრამ თავს უსმენოდ თვლიდა და კონცერტებზე იშვიათად დადიოდა. მან ახლა არც პროგრამა იცოდა, მაგრამ, როდესაც სცენაზე როიალთან მჯდარ მარინეს შეხედა, მიხვდა, რომ მარინე შოპენის ნაწარმოებს უკრავდა. ეს ბოლო დღეები მარინე სულ შოპენზე ლაპარაკობდა და სხვა არაფრის ვაგონება არ სურდა. მარინე ამბობდა, რომ შოპენი მისთვის სიცოცხლეს ნიშნავდა და ხშირად მისი მხოლოდ ერთი, ყვავილის ღეროსავით ნაზი ფრაზა ბედნიერებით ავსებდა.

მარინეს თეთრი კაბა ეცვა და როიალის ფრთის ქვეშ შეფარებული, თავდახრილი უკრავდა. ნიკას მოეჩვენა, რომ მარინე კი არ უკრავდა, არამედ შავისა და თეთრის მარადიული კონტრასტი გამოსცემდა დიდებულ ბგერებს, და ენა-ადამური უსულო საგნის უსაზღვრო ზემოს დაეპყრო ეს მაღალი, თეთრი კედ-

ლები, ჭერი და ადამიანები, რომლებიც წინ ისე გადახრილიყვნენ, თითქმის მიუცხვარებლად ციებულნი ცეცხლს ეფიცებოდნენ.

ამ არაჩვეულებრივად ლოგიკური და ზღაპრული ფრინველებით ფრთაგამ-
 ლილ ფრაზეზში ისმოდა ადამიანის დიდი გულის ხმა და ნამდვილ მოთქმასავით
 და სიხარულივით დიდებული იყო.

ეს იყო უკიდევანო ველებზე მარტოხელა მხედრის სევდიანი სიმღერა და
 თოვლში ჩაკარგულ სადგურებში დაგვიანებული დილიქანსის ეყენების წყარუ-
 ნი. ეს იყო ქანდაკებებით სავსე ბაღში თეთრი გედების მეფური ცურვა და ქვე-
 ზე გარჩენილი ხომალდის ჭრიალი.

ეს იყო მაღალი კოცონების ბრიალი და მეტყვევს ქოხის პაწია სინათლის
 ციმციმი.

მარინემ დაამთავრა და ნიკა ხალხს გარეთ გამოჰყვა. მას უხაროდა, რომ
 მარინემ ასე კარგად დაუკრა და „მივეულოცავო“, — იფიქრა, კიბეზე ჩაივინა და
 სცენაზე შესასვლელ კართან მივიდა. კარგად ჩაქმული ახალგაზრდების ჯგუფი
 მარინეს შემოხვეოდა და სახეაგზნებულები, ხელების ქნევით რაღაცას ელაპა-
 რაკებოდნენ. ოდნავ ფერდაკარგული მარინე ყველას ღიმილით უცქერდა და
 თეთრ ვარდებს, მისთვის რომ მიერთმიათ, მკერდში იხუტებდა. იქვე რამდენიმე
 გამოწკებილი ბიჭი იდგა და ნაძალადევი გულგრილობით უმზერდნენ ყველას.
 ნიკამ იცოდა, ვინც იყვნენ ისინი. ასეთი ბიჭები მას ბევრჯერ შეხვედრია და
 ყოველთვის უსიამოვნო გრძნობა დარჩენია. ისინი კონსერვატორიისა და თეატ-
 რების ფოიეში ლომებივით მედიდურად დადიან. პიჯაკის პატარა ჯიბიდან გა-
 ქათქათებულები ცხვირსახოცები მოუჩიანთ და უკანასკნელი მოდის მიხედვით შე-
 კერილ კოსტუმებს ქალების კეკლუცობით ამზურებენ. ყველა კინომსახიობის
 სახელი იციან და ხელოვნებაზე დაღლილი სახით საუბრობენ. მათ ზოგიერთი
 მუსიკოსისა და მწერლის სახელი ამოჩემებული აქვთ და თუ, მათთან საუბარში,
 სხვა ვინმეს მოიწონებ — ცხვირაბზეკილები გადმოგხდავენ.

სწორედ ახლა ერთი ასეთი ტიპი ესაუბრებოდა მარინეს. ცალი ხელი ჯი-
 ბეში ჩაედო, ცალით კი უცნაურ ქესტებს აკეთებდა და ეტყობოდა, მარინეს
 ჭკუას ასწავლიდა და რაღაცას უხსნიდა. ნიკას გული დაწყდა, როდესაც დაი-
 ნახა რა ყურადღებით უსმენდა მარინე. მივიდა, იმ ბიჭს ზედაც არ შეხედა, ოდ-
 ნავ მხარიც კი გაჰკრა და მარინეს უთხრა:

— მარინე, ძალიან მომეწონა...

მარინე მაშინვე მოუბრუნდა, ამხანაგებს მოცილდა, ნიკას მკლავში ხელი
 გაუყარა და უთხრა:

— როგორ მიხარია. რომ მოხვედი... წამო, ცოტა გავიაროთ...

ლენინის მოედანზე ისე ჩაივინა, არც კი გაუგია. ტაქსების სადგომთან რომ
 მივიდა, გაჩერდა, რიგში ჩადგა და ტაქსს დაუწყო ლოდინი. უცებ გადაწყვიტა
 მამიდასთან წასულიყო დიდუბეში. თვითონაც არ იცოდა, რა ეწეოდა იქ, მაინც
 და მაინც ახლა რად უნდოდა იქ წასვლა.

ნიკას წინ ცოლ-ქმარი იდგა. უცნაურია, ცოლ-ქმარს მაშინვე იცნობ, ათას
 კაცში გამოარჩევ, შეატყობ, რომ ისინი ცოლ-ქმარი არიან. მაღალსა და გამხდარ
 ქალს წითელყვავილებიანი კაბა ეცვა. თმები შედებილი ჰქონდა და თვალებთან
 გაჩენილ ნაოჭებში პუდრი ჩარჩენოდა. ქალი რატომღაც ღელავდა, ეჩქარებო-
 და და მალევე რიგიდან გამოდიოდა, წინ მიდიოდა და ხალხს ითვლიდა. წამ-
 დაუწუმე ეკითხებოდა, საით მიდიხართო და პასუხს რომ მიიღებდა, ისევ ქმრის
 გვერდზე ჩერდებოდა.

ქმარი დაბალი ტანის, მსუქანი კაცი იყო. სახეზე სისხლი ჰქონდა მოწო-

ლილი და, ეტყობოდა, წნევა აწუხებდა. ხელში ხორაგით სავსე კალათა და არავითარ ყურადღებას არ აქცევდა ცოლის წრიალს. ასეთი კაცები ყოველთვის მეუღლის დამჯერები არიან და კარგი სადილის მერე გემრიელი ძილისთვის ბეგრ რამეს თმობენ. უმთავრესად მანქანით დადიან და შოფრის გვერდით ჯდებიან, რადგან საუკეთესო ადგილი იქ ჰგონიათ. ეს კი იყო — მათ ურთიერთობაში დაფარული დაძაბულობა იგრძნობოდა. მანქანაში რომ ჩასხდნენ, ნიკამ განგებ ჰკითხა: რომელ მხარეს მიბრძანდებითო, მაგრამ ქალმა ცივად უპასუხა: „არა, გენაცვალე, ჩვენ მანქანა გვეჭირდებაო“, — და კარი მიიჯახუნა.

მამიდა მარიამი დიდუბეში პანთონის უკან ცხოვრობდა. აგურის ერთსართულიანი სახლი ეზოში იყო ჩადგმული და ირგვლივ აგურისვე კედელი ერტყა. ეზოში დიდი თუთის ხე იდგა. თუთის ქვეშ ქვისგან გამოთლილი სკამები ეწყო. ონკანს ყოველთვის რეზინის მილი ჰქონდა გაკეთებული. გრძელი, უცნაურად დაგრეხილი მილი ეზოში ეგდო. ამ მილით მარიამის ქმარი ესტატე ბოსტანს რწყავდა. ესტატე პენსიონერი მასწავლებელი იყო. თეთრი ჩესუნჩის კოსტუმში ეცვა და თავზე ჭილის ქუდი ეხურა. იჯდა მთელი დღე თუთის ქვეშ და გაზეთებს კითხულობდა. ესტატესთან იშვიათად დადიოდნენ სტუმრები, მას კი ლაპარაკი უყვარდა და თუ ვინმეს ხელში ჩაიგდებდა — აღარ მოეშვებოდა. ჯერ პაპიროსს ამოიღებდა, კარგად მოსრესავდა, მოუჟიდებდა, ფეხს ფეხზე გადაიდებდა და დაიწყებდა:

— ჰოდა, იმას გეუბნებოდი, ბატონო...

ესტატე ყოველთვის სინანულით ფიქრობდა, რომ პენსიაში აღრე გავიდა, რომ ჯერ კიდევ შეეძლო მასწავლებლობა და არც ისე დაბერებული იყო, როგორც სკოლის დირექტორს ეგონა. ესტატე ვერ ამჩნევდა მოწაფეების გაკვირვებულ მზერას, როდესაც გაკვეთილის ახსნის დროს უეცრად გაჩუმდებოდა და რალაცას მიაშტერდებოდა. იდგა ასე შუა ოთახში ხელზეგაშლილი, ცარციტ გასვრილ თითებს შუბლზე მოისვამდა და მოჩვენებას დაემგვანებოდა. იდგა და თითქოს რალაცას ფიქრობდა. მოწაფეები იცინოდნენ, ხმაურობდნენ, მერხიდან მერხზე ვადარობდნენ, ქაღალდის ჩიტებს უშვებდნენ და გაბმულად უსტვენდნენ. ესტატეს მაინც არაფერი ესმოდა. არავინ არ იცოდა, რაზე ფიქრობდა მასწავლებელი, ასე მიშტერებული რას უყურებდა და, სმენადქცეული, ვის უსმენდა. ერთხელ, როცა ესტატე ასე ჩაფიქრებული იდგა, დირექტორი შემოვიდა. ესტატეს არც დირექტორის შემოსვლა გაუგია და არც კლასში უეცრად ჩამოვარდნილი სიჩუმე. დირექტორმა ცოტა ხანს უყურა, უყურა და ისევ უკან გამობრუნდა, არაფერი უთქვამს, ოღონდ ბავშვებს მიუბრუნდა, ტუჩებზე თითი მიიღო — წყნარად იყავითო და კარი გაიხურა. არავინ არ იცოდა, რა ემართებოდა ესტატეს. ესტატეს მერე თვითონაც უყვირდა, მაგრამ ხმამალა თქმა ვერ გაეხდენდა, მაინც არავინ დამიჯერებსო. თან არც უნდოდა საიდუმლოს გამხელა, ეშინოდა, რომ ვთქვა, ჩვენება გაქრებაო. საქმე ის იყო, რომ ესტატე თავის შვილს — კახაბერს ხედავდა. კახაბერი ზღვის ნაპირას სილაში დარბოდა. ნაპირზე ხმელი ბალახი და ნაფოტი ეყარა. კახაბერს ნაფოტისაგან გემი გამოეთალა და ახლა წყალში უშვებდა. უკუქცეული ტალღა პაწაწინა გემს ისევ უკან ისროდა, კახა ბრაზობდა და მაინც არ ეშვებოდა. და აი, ერთმა ტალღამ აიტაცა ნაფოტის გემი და შორს, ძალიან შორს წაიღო. კახაბერს გაუხარდა:

— მამა, მამა, შეჩედე!

ესტატე ფხიზლდებოდა, ისევ დაფას უბრუნდებოდა და ცარციტ სწერდა:

$$(a + b)^2 = a^2 + 2ab...$$



უცნაური იყო — მისთვის ამ გაყინულ და მკაცრ მათემატიკურ ტერმინებს ყოველთვის სხვადასხვა მნიშვნელობა ჰქონდა. ისინი ესტატეს ხასიათის მიხედვით იცვლებოდნენ და ხან უდარდელად, გამბულად, ჩიტებით დახუნძლული მათულებივით დუღუნებდნენ, და ხან მკვეთრად და ძალიან ცივად გამოიყურებოდნენ, როგორც ყოველივე ის, რაც ცარცითაა დაწერილი.

იმ ბოლო დღეს, როდესაც ესტატემ სკოლა მიატოვა, კლასი განსაკუთრებული ყურადღებით უსმენდა მას და ესტატე გრძნობდა, რომ ყველაფერი გათავდა. ისევ მოწაფეების ხმაურს ნატრობდა და აღელვებული მერხებს შორის დადიოდა, ბავშვებს თმებზე ეფერებოდა და აცანცახებული ხმით ეუბნებოდა:

— მე ვიცი, რომ მათემატიკა ძნელად გულდასადები საგანია... ისიც ვიცი, ჩემი მოსმენა რომ გიჭირდით, მაგრამ გამიგონეთ და დაიხსომეთ: არ არსებობს ამაზე უფრო დიდებული და საინტერესო მეცნიერება. თქვენ პატარები აღარა ხართ და ალბათ იცით, თუ რას მიაღწია კაცმა... იჯ კოსმოსში ავიდა და აგერ ჩემს თვალწინ სასწაულებს ახდენს... მათემატიკა...

მეტი ველარაფერი თქვა და კლასიდან გავიდა... ესტატეს ერთადერთი საზრუნავი ახლა მარიამილა იყო. მარიამს ამ რამდენიმე წლის წინ სინათლე დაჰკარგვოდა. რა არ იღონა ესტატემ, სად არ წაიყვანა, ვის არ აჩვენა, მაგრამ ამაოლ. დარჩა მარიამი ასე უსინათლოდ. მაგრამ საქმეს მანც არ იშლიდა. გაგიკვირდებოდათ რომ ნახავდით — უსინათლო ქალი ოჯახში როგორ ტრიალებდა, სახლს როგორ ალაგებდა და როგორ ფუსფუსებდა.

სარეცხს დიდ, მოწნულ კალათში აწყობდა და კედელ-კედელ, ისე, რომ კედლებს თითის წვერებით ეხებოდა, ეზოში ჩაიღოდა, ექ სარეცხს თოკზე კიდებდა და მერე სკამზე ჩამოჯდებოდა. იჯდა სმენადქცეული, კისერგაწვდილი და დამაბული.

ესტატემ ნიკა რომ დაინახა, ძალიან გაუხარდა... წამოდგა, ხელგამოშლილი შეეგება და თუთის ჩრდილში სკამზე დასვა:

— სად დაიკარგე, ბიჭო, ასე უნდა? დავიწყება გამიგია, მაგრამ ასეთი?

პაპიროსი ამოიღო, მოუკიდა და განაგრძო:

— მამიდაშენი სულ შენს ხსენებაშია, ხომ იცი, საცოდავს პატარა რამე გაუხარდება... კაცი თბილისში ცხოვრობდეს და შაშიდას წელიწადში ერთხელ ნახულობდეს — არ გამიგია. არ გამიგია და რა ვქნა.

— მართალია, ბიძია ესტატე, დაწნაშავე ვარ, ვერაფრით ვერ მოვიცალე, ხან რა გამომიჩნდა და ხან რა, ახლა კიდევ დიპლომის დასაცავად ვემზადები, დილიდან საღამომდე ვხატავ საღამოობით კი ვმსახურობ...

ეზოში გრილოდა. მიწა, სკამები, მაგიდა, ყველაფერი შავი თუთით იყო საყვ და მოთხუპნული. თუთა წამდაუწუმ ცვიოდა და ხმაურით ეცემოდა დაბლა. ხე ბედნიერსა და კეთილ კაცსა ჰგავდა, რომელიც გულუხვად ჰფანტავდა სიმდიდრეს. თუთის ხეს შვით განათებულ ტოტებზე ჩიტები ეხევიდნენ და ერთი ყრიამული ჰქონდათ ატეხილი. ესტატემ მაგიდაზე დაცვენილი ნაყოფი პეშვით მოაგროვა და ნიკას მიაწოდა:

— აბა, ნახე.

ნიკამ პირში ჩაიღო ტკბილი, ძალიან მწიფე თუთა და ესტატეს უთხრა:

— თქვენ კარგი თუთა გიდგათ, ბიძია ესტატე...

ესტატეს ესიამოვნა და გაიღიმა:

— თუთაც კარგი იცის და ჩრდილიც, ეს ჩრდილი სიცოცხლედა ღირს.

ესტატეს ჩესუნჩის პიჯაკი სულ თუთით ჰქონდა მოსერილი. თუთა შავი

ღენის ლაქებივით ეტყობოდა ტანსაცმელს და ესტატე, რომ არ გცნობდა, მსმელი კაცი გეგონებოდათ.

— მითხარი, ნიკა, ბიჭო, რა ისმის ახალი ქვეყანაზე. მე ყველაფერს მოვწყდი, დავბერდი, ასე თქვეს ჩემზე, ეტყობა, მართლაც დავბერდი და ვერ კი ვამჩნევ... მარიამი კი მართლაც ვერ არის კარგად... ამ ბოლო დროს უცნაური რამ დასჩემდა, ეზოში დადგება და ჭიშკრისკენ იხედება, თვალს არ ამორებს ჭიშკარს; ვიცი, რომ ვერაფერს ხედავს, მაინც ეჭვი შემეპარება ხოლმე; მთავალ, თვალწინ დავუდგები — არაფერი: მიყურებს პირდაპირ, თითქო ჩემს იქით ვილაყას ხედავდეს, თითქო მე არც კი ვარსებობდე. დგას და თვალსაც არ ახამხამებს, საწყალი... ახლა სძინავს. წავალ, გავაღვიძებ, გაუხარდება შენი მოსვლა...

— ეძინოს, ბიძია ესტატე, ეძინოს, მე დავიცდი...

მერე ესტატე ახლოს მიჩოჩდა, ნიკასკენ გადაიხარა და საიდუმლო ხმით უთხრა:

— მიჭირს, ბიძია, ძალიან მიჭირს...

რაც სკოლას თავი დაანება, მას შემდეგ ესტატეს კახაბერი აღარ მოსჩვენებია, არც მისი ხმა გაუგვია. ალბათ, ბავშვების ხმაურში, მათი ღიმილიანი სახეების ყურებისას იბადებოდა ის უცნაური მოღანდება.

— მიჭირს...

ნიკამ ეს, რა თქმა უნდა, არ იცოდა... არ იცოდა ესტატეს წუხილის ნამდვილი მიზეზი. ესტატეს სიტყვა მოხუცებული კაცის ჩვეულებრივ ჩივილად ჩასთვალა და უთხრა:

— გულს ნუ გაიტეხ, ბიძია ესტატე, რა ვუყოთ მერე...

— ეჰ, — თქვა ესტატემ. მერე წამოდგა: „წელი, წელიო“, და სახლისკენ წავიდა.

მამიდა მარიამი და ბიძია ესტატელა შერჩა ნიკას ნათესავეებიდან. შერჩა ეს ორი მოხუცებული ადამიანი, რომლებიც ნიკას ძალიან უყვარდა, თუმცა ძალზე იშვიათად კი ნახულობდა.

იქნებ დღევანდელი ამბის მოსაყიდლად მოვიდა აქ. იქნებ უნდოდა, რომ ვინმეს, ძალიან მახლობელს გაეგო თუ რა ტრიალებდა მის თავზე და რა-ღაცა ეთქვა. ეთქვა თუნდაც უმნიშვნელო სიტყვა, წახალისებინა ან გაეკიცხა... სწორედ ისე, როგორც ახალგაზრდა მეომარი მიდის თავისი ტომის ბელადთან...

მამიდა მარიამს კიბეზე შეეგება ნიკა. თითქმის ხელში აიყვანა და თუთის ძირას ქვის სკამზე დასვა.

— ჩემი ბიჭი, ჩემი დიდი ბიჭი, — ჩურჩულებდა მამიდა მარიამი და გამხდარ, ცივ ხელებს სახეზე უსვამდა. ნიკამ მამიდას წინ დაიჩოქა და კალთაში თავი ჩაუღო. მარიამს ჰქონდა იმ სითბოს ნაწილი, რომელიც ასე ენატრებოდა ნიკას. თითქო მარიამის კაბას შერჩენოდა ის ძალზე შეუმჩნეველი სუნი, რომელიც ასდიოდა მამის ხელებს და აგრეთვე, ხსოვნაში ჩარჩენილ ბავშვობის საწოლსა და სარკმლის ფარდებს.

— როგორა ხარ, მამიდა, როგორ?

მერე ლაპარაკი თავისდაუნებურად დაიწყო. მამიდას ახსენებდა თავის ბავშვობის ამბებს, დედასა და მამაზე უყვებოდა; ყვებოდა ყველაფერს, რაც თავს გადახდა, თვითონვე უკვირდა, რატომ ლაპარაკობდა ამდენს, მაგრამ გაჩერება არ შეეძლო. თითქო ყველა ამბავი სიტყვად გადაქცევას მოითხოვდა და სურდა ვილაყას მოესმინა და განესაჯა.

მამიდა მარიამი თავაწეული იჯდა და თმებზე ხელს უსვამდა:

— ჩემი ბიჭი, ჩემი დიდი ბიჭი...

თუთის ხეს ჩიტები ეხვეოდნენ და ნაყოფი ხმაურით ეცემოდა დაბლა.

ესტატე იღვა, ხელები მაგიდაზე დაეყრდნო და მათ უცქერდა.

დიდუბიდან რომ წამოვიდა, უკვე საღამო იყო... სტადიონამდე ტრამვაის წამოჰყვა, სტადიონთან ტროლეიბუსში ჩაჯდა და რუსთაველის პროსპექტზე კინოსთან ჩამოვიდა. კინოს შესასვლელთან ნაცნობ მეზაპიროსეს სივარეტი გამოართვა და მერე თავის ოთახში ავიდა. ოთახში მისი შემცვლელი რეზო და ჩიპო დახვდნენ. ჩიპო ლენტეხის ყუთებს კუთხეში ალაგებდა და თან რაღაცას ლილინებდა. ნიკამ ჩიპოს მხარზე ხელი დაჰკრა. ჩიპომ ამოხედა და თეთრი კბილები გამოაჩინა:

— აი, კინო, — უთხრა და თან ცერი თითი შემართა: — სულ ცხენებია და სროლა...

— ჩიპო, შეგიძლია სურათის გაშვება? — ჰკითხა ნიკამ.

ჩიპო ამას არ მოელოდა, სიხარულით შეხტა და ნიკას თვალებში შეაეჭვრა: რაზე მეკითხები, ხომ იცი, რომ შემიძლიაო...

რეზო ტილოთი ხელებს იმშრალებდა, თან საათზე მალიმალ იხედებოდა:

— წასასვლელი ვარ, ელისო კინოში უნდა წავიყვანო, მაგის ღმერთიც არ იყოს, ერთი მეც დავჯდე და კაცურად ვუყურო...

— რეზო, რას იტყვი, ჩიპოს რომ ვანდო... ჰა?

რეზო გაჩუმდა. მუშტი ნიკაზე მიიღო და ჩიპოს შეხედა, კარგა ხანს უყუ-რა ასე და ბოლოს ამოშაქრა:

— არ ვიცი... ვერაფერს ვეტყვი... შენ არა გცალია?

— ჰო, არა მცალია, უსათუოდ უნდა წავიდე...

— ჯანდაბას შენი თავი, მე დავრჩები...

— არა, რეზო, არა, არაფრის გულისათვის. ელისოს რას ეტყვი?..

— არ მივალ და მორჩა, მიხვდება, რომ რაღაც გამომიჩნდა, არც ასეა საქ-მე, ძმაო...

— კი მაგრამ, რატომ არ გინდა, რომ ჩიპომ გაუშვას სურათი?

რეზომ ისევ ჩიპოს შეხედა. ჩიპო მას არ უყუბებდა, მაგრამ იგრძნობოდა, რომ მთელი ყურადღება მისკენ ჰქონდა მიპყრობილი...

— დირექტორმა რომ გაიგოს? — თქვა რეზომ...

— დირექტორი ვერაფერსაც ვერ გაიგებს; — უბასუბა იმ წამსვე ჩიპომ.

— არა, ძმაო, თავი დამანებე, ისევ მე დავრჩები, მირჩევნია...

ნიკამ ხელები გაშალა და ჩიპოს მიუბრუნდა, ჩიპო მიტრიალდა და ისევ ყუთების დალაგებას მიჰყო ხელი...

ნიკამ გაზეთში შეხვეული პური და ყველი მაგიდაზე დადო და ფანჯარა გააღო. მარინე წამოდგა, ახლოს მივიდა და ხმადაბლა უთხრა:

— ნიკა, მაშინ რატომ არაფერი მითხარი?.. უხმოდ რატომ შეურიგდი იმ ამბავს?

ნიკამ შეხედა მარინეს. მარინეს მკერდი უღელავდა და მძიმედ სუნთქავდა. მშრალი, დახეთქილი ტუჩები ახლოს, ძალიან ახლოს მოეტანა და ნიკა სახეზე მისი თმების შეხებას გრძნობდა. და უცებ ყველაფერი ერთმანეთში აირია: მაღალი, თეთრი აკაციები, ჭვადენილები და ჭადრის ხეები, ტაქსები და ანტენები, მზით განათებული თუთის ხე და შოპენის ხმა.

— მარინე, — თქვა მან: — მარინე...

მხრებზე ხელები მოჰკიდა და, მაგრად, ძალიან მაგრად მკერდზე მიიკრუნა მარინე!.. — მარინე მთელი სხეულით მიენდო და ნიკას ცეცხლივით წაუკვდა უცებ ხელში აიტაცა და კოცნა დაუწყო... მარინე ხმას არ იღებდა, ნიკასთვის ყელზე ხელები შემოეჭდო და განაბული თუ ოდნავ შეშინებული მკერდზე მიჰკვროდა. ასე ატარა ხელში აყვანილი, ატარა დიდხანს, აღარაფერი არ ახსოვდა, ვერაფერს ხედავდა. გრძნობდა მხოლოდ მარინეს ტანს, მის სუნთქვას, სურნელს და ეს გრძნობა ალაპარაკებდა, არბენინებდა:

— მარინე... მე შენ ყოველთვის მიყვარდი... მარინე... მარინე... რატომ გაქვს ასე სველი თვალები... უფრო მაგრად, უფრო მაგრად მომხვიე ხელი...

მარინე იწვა, წამწამებზე ცრემლი უბრწყინავდა და თვალდახუჭული იდიმოდა.

მერე კარზე დააკაკუნეს. ნიკა წამოდგა და კარი გააღო. კართან მისი მეზობელი — ნატალია იდგა.

— უკაცრავად, ასანთი ხომ არა გაქვთ? — თან ცალი თვალთ ოთახში იხედებოდა.

ნიკამ ასანთი მიაწოდა.

— ახლავე დაგიბრუნებ...

— იყოს, მე კიდევ მაქვს...

— არა, რატომ... მოგიტანთ...

— არა, არა, მაქვს-მეთქი...

— გმადლობთ, — ნატალია თითქოს უკმაყოფილო გაბრუნდა.

ნიკამ გაიცინა:

— დაიწყო...

— რა? — ჰკითხა მარინემ.

— მეზობლების შემოსევა.

— ასე იციან ხომ, როცა შენთან ქალები მოდიან?

— არა, შენ რომ დაგინახეს, ეუცხოვათ, რაღაცა იგრძნეს...

— მაინც რა, ნეტავი?

— რომ მიყვარხარ...

— ნიკა, მოდი აქ...

ნიკა მივიდა და საწოლზე ჩამოუჯდა... მარინე წამოიწია და კისერზე ხელი მოხვია:

— ნიკა... მე მინდა ვიცოდე, ნამდვილად ვიცოდე, ეს ჩემთვის აუცილებელია...

ნიკამ არ უპასუხა. წამოდგა, მარინეს საწვიმარი სკამიდან აიღო და კედელზე მიჭედებულ ლურსმანზე ჩამოჰკიდა:

— ისევ გაწვიმდება.

— იმ ქუჩაზეც აკაციები იდგა, — თქვა მარინემ.

— მე ვყოფილვარ იმ ქუჩაზე, — თქვა ნიკამ.

— ფანჯრიდან ვიყურებოდი და ხანდახან ტირილი მომინდებოდა ხოლმე. კარზე ისევ დააკაკუნეს. დააკაკუნეს ფრთხილად, მორიდებულად.

— მობრძანდით, — დაუძახა ნიკამ და მარინეს შეხედა. მარინემ საკინძე შეიკრა და თმები გაისწორა. კარი გაიღო და რკინიგზელი შემოვიდა. მარინე რომ დაინახა, უკან გაბრუნება დააპირა, მაგრამ ნიკამ დაასწრო:

— მობრძანდით, მობრძანდით.

რკინიგზელი პირდაპირ სკამისკენ წავიდა და დაჯდა, თითქო ამ ვეგეტატიული ტარებით დაიღალაო, ხელეები მაგიდაზე დააწყო და ნიკას უთხრა:

— დასაპატიებლად მოვედი. მაიას დაბადების დღეა, გთხოვთ...

მერე მარინეს შეხედა.

— ეს ჩემი მეგობარია — მარინე, ვაიცანით.

რკინიგზელი წამოდგა და მარინეს ხელი ჩამოართვა:

— დიდად სასიამოვნოა, ბატონო...

მერე კარებისკენ წავიდა. კედელზე ჩამოკიდებული მარინეს საწვიმარი და იქვე კუთხეში მდგარი ჩემოდანი რომ დაინახა, მობრუნდა და ნიკას უთხრა:

— თქვენი მეგობარიც წამოიყვანეთ... წამოიყვანეთ უსათუოდ.

მარინეს გაუღიმა უნიათო, უფერული ღიმილით და ოთახიდან გავიდა.

სტუმრები ცოტანი იყვნენ. ნოდარი, გურამი და გურამის ცოლი — ქერა, გამხდარი, ფეხშიმე ქალი, რომელიც იჯდა თავისთვის და მთელი საღამო ხმა არ ამოუღია. ესენი მაიას სკოლის ამხანაგები იყვნენ და, ალბათ, ყოველ წელიწადს ერთგულად მოდიოდნენ მაიას დაბადების დღეზე.

მაია ნიკას და მარინეს კარებში შეეგება. ნიკამ მოიბოდიშა — უსაჩუქროდ მოვედიო, და დაბადების დღე მიუღოცა. მარინე ჩუმად იყო, თავს უხერხულად გრძნობდა და მაიას შესჩერებოდა. მაია დიდი ხნის ნაცნობივით მიესალმა და აკოცა:

— მობრძანდით, მობრძანდით...

მერე მარინეს ხელი ჩაჰკიდა და მაგიდასთან მიიყვანა. „აგურის ცხრიანს“ თამაშობდნენ.

ნიკამ ხელი ჩამოართვა ნოდარსა და გურამს და უთხრა:

— მეც დამირიგეთ კარტი.

კარტი დაარიგეს თუ არა, არჩილიც შემოვიდა. არჩილს ხელში იასამნები ეჭირა და, რატომღაც გაწითლებული, ნორცხვად იღიმებოდა.

— როგორ მოხდა, არჩილ, რომ არ დაგავიწყდა, — უთხრა მაიამ, იასამნები ჩამოართვა, კი არ უყნოსა — მთელი სახე შიგ ჩამალა, მერე გახარებული თვალები ოთახს მოავლო და ყვავილები თაროზე შედგმულ მალალ სურაში ჩადო. არჩილმა სათვალე მოიხსნა, მარცხენა ხელი თვალებზე მოისვა და სათვალე ისევ გაიკეთა. ფეხშიმე ქალის გვერდით დაჯდა და მასავით გაჩუმდა.

მაიამ მარინე გაიტაცა. ოთახის კუთხეში დაბალ ტახტზე ჩამოსვა, გვერდით მიუჯდა და საუბარი გაუბა. ისინი დიდხანს ჩურჩულებდნენ. მარინეს, ეტყობა, მოეწონა მაია, რაღაცას უყვებოდა. საიდუმლოს და საინტერესოს, რადგან ხანდახან მაიას ხმამაღალი „ოჰ“ ან „ვერ დავიჯერებ“ ისმოდა. რკინიგზელი კონიაკის ბოთლებს ხსნიდა, ჭიქებს მაგიდაზე აწყობდა და კონიაკს ასჩამდა. მერე თვითონაც კარტის მოთამაშებებს შეუერთდა და თამაში დაიწყო. თამაშობდა ფრთხილად, სანამ რომელიმე კარტს ჩამოვიდოდა, დიდხანს ფიქრობდა. მოგება ბავშვივით უხაროდა და წვრილი, შეუფერებელი ხმით კიკინებდა. მოგებულ ხურდას ორივე ხელით ხვეტდა და თავისკენ ეზიდებოდა, მერე ხელებს ზედ აფარებდა და ყველას ეშმაკური, ღიმილმორეული მზერით უყურებდა. ნოდარი და გურამი ჩუმად თამაშობდნენ, ისინი რკინიგზელის სიცილსაც მეჩვეულები იყვნენ და მის ასეთ გამოხედვასაც. ნიკა კი თავაზიანად უღიმიოდა და თითქო მის სიხარულს ინაწილებდა.

— კარგი, ახლა კონიაკი დავლიოთ, — თქვა გურამმა.

მაია ადგა, ბოთლი აიღო და გურამს ცარიელი ჭიქა შეუვსო. მაიას შავი,



ტანზე შემოკრული სეიტრი და ნაცრისფერი ქვედაკაბა ეცვა. დაბალქუსლიანი ფეხსაცმელები ოდნავ სქელ ფეხებს ულამაზებდნენ და სასიამოვნო სიჩქარეს მატებდნენ. მაიამ ლამაზი სიარული იცოდა. მკერდი წინ ჰქონდა წამოწეული, ხელები ცოტათი უკან, ფრთხილად ოდნავ მოხრილი დაჰქონდა და სიარულის დროს მხრებს არ აქანებდა. მაია მაგიდასთან იდგა. ხელში ჭიქა ეჭირა და ჭიქის კიდეს სველი ტუჩებით ეთამაშებოდა. იდგა და იღიმებოდა.

„მაია ყრველთვის იღიმება“.

ნოდარმა კონიაკი უცებ გადაჰკრა და კიბოსავით გაწითლდა. აჰ სიწითლემ არ იქნა და აღარ გაუარა. იჯდა ასე გაწითლებული, უცქერდა ნიკას და თუთუნის კვამლში თვალებს ჰუტავდა. საფერფლები საესე იყო პაპიროსის ნამწვევებით, ასანთის ღერებით და სიგარეტების დაჰმუჭუნული კოლოფებით.

ნიკა წამოდგა, მაიასთან მივიდა და უთხრა:

— მაია, წყალი თუ შეიძლება...

მაიამ დაუსხა წყალი და ნიკას შეაცქერდა, თვალი არ მოუშორებია, უყურობდა უცნაურად გაბრწყინებული თვალებით, რომელთა სიღრმეშიც უფრო მეტი სევდა ჩანდა, ვიდრე სიხარული.

— მოდი, კონიაკს დავლევ...

ნიკამ დაისხა კონიაკი და დალია, კიდეც დაისხა და კიდეც დალია:

„როგორ მიყურებს მაია“...

— ნიკა, მომილოცავს, — უთხრა მაიამ.

წავიდა, მარინეს მკლავში ხელი გაუყარა და ნიკასთან მოიყვანა: — მომილოცავს! — თან მარინეს უყურებდა აღტაცებული, თვალებით ეფერებოდა. ნოდარი წამოდგა, ფანჯარასთან მივიდა და თქვა:

— წვიმს...

„როგორ შეიძლება ასე უბრალოდ თქვა: წვიმს...“

— კარგია რომ წვიმს, — თქვა ხმამალა ნიკამ: — ძალიან კარგი.

არჩილი მაგიდასთან იჯდა და საკუთარ ხელებს უღიმოდა.

— ვითამაშოთ კიდეც, — თქვა გურამმა. მას დაძაბული და სევდიანი მზერა ჰქონდა, ასე იცქირებთან ბეცები, როდესაც სათვალეს იხსნიან: — ჯერ კიდეც ადრეა.

ცოლს შეხედა. ცოლმა თავი დაუქნია, ჩემთვის სულერთიაო. მისთვის, მართლაც, სულერთი იყო, ის იჯდა და იცდიდა, როდის გავიდოდა დრო, როდის დამთავრდებოდა სტუმრობანა და შინ წავიდოდნენ. მარტო ერთხელ, როდესაც მარინე მის გვერდით აღმოჩნდა, მაშინვე გადიხარა და ყურში წასჩურჩულა:

— მაია უბატრონო ბავშვთა სახლიდან გამოყვანილი გახლავთ...

მერე გასწორდა, კვლავ გულგრილი გამომეტყველება მიიღო და გაჩუმდა.

— თამაში გეყოფათ, კონიაკი დალიეთ, — მაიამ ჭიქებში კონიაკი დაასხა და ქმარს მოხედა. ქმარი მაშინვე ფეხზე წამოდგა: — გეყოფათ თამაში, გეყოფათ.

— კარგი, დავლიოთ, ეს მაიას გაუმარჯოს, — თქვა გურამმა და ჭიქა დასცალა.

არჩილი წამოდგა, საესე ჭიქა აიღო და მაიას შეხედა, რაღაცის თქმას აპირებდა, მაგრამ იწვალა, იწვალა და ხმა ვერ ამოიღო, ხელი ჩაიქნია და ისევ დაჯდა.

ნიკა არჩილთან მივიდა:

— არჩილ, როგორ არიან შენი თევზები?..

— კარგად, ძალიან კარგად, რატომ არ შემოხვალ და არ ნახავ...



— ახლა რაზე ფიქრობენ, ნეტავ?

— ახლა არაფერზე არ ფიქრობენ, — არჩილმა გაიღიმა: — მე რომ მივალ, ჩემთან ერთად დაიწყებენ ფიქრს...

ორივემ გაიცინა... ჰიქები მიუჭახუნეს და გადაჰკრეს.

ნიკამ და მარინემ, მაიასთან ერთად, სტუმრები ეზოს ჰიშკრამდე მიაცილეს მერე თვითონაც გამოეთხოვეს მაიას და ჭუჩას დაადგნენ. სახლში შესვლა არ უნდოდათ და წვიმაში გავლა გადაწყვიტეს.

წვიმა პოდიოდა ჩუმად და შეუმჩნევლად. სადღაც მალა, მავთულებსა და სახურავებს ზევით არწევდა მსუბუქ ფრთებს და ნათურების განათებულ წრეებში ფეხის წვერებზე დგებოდა, მოცეკვავე ქალივით მთრთოლვარე და გაბრწყინებული.

„ცხოვრება მიდიოდა ასევე ჩუმად და შეუმჩნევლად. საღ ვიყავი, საღ მეძინა... ბუნაგში შემალულ დათვივით ხელიდან ვიწოვდი ჩემი ფიქრების საზრდოს და თითქო გაღვიძება არ მინდოდა. არასოდეს მაწვალებდა უფულობა, არასოდეს მიფიქრია — რა უნდა მეჭამა, რა უნდა ჩამეცვა და დაეხურა. ყველაფერი ხდებოდა უბრალოდ, თავისთავად. ზამთარში თუ ვიგრძნობდი, რომ თბილი პალტო არ მქონდა, თეატრში თუ მივხვდებოდი, რომ საყულოდაკემსილი პერანგი მეცვა. მერე ყველაფერი მაგიწყდებოდა, ყველაფერი მარტივად ხდებოდა და ფიქრადაც არ ღირდა. შეიძლება, ასეთი უნებური გულგრილობით ვკარგავდი მეგობარს, ვკარგავდი მას, ვინც ყველაზე ძალიან მიყვარდა...“

ცარიელ ჭუჩაში ღია ფანჯრიდან გადმოღვრილი მუსიკის ხმა ისმოდა, შორეული, მათრობელა, საამო ხმა. მარინე გვერდით მიჰყევებოდა. ისიც რალაცაზე ფიქრობდა და ხმას არ იღებდა. არც იყო საჭირო რაიმეს თქმა. თითქო მათ მაგვრად წვიმა ლაპარაკობდა.

დიდხანს იარეს და უკან ავტობუსით გამობრუნდნენ. ავტობუსი ცარიელი იყო. ბილეთების გამყიდველი ქალი რალაცას ქსოვდა და ჩუმად ღიღინებდა. წინ, გრძელ სკამზე, მთვრალი კაცი იწვა და ზვრინავდა. ავტობუსი თბილი, მყუდრო და განათებული იყო და ნიკამ რატომღაც ინატრა:

„ნეტავ, დიდხანს ვისხდეთ ასე...“

ავტობუსი ნელა მიდიოდა.

მთვრალი ზვრინავდა და ძილში ბოდავდა:

— არავითარ შემთხვევაში, როგორ გეკადრებათ...

ნიკამ საკმაოდ დალია, თუმცა სიმთვრალეს ჯერ ვერ გრძნობდა: „კონიაკმა ასე იცის...“

— თქვი რამე, — უთხრა მარინემ.

ნიკა ხმას არ იღებდა.

„დავიღალე... რატომ დავიღალე ნეტავ ასე?..“

ოდნავ შემობრუნდა, ფეხები გაჭიმა და თვლები დახუჭა.

წვიმდა...

— გესმოდა, ვიღაც რომ უკრავდა? — ჰკითხა მარინემ.

ნიკამ არ უპასუხა, უცებ რატომღაც ეუცხოვა მარინეს ხმა.

ავტობუსი ძალიან ნელა მიდიოდა.

ხანდახან ფანჯრებში რეკლამები შემოანათებდნენ და ფანჯრები პლაკატებით აჭრელდებოდნენ. ნიკა გასწორდა, მარინესკენ მოტრიალდა და ხელზე ხელი დაადო.

„ასე არ შეიძლება, რამე უნდა ვთქვა...“

მინც ვერაფერი ვერ თქვა. ოდნავ შესამჩნევად მოუჭირა მარინეს ხელი და მარინემ მოიხედა და გაუღიმა.

სიმთვრალეს ჯერ კიდევ ეძინა.

მთენთილ ტანს სიამოვნებდა ავტობუსის ნელი რწყვა.

— მარინე, — თქვა ნიკამ.

— ?

— მარინე, — მეტი ვერაფერი მოახერხა. სიგარეტი ამოიღო და მოუკიდა.

— პაპიროსს ნუ მოსწევთ, — დაუძახა ბილეთების გამყიდველმა ქალმა.

„ჩვენ გვიყურებს...“

ნიკამ სიგარეტი ჩააქრო. გადაიწია და მარინეს ხელი გადახვია.

მარინემ გაიკვირვა:

— ნიკა?

ნიკამ ბილეთების გამყიდველ ქალს მოხედა.

ქალს თავი ჩაელუნა და წინდას ქსოვდა.

ავტობუსი უცებ გაჩერდა.

ჩამოვიდნენ და აღმართს შეუყვინენ.

მიწაზე ფეხი დადგა თუ არა — სიმთვრალემ გაიღვიძა. ნიკა ოდნავ შებარბაცდა, სულ ოდნავ, შეუმჩნევლად. მარინეს მკლავში ხელი გაუყარა და თქვა:

— დაიწყო!

— რა?

— სიმთვრალე.

ნიკა უცებ კარგ ხასიათზე დადგა.

წვიმდა...

ხეები წყალმცენარეების სილბოთი იძროდნენ და ადვილად ნებდებოდნენ წვიმას.

ნიკამ თავისი თავი წარმოიდგინა: საშუალო ტანის... ნაცრისფერი, მოკლე საწვიმარი აცვია, ქუდი არ ახურავს... გამხდარი, გრძელი სახე, ოდნავ მოხრილი ცხვირი, წვერგაპარსული („კარგია!“).

— არა უშავს, გამოდგება, — თქვა ხმამაღლა.

მარინემ გაიცინა.

— რატომ იციანი?

— მთვრალი ხარ...

— ჰო, მთვრალი ვარ, მაგრამ კარგად ვარ მთვრალი.

წვიმა ჩამოდიოდა უხმოდ, ერთიანად, ფარავდა სახლებს, ღობეებს, მავთულებს. ქალაქი უზარმაზარი აქვარიუმით სავსე იყო წყლით და ელნათურები ოქროს თევზებივით დაცურავდნენ შიგ.

— სულელი თევზები...

ქვაფენილზე ნათურის შუქი ტივტივებდა, წყალი წვალობდა, სურდა ადგილიდან დაეძრა, წაეღო, გაეფანტა, მაგრამ ამაოდ.

ნიკამ უცებ დაიწყო ლაპარაკი. ყვებოდა რატომღაც გემებსა და ნავსადგურებზე, ანძებზე და ღუზების ქლიალებზე. ყვებოდა ხმამაღლა, გატაცებით, ვნებიანად.

ფეხის წვერებზე იწეოდა, თითქოს სურდა წვიმაზე მაღალი გამოჩენილიყო.

— ჩვენ სამინ ვიყავით... მორს მოჭიდებულნი მივცურავდით ყინულივით ცივ წყალში... სიბნელეში ერთმანეთს ვერ ვხედავდით, ზღვა ღელავდა, მაგრამ მის ხმაურში მაინც მკაფიოდ გვესმოდა ერთმანეთის სუნთქვა.

„პაპიროსი მინდა“ — თქვა ერთმა.

„ხომ არ გაგიყდა!“ — ვიფიქრე მე.

„წვერგაუპარსავი ვარ!“ — თქვა ისევ მანვე.

მე ხელი გავაცურე და მეორე ამხანაგის ხელს დავადე:

„გესმის?“

„ჰო, გაჩუმდი...“

ზღვა ღელავდა. წყალი თავზე გადაგვდიოდა და თოჯინებით გვათამაშებდა.

მერე მეც მომინდა პაპიროსის მოწვევა.

„წვერგაუპარსავი ვარ!“ — ისე შევიცხადე, თითქოს თეატრში მივდიოდი.

ზღვას უკვე აღარ შეეძლო ჩვენი დამარცხება.

მარინე იცინოდა და ხელებს შლიდა:

— მატყუარა, მატყუარა...

— მართალია, ვტყუი, მაგრამ, ასე მგონია, ვითომ ეს ამბავი გადამხდენოდეს...

— ჰა, ჰა, ჰა...

— არა გჯერა?..

„იქნებ ტყუილი არ არის... იქნებ ტყუილი არ არის...“

მერე უეცრად მოხვია ხელი მარინეს:

— მარინე, ნუ იცინი, მარინე...

მარინე იცინოდა, თვალები დაუწვრილდა, ლოყებზე პატარა ლამაზი ფოტოები დააჩნდა.

— მარინე...

ნიკამ მიიზიდა და აკოცა...

— გამიშვი...

— მარინე...

მარინე გაიქცა. მირბოდა და იცინოდა...

მეორე დღით მარინემ აღრე გაიღვიძა. ლოგინში წამოჯდა, ხელები მუხლებზე შემოიხვია და იკითხა:

— ქარია?

ნიკამ არ უპასუხა. თვალდახუჭული იწვა და ქარს უსმენდა. „ქარი ღრუბლებს გადარეკს...“

— მოდი, ნიკა, დღეს ბაღში წავიდეთ...

„მარინე... რა ლამაზი, უკარება და ამაყი იყო იგი... განა შეიძლებოდა კაცს ეფიქრა... თუმცა, თუმცა მარინე მთლიანად არ იყო მისი...“

ნიკა წამოიწია, პიჯაკის ჯიბიდან სიგარეტი ამოიღო, მოუკიდა და თქვა:

— ჰო, ქარია...

— ნიკა, არ მისმენდი?

— როგორ არა, ვისმენდი...

— წავიდეთ?

— სად?

— ბაღში...

ნიკა წამოდგა და ჩაცმა დაიწყო.

— წავიდეთ? — კიდევ ჰკითხა მარინემ.

— წავიდეთ, უსათუოდ წავიდეთ...

ნიკამ პირი დაიბანა და კარადა გამოაღო:

— გვამოთ რამე...

— მე არაფერი მინდა...

— სწორედ არაფერი მაქვს...

ნიკამ კარადიდან პური, ყველი და ღვინო გადმოიღო:

— დავლიოთ კიდევც...

— დავლიოთ...

— შენ ძალიან ბევრს სწევ...

— არასოდეს არ ვაკვირდები, რამდენს ვეწევი... მართალი გითხრა, მე ძალიან მსიამოვნობს, ალბათ არც დავანებებ თავს, ანდა რატომ უნდა დავანებო?

„უცნაურია ქარი... ყოველთვის ცუდ ხასიათზე მაყენებს, მაშინვე თავი მტკივდება და თითქოს წონასწორობა მერღვევა... არჩილი მიმტკიცებს — ქარს თევზებიც გრძნობენო, აქვარიუმში მომწყვდეული თევზები...“

— ნიკა, რაზე ფიქრობ?

— არაფერზე არ ვფიქრობ...

— არც ჩემზე?

— არა.

— იცი რა, ნიკა, მე ღვინო არ მიყვარს, საერთოდ ვერ ვიტან ღვინოს.

— ძალიან კარგი, თუ არ გიყვარს, — უბასუხა ნიკამ.

— ზოგიერთ ქალს კი უხდება, როდესაც ღვინოს სვამს, ან სიგარეტს ეწევა, აი, მე არც თუთუნს ვწევ...

— ჰო, ზოგიერთს უხდება...

„მდინარეები და ტყეები კი ნამდვილად იცვლებიან ქარში, თითქო ცოცხლებიან, სულ ცოტადა აკლიათ და, გგონია ლაპარაკს დაიწყებენ...“

— მე არ მომიხდება, ნეტავი?

— შენც მოგიხდება ალბათ...

ნიკამ გაუღიმა.

— კიდევ დალევ ღვინოს? — შეეკითხა.

— დავლიოთ, ოღონდ მე ცოტას, ძალიან ცოტას დავლევ...

— არც მე მიყვარს ღვინო, — თქვა ნიკამ: — მაგრამ გამიგონია, ნაბახურევზე კარგაო...

— მაია თუ სვამს? — ჰკითხა რატომღაც მარინემ.

ნიკამ მარინეს შეხედა:

— არ ვიცი... მგონი არა...

— რომელი საათი იქნება?

ნიკამ სკამზე გადაკიდებულ პიჯაკის ჯიბიდან საათი ამოიღო:

— კიდევ გაჩერდა... ათი იქნება ალბათ...

მერე წამოდგა და მოლბერტთან მივიდა. დონჯაშვითმყოფილი უცქერდა სურათს. ხან უკან დაიწედა და იქიდან შეხედავდა, ხან გვერდზე გადაგებოდა და ისე უცქერდა: „არ იქნა და არა...“ თუმცა თვითონ არ უნდოდა, მალე დაემთავრებინა სურათი. როდესაც რამეს ხატავდა, კარგ გუნებაზე იყო, ყოველთვის უხაროდა და შინ მოეჩქარებოდა. დაამთავრებდა და ხანდახან ზედ შეხედვაც კი არ უნდოდა. ყოველთვის ეჭვობდა, შიშობდა, რომ რაღაცა დააკლო, მეტი შეეძლო და ნახატს არ ვადასცა. იმ რაღაცის სახელი ვერ გაეგო და ვერ მიმხვდარიყო. წვალობდა და ამხანაგების ქებას გულცივად ეკიდებოდა. მუშაობა უყვარდა და ხშირად პაპა იორამის იგავს იხსენებდა:

... კაცი მიწას ხნავდა.

— ძნელია? — კითხა ღმერთმა.

- აბა სცადე, — უბასუხა კაცმა.
 ღმერთმა ცოტახანს მისდია გუთანს და ძალიან დაილალა.
 „ახლა რა ვქნაო“, — იფიქრა.
 მერე გაახსენდა, ყოვლისშემძლე რომ იყო და გაქრა...
 — ბალში როდისღა წავიდეთ? — იკითხა მარინემ.
 — ბალშიაც წავალთ, ნუ გეშინია...
 — რამე მაინც მომეცი, წავიკითხო...
 — აი, მანდ თაროზე ნახე...
 — ოჰ, რა კარგია, რემარკი გქონია... მოგწონს რემარკი?
 — ისე რა...
 — არც მისი „ჟამი სიცოცხლისა და ჟამი სიკვდილისა“?
 — ეგ კარგია...
 — ეს მაიაა? — თქვა მარინემ და კედელთან სურათი ჩამოხსნა.
 — ჰო... ნუ ჩამოხსნი, მარინე...
 — ნიკა, რატომ ბრაზობ?..
 — არა, არ ვბრაზობ... დაკიდე თავის ადგილზე.

მერე ისევ ნახატს შეხედა. ფერები მეტად არაბუნებრივად მოეჩვენა: „განა შეიძლება ამ ოთახში ფერებზე ლაპარაკი“. მისი ოთახი თუმცა დიდი იყო, მაგრამ სამუშაოდ სრულებით არ ვარგოდა.

აკაცების ჩრდილში მხრებზე თეთრხალათმოსხმული ქალი ნაყინს ჰყიდდა. იქვე რამდენიმე მაგიდა იდგა. ნაყინის გამყიდველ ქალს მუშტარი არ ჰყავდა და წიგნს კითხულობდა.

— ნაყინი მინდა, — თქვა მარინემ.

ნიკამ მაგიდა ჩრდილში უფრო ღრმად შეაჩოჩა. მერე სკამებიც წამოიღო და ქალს დაუძახა:

— ორი ნაყინი, თუ შეიძლება...

მარინემ ჩანთა სკამის თავზე ჩამოკიდა, მაგიდას იდაყვებით დაეყრდნო და ნიკას შეხედა:

— თუ გინდა შენ ლუდი დალიე, აქვე პავილიონიდან მოიტან.

— ასე სჯობია, — თქვა ნიკამ: — მე ლუდს დავლევ...

წამოდგა. ქალისათვის „მეორეს ნუ მოიტანო“ — უნდოდა დაეძახა, მაგრამ გადაიფიქრა, პავილიონში შევიდა, დახლზე ჩამოყვინთულ გამყიდველს ფული მიაწოდა და უთხრა:

— ერთი ბოთლი ლუდი მომეცი, აქვე გარეთ დავლევ.

— კი გენაცვალე.

გამყიდველი წელში გასწორდა. ერთი ბარაქიანად გაიზმორა, თან ნიკას თვალი ჩაუკრა, თითქო ნაცნობობით აძლევდა ლუდს, და წყლით საცხე კასრიდან ბოთლი ამოაძვრინა:

— სულ ქვევიდან, ყინულივითაა...

მერე ნიკას სველი ხურდა ფული ხელში ჩაუყარა, ისევ დახლს დაეყრდნო და საუბრის გაბმა დააპირა:

— რაშია ნეტა საქმე, ღამლამობით სულ წვიმს, დღისით კი ცხელა...

— საკვირველია, — უთხრა ნიკამ: — ბარემ სიგარეტიც მომეცი, ბულგარული.

— მაგის მოწვევას პაპიროსის მოწვევა სჯობს, — გაუფრთხილდა ნიკას გამყიდველი: — მე მარტო „ყაზბეგს“ ვწევ...

— სიგარეტს შევეჩვიე, ხომ იცი, ძნელია გადაჩვევა.

— ეგეც მართალია.

გამყიდველი თავს ირთობდა და გაუჩერებლად ლაპარაკობდა... სკამზე შედგა, მძლავრად თაროდან სიგარეტების კოლოფი ჩამოიღო, ხენწვით ჩამოიტანა ღიბი სკამიდან და სიგარეტები ნიკას გაუწოდა:

— ესეც „ბალკანი“.

მერე ჭიქა გაურეცხა, ტილოთი გაუმშრალა და თვალებში შეაჯჭურდა:

— მეტი?

— მეტი არაფერი, — უთხრა ნიკამ.

ერთი, ზუსტად ასეთი კაცი მას ერთხელ მატარებელში დაემგზავრა. კაცი მოსკოვიდან ბრუნდებოდა, უამრავი ჩემოდანი და უზარამზარი ფუტები მოჰქონდა. მაგიდაზე კონიაკის ბოთლი დაედგა და გემრიელი საუშმე ვაეშალა. თავისთავს ვაჭრობის მუშაკს ეძახდა და პირგამოტენილი ნიკას ეკითხებოდა:

— მართალია, რომ პოეტებს ერთ სტრიქონში თუმანს აძლევენ?

— ნამდვილად არ ვიცი, მგონი მართალია...

— რა ამბავია, ბატონო!..

ნიკამ სიგარეტების კოლოფი ჯიბეში ჩაიღო:

— ბარემ გამიხსენი.

ბოთლი მიწოდა და თაროებს თვალი მოავლო. თაროებზე შაპიროსები და შამპანურის დამტვერილი ბოთლები ეწყო.

უკან რომ დაბრუნდა, დაინახა, რომ მარინეს გვერდით ახალგაზრდა ბოშა ქალი იჯდა. ქალს კალთაში ბავშვი ჩაესვა და ძუძუს აწოვებდა. ნიკა მივიდა, ბოთლი და ჭიქა მაგიდაზე დადო. სკამზე ჩამოჯდა და ლუდი დაისხა. ბოშა ქალმა გაუღიმა. ის თითქმის ბავშვი იყო. ხორბლისფერი, სწორნაკვთებიანი სახე ჰქონდა და დიდი შავი თვალები. გადატყეცილი თმები უზზინავდა და ყურებზე სპილენძის ყვითელი საყურეები ეკიდა.

— შენი ქმარია? — ჰკითხა მარინეს და თვალთ ნიკაზე ანიშნა.

მარინემ გაიცინა. ნიკას შეხედა; ცოტა ხანს უყურა და თქვა:

— ჰო, ჩემი ქმარია.

ნიკა ლუდს სვამდა და ბოშა ქალს უყურებდა. მერე თავისი ნაყინი მიუჩოჩა და ანიშნა, ჭამეო.

— მეცა მყავს ქმარი, — უთხრა ბოშა ქალმა მარინეს: — მაგრამ ის უფრო მძალადია. მე კი მძალადი კაცები არ მიყვარს.

და ნიკას გაუღიმა.

— მოსწონხარ, — თქვა მარინემ.

ქალმა კოვზით ნაყინი აიღო და ბავშვს პირში ჩაუღო:

— ჭამე, ჭამე, შე მსუნავო...

— აჰ, — შეჰყვილა მარინემ: — როგორ შეიძლება, აწყენს...

— არ აწყენს, ნუ გეშინია, — ქალმა გაიცინა: — კარგი არაფერი არ სწყინს კაცს.

ბოშა ქალი ნაყინს სვამდა და ბავშვსაც აჭმევდა. მერე მკერდი შეიკრა და მარინეს მიუბრუნდა:

— გინდა გიმკითხავო?

მარინემ ნიკას შეხედა, ნიკამ არაფერი უთხრა...

„როგორც წიგნებშია ისე...“

— მომეცი ხელი, ნუ გეშინია, — გაჯიუტდა ბოშა ქალი. მარინემ ხელი გა-



უწოდა. ბოზა ქალმა ხელის გულზე დახედა, ცოტახანს დაკვირვებით უყურებდა მერე დაიწყო:

— შენ ბედნიერ ვარსკვლავზე ხარ დაბადებული. ვინც გიყვარდა, იმას წაპყევი ცოლად. მასაც უყვარხარ და კიდევ დიდხანს ეყვარები. აი, ეს ხაზი დიდხანს სიცოცხლეს ნიშნავს. ასეთი ბედნიერი ხელისგული ჯერ არ მინახავს.

მარინე იცინოდა, იცინოდა და თან ნიკას უყურებდა.

— ქალის ბედნიერება საყვარელი კაცის ერთგულებაა, შენ ლამაზი ქალი ხარ და ერთგული ქმარი გეყოლება.

მერე ნიკამ დაინახა, როგორ ჩამოუგორდა მარინეს ლოყაზე ცრემლი, ერთს მეორე მოჰყვა, მესამე და მარინემ ტირილი დაიწყო.

— ნიკა, ნუ მიყურებ, ნუ მიყურებ, ვთხოვ. ტირილი მინდა და უნდა ვიტრიო.

ნიკა წამოდგა. სიგარეტს მოუკიდა და გვერდზე გადაგა.

უკვე შუაღამე იყო, როცა ბალიდან გამოვიდნენ. ქუჩაში ოდნავ ნასვამი მეხანძრეები შემოხვდნენ... მეხანძრეებს საყულო გაეხსნათ, ქუდი ხელით დაეჭირათ და, ლოტოს კოჭებივით ერთნაირნი, ხმაძალა იცინოდნენ და გოგოებს „ჰობლას“ ეძახდნენ.

მათ რომ გაუსწორდნენ, გაჩერდნენ, ერთმანეთი გვერდზე გასწიეს და გზა დაუთმეს. ერთმა საყულო შეიბნია, ქუდი დაიხურა და გაიჭიმა, თითქო მეთაური დაინახაო. მარინემ ხელი ასწია, გაუცინა და დაუძახა:

— ჰობლა, ბიჭებო, ჰობლა!

მერე მათ შორის ისე თამამად გაიარა, თითქო მისი კლასელი ბიჭები ყოფილყვენ.

ნიკა უხმოდ მიჰყვებოდა.

მეხანძრეებს რომ გასცდნენ, მარინემ უთხრა:

— ნახე?

ნიკამ ხელზე მოუჭირა:

— ნელა, მტკიცია!

ნიკამ გაიცინა. მოუკიდა სიგარეტს, კვამლი ჩაისუნთქა ღრმად, და თქვა:

— კარგია.

მერე მარინეს მიუბრუნდა:

— მოდი, მარინე, აკადემიაში წამომყევი...

— არა, აკადემიაში ვერ წამოვალ, შენ იცი რატომაც... შენ წადი, მე კი ამხანაგთან გავივლი, ოღონდ მალე დაბრუნდი, იცოდე. გუშინდელივით არ მლოდინო...

ნიკამ კიბე აირბინა და კომკავშირის კომიტეტში შევიდა, ზაზა უნდოდა ენახა. ზაზა მოსკოვიდან გუშინ ჩამოვიდოდა და ალბათ ახალგაზრდა მხატვრების გამოფენის ამბებს ჩამოიტანდა... პატარა ოთახი თუთუნის კვამლით იყო სავსე. ფანჯარა გამოედოთ, მაგრამ მინც არ შეელოდა. ვისაც სკამი ვერ ეშოვა, მაგიდაზე შემომჯდარიყო და ისე უსმენდა ზაზას. ზაზა, ეტყობა მეასედ ყვებოდა ერთსა და იმავეს, ხელებს შლიდა, ბიჭებს „გამიშეითო“ ეხვეწებოდა, მაგრამ ამაოდ. ნიკა რომ დაინახა, წამოხტა, წრე გაარღვია და გადაეხვია:

— მოსალაცად გაქვს საქმე, ძმაო... შენი ნახატები ძალიან მოეწონათ... საათობით დგანან მათ წინ და კამათობენ... თანაც კარგ ადგილას ჩამოკიდეს, შეხვალ თუ არა, თვალში გეცემა... — მერე ასე, ხელგადახვეული, ოთახიდან გაი-



ყვანა, ბიჭებს „ახლავე მოვალო“, დაუბარა და ნიკას უთხრა. — შენ ხარ? აბა, ყველაფერი ვადმოალაგე...

— კარგად ვარ, არა მიჭირს რა, ძალიან კარგად ვარ...

ზაზას მისი ნახვა უხაროდა. ღიმილით უცქერდა, მხარზე ხელს არტყამდა და ეუბნებოდა:

— ყოჩაღ, ძმაო, ყოჩაღ, ხომ გეუბნებოდი და არა გჯეროდა... ასეა... არაფერი წყალში არ ჩაგეყრება, იცოდე. მთავარია გულით გააკეთო და რასაც აკეთებ, გიყვარდეს.

— ზაზა, — უთხრა ნიკამ: — მარინე...

— რა მარინე?

— მარინე ჩემთან მოვიდა...

ზაზა ადგილზე შეხტა, გაოცებით პირი დაალო და ნიკას შეაშტერდა:

— როგორ თუ მოვიდა? სტუმრად მოვიდა?

— არა, სულ მოვიდა...

— მერე ქმარი?

— ქმარს თავი დაანება, გამოიქცა და მოვიდა...

— რატომ, რა მოხდა ასეთი?

— არ ვიცი...

— დათო არ არის ცუდი ბიჭი...

— ცუდი კი არა, ძალიან კარგი ბიჭია, მე ყოველთვის მომწონდა დათო.

— ეს შენი დონეუანობის წყალობაა?..

— არა, ზაზა, დედის სახელს გეფიცებ, მე თუ როდისმე სიტყვა მაინც მეთქვას... განა შენ დაგიმალავდი რამეს...

— მერე რას აპირებ?

— რა ვქნა?

— გიყვარს?

— რაზე მალაპარაკებ — შენც ხომ იცი...

— მარინე კარგი გოგოა, ნიკა...

— მე კი ჯერ არ ვიცი, როგორი ვარ...

— არც შენა ხარ ცუდი ბიჭი, მაგრამ...

— თქვი, ზაზა, თქვი.

— ეს ისეთი საქმეა — ლაპარაკი არაფერს უშველის, იქნებ არც ჩემი რჩევა გამოგადგეს... სჯობია შენს თავს დაუჯერო...

ნიკას დაუძახეს. მოტრიალდა და დათოს მამის პირისპირ აღმოჩნდა:

— მე თქვენთან საქმე მაქვს, — უთხრა ცნობილმა მხატვარმა: — შეგძლიათ წამოხვიდეთ ჩემთან?..

— კი, ბატონო, წამოვალ...

ნიკა ზაზას მიუბრუნდა:

— ზაზა, მოდი რა ჩემთან...

— მოვალ, უსათუოდ, ნახვამდის...

ოთახი გაჰყვანილი იყო: ხავერდის ფარდები, ირანული ნოხები, ბროლი, ყვავილები, გობელენები, ჩინური ფაიფურის სურები და გაკრიალებული მბრწყინავე იარაღი, რაინდის ჯაჭვი და ჩაჩქანი, შუბი და ფარი, გრძელი, სწორი ხმალი და კვერთხი.

კედელზე კურბეს სურათის რეპროდუქცია ეკიდა.

— კურბეს ეს ნახატი არ მინახავს, — თქვა ნიკამ.

— მოგწონთ კურბე?

ნიკამ არ უპასუხა. ჩაჯდა რბილ, ძალიან ღრმა სავარძელში და თქვა:

— იფ, კარგია, ძალიან კარგია...

— მე რომ თქვენი ხნის ვიყავი... — დაიწყო მსუქანმა კაცმა, ეტყობოდა, ჭკუის დარიგებას აპირებდა...

„ახლა დაიწყება...“ — გაიფიქრა ნიკამ.

მსუქანმა კაცმა მაგიდიდან პაპიროსის ჩასაწყობი შავი ხის კოლოფი აიღო და ნიკას მიაწოდა. ნიკამ მოუყიდა გრძელ პაპიროსს და კვამლს ამოაყოლა:

— კარგია, ძალიან კარგია...

ნიკა ეწეოდა პაპიროსს და ილიმებოდა.

კაცი ვერ მიხვდებოდა, რას უღიმოდა: კურბეს სურათის რეპროდუქციას, ფანჯრიდან შემოჭრილ მზის სხივებს, რაინდის სასაცილო ჩაჩქანს თუ ყვავილეებს, მამლის ბიბილოსავით მეტიჩარა ყვავილებს.

— თქვენი ნახატები მოსკოვში მოეწონათ, — თქვა მსუქანმა კაცმა: — ახლა შეიძლება სახალხო დემოკრატიულ ქვეყნებში გაავრცელონ...

— დიად, მოწონებიათ, გავიგე... ძალიან მიხარია...

— რა თქმა უნდა, უნდა გიხაროდეთ... მე რომ თქვენი ხნის ვიყავი...

ნიკამ მზის სხივებში უცნაურად ჩაგრეხილი თუთუნის კვამლს ხელი აუქნია და თქვა:

— ძალიან მიხარია...

მსუქანმა კაცმა შუბლი შეიკუმუნა და განაგრძო:

— თქვენი ხნისა უფრო მორიდებული ვიყავი...

ღია სარკმელში აყაცია მოჩანდა და აქამდე აღწევდა მისი თავბრულამხვევი სუნი.

— დიად, ალბათ მორიდებული იყავით, — უპასუხა ნიკამ.

„ახლა დაიწყება...“

— პირად ცხოვრებაშიც უფრო წესიერად მეჭირა თავი...

— თქვენ უფლება გაქვთ ჩემი ნახატები მოიწონოთ და დაიწუნოთ, ჩემს პირად ცხოვრებაზე. გთხოვთ, თავი შეიკავოთ...

— როგორ, მე, თქვენს მასწავლებელს, უფლება არა მაქვს?..

— როგორც მასწავლებელს, თქვენ ძალიან დიდი უფლებები გაქვთ...

— პირდაპირ უნდა გითხრაო...

ნიკა ფეხზე წამოდგა:

— დათოს მე კარგად ვიცნობ და პატივს ვცემ... მას შეუძლია თვითონ მითხრას ყველაფერი... მხოლოდ იცოდეთ, რომ მე არაფერი უწესო არ ჩამოდენია...

მეორე დღეს ზაზა დილით ადრე მოვიდა. ნიკას ძალიან გაუხარდა, მოეხვიო და მარინეს უთხრა:

— გაიცანი, მარინე, ეს ჩემი ყველაზე კარგი მეგობარია...

მარინემ ხელი ჩამოართვა:

— ნიკა სულ თქვენზე ლაპარაკობს...

— ეს მაინც და მაინც დიდი ქათინაური არ არის ნიკასთვის, — უპასუხა ლიმილით ზაზამ.

— ნამდვილად მართალს ამბობ, — თქვა ნიკამ.

სტუმარი ერთადერთ სკამზე დასვეს და თვითონ საწოლზე ჩამოჯდნენ.

— ნიკამ გიამბოთ ალბათ გამოფენის ამბები?..

— ნიკა ძალიან გახარებულა...

— მეც ძალიან მიხარია... თუმცა ჩემს ნახატებს ზედაც არავინ უყურებდა...

— ზაზა, ტყუილ...

— დედას გეფიცები, თუ ვტყუოდე...

— მე კი არ მჯერა, — უთხრა მარინემ და კედელზე ჩამოკიდებულ ზაზას ნახატს შეხედა...

— ოჰ, ეს ნახატი ბავშვობის დროინდელია, ნიკას რატომღაც მოეწონა, აიჩემა, გინდა თუ არა მიაჩუქო, და მეც ვაჩუქე, აბა რა შექნა...

— ჰო, ასეთი ახირებული მოწონება ვიცი, — თქვა ღიმილით ნიკამ და მარინეს ხელი მოხვია...

— აბა, ახლა ადექით და ქალაქგარეთ გავიაროთ, ღია მანქანა ვიჭირავე, კარგი დარიც დაგვესწრო... სულ ასე წვიმს?

— სულ, გამუდმებით...

— გაზაფხულზე იცის ხოლმე...

— მაინც უცნაურია...

— არაფერიც არ არის უცნაური, აბა, ადექით, მე გარეთ დაგიცილით...

ზაზამ ყოველთვის ასე იცოდა, რამეს გადაწყვეტდა, მოვარდებოდა, წაგეყვანდა და აგიყოლიებდა. გაუნელებელი ხალისი ჰქონდა და ამ ხალისს უცებ გადმოგდებდათ. სულ ფეხბურთსა და ჭადრაკზე კამათობდა. გათამაშების ცხროლები ჯიბით დაჰქონდა და ყველა გუნდზე და თითოეულ მოთამაშეზე საკუთარი შეხედულებები ჰქონდა. ფეხბურთის მოყვარულთა შორის, რომლებიც თამაშის შემდეგ კიროვის ბაღში იკრიბებოდნენ, ავტორიტეტით სარგებლობდა და მუდამ ყურადღებით უსმენდნენ. ხან ზურგჩანთას მოიცილებდა, ხელში ჯოხს დაიჭერდა და ქალაქგარეთ სახეტილოდ წავიდოდა. რომ დაბრუნდებოდა, ნიკასთან მივიდოდა და ჩანახატებს მაგიდაზე გაშლიდა, მზემოკიდებული, მტვერში ამოვანგულული, თავისი მოგზაურობის ამბებს უყვებოდა და თავისივე ხუმრობებზე გულიანად ხარხარებდა. ნიკას ზაზას სიცილი ძალიან უყვარდა, საერთოდ, სიამოვნებდა, როცა ვინმე გულით იცინოდა. ნაძალადეგ, კბილებში გაცირილ სიცილს ვერ იტანდა და ვინც ასეთი სიცილი იცოდა — ერიდებოდა. „გამაგებინე, როგორ იცინის კაცი და გეტყვი, ვინ არის ის“, — იტყოდა ხოლმე და ახარხარებულ ზაზას თვითონაც აჰყვებოდა ხოლმე. ხანდახან ზაზა პერანგს გაიხდიდა და აივნის მოაჯირზე ყირას ჰქმავდა. დეიდა ნატალიას კვიცილს რომ გაიგებდა, ნიკა გარეთ გამოვარდებოდა და „მეზობლები ნუ გადამირიეო“ — ეხვეწებოდა.

მარინემ მწვანე კაბა ჩაიცვა და ყვითელი თავსაფარი წაიკრა. თავსაფარი ძალიან უხდებოდა და პატარა გოგონას ამსგავსებდა. ჰიშკართან ზაზა უცდიდა. გამოცდილი შოფერივით ფეხს მანქანის ბორბლებს ურტყამდა და საბურთავებს ამოწმებდა. ისინი რომ დაინახა, უკანა კარი გაუღო და წელში მოიხარა:

— მობრძანდით, თქვენო ბრწყინვალე ბავ...

თვითონ ხელეზზე აიწია და მანქანაში ჩასტა. ქალაქს რომ გასცდნენ, ზაზამ მანქანა გააქროლა და თან იძახდა:

— „მიჭრის, მიმაფრენს...“

მანქანა მიჭროდა სწრაფად, ძალიან სწრაფად და მინდვრების ქარი ვაბრაზებული ზუზუნებდა. მარინე ნიკას მიეყრდნო და თვალდახუჭული იღიმებოდა.

„მანქანაში ქალებს ფერი ეკარგებათ...“

ნიკამ მარინეს ხელი მოხვია და ზაზას დაუძახა:

— უფრო სწრაფად, თუ შეგიძლია...

ზაზას მეტიც არ უნდოდა...

მიქროდნენ და ზაზას აღტაცებულ შეძახილებს უსმენდნენ:

— ოი, როგორ მიყვარს! ოი, როგორ მიხარია! მანქანის ფასი თუ არის რამე!

ქვიტკირის კედლებს და ალვის კენწეროებს მზე წაჰკიდებოდათ. ფერები ერთმანეთში იხლართებოდნენ და მერე, ერთმანეთში გადასულები, ერთს ვაბმულსა და მხიარულ ფერს ჰქმნიდნენ.

ლოკინის ხევთან ცხვრის ფარას წამოეწივნენ და ზაზამ მანქანა გააჩერა, რადგან წინ წასვლა შეუძლებელი იყო...

ცხვრები მიდიოდნენ ნელა, თავჩაქინდრულები, თითქოს ფარას ერთი დიდი, საერთო საფიქრალი გასჩენია და სხვა ყველაფერი დავიწყინაო.

ფარა მიდიოდა ნელა, ძალიან ნელა...

წინ ყოჩები მიუძღოდნენ და ირგვლივ ქოფაკები ურბენდნენ...

გამტერებული, წითელთვალემა სახედრები ფარის უკან მიბაკუნობდნენ.

მწყემსები შოლტებს იქნევდნენ.

და ფარის გზიდან გადაყვანას ცდილობდნენ.

ერთს პირტიტველა მწყემსს

მხრებზე ბატკანი შეესვა და

მარინეს უყურებდა.

— გამარჯობათ! — დაუძახა ზაზამ მწყემსებს.

— გაგიმარჯოს, — უპასუხეს მწყემსებმა და ახლოს მოვიდნენ. მერე პირტიტველა მწყემსმა მარინეს კალთაში ბატკანი ჩაუსვა და გაუღიმა. მწყემსის უწვერო სახე მზეს გაერთუჯა. შავი, ერთმანეთზე გადასკვნილი წარბები უხდებოდა... იღვა მანქანასთან და უხერხულად ილიმებოდა. ილიმებოდა და თან შოლტს მიწას უტლაშუნებდა. მარინე იცინოდა, ბატკანს გულში იხუტებდა, თვალებში ჰკოცნიდა და ეფერებოდა:

— საცოდავო, საცოდავო...

ფარა ნელ-ნელა გზიდან გადავიდა. მწყემსი კი წასვლას არ აპირებდა. მანქანასთან იღვა და თითქო რაღაცის თქმა უნდოდა.

— წადი, ბიჭო, ცხვარს მიხედვ, რას გამტერებულხარ! — დაუძახა ჭადარა მწყემსმა და თან ნიკას თვალი ჩაუკრა.

ბიჭი უხმოდ მიტრიალდა, შოლტი გამეტებით მოიქნია და ერთი გაბმიით დაუსტვინა. მარინემ კარი გააღო და ბატკანი მიწაზე ჩამოსვა. მწყემსი დაიხარა და ბატკანი ისევ მხრებზე შეისვა.

ძლივს გასცდნენ ფარას და წინ გასწიეს.

მიქროდნენ გატრუსული გორაკები, აწითლებული ღრუბლის ნაფლეთები, კაკლის დინჯი ხეები და წელში გაწყვეტილი ალვები.

ეზოს ჰიშკართან ქალბატონი ეკა უცდიდა, სახეგაქვავებული, მედიდური და რისხვადქცეული.

— ამასაც მოვესწარი. — უთხრა მარინეს.

— შინ მობრძანდით, ქალბატონო...

ქალბატონმა ეკამ ნიკას ზედაც არ შეხედა.

— ამასაც მოვესწარი... ასე გადაგვიხადე სამაგიერო, ზომ...

— დედა, სირცხვილია...

— ერთი ამას დამიხედეთ, სირცხვილზე რომ ლაპარაკობს!.. წამოდი ახლა-



ვე შინ...

ქალბატონი ეკა თუმცა გაბრაზებული იყო, მაინც ხმადაბლა ლაპარაკობდა.

— ქალბატონო ეკა, შინ მობრძანდით, — გაუმეორა ნიკამ.

— ხმას ნუ მცემთ. თქვენი ხნის გაგონებაც კი არ შემძლია... — ქალბატონმა ეკამ ხელები გასაყავა: — არ შემძლია!

ნიკა ეზოში შევიდა, მარინეც უკან გაჰყვა. ქალბატონი ეკა ცოტახანს იდგა და მერე კიბესთან დაეწია:

— მოდიხარ თუ არა?

— დედა!

— მოდიხარ?

მარინემ არ უპასუხა და ოთახში შეირბინა, ნიკა უკვე ფანჯარას აღებდა.

ქალბატონი ეკა კარებთან გაჩერდა:

— ყველაფერზე ხელი აიღე, ქმარი მიატოვე და ამ...

— დედა, გთხოვ, გაჩუმდი, გეხვეწები...

— გაჩუმდე კი არა, ქვეყანას შეეძრავ, ხალხს მოვავგროვებ, მოვიდნენ, ნახონ, რა შეილიცა მყავხარ...

მერე ნიკას მოუბრუნდა:

— უთხარით, რომ წამომყვეს, როგორც ვატყობ, მარტო თქვენ გიჯერებთ...

ნიკამ არაფერი უპასუხა, მხრები აიჩეჩა, სიგარეტი ამოიღო და მოუკიდა...

— უთხარით, უთხარით... გესმით თუ არა? უთხარით, რომ წანომყვეს...

— მარინე ბავშვი არ არის, თუ უნდა წამოვა, თუ არა და...

— თქვენ, ბოლოსდაბოლოს, არც გაქვთ უფლება...

— უფლებებზე ნუ ვილაპარაკებთ...

— სწორედ უფლება, მარინე გათხოვილია, მას ქმარი ჰყავს...

— მართალია, მარინე გათხოვილი იყო...

— არა, მარინე ახლაც გათხოვილია... იცოდეთ, რომ კანონი არსებობს...

— მე ვიცი, რომ არსებობს ადამიანი, არსებობს სიყვარული და სიძულვილი, ცა, მიწა, ხალხი და რომ ადამიანს შეუძლია თვითონ აირჩიოს სიყვარულიც და სიძულვილიც.

— ასე ხომ?..

— დედა, დამშვიდდი, დედა...

— როგორ უნდა დავმშვიდდე, როგორ უნდა დავმშვიდდე, გესმით რას მეუბნება?

მერე ნიკას მიუბრუნდა:

— მე არავისთვის არაფერი არ მითხოვია, ახლა თქვენ გთხოვთ, გთხოვთ უმორჩილესად, შემძლია დაგიჩოქოთ კიდევც... გამოუშვით მარინე ჩემთან, იფიქროს, იფიქროს და მერე გადაწყვიტოს, გთხოვთ...

— როგორ გეკადრებათ, ქალბატონო...

ნიკამ მარინეს შეხედა.

— მე წავალ, ნიკა...

ნიკამ არაფერი უთხრა; ოთახიდან გამოვიდა და აივნის მოაჯირზე ჩამოჯდა. ცოტა ხნის მერე ქალბატონი ეკაც გამოვიდა. ნიკა მოაჯირიდან ჩამოხტა და უთხრა:

— ნახვამდის, ქალბატონო ეკა...

ქალბატონმა ეკამ არც მოხედა. კიბეზე რომ ჩადიოდა ნიკამ ისევ დაუძახა:

— აგარაკი თუ დაამთავრეთ, ქალბატონო ეკა?

ქალბატონი ეკა უცებ მოტრიალდა:

— თქვენ ისევ ისეთი თავხედი დარჩენილხართ...

მარინეს ჩემოდანი უკვე ჩაელაგებინა, სკამის კიდეზე ჩამომჯდარიყო, თითქოს ეშინოდა, კარგად რომ დავჯდებ, ალბათ დავრჩებიო.

ნიკამ უცებ იგრძნო, რომ ყველაფერი გათავდა.

„შემიძლია თუ არა ვუთხრა — „დარჩიო...“

— მივიღვარ, — თქვა მარინემ — „შენ დამირეკე, უსათუოდ დამირეკე და ყველაფერს გეტყვი...“

ნიკამ არ უპასუხა. ფანჯარასთან მივიდა და ხეებს შეხედა.

„იწვიმებს, უსათუოდ იწვიმებს...“

მერე გაბრაზდა, რა დროს წვიმააო, მაგრამ ეს აზრი აეკვიატა, არ მოშორდა, თითქო სხვა ყველაფერი გაქრა და დაავიწყდა.

„იწვიმებს, უსათუოდ იწვიმებს...“

— სიგარეტები მაგიდაზე დავაწყვე, — თქვა მარინემ.

„მთელი ჩემი ქონება“.

მაინც არაფერი უპასუხა.

„მარინე იმედებით სავსეა, მარინე იმედებით ცხოვრობს, რითი ცხოვრობენ სხვები?“

იმედით?

ჰო, იმედითაც და პურიითაც...“

მარინე წამოდგა:

— ნიკა, დამირეკავ?

„დარჩი, მარინე, დარჩი...“

— ჰო, ხვალვე დავირეკავ...“

„დარჩი!...“

— ნახვამდის, ნიკა... დედა ქუჩაში მიცდის.

ნიკამ ჩემოდანი აიღო:

— ჰიშკრამდე მიგაცილებ...“

„იწვიმებს, უსათუოდ იწვიმებს...“

ძია კოწიას ყელზე წითელი კაშნი შემოეხვია. მცივანა იყო და ამიტომ ზაფხულშიც კი გულმოდგინედ იფუთებოდა. კაშნეს ფოჩები მუხლებამდე სწვდებოდა. მხრებზე მწვანე, შავზოლებიანი ხალათი ჰქონდა წამოხურული. ხელებს იფშენებდა და ახველებდა, ყრუდ, ჭლექიანივით ახველებდა. ხერელში შემალული ობობებივით დამაბული თვალები ჰქონდა და აცახცახებული ხელით ნიკას ღვინოს უსხამდა. ღვინო სუფრაზე იღვრებოდა და დიდი, მოლურჯო ლაქები ჩნდებოდა. ნიკას ცხელოდა და ამ პატარა, ნახევრადბნელ ოთახში სული ეხუთებოდა. თითქო შორიდან, ძალიან შორიდან აღწევდა მის სმენამდე უპილო კაცის ჩიფჩიფი:

— ყველაფერი ისე უცებ თავდება, რომ ვერ ასწრებ მთლიანად განიცადო რაიმე. იცოდნე, დამარცხებით მოყენებულ ტკივილებს სჯობია სულ არ იფიქრო გამარჯვებაზე. ერთხელ ისე შეხედე ქვეყანას, როგორც ცვედანი უცქერის ქალს და დარწმუნდები, რა მარტივია ყოველივე...“

ის უკვე მთვრალი იყო. მაგიდაზე დაყრდნობილი გაშვერილი ხელით ბოთლს ებოტინებოდა და ჰიქას ივსებდა. მეორე ხელში ხის გრძელი მუნდშტუკი ეჭირა, ჩამწვარი, ჩაფერფლილი სიგარეტით აბოლებული. ლაპარაკის დროს

ამ ხელს იქნევდა და მხრები, მკერდი და მუხლები სულ ფერფლით ჰქონდა...
— მარინე, მარინე როგორ არის? — უცერად იკითხა მთვრალმა. მისი ხმის კილო გადაჭარბებულად თავაზიანი იყო და ამიტომ დამცინავად ისმოდა.

ნიკას გული ეტკინა... მას ვერ წარმოედგინა. რომ გინმე ახლა ასე უბრალოდ იტყოდა მარინეს სახელს.

— თქვენ რა იცით?..

— იცი რა გითხრა, ჩემო შოშია, მე ყველაფერი ვიცი...

ის ხითხითებდა. სახეზე სისხლი მოაწვა და ხველება აუვარდა. ამ ხველება გარეულ სიცილში ზოგჯერ მკაფიოდ და მკახედ ისმოდა:

— მარინე... შოშია... გულთა მბრძანებელი... ჰა, ჰა, ჰა...

ნიკა წამოდგა:

— გეყოფათ, გაჩუმდით...

— ყველა თავის შესაფერს უნდა ეძებდეს... მარინე მომინდომა!..

ნიკა უკვე ვეღარ არჩევდა, კოწია იცინოდა თუ ახველებდა:

— შენ ბარტყი ხარ ჯერ, ბევრ რამეს მერე მიხვდები, ძალიან, ძალიან გვიან...

„არიან ასეთი ადამიანები. მათ არავითარი გრძნობა აღარ შეერჩენიათ... თითქო ორმოში სხედან და შენც შიგ გითრევენ... ყველაფერს დასცინიან და არაფერი არ მოსწონთ... მე რა მინდა აქ? მე რა მინდა აქ?“

— კარგი, გაჩუმდით, მე მივდივარ...

— მიდიხარ, თორემ პიკასოსთან არ წახვიდე...

ნიკა უხმოდ გამოტრიალდა და კარი გამოიჯახუნა...

ნიკა ნელა მიდიოდა... ქუჩებში ნათურები აენთოთ და ასფალტი წვიმის წვეთებს დაეპორფლა.

„გაწვიმდეს, ბარემ გაწვიმდეს...“

ნიკას უნდოდა გაწვიმებულიყო, ჩქარა მოსულიყო წვიმა, თითქოს წვიმა რამეს უშველიდა, ფიქრებს დაულაგებდა და დაამშვიდებდა.

ელბაქისის დაღმართთან რომ გამოვიდა, დათოს შეეყარა. დათო საკინძე-გაღელილი მოდიოდა და ოდნავ, სულ ოდნავ ბარბაცებდა. ნიკა დაინახა თუ არა, ხელები ასწია. დათომ ასეთი მოსალმება იცოდა.

— აი, ჩვენ მაინც შევხვდით...

ნიკაც მიესალმა და, გაჩერდა. მთვრალბთან და ბავშვებთან შეხვედრის დროს თავს ყოველთვის უხერხულად გრძნობდა. არ იცოდა რა ეთქვა, როგორ მოქცეულიყო. ერთადერთი მისი მხსნელი ღიმილი იყო, რომელსაც, ეტყობა კარგად ვერ იყენებდა ხშირად.

— რაო, არ მელოდი? გეწყინა?

ნიკა უღიმიოდა. თვითონ არ იცოდა, რატომ იღიმებოდა ასე სულელურად. „რა დროს ღიმილია?“

— მე შენთან სალაპარაკო მაქვს...

„ახლა ატყდება ერთი ამბავი“, — გაიფიქრა ნიკამ.

დათომ მკლავზე ხელი მოჰკიდა და უთხრა:

— წამო, კიროვის ბაღში შევიდეთ...

— დათო, ცოტა მეჩქარება, მოდი, ხვალ შევხვდეთ.

— ხვალე არ ვიცი მე. რა არის ხვალე, რას ეძახი შენ ხვალეს? დღეს რომ დაღამდება და ისევ გათენდება, იმას?

— ჰო, იმას...

— პრიმიტიულია, პრიმიტიული.

— დათო, შენ რაღას ეძახი „ხვალეს“?

— არ ვიცი... თუმცა ვიცოდი და დამავიწყდა.

დათო ნიკაზე მალალი იყო. ჩასხმული და ნეარჯიშევი სხეული ჰქონდა, გაღვლილ საყელოდან ამობურთული მკერდი მოუჩანდა.

„მომერევა“, — იფიქრა ნიკამ.

— გამოიარეთ ხვალ, დარეკეთ ხვალ, ხვალ, დღეს არ მცალია, დღეს თუ არა, ხვალ უსათუოდ, ხვალ ყველაფერი კარგად იქნება. რა არის ბოლოსდაბოლოს ეს „ხვალ“? რას ნიშნავს?

ნიკა ყურადღებით უსმენდა დათოს, მას სულ გადაავიწყდა ღიმილი — ეს მისი ერთადერთი საშუალება მთვრალებთან წონასწორობის დაცვისა.

— წამო, — შეცვლილი ხმით თქვა უცებ დათომ: — წამო!

— დათო, აქვე მითხარი...

— არა, აქ არ შეიძლება.

მერე უცებ ხელი გაუშვა და გვერდიდან შეხედა:

— გეშინია?

ნიკამ გაიცინა:

— არა, დათო, არ მეშინია, ანდა რისი უნდა მეშინოდეს?

— შენ კარგად იცი, რისიც უნდა გეშინოდეს.

— დათო, შენ ცოტა ნასვამი ხარ...

— თქვი, მთვრალი ხარ-თქო, ლიქნაც გეხერხება?

— დათო, შენ მთვრალი ხარ, წადი შინ, დაიძინე და ხვალ შევხვდეთ...

„ბოლოსდაბოლოს ხომ არ მომკლავს...“

ნიკამ შეამჩნია, რომ გამულელები უყურებდნენ, ზოგი ჩერდებოდა კიდეც.

— წამო, დათო, კიროვის ბაღში...

ახლა დათო გაჭირვებულდა:

— არა, აქვე გეტყვი ყველაფერს.

ნიკა უეცრად დამშვიდდა:

„ჩხუბს ბევრი ლაპარაკი არ უყვარს...“

— მე შენ ყველაფერს გეტყვი, აქვე გეტყვი, — იყვირა დათომ: — ხვალეო, მე არ ვიცი. რას ნიშნავს სიტყვა ხვალე.

უცებ გაჩუმდა, ჯიბეები მოისინჯა:

— პაპიროსი მომეცი, — თქვა ჩუმად, დარცხვენით.

ნიკამ ჯიბიდან სიგარეტი ამოიღო და ღიმილით გაუწოდა.

— შენ ნუ იფიქრებ, რომ ყველაფერი დავკარგე, ანდა იმიტომ ვსვამ... ნუ იფიქრებ, რომ მაჯობე...

— არა, დათო, ვერ მაჯობე...

დათო არ უსმენდა, ხელები უკანკალებდა, ასანთი წამდაუწუმ უქრებოდა. ნიკამ ამოიღო ასანთი და აუნთო:

— აჰა, მოუყიდე...

დათო ჯერ შეყოყმანდა, სიგარეტს თითებში აწვალებდა, თვალს არიდებდა, მერე მოიხარა და მოუყიდა.

— ნუ იფიქრებ, თითქოს ჰკუიდან გადავცდი, თითქოს ყველაფერი დამავიწყდა და აღარაფრის გაკეთება არ შემიძლია...

— არა, დათო, არ ვიფიქრებ...

— გემი რომ მჩაქტონ — ზღვა დაშრება, ისეთი ბედი მაქვს...

ნიკას შეეცოდა დათო, ეს ლამაზი, ღონიერი ბიჭი.



„რატომ, რატომ ხდება ასე? როგორ დაჰკარგა მარინე? თუმცა, ჩემგანაც წავიდა... რატომ?..“

მერე უცებ გადაწყვიტა, ყველაფერს ვეტყვიო და დათოს უთხრა:

— წამო, დათო, „სამაიაში“ ჩავიდეთ...

კაფეში რომ შევიდნენ, დახლთან მივიდნენ და ნიკამ დათოს ჰკითხა:

— რა დავლიოთ?..

დათო მის უკან იდგა... ხმა არ გასცა და ნიკას გაუკვირდა, მოტრიალდა და დათოს შეხედა, დათოს ფერი დაჰკარგვოდა და უაზრო თვალებით უყურებდა.

— დათო!

დათომ ხელი მოუქნია და სახეში გაარტყა. ნიკა იქვე დახლთან ჩაიკეცა და პირველი, რაც იფიქრა, ეს იყო: „რა სუსტი ყოფილა დათო...“ წამოდგა, ხელე-ბი დახლს დააყრდნო და წამოიძარტა. დათომ მეორეც მოუქნია, მაგრამ აცდი-ნა და მოქნეული მუშტი ნიკას მხარზე მოხვდა: „არც ღირს ხელის შებრუნება...“

ოფიციალტები მოვარდნენ და დათოს შემოეხვივნენ:

— რა ამბავია, ახალგაზრდავ, რატომ ხულიგნობთ!

დათომ უხეშად მოიშორა ისინი და ნიკას მივარდა, მივიდა, მოეხვია და უცებ ატირდა, ხმამალლა, მამაკაცის უშნო ტირილით:

— ნიკა, მამატიე, მამატიე, ნიკა...

ნიკამაც ხელი მოხვია:

— არაფერია, დათო, კარგი, გაჩუმდი, ხალხი გვიყურებს...

მერე დიდხანს ისხდნენ. თითქმის უხმოდ სვამდნენ და ერთმანეთს მარტო ჰიქებს უჭახუნებდნენ. მერე დათომ გაიცინა:

— გახსოვს კინოში, რიჩარდ მესამე თავის მთვრალ ძმას კასრში რომ აღრ-ჩობს?

— მახსოს, შესანიშნავი სცენაა...

— აი, ავიღებ და კასრში ჩავაბრჩობ...

— სამწუხაროდ. აქ კასრები არ არის...

დათომ მხარზე ხელი დაარტყა:

— მამატიე...

ნიკას ლენის სმა არ უყვარდა, მაგრამ ახლა რატომღაც მოუნდა დამთვრა-ლიყო. სხეული მოითხოვდა ლენის და ნიკაც ზედიზედ, სცლიდა ჰიქას...

— ჩვენ ორივე დავმარცხდით. — თქვა ნიკამ.

დათო უაზრო თვალებით შეაქჷერდა:

— რატომ ორივე?

— ჰო, ორივეს გვაჯობებს...

— ვინ?

ნიკამ აღარ უპასუხა. ბოთლი აიღო და ჰიქები გაავსო.

უკან ბარბაცით ბრუნდებოდა. ვიტრინებში გადმოყულებულ მანეკენებს უცინოდა. ხარხარებდა, ყვიროდა და მღეროდა.

სულ მთლად სველი იყო. ტანისამოსი წვიმით გაქვინთოდა და ეგონა, რომ თვითონაც წვიმის ნაწილი იყო, წვიმის მხიარული, მთვრალი ნაწილი. ქვა-ფენილებზე ფეხი უცდებოდა, გუბებში აბოტებდა, ფეხს ურტყამდა და უყვი-როდა:

— გაიღვიძეთ, გუბებო. გაიღვიძეთ!

საკუთარ ლანდს დასდევდა. დაჰქერა უნდოდა. ლანდი გაურბოდა, სველ კედლებს ეკროლა შეშინებული, ხან ქვაფენილზე ვარდებოდა, ხან გუბებში



ყვინთავდა და იმალებოდა. „ხომ შეიძლება მოხდეს და დაიჭირო შენი“

— ოჰ, — თქვა ნიკამ: — არ ღირს.

კიბის საფეხურზე ჩამოჯდა.

სიგარეტი ამოიღო და მოუკიდა. თუთუნი სველი იყო და ნაფაზს გემრიელად ვერ არტყამდა. მაინც ესიაშოვნა, ზურგიით კედელს მიაწვა და გაინაბა.

წვიმდა.

სიმთვრალემ კიდევ იძალა, ფეხებში ხელი ჩაავლო და ქვაფენილზე ჩამოსვლა... ძლივ წამოდგა, ისევ კიბის ზემო საფეხურზე აჩოჩდა და კიბის სახურავს შეეფარა. არაფერზე არ ფიქრობდა. უყურებდა წვიმას და უცდიდა. როდის გაუვლიდა სიმთვრალე. მერე საიდანღაც, მესხიერების რომელიღაც დაბინდული კუთხიდან ამოტივტივდა მარინეს სახე.

— ყველაფერი ჩემი ბრალია, — თქვა ზამამლა.

„მარინეს ვუყვარვარ...“

საყელო გაიხსნა და ღრმად ამოისუნთქა. ნელ-ნელა სიამაყის გრძნობა დაეუფლა. სიმთვრალესთან ერთად ის მთელ სხეულს უვლიდა, ძარღვებში ელავდა და ტყაუნობდა: — ვუყვარვარ! ვუყვარვარ!

წვიმდა.

წვიმის წვეთებს საკუთარი გემო ჰქონდათ, ისეთივე მკვეთრი, როგორც თაფლს, მარილსა და სისხლს.

ნიკას ეძინებოდა.

თვლებს ვეღარ ახეღდა, თითქო წამწამებზე წებო ჰქონდა წასმული. კედელს მიეყრდნო და ჩასთვლიდა.

სად, რომელ მხარეს, რომელ ზღაპრულსა და დაბანგულ მხარეს ეწეოდა ძილი?

სად გაქრა დრო?

ის დარჩა წვიმის, ქალაქის, ცისა და მიწის იქით.

ჩაქრა და ჩაბნელდა გონება.

ხეები აღარ იძროდნენ, თითქო სხეული დაკარგეს და ლანდებად იქცნენ. ნათურები მუყაოს ლამპრებივით ყალბი შუქით ლიცლიცებდნენ და ბნელში იმალებოდნენ.

გაჩერდა ქუჩა.

ტრამვაი.

მავთულები.

ჩაქრნენ რეკლამები.

მათი ცივი, ფერადი სინათლე ძილის ბურანს შეუერთდა და ტვინის კუნჭულებში დაიწყო ციმციმი.

მერე ნიკამ კომოდის თავზე მდგარი სპილოები დაინახა. სპილოები უცებ ამოძრავდნენ, უცებ გაიზარდნენ და ყველამ ერთად წინ ნაბიჯი გადადგა. დედა მოვიდა, მტერის მოწმენდა უნდოდა, მაგრამ სპილოები ძალიან დიდები იყვნენ, დედა კი პატარა და უმწეო.

ფერადი, მბრწყინავი და ერთმანეთში გადახლართული რგოლები აირია. მერე ისინი შესცვალა უცნაურმა სხეულებმა: სამკუთხედებმა, ტრაპეციებმა ან სრულიად უფორმო სხეულებმა.

ნიკას სციოდა, ძილში გრძნობდა, რომ სციოდა, მაგრამ განძრევა არ შეიძლო. სიცივე მოდიოდა ფეხებიდან, ეხვეოდა ხერხემალს, ერთიანად ეუფლებოდა მის ტანს და კისერში მუშტებს ურტყამდა, რკინასავით მაგარ მუშტებს.

მერე კი ჯოხის კაკუნი მოესმა.

კაკუნი ისმოდა შორიდან, ძალიან შორიდან, კაკუნმა ძლივს მოაღწია ახალ-
შულ სმენას და სხეულში შეიჭრა. ჯერ ვეება ზარზე ბედურას ნისკაოტის კა-
კუნით ოდნავ ისმოდა, მერე ძარღვები გამოაღვიძა და ყვირილი მორთო.

კაკუნი იყო მკვეთრი და მკაფიო, როგორც რაიმე სხეული, თუნდაც ქვა
ან დანა.

ნიკამ თვალი გაახილა.

ქუჩაში ბრმა მოდიოდა, ჯოხს ქვებზე აკაკუნებდა და გზას მიიკვლევდა.
და არ იყო სხვა რამ ხმაური უმეტესი ამ კაკუნისა.

„რატომ ვერ ხედავენ ღამით ბრმები?“ — გაიკვირვა მთვრალმა.

წვიმა, ისევ წვიმა.

ნიკამ იგრძნო, რომ ნელ-ნელა ფხიზლდებოდა.

წვიმა ახლა თავისთვის მოდიოდა, ცალკე, მას უკვე აღარაფერი აკავში-
რებდა ნიკასთან.

ნიკას დაუბრუნდა სმენა, აეხილა თვალი.

წამოდგა, ქუჩას გახედა და თქვა:

— რა წამიყვანს! — მის წინ თათქო ბურუსიდან ამოდიოდა ქალაქი: ქვე-
ფენილები, ბოძები, კედლები, ფანჯრები, მავთულები და ჩაფიქრებული ხი-
დები.

„მაინც რა იყო ის ძილი...“

„მაინც რა იყო ის წვიმა...“

8

რკინიგზელისა და არჩილის ფანჯრებში სინათლე ენთო. ნიკას შინ შესვლა
არ უნდოდა და არჩილის ოთახისაკენ წავიდა. რკინიგზელის ბინას რომ გაუს-
წორდა, მიახს ხმა მოესმა. მიახ რაღაცას ხმამაღლა ლაპარაკობდა და ნიკას გაუ-
კვირდა — მიახს ხმა ძალზე მკაცრი და ცივი იყო. „აღაბთ რკინიგზელი დაბ-
რუნდა...“

— შემოდი, ნიკა, შემოდი, — შეეგება არჩილი ღიმილით. სკამიდან წიგ-
ნები აალავა და ნიკას დაუდგა:

— დაბრძანდი...

ნიკამ თვალი მოავლო ოთახს:

— უკაცრავად, რომ ასე გვიან შემოვედი...

— რას ამბობ, პირიქით, ძალიან გამიხარდა, მთელი დღე ვმუშაობდი და
კაცის ხმა მომენატრა.

— შენი თევზები არ ლაპარაკობენ? — გაუცინა ნიკამ.

— იცინე, იცინე. აბა მომისმინე, რა საინტერესო ამბავი ვითხრა: არიან
მოლუსკები, რომლებიც რეაქტიული ძრავის პრინციპით მოძრაობენ. ზოგი კი
რაკეტებს უშვებს, რომლებიც ხუთი წუთის განმავლობაში კაშკაშებენ. აი, რას
წერს ფრენკ ლიენი: „წარმოგიდგენიათ — ადამიანის ერთ-ერთ უკანასკნელ
გამოგონებას უკვე დიდ ხანია იყენებს ლოკოკინას მსგავსი არსება!“

— საინტერესოა, — თქვა ნიკამ, და აქვარიუმის მინის კედელზე თითოთ
დააკაკუნა.

— მოლუსკები ფერსაც იცვლიან, როდესაც საფრთხეში არიან. იმ ფერს
იღებენ, რა ფერიც გარშემო საგნებსა აქვთ...

— არც ამით ყოფილა ზოგიერთი ადამიანი ორიგინალური; — თქვა ნიკამ
ღიმილით...

— ჰო, აღამიანებიც იცვლებიან ხოლმე. მაგრამ ისიც ხდება, რომ ზრგნი თმის ნამდვილ სახეს ვერ ამქლავენებს...

და სწორედ ამ დროს ვილაქამ კარი შემოაღო. შემოაღო კი არა, შემოამტრია. ნიკა ფეხზე წამოვარდა: კარებში რკინიგზელი იდგა. ფერი დაკარგვოდა და თვალები ბუდიდან ამოვარდნოდა. რაღაცას ამბობდა, მაგრამ არ ისმოდა, რადგან მისი ლაპარაკი უფრო ხრიალს გავდა, ყელში დანაგაყრილი ხარის ხრიალს.

— რა მოხდა, რა მოხდა?

რკინიგზელი ოთახში შემოვიდა. მაგიდას მივარდა და აქვარიუმში ორივე ხელი ჩაჰყო. მერე პეშვით წყალი ამოიღო და სახეზე შეისხა:

— ღმერთო ჩემო, ღმერთო ჩემო... უშველეთ, მაიას უშველეთ...

არჩილი და ნიკა გაოგნებული შეჰყურებდნენ...

— უშველეთ-მეთქი, — იღრიალა რკინიგზელმა: — ნე... მე... ან ხელებით... ღმერთო ჩემო... რა გქენი, რა ჩაივინე... შედით, შედით... მე მილიციაში მივდივარ... მილიციაში მივდივარ... მივდივარ...

მერე მაგიდასთან მუხლებით დაეცა და ნაგიდის კიდეს თავი გაჰტებოთ ჩამოჰკრა, ერთხელ, მეორედ. ურტყამდა და თან ყვიროდა:

— უშველეთ, უშველეთ!..

ნიკა მირბოდა, თვითონაც არ იცოდა, სად მირბოდა.

„მანქანა, მანქანა, მანქანა...“

ქუჩა ცარიელი იყო.

წვიმა არ ისმოდა.

სად მირბოდა, სად ნახავდა ამ შუალამეს მანქანას, მაინც მირბოდა, ასე ირბენდა ალბათ ქვეყნის კიდემდე, ამ სირბილში იყო მაიას ხსნა, ამ სირბილს შეეძლო გადაერჩინა მაია.

„მანქანა!“

— მანქანა! — უცებ იყვირა მან.

ქუჩის ბოლოს „მოსკვიჩი“ იდგა.

ნიკამ მიიჩინა. ველარ სუნთქავდა, ხმის ამოდება არ შეეძლო:

— თუ ძმა ხარ, თუ ძმა ხარ, — ლულულუღებდა.

შოფერმა კარი გააღო და მანქანიდან გადმოვიდა:

— რა მოგივიდა, დაწყნარდი...

— თუ ძმა ხარ, ჩქარა, ქალი, ქალი უნდა წაგიყვანოთ...

— ვინ ქალი, კაცო, რას ამბობ?

— ქალი, ქალი...

ნიკას ხმაში იყო რაღაც ისეთი, რამაც შოფერიც ააფორიაქა, აამოძრავა, აახქარა:

— ეს ოხერი, მოტორი ჩამიქრა, ერთი საათი ტყუილად ვიწვალე... აბა კიდევ ვცადოთ...

მოტორს სახურავი ახადა, უტრიალა, უტრიალა, მერე დაახურა და საჭე: მიუჯდა:

— აბა მოაწევი, იქნებ ეშველოს...

ნიკა მთელი ძალით მიაწვა. მანქანა მთელი ძალით თახთახებდა, წვალობდა. ცოცხალივით ოხრავდა, ნიკა აწეებოდა და თან ეფერებოდა, ეხვეწებოდა:

— აბა, ჰა, ცოტაც, ცოტაც...

თითქოს თავის თავსაც ეძახდა და ამხნევებდა.



კუნთები დაეჭიმა, სახსრები ტკაცუნობდნენ, სახეზე სისხლი მოაწვა, სველი წველი
 ლითონზე ხელი უსხლტებოდა, მაინც აწვებოდა, მთელი ძალით, მთელი თავისი
 :რსებით აწვებოდა მანქანას.

ის მარტო არ იყო.

იყო კიდევ შოფერი და ეს მანქანა, ცოცხალივით მოცახცახე, დაძაბული
 მანქანა.

— აბა ჰა...

ეძახოდა ნიკა.

— მიდი, მიდი, — ეხვეწებოდა.

ნახებრად წამოწოლილ მაიას თავი ნიკას მკერდზე მიეყრდნო.

მაია კვნესოდა:

— ვაი, დედა, დედიკო..

ნიკას ხელი მოეხვია მისთვის, მაგრად მიეკრა მკერდზე, თითქოს სურდა
 თავისი სითბოთი გაეებო, თავისი ღონე ჩაედგა ამ უმწეო ქალისათვის.

— ნუ, ნუ, მაია, ცოტაც მოითმინე, — ჩურჩულებდა ნიკა.

მანქანა მიდიოდა ნელა, ძალიან ნელა.

— ჩქარა! — დაუძახა ნიკამ შოფერს.

— ამაზე ჩქარა არ შეიძლება, — შოფერმა მოხედა, მერე ქუდი შუბლზე

ჩამოიფხატა:

— ეჰ!

მაია აღარ კვნესოდა, მისი ტანი დაილია, ჩაიკარგა ნიკას მკლავებში. შეში-
 ნებულო ნიკა სახეზე ხელს უსვამდა და ეჩურჩულებოდა:

— ცოტაც კიდევ, ცოტაც კიდევ, მოველით უკვე...

მანქანა გაჩერდა.

საავადმყოფოს დიდი რკინის კარები ჰქონდა, ნიკამ ფრთხილად გაუშვა
 ხელები მაიას, მიაწვინა და მანქანიდან გადმოვიდა.

ალაყაცთან მიიზბინა და დააბრაზუნა:

— გა-ღეთ, გააღეთ!..

არაფერს გამოხედა.

ნიკამ ძუსტები დაუშინა კარს:

— გააღეთ, გააღეთ!

საავადმყოფოს დარაჯმა ჭიშკარი ჩაჰკეტა და მერე პატარა სარკმლიდან გა-
 მოხედა ნიკას:

— ცოლია?

— არა.

— და?

— არა... განა სულერთი არ არის?

— კოო... — გაუგრძელა დარაჯმა: — შორსა ცხოვრობ?

ნიკამ არაფერი უპასუხა.

— გინდა, შემოდი... მოსაცდელ ოთახში დაჯექი...

ნიკას გაუხარდა:

— გმადლობთ, ბიძია...

საავადმყოფოს მოსაცდელი ოთახი თითქმის ცარიელი იყო. მხოლოდ რამ-
 დენიმე სკამი იდგა კედელთან. მოპირდაპირე მზარეს, კედლის მთელ სიგრძეზე,
 ფარდაჩამოფარებული ფანჯარა მოჩანდა, რომელთანაც მაგიდა მიედგათ, მაგი-



დასთან შეუხანის, თეთრხალათიანი ქალი იჯდა და რაღაცას წერდა. ნიკა შევიდა და ვიღაცა და კარებთან გაჩერდა:

— უკაცრავად, მე მაიას ამბის გასაგებად მოვედი...

ქალმა გაიცინა:

— მაიას გვარი არა აქვს? თუმცა, არ არის საჭირო, ვიცი, ვიზედაც ლაპარაკობთ... ის ახლა საოპერაციო ოთახში წევს...

— მერე?

— არ ვიცი... უნდა ვიფიქროთ, რომ გადარჩება...

— როდის დაიწყო ოპერაცია?

— უკვე ათი წუთია...

ნიკამ საათზე დაიხედა.

„ათი წუთი“.

საათის პაწია ისარს თითქმის შეუმჩნეველი მანძილი გაველო.

„რითი იზომება ტკივილი?..“

— მტკივნეულია?

— თვითონ ვერაფერს გაიგებს...

— შეიძლება აქ დავიცადო?

— როგორ არა... თქვენ ვინ ბრძანდებით?

— მეზობელი ვარ მისი...

— აჰა, დაბრძანდით, დაბრძანდით...

— პაპიროსის მოწევა თუ შეიძლება?

— აქ შეიძლება, მოსწიეთ...

ნიკამ საათზე დაიხედა:

„უკვე თორმეტი წუთია...“

— ხანდახან ორ საათსაც გრძელდება ოპერაცია, — თქვა ქალარა ქალმა: — ხან კიდევ უფრო მეტს... გააჩნია...

— თქვენ როგორ ფიქრობთ?

— ვერაფრით დაგამშვიდებთ, მეც მინდა, რომ ადრე გათავდეს.

— თქვენ ნახეთ მაია?

— ვნახე... საცოდავი გოგონა...

— ის გოგონა არ არის, ის უკვე ქალია...

— თვალცრემლიანი მიყურებდა და ვერ მხედავდა, ვერაფერს ვერ ხედავდა, გარდა...

— გარდა?

— არაფერი, არაფერი... ის ალბათ ძალიან უყვართ...

— უკვე თხუთმეტი წუთი გავიდა...

— ხდება ხოლმე... ეგ არაფერს არ ნიშნავს... ნუ ლეღავთ... თქვენ მეზობელი ხართ?

— დიად...

— გასაგებია...

ნიკა წამოდგა და საფერფლეს დაუწყო ძებნა. ქალმა მაგიდიდან აიღო საფერფლე და მიაწოდა:

— აი, აიღეთ...

— გმადლობთ...

ნიკა სკამზე ჩამოჯდა. თეთრი, ანატომიური ნახატებით მორთული კედლები დაღლილობისა და მოწყენის გრძნობას იწვევდნენ ისევე, როგორც აფთიაქში წამლის ლოდინი.

ნიკამ სიგარეტი ჩააქრო. ცოტახანს ასე გამართული იჯდა. მერე დადგა და იძალა და თავი ჩამოუფარდა, მაშინვე თვალი გაახილა. ისევ მოერია ძილი... გადწვევით: ასე თვალდახუჭული ვიჯდები და არ დავიძინებო. ალბათ იმიტომაც იფიქრა ასე, რომ თვალებს ვეღარც კი ახელდა.

მერე უცნაური რამ დაინახა:

მაღალი, თეთრი ცხენი თავდაღმართში ჩაიყვანეს და ორმოში ჩააყენეს: ზაქრომ თოვი გადმოიღო და ცხენს დაუმიზნა. ნიკა მოტრიალდა, მაგრამ ამ დროს ზაქროს შეშინებული ხმა მოესმა:

— პავლე, პავლე! მოდი აქ, კაცო...

დაღმართზე მსუქანი მილიციელი მორბოდა და ზაქროს ეძახდა:

— ხელი არ ახლო! ხელი არ ახლო! კაცია, კაცი!

ნიკამ რკინიგზელი დაინახა, ის ორმოში იდგა და ბუდიდან ამოვარდნილ თვალებს საცოდავად ატრიალებდა.

ნიკამ თვალი გაახილა. ჭაღარა ქალი ღიმილით უტყვებდა:

— თქვენ ძილში ლაპარაკობდით...

— არა, მე არა...

„რა სისულელეს ვამბობ...“

ქალმა გაკვირვებით შეხედა, ნიკამ თავი გაიმართლა:

— დიად, ხანდახან ძილში ვლაპარაკობ ხოლმე...

ნიკა შინ აუჩქარებლად ბრუნდებოდა. ბინდიდან ქალაქი ჩაძირული გემით ამოდიოდა და უკვე ქარხნის საყვირებიც ჰკიოდნენ. განთიადისას ბინდ-ბუნდში აჩქარებული ნაბიჯების ხმა ისმოდა და თითქოს დილა ამ ხმას ფეხ-დაფეხ მოჰყვებოდა...



ჯანსუღ ჩაკვიანი

ჩვენ ამ თვალებით დავდივართ ძვეყნად

უჯრებში თრთოლვით ჩაქეტილ
ფიქრებს,
მწვერვალებიდან აკრეფილ ჩრდილებს,
წვერწათილ ფანქრებს, პატარა
ფანჯრებს
და კურდღლებივით გაპარულ დილას...
და სასაცილოს დათვივით ღამეს,
თეთრი ქარების ზუზუნს და ბუზღუნს,
პატარა მეწყრებს, პატარა ღვარებს
და მიტოვებულს ხალხისგან კუნჭულს...
გრძელ მავთულებზე პატარა წვეთებს,
გრძელ მავთულებზე პატარა ჩიტებს,
ვით სათნობას, მღვიმევს და ბეთლემს,
წვიმებს, ასფალტზე მუხლებს რომ
იმტვრევს, —

მოაქვს შვება და ნათელი აზრი,
გზად დაჩნეული სიმღერის კვალი
და ფრთებით მოაქვს ფერები ნაზი,
ვით სურნელება საყვარელ ქალის.
მოაქვს სიტბო და პატარა დარდი,
ვიღაცის შორი თვალები მოაქვს,
მოაქვს და მერე ძარღვებში დადის
იხე ვით სისხლი,
იხე ვით თრობა.
მოაქვს და მერე თვალებში დადის
და ფართოდება თვალების გუგა,
და მოჩანს თვალში ღამაში კადრი
სიხარულის და ცრემლების გუბედ.
ჩვენ ამ თვალებით დავდივართ ქვეყნად
და გვიხარია თვალები ფართე,
... და რადგან ქვეყნად სიცოცხლე
გვიყვარს,

წვიმების გემართებს,
ფანქრების გემართებს.
ზოგჯერ უბრალოდ ვიცით ხმაური,
მცირე მოწყენა და გამიჯნება,
რადგან მიწის და ცის სიყვარული
ბოლოს სიცოცხლის ფასად გვიჯდება.

იმერეთი ანთია გზებზე

რევან თვარაძეს, ნოდარ დვალს, ალექსანდრე
და გოგი დემეტრაძეებს

ნეტა სულ ასე ვიაროთ მზე-მზე,
ქალები ჰგვანან ოქროსფერ თევზებს.
და იმერეთი ანთია გზებზე
და იმერეთი ანთია მთებზე.
ისე ვით თვალი შორი და სხვისი
მაღალი მთა და მაღალი მთვარე,
ბროწეულები ღამით და დღისით
აბრიალებენ ცეცხლისფერ თვლებს.
ამოაქვს ჭიდან მას ცივი წყალი,
ჩემი გულიდან მიჰქონდეს მინდა,
იმერეთს წინდა აცვია მწვანე
და ღამაზ ფეხებს უხდება წინდა,

იმერეთს კაბა აცვია ლურჯი
და თევზივით ტანს უხდება კაბა,
ღამაზი მხრებით,
ღამაზი მუცლით,
ღამაზი თმებით ხეებზე მბამს.
მე შენი თმების სიცოცხლეს ვნატრობ,
არ მიშვებდეს და მბამდეს ისევ,
როცა შენ მღერი, ღამაზო ხატო,
მე საქართველოს სიმღერას ვისმენ.
ავდივარ მთა-მთა, ავდივარ მზე-მზე,
ქალები ჰგვანან ოქროსფერ თევზებს,
და იმერეთი ანთია გზებზე...
და იმერეთი ანთია მთებზე...

მ ზ ე

როგორც მზე ჩადის,
ისე ნელა ამოდის სული,
როგორც მზე ჩადის,
ისე ნელა ამოდის მზე.
უკანასკნელ სხივს
მე ვუყურებ ისე, ვით სურვილს
და ფიქრის იქით
მზის გული ძგერს.
როცა მზე ჩადის,
მეც ჩავდივარ საკუთარ ტყავში,
როცა მზე ჩადის,
დაბალია ამხელა ცა,
ღამე მთებს დიდი
საშლელივით წაშლის
და მთელი ღამე
ვარსკვლავებს სვამს...

როცა მზე ჩადის,
იმტვრევიან თაღები ზეცის,
როცა მზე ჩადის,
თუმცა, ვიცი, ამოვა კვლავ,
როცა მზე ჩადის,
ყოველივეს ვუყურებ შეცვლილს,
როცა მზე ჩადის,
ჰე მგონია ქვეყანა მკლავს.
მზე რომ ამოდის,
მეკარგება სიმშვიდე სრული
და იმ სიმშვიდეს
მიჰყვება დარდი,
მის პირველ სხივებს
მე ვუყურებ ისე, ვით სურვილს
და ჩემს სხეულში
სიცოცხლე დადის.

მუზა და მდინარე

აქ იკეტება ყველა სიზმარი
და აქ ეშვება სუყველა ღუზა
და საღდაც შორს, შორს, როგორც
მიზანი,
ისე ჩამჯდარა პატარა მუზა.
და ვარსკვლავებით საცხე მდინარეს
მოაქვს ტალღები დინჯად და თვლემით,
და შორს, შორს, მუზის თვლები
ბრწყინავენ,

პატიოსანი, ძვირფასი თვლები.
...
ვერ გვაღვიძებ მე ამ მდინარეს,
დაე, იდინოს დინჯად და თვლემით,
რადგან შორს მუზის თვლები
ბრწყინავენ,
პატიოსანი, ძვირფასი თვლები.

განშორება

ატყატუნდება კოცონის სული,
 შადრევნებით და ყვითელ ვარდებით,
 და ცას, ისე ვით ბეჭედი სრული,
 მთვარე სძვრება და ზღვაში ვარდება.
 და ჩვენ თვალებით აღვნიშნავთ
 ტკივილს,

რომ განშორების არის ნიშანი
 და ზღვა — ვეება აქვარიუმი
 სავსეა მთვარით,
 თევზით,
 ნიქარით.

ფ ი ქ რ ი

შენ ოლონდ ხიდზე იდექი მარტო,
 ჩუმაღ და წყნარად შენი თვალივით,
 შენ ოლონდ ხიდზე იდექი მარტო
 და მე ჩაგივლი, როგორც ყვავილებს.
 და შენ ახალი, თეთრი თოვლივით
 თვალებს მომპრი და თავბრუს
 დამახვევ

და ხიდი — ფიქრით მთლად გაბოლილი
 დიდი თაღების თვალებს გაახელს,
 ხიდს მთვარესავით წაიღებს წყალი...
 და შენს თვალებსაც წაიღებს წყალი...
 და შენ დაიწყებ მთვრალივით რწევას.
 და მიდის, მიდის ფიქრივით ჩქარი,
 მე მის ანთებულ ტალღებზე ვწევარ...



სოსო კორინთელი

ანა კოხჩიახია

რომანი

ირაკლიმ შემთხვევით გაიგო, რომ გაიოზ გიგაშვილი ცოცხალი ყოფილა. იმ დღეს ადრინადად გამოვიდა სახლიდან. უქმური ამინდი იყო, ღრუბლიანი, ნესტრ-ანი. ნოტიო ძვალსა და რბილში ატანდა. ირაკლი იქ, სადაც მოკვეთილი ჰქონდა ფეხები, წიწყნას გრძნობდა, თითქოს ნემსებით ჩხვლეტდნენ.

მთელი დღე უსაზნოდ იბორიალა აღმადიდმა. მაინც ვერ გაერთო. მაინც ვერ გადიყარა უსიამოვნო ფიქრები გულიდან. ფილაქანს მიადგა და მანქანა შეაჩერა. კუთხეში პაპიროსის გასაყიდი ჯიხური იდგა. მოხუცმა გამყიდველმა პაპიროსი მოუტანა. ირაკლიმ ზანტად გახსნა კოლოფი, ერთი ღერი პირში ჩაიღო და მოუკიდა. გააბოლა.

მერე უეცრად იგრძნო, რომ ვიღაც დაეინებით უყურებდა. თავი აიღო. პაპიროსის ჯიხურთან საშუალო ტანის ოცდაათი-ოცდათხუთმეტი წლის კაცი დანახა.

კაცმა თვალი არ მოარიდა, კვლავ დაეინებით შესცქეროდა. მერე ნელი ნაბიჯით წამოვიდა მისკენ. ირაკლიმ შეატყო, რომ კაცი ყოყმანობდა, კიდევ აპირებდა მისვლას და თავსაც იკავებდა.

- უცბათ ირაკლის გაახსენდა: ნოდარი!.. არა, ოთარი, ოთარ კავაზაშვილი!
- უკაცრავად... — მიუახლოვდა კაცი.
- ოთარი ხარ, კავაზაშვილი? — ჰკითხა ირაკლიმ.
- ირაკლი! გამარჯობა!

ოთარ კავაზაშვილი ორმოცდასამში მოხვდა მათ ნაწილში. უმცროსი ლეიტენანტის წოდება ჰქონდა. ირაკლიმ იგი ჯანმრთელი და უვნებელი დატოვა ფრონტზე. შეათვალერა. არაფერი აკლდა. ხელებიც ჰქონდა, ფეხებიც...

- როგორც დაგინახე, მაშინვე გიცანი, მაგრამ მაინც ვერ გავებდე მოსვლა — უთხრა ოთარმა.
- მეც უცბათ გიცანი.
- რას შვრები, როგორა ხარ?
- როგორც მხედავ... — თქვა ირაკლიმ. — შენ კარგად გადარჩენილხარ.
- კი, გადავრჩი. მხოლოდ მსუბუქი ჰრილობები მივიღე.



ირაკლიმ ხელახლა შეათვალიერა ძველი თანამებრძოლი თავიდან ფეხამდევნი და უთხრა:

- მიხარია.
- შენ როგორ გადაურჩი? აღარ შეგონე ცოცხალი. — თქვა ოთარმა.
- ცოცხალი ვარ... ცოცხალი კი ვარ? — ირაკლიმ ტანზე დაიხედა.
- იცი ვინ გამოგიყვანა ცეცხლის ხაზიდან დაჭრილი?
- არ ვიცი. ვინ გამომიყვანა?
- გაიოზ გიგაშვილმა. ვახსოვს გაიოზი?
- როგორ არ მახსოვს! კარგი ბიჭი იყო, ძალიან კარგი ბიჭი...
- რატომ ამბობ, იყო? — გაუკვირდა ოთარს.
- აბა?!
- გაიოზი ხომ ცოცხალია!
- რას მეუბნები! გაიოზი ცოცხალია?!
- ცოცხალია. ყოველ შემთხვევაში ამ დილით ცოცხალი იყო, — თქვა ოთარმა და გაიცინა.
- შენი თვალთ ნახე? ნამდვილად ცოცხალია?
- ჩემი თვალთ ვნახე, — იცინოდა ოთარი, — ამ დილით ლუდიც ერთად დავლიეთ.

— ვერ წარმოიდგენ, როგორ გამახარე! მე მითხრეს, დაიღუპა... მისამართი იცი გაიოზის?

ოთარმა ჩააწერინა მისამართი.

— ეს რაც გაიოზს შეეხებოდა. — თქვა მან და გაიცინა. — ახლა მიახე, როგორ ცხოვრობ, რას აკეთებ, რასა იქმ...

— ბევრს არაფერს.. — უპასუხა ირაკლიმ, — საბუღალტრო კურსებს ვამთავრებ.

— ბიჭოს! თითქმის კოლეგა ყოფილხარ. მე ეკონომისტი ვარ.

— ისე გამოდის, მთელი ფინანსური სამყარო აქ შეკრებილა.

— სწორედ ეგრეა. ბევრი გიკლია დამთავრებას?

— ხუთი წუთი, როგორც ამბობენ.

— როცა დამთავრებ, შეიძლება რამეში გამოგადგე. ჩვენს დაწესებულებაში შეიძლება ბუღალტრის ადგილის გამოიხატო.

— გმადლობ, მექნება მხედველობაში. როცა უკეთესი ვასართობი არ გექნეს, გამიხსენე და გამომიარე ხოლმე.

— აუცილებლად...

გზაში ირაკლი გაიოზ გიგაშვილზე ფიქრობდა. ფრონტელ მეგობრებს შორის მასთან ყველაზე ახლოს იყო. გაიოზს სამხატვრო აკადემია ჰქონდა დამთავრებული. მისმა სადიპლომომ ნაშრომმა დიდი ხმაური გამოიწვია და კონკურსზე პირველი პრემია მიიღო. მამაცი ჯარისკაცი იყო გაიოზი, გულითადი ამხანაგი, დიდად განათლებული და ჩინებულად აღზრდილი. ის და ირაკლი ძალიან დაუახლოვდნენ ერთმანეთს ფრონტზე. როცა ირაკლი თბილისში დაბრუნდა, უთხრეს, გაიოზი დაიღუპა და კარგა ხანია გამოიგლოვა კიდევ.

ირაკლიმ მონახა გაიოზის სახლი და მანქანა ქუჩაზე, სადარბაზო შესასვლელის წინ დააყენა. გადმოვიდა. რის ვაი-ვაგლახით აიარა კიბეები. სანამ მეხუთე სართულამდე აღწევდა, ქანცი გაუწყდა. მუხის მასიურ, შეუღლება კარზე წაგრძელებული, ოთხკუთხა შავი მინა შენიშნა, რომელზედაც დიდრონი თეთრი ასობით ეწერა „გიგაშვილი“.

ირაკლი შედგა. სული მოითქვა. ზემოთ, მარჯვნივ, ელექტროზარის თეთრი



დილი მოჩანდა. ვერ შესწვდა ღილს, ამიტომ დააკაკუნა. გამოტირებული მცხოვრებლის შესხედრის მოლოდინისაგან გულს ბაგაბუგი გაჰქონდა. კიდევ დააკაკუნა. საღდაც სახლის შიგნით ხმაური გაისმა. ხმაური თანდათან მოახლოვდა. მერე ირაკლიმ ნაბიჯების ხმაც გააჩია.

გაიღო კარი. სახედანაოკებულმა, ჭალარა კაცმა ქვემოთ დაიხედა და ირაკლი რომ დაინახა, აშკარად დაეტყუო გაოცება.

— უკაცრავად, მე გაიოზის ნახვა მინდა, გაიოზ გიგაშვილის, — თქვა ირაკლიმ.

— ვისი?! — ჰკითხა ჭალარა კაცმა.

— გაიოზ გიგაშვილის...

— მე გახლ... ერეკლე!

ირაკლის გააქრჯოლა. მერე თვალი შეასწრო მოსახვევად გამოშვერილ ხელებს, ჭალარა თმებს, დანაოკებულ სახეს...

— მოჩვენებაა, თუ ცხადი, ერეკლე! — თმაჭალარა გადაეხვია ირაკლის ხელები მოავლო და უნდოდა აეწია, მაგრამ ვერ შესძლო და თვითონ დაეცა მუხლებზე.

— გაიოზ ნუთუ, შენა ხარ...

— ვეღარ მიცანი, ხომ — გაიოზმა ნერვიულად გაიცინა.

— გამიჭირდა...

ირაკლი შესტკეროდა ამ გამხდარ, მკერდჩავარდნილ, მოხუცივით სახედანაოკებულ კაცს. „ღმერთო ჩემო, რამ შეცვალა ასე! რა უნდა გადაეტანა ისეთი. რომ ვგრე მოტეხილიყო...“

მოზრდილ, ნათელ ოთახში შევიდნენ. ოთახი მდიდრულად და გემოვნებით იყო მორთული.

— დაჯექი, — უთხრა გაიოზმა და გაიცინა, — შეგიძლია სკამზე ასვლა? მართალი გითხრა, აღარ მეგონა, თუ გნახავდი... ჰა, ჰა, ჰა... ერეკლე, რასა ვგავართ!

ირაკლის არ ეცინებოდა. იგი თავის თვლებს ვერ უჯერებდა, რამ შეცვალა ასე! ნუთუ ეს არის ის ჯანღონით სავსე, ძლიერი ვაჟკაცი, რომელიც ყოველ დილით დაკუნთულ მკლავებს, მაღალ მკერდს და მოჭიდავესავით მსხვილ კისერს თოვლით იხელდა...

— ჰა, ერეკლე! რასა ვგავართ! თუმცა შენ რა... შენ ისეთივე ხარ, როგორიც იყავი. მკერდის შემოწერილობა სულ ცოტა ასი სანტიმეტრი გექნება. მხეცივითა ხარ.

— ვითომ? — ირაკლიმ ტანზე დაიხედა.

— ფეხები? ფეხები რა საანგარიშოა! მთავარია, რომ ჯანმრთელადა ხარ. მთავარი ჯანმრთელობაა...

ირაკლიმ არაფერი თქვა. ჩავარდნილი მკერდი, გაძვალტყავებული სხეული და სახის ფერი აშკარად მეტყველებდა, რომ გაიოზი ავადმყოფობდა. იგი ჩაღეული მოჩანდა ყვითელი ტყავის დიდ და მასიურ სავარძელში.

— აღარ მეგონა, თუ ცოცხალს გნახავდი... როგორ გადაურჩი? — ჰკითხა გაიოზმა.

— გადავურჩი... — თქვა ირაკლიმ, — უარესებსაც უძლებენ.

— გამძლე ყოფილა კაცი... ძალღივით.

— ძალღივით.

— ვინ შეგატყობინა, რომ ცოცხალი ვარ? ცოცხალი ვარ, ჩემმა მზემ! თუ გინდა თქვი, რომ არა ვარ ცოცხალი...

— ოთარ კავაზაშვილი შემხვდა დღეს და მან მითხრა... აღარც მე ცოცხალი. მითხრეს, დაიღუპაო.. — თქვა ირაკლიმ.

— სხვა, მიაშბე რა გადაგხდა.

— შენ, შენ რაღა გადაგხდა?

ხან ერთი ლაპარაკობდა, ხან მეორე. გაიოზი ხმადაბლა, აუჩქარებლად ჰყეებოდა. იგი ხშირად იცინოდა და ისე ლაპარაკობდა, თითქოს ვინმე სხვაზე უამბობდა. უსმენდა ირაკლი და მეგობრის ხმას ექაჩებოდა სადღაც შორს, წარსულისაკენ, თითქოს ეგ ხმა ეძახდა წლების, თვეების, დღეების მიღმიდან. უსმენდა გაიოზის თავგადასავალს და რიალებდა წარსულის ჩრდილებში. საოცარია, რამდენი ადამიანი, რამდენი საგანი, რამდენი ამბავი ყოფილა მის ცხოვრებაში, მის წარსულში. ადამიანები — ცოცხლებიცა და მკვდრებიც, საგნები — შერჩენილიცა და დაკარგულიც, ამბები — სასიამოვნოცა და უსიამოვნოც ერთად ელაგა, ერთად განისვენებდა მის გონებაში და ისინი მებსიერების მტვერს დაეფარა.

ცოცხლებიცა და მკვდრებიც შეუშფოთებლად იწვნენ მებსიერებაში, ერთმანეთის გვერდით.

— მგონი თავი შეგაწყინე, — თქვა გაიოზმა და წამოდგა, — რაც იყო იყო, წარსულს ვეღარ დააბრუნებ.

— არც არის საჭირო, — თქვა ირაკლიმ, — თუ შემდეგ იგივე გამოვრდება.

— ჰო, თუ არაფრის შეცვლა არ შეგეძლება; არ არის საჭირო... ახლა კი გავმხიარულდეთ. რას დაღევე, ღვინოს თუ ალუბლის წვეცს!

— ერთსაც და მეორესაც, — გაიციინა ირაკლიმ.

უცბათ ძალიან თავისუფლად და მშვიდად იგრძნო თავი ძველ ფრონტელ მეგობართან. ირაკლის მოსწონდა აქ, გაიოზთან ყოფნა. იყო რაღაც მყუდრო და დამამშვიდებელი ამ ნათელი ოთახის ატმოსფეროში.

— საესებით სწორია. ჯარისკაცის სიტყვაა, — მოუწონა გაიოზმა.

მან ბუფეტიდან ლამაზი, მოხატული ბროლის სურით ალუბლის ნაყენი გამოიღო, მერე ტანწერწეტა სირჩები და მაგიდაზე დააღაგა. ღვინო, ღვინის ჭიქები და პურმარილიც მოიტანა.

თითო სირჩა ალუბლის ნაყენი უსიტყვოდ გადაჰკრეს, მხოლოდ ერთმანეთს შეხედეს. შემდეგ სადღეგრძელოებს გაიოზი ამბობდა.

— გაიოზ, ახლა მიაშბე, ასე რამ... ასე რამ გამოგცვალა... — ირაკლის ენა დაება.

— ესე იგი, ასე რამ ჩამომახზო, დამაქკნო და მომახუცა, არა?

ირაკლიმ არაფერი უთხრა. სისულელე იქნებოდა ეთქვა: არა, კარგად გამოიყურებიო. გაიოზიც დუმდა.

— ავად ხარ? — ჰკითხა ირაკლიმ.

— ავად? თუ ამას მხოლოდ ავადმყოფობა ჰქვია... ხომ მხედავ, აღარა ვარ კაცი; გავთავდი... და, რაც მთავარია, აწი ვეღარასდროს ვიმუშავებ. ვეღარასდროს!

— რას ამბობ...

— აღარ შემეძლება ვიმუშაო ისე, როგორც ვმუშაობდი, აღარასდროს... ცოცხალი ლეში ვარ. მხოლოდ სული მიდგას და ისიც გაწამებული.

— მაინც რა დაგემართა?

— რა დამემართა?!

გაიოზი სადღაც იყურებოდა. ირაკლიმ თვალი მოარიდა. „გაუშვი იფიქროს და განიცადოს, რაც განსაცდელია!.. ამისაგან იშვიათად თუ ვინმე გიხსნის“, — გაიფიქრა მან. ოთახი მოათვალიერა. ისინი წითელი ხის მრგვალ მაგიდასთან

ისხდნენ. თავზე დიდი, ლამაზი ბროლის ქაღი დასცქეროდათ. ერთ კუთხეში კოსტერტო როიალი იდგა. როიალს ახლილი ჰქონდა სახურავი. გაიოზი კვლავ დუმდა. ახლა იგი რომელიღაც წერტილს მისჩერებოდა.

— არ გინდა მიაბო? — ფრთხილად ჰკითხა ირაკლიმ.

— ჰა? — გაიოზი გამოერკვა.

— მიაბზე, რა დაგეშართა.

— ჰო... უკანასკნელად თავში დავიჭერი, ორმოცდახუთის გაზაფხულზე. ჭრილობა მაინცდამაინც არ იყო საშიში და მალე გამოვჯანსაღდი. ამასობაში ომიც დამთავრდა. დავბრუნდი შინ. ცოტა ხანს ყველაფერი კარგად მიდიოდა, მერე კი თავმა ტკივილი დამიწყო, რაც დრო გადიოდა, მით უფრო ხშირად და საშინლად მტკიოდა...

— შემდეგ?

— პირველად ვფიქრობდი, რომ ეს ჩვეულებრივი თავის ტკივილია და თავის ტკივილის საწინააღმდეგო აბებს ვყლაპავდი...

— ჰო.

— მაგრამ მალე დაერწმუნდი, რომ ასე არ იყო. ჯოჯოხეთური ტკივილები-საგან ღამეები არ მეძინა... განსაკუთრებით საშინლად მტკიოდა კეფასთან. ისეთი გრძნობა მქონდა, თითქოს თავზე რკინის სალტეები მქონდეს შემოკერილი.

— ექიმს არ მიმართე?

— ცხადია. საუკეთესო ექიმებთან დავდიოდი...

— რა გითხრეს. რისი ბრალიაო?

— ჭრილობის.

— მერე?

— მერე დამპირდნენ, მალე გავამგზავრებთ საიქიოს წერილის მოსატანადო.

— არა, ხუმრობის გარეშე.

— მითხრეს, რომ არ უნდა ვინერვიულო, რაც შეიძლება ცოტა უნდა ვიფიქრო, ცოტა უნდა ვიკითხო, არც ერთი საქმით არ უნდა გადავიღალო და, რაც მთავარია, არავითარ შემთხვევაში არ უნდა ვხატო... ხომ გესმის, არავითარ შემთხვევაში არ უნდა ვხატო!

— აბა რილასთვის უნდა იცხოვროო?

— მეც ასე ვუთხარი, — თქვა გაიოზმა, — აბა რალად მინდა სიცოცხლე, თუ აღარ ვხატე, თუ ხელი ავიღე ჩემს საყვარელ საქმეზე, არ ვიფიქრე, არ ვიშრომე...

— რა თქმა უნდა.

— ჩემი ოცნება, რომ შევექმნიდი შედეგს, ჩემი მიზნები, ჩემი გეგმები... ექიმმა მითხრა, რომ მათზე ფიქრიც კი არ უნდა გავხედო. არ შეიძლება დიდხანს ფიქრი! წარმოგიდგენია, ფიქრიც კი არ შეიძლება... — გაიოზმა მაგრად შეიგინა. ირაკლიმაც შეიგინა, მაგრამ გულში, ხმამაღლა არა.

— გინება ფრონტიდან ჩამოშვეა და ველარ გადავეჩვიე, — თქვა გაიოზმა, — მაგრამ შენთან ბოღიშს არ ვიხდი.

— რა თქმა უნდა.

— ჩვენ მიჩვეულები ვართ.

— მიჩვეულები ვართ, — დაეთანხმა ირაკლი, — გინება გულს მოგფხანს.

— ახლა შენ ყველაფერი იცი... იცი, თუ რატომ გავხდი ასეთი. რატომ „შევიცვალე“, როგორც შენ ამბობ. და მოდი ამის შესახებ ამას იქით კრიტიკულად დავძრაო. გვეყოფა, ახლა კი აიღე ჰიქა და დაელოთ. — გაიოზმა მიუქანუნა ჰიქა.

ირაკლიმ დალია. ცოტა ხანს სიჩუმე ჩამოვარდა.

— ვინ უკრავს როიალზე? — იკითხა ირაკლიმ მხოლოდ იმიტომ, რომ სიჩუმე ჩუმე დაერღვია.

— დედა. დედა კონსერვატორიაში ასწავლის, დოცენტია. ეპ, იყო დრო, მეც ვუკრავდი. მაშინ არც ვიცოდი რას გავყოლოდი, მუსიკას თუ ფერწერას, — თქვა გაიოზმა. იგი ნაღვლიანი თვალებით შეჰყურებდა როიალს. მერე ხელი ჩაიქნია და წამოდგა.

— კარგი იქნებოდა, დაბრუნებისთანავე გამეგო, რომ ცოცხალი იყავი.

— კარგი იქნებოდა, მაგრამ სჯობს გვიან, ვიდრე არასდროს. ჰა, ერეკლე, რას დავემსგავსეთ?! ჰა, ჰა, ჰა... არაფერია... შეავსე ჭიქები.

ირაკლიმ შეავსო ჭიქები.

— ეს ჩვენ გავვიმარჯოს, ერეკლე, — თქვა გაიოზმა და ჭიქა აიღო, — გავვიმარჯოს ისეთებს, როგორებიც ვართ.

— გავვიმარჯოს ისეთებს როგორებიც ვართ, — გაიმეორა ირაკლიმ და ჭიქა მიუტახუნა. დალიეს.

— მართლა, რითი დადიხარ?

— ინვალიდების მანქანით.

— ჩინებულა, — თქვა გაიოზმა, — თუ უარს არ მეტყვი, გავისეირნოთ შენი მანქანით. მე იშვიათად გავდივარ სახლიდან, ან ვხატავ, ან დედას ვუსმენ, როცა უკრავს... თუ წინააღმდეგი არა ხარ, გავისეირნოთ.

— გავისეირნოთ. — ირაკლი ნასიამოვნები იყო.

— გზად შენი სახლიც მაჩვენე. მგონი აწი მაინც აღარ დავკარგავთ ერთმანეთს. ჰა, ერეკლე! რას დავემსგავსეთ, ჰა, ჰა, ჰა...

ირაკლი ლოგინზე იჯდა, საწოლის საზურგეზე მიყრდნობილი. ლოგინზე იჯდა ხათუნაც, ცოტა მოშორებით. ისინი არ ლაპარაკობდნენ, არც უყურებდნენ ერთმანეთს. ხათუნას ფეხსაცმელები იატაკზე ეყარა. ერთი ფეხსაცმელი უცნაურად ეგდო პირდაღმა, ქუსლი რქასავით ამოეშვირა ზემოთ. ირაკლის უკვირდა თუ რა აჩერებდა ასეთ მდგომარეობაში ფეხსაცმელს.

ხათუნას ხორცისფერი, თხელი წინდები ეცვა. იდაყვები მუხლებზე დაეხჯინა და სახე ხელისგულებით ეჭირა. ქვედა კაბა ოდნავ გადაცურებოდა და ხორცისფერ წინდებში გამოკვართული მუხლისთავები მოუჩანდა. შავი, ფაქიზად ნაქსოვი ჯემპრი ტანზე შემოტმასნოდა და ირაკლი ხედავდა ხათუნას კონტა, გამოყვანილ მხრებსა და ზურგს.

ხათუნა გარინდებული იყო. სადღაც შორს იყურებოდა. ირაკლი გრძნობდა, რომ ხათუნას თავისი ფიქრები ჰქონდა, სავსებით განსხვავებული მისი ფიქრებისაგან. ისინი ერთმანეთის გვერდით ისხდნენ, მაგრამ ფიქრებით სხვადასხვა ადგილას იმყოფებოდნენ. ისხდნენ, ერთმანეთს არ ეხებოდნენ, არც უყურებდნენ, არც ელაპარაკებოდნენ. ისხდნენ ისე, თითქოს ოთახში უცხო ვინმე შემოსულიყოს მოულოდნელად. რომელთანაც საჭირო იყო მათი ურთიერთობის დამალვა.

ირაკლი დააკვირდა ხათუნას გარინდებულ, ჩაფიქრებულ სახეს და ეგონა მის სულში იხედებოდა. ხათუნას შინაგანი სამყარო ბრძოლის ველივით გადაშლოდა თვალწინ. ირაკლი გასცქეროდა ამ ველს და იცოდა, სად რა იყო განლაგე-

ბული. დარწმუნებული იყო, რომ ხათუნასავე სიტყვებით შეეძლო ეთქვა ლაფერი, რასაც იგი ფიქრობდა.

ასე გავიდა კარგა ხანი...

კვლავ არ იღებდნენ ხმას. ირაკლიმ რამდენჯერმე გადახედა ხათუნას, მაგრამ მან ყურადღება არ მიიქცია. ხათუნა გარინდებული იცქირებოდა სადღაც შორს და თითქოს მთლიანად დავიწყებოდა მისი არსებობა, მისი სიახლოვე. ირაკლი შეცბუნებული იყო. რაც უფრო გრძელდებოდა ხათუნას დუმილი და გარინდება, მით უფრო სცილდებოდა იგი ირაკლის.

ხათუნა თანდათან შორეული და უცხო ხდებოდა.

სალამოს დადგომა ვერც ერთმა ვერ შეამჩნია. ჰაერი და საგნები ვერცხლისფერი გახდა. შემდეგ ყველაფერი თანდათან გამუქდა, ბინდი გადაეფარა და ოთახი ჩაყლაპა სიბნელემ. შავი, ბნელი ფერი უხმაუროდ მოედო კედლებს, ჩაიხვია საგნები, შემოევლო მათ, სიბნელეში გაახვია. და ბოლოს ხათუნა მოიპარა, ჩაყლაპა.

ირაკლი ველარ ხედავდა ხათუნას. იცოდა, რომ იგი არსად წასულა, ისევ მის გვერდით იჯდა, მაგრამ თვითონ ვერ ხედავდა. არც მისი ახლო ყოფნის ხმა ესმოდა. შემდეგ სიბნელის ფონზე უფრო ჩაშავებული გამოსახულება გამოიკვეთა. ეს გამოსახულება ხათუნასი იყო. იგი ძალიან უცხო და შორეულად მოეჩვენა ირაკლის, თითქოს არასდროს ენახა.

გამოსახულება თანდათან უკან-უკან მიიწევდა და ახლა ირაკლი მას შორს, ძალიან შორს ხედავდა — მრავალი წლისა და მრავალი განცდის, ტანჯვა-წვალების მიღმა. მერე ხათუნას აჩქარებული სუნთქვა მოესმა. ლამის სიბნელესა და სიჩუმეში ეს ისე ხმამაღლა მოისმა, როგორც ავადმყოფის სუნთქვა.

— ირა! — გაისმა სიბნელეში.

— ჰა?

— ხმა ამოიღე, მითხარი რამე...

ირაკლი შეერთა. მან იგრძნო, რომ ამ წუთში რაღაც გათავდა, რაღაც სამუდამოდ დასამარდა... და ამას იქით მას ლაპარაკი ველარ უშველიდა. „თუ ჩვენს შორის ლაპარაკი აუცილებელი გახდა, თუ ისე თავს ვერ ვგრძნობთ კარგად, მაშასადამე ყველაფერი გათავებულა“...

— ირა! გესმის, ირა?

ირაკლი ვერ ხედავდა, რა გამომეტყველება ჰქონდა ხათუნას, მაგრამ გაიგონა, როგორ უკანკალებდა ხმა.

— ირა!

— რა გინდა, ხათუნა?

— თუ შეგიძლია, მიმაცილე მანქანით სახლამდე.

— ახლა აღარ შეგრცხვება ინვალიდის გვერდით ჯდომა?

— ჰა?!

— აღარ შეგრცხვება-მეთქი ინვალიდის გვერდით ჯდომა? ახლაც მთელი ქვეყანა დაგვინახავს...

ირაკლიმ ტუნზე იკბინა. საშინლად შერცხვა, რომ წამოცდა ის, რასაც ფიქრობდა... თავი შეუტრაცხოფილად იგრძნო, შეუტრაცხოფილად და დამცირებულად...

მერე სლუკუნნი მოესმა და დაინახა, რომ ხათუნას საბანში ჩაერგო თავი და გულამომჯდარი ტიროდა. ირაკლის არასდროს უნახავს ატირებული ხათუნა... და ახლა, როცა იგი პირქვე იწვა, თავი საბანში ჩაერგო, სლუკუნებდა და მხრები უხტოდა, საოცრად შეშინდა, დაიბნა და არ იცოდა რა ექნა.

ირაკლის უნდოდა ეთქვა რაიმე, როგორმე დაემშვიდებინა, მაგრამ ვერცაფერა უნდა ეთქვა. უსუსურად აცეცებდა თვალებს. მერე მიიწია, თმებზე ხელი გადაუსვა, მოეფერა და წამოაყენა. ხათუნა ცდილობდა ჩაეხრჩო ტირილი და იგუდებოდა. მხრები გულსაკლავად უხტოდა.

ირაკლი უცნაურ შიშსა და ტკივილს განიცდიდა. ხათუნამ მხარზე ჩამოადო თავი. ირაკლი გრძნობდა მისი სახის მხურვალეობას, გრძნობდა, როგორ უსველებდა ცრემლები ხალათს... სხვა დროს იგი გაჯაერდებოდა, სხვა დროს და სხვის ტირილზე ნერვები აეშლებოდა, მაგრამ ახლა როგორღაც მოსწონდა კიდევ სწორად მიაჩნდა, რადგან იგი ხათუნა იყო.

მთვარე გამოვიდა. ოთახი განათდა. ირაკლიმ თავი აუწია ხათუნას, ცხვირსახოცი თვალები ამოუმშრალა, მოეფერა, მოუაღერა, მაგრამ ხმას კი ვერ იღებდა. ხათუნას თმა ასწეწოდა, ნამტირალევი სახე გასწითლებოდა და დასველებოდა. ირაკლიმ ცხვირსახოცი გადაუსვა სახეზე. საოცრად მხურვალე ჰქონდა სახე...

— არცა გრცხვენია, — თქვა ხათუნამ.

ირაკლიმ ხმა ვერ ამოიღო.

— არცა გრცხვენია! — გაიმეორა ხათუნამ.

და წავიდა.

ხათუნა წავიდა. წავიდა და მეორე დღეს აღარ მოსულა. აღარ მოსულა არც მესამე დღეს...

ირაკლი იჯდა თავის ოთახში და ცდილობდა როგორმე გული გადაეყოლებინა. წიგნი აიღო, მაგრამ ვერ წაიკითხა. საბუღალტრო საგნების მომზადება განიზრახა — ვერ შეძლო. ბოლოს ჯოხის ჩორკნა დაიწყო, მაგრამ ვერც ამას დაუდო გული და ჯოხი ბრახიანად ისროლა.

დაჩოჩავდა ოთახის ერთი კუთხიდან მეორემდე. შიგნით, მკერდში რაღაც კვებოდა ხანგრძლივი სიკვდილით. აიღო გადაადებული ჯოხი და დაამტვრია.

სალამო დადგა. ხათუნა არ მოდიოდა. ირაკლის უნდოდა გასცლოდა საკუთარ თავს, უნდოდა ჩამჯდარიყო მანქანაში და გაჭრილიყო უგზოუკელოდ, მაგრამ ეშინოდა, რომ ხათუნა მოვიდოდა და თვითონ შინ არ დახვდებოდა.

მაგრამ ხათუნა არ მოდიოდა.

ირაკლის არსებობა იმ დღეებში გადაიქცა ლოდინად, მხოლოდ ლოდინად. იგი ელოდა ხათუნას და სხვამ ყველაფერმა დაკარგა მნიშვნელობა. სხვა ყველაფერი აზარელური იყო და ცარიელი, როგორც წარწერები სადგურზე, რომელთაც კითხულობდა მხოლოდ იმიტომ, რომ მატარებლის მოსვლამდე როგორმე დრო გაიყვანო.

მოქანცული და ანერვიულებული ლოგინზე აძვრა, ფანჯრიდან გადაიხედა. ქუჩის არც ერთ, არც მეორე მხარეს ხათუნა არ ჩანდა. წამოწვა. ხელები ჯვარედინად ამოიღო თავქვეშ. ესმოდა, როგორ ალაგებდა დედა ქურპულს შავიდიდან მეორე ოთახში.

ღრუბლიანი სალამო იყო. ყველაფერი მოღუშულად, მოწყენილად გამოიყურებოდა. ფანჯრის გადაღმა ქალაქი კვლავ ჩვეულებრივად ხმაურობდა. გარბოდა და ხმაურობდა მსუბუქი ავტომობილები. მერე საღდაც დაამუხრუჭეს და უსიამოვნო რაჯგუნი მოისმა. რახრახებდა საბარგო და თვითმცლელი მანქანები. მოჯაყაყაყებდა მენავთის ფორანი. იგი ირაკლის ფანჯარასთან შედგა და რამდენჯერმე ჩაბერა საყვირში. მოპირდაპირე ფილაქანზე ახალგაზრდებმა გაიარეს



ხმაურით. ბლარძუნობდნენ და ხარხარებდნენ ბიჭები. სკოლის შენობიდან გულისწამლები კვილი მოისმოდა...

„ალბათ შესვენებაა და დაბალკლასელები ჰკვიან“, — გაიფიქრა ირაკლიმ.

ცხოვრება თავისი გზით მიიბიჯებდა. ცხოვრებაში ისეთი არაფერი მომხდარა. მოხდა მხოლოდ ირაკლის ცხოვრებაში... მაგრამ ამასთან არავის არაფერი ესაქმებოდა. ყველაფერი თავისი გზით მიდიოდა. დიდი ცხოვრება თავისი გზით მიიბიჯებდა.

„არაფერი არ არის მუდმივი. დიდხანს არაფერი გრძელდება. — ფიქრობდა ირაკლი. — არაფრის იმედი არ შეიძლება გქონდეს ხანგრძლივად. მხოლოდ სიკვდილია საიმედო. იგი მოვა. იგი აუცილებლად მოვა. არც არასდროს მოგატყუებს, არც დაავიწყდება... აუცილებლად მოვა.“

მოვა და წავიღებს. და არა მარტო შენ. წაიღებს შენს ლოდინს, ფიქრს, ტანჯვას, უსიამოვნებას და ყოველდღიურ შიშს, რომ აღარავის უნდისა, აღარავის უყვარხარ, მიგატოვებს...

მოვა და შემდეგ აღარასდროს იგრძნობ თავს უბედურად, არც ბედნიერად. აღარასდროს დაიტანჯები... აღარც გაიხარებ.“

დაღამდა.

იმ დღეს გაიოზთან წავიდა. დიდხანს იყვნენ ერთად, მანქანითაც ისეირნეს. ირაკლი ოდნავ გამხიარულდა. გულს ჯავრი გადაეყარა. ვიდრე გაიოზთან იყო, თითქოს კარგადაც გრძნობდა თავს, მაგრამ, როგორც კი დასცილდა და სახლს მიუახლოვდა, გაახსენდა, რომ ხათუნა უკვე რამდენი ხანია აღარ მოსულა. თუმცა ეს ყოველთვის ახსოვდა. ახსოვდა მაშინაც, როცა გაიოზთან იჯდა, მაგრამ იმ დროს ამაზე არ ფიქრობდა და ამიტომ ცოტა გამხიარულდა კიდევ.

დედას კვლავ ნამცხვრები დაუმზადებია. კაკლისა და ბადრიჯნის მურაბაც მოიტანა ლამაზებით. ირაკლი სევამს ჩაის.

დედამ მეორედ შეუესო ჭიქა. ირაკლი უსაზმანოდ სევამს, ჩაიზე არც ფიქრობს.

მერე ანაზლად ყურადღება მიაქცია, რომ ამდენი ხანია მაგიდას უსხედან და დედას ხმა არ ამოუღია. მადლიერების გრძნობით აღიესო დედისადმი. როგორ იცის მან, არ შეგაწყინოს თავი ლაპარაკით მაშინ, როცა გუნებაზე არა ხარ. რა კარგი და თავისუფალი დღემილი იცის დედამ. თავისუფალი, ისეთი რომ ვერცა გრძნობ, თუ დღემილია.

უხმაუროდ ალაგებს დედა ჩაის ჭურჭელს. ირაკლი შესცქერის მის გაქვალეხულ თმას... სათვალის მოხსნა დავიწყებია დედას და ეს საოცრად აბერებს, სათვალის შუშები უზომოდ ადიდებენ უბებთან ქათმის ნაფეხურების მსგავს ნაოჭებს...

შემკნარი და ძალიან მშრალი ხელები აქვს დედას. „ოდესღაც ძალიან ლამაზი ხელები ექნებოდა,“ — ფიქრობს ირაკლი. და მას აგონდება დედის ფოტოსურათი. დედა იქ სულ ახალგაზრდაა, ფართო ფარფლებიანი თეთრი შლია. პა ახურავს და ირაკლი ყოველთვის ამსგავსებდა მას ოციანი წლების კინოვარსკვლავებს...

და ირაკლის ისე უნდა ჰკითხოს დედას ხათუნაზე. უნდა ჰკითხოს, ჩემს არყოფნაში ხომ არ მოსულა... მან იცის, ხათუნა რომ მოსულიყო, დედა უთუოდ ეტყოდა, მაგრამ მაინც ვერაფერი მოუხერხებია საკუთარი თავისთვის და ეს კითხვა აწვალებს მას შემდეგ, რაც გაიოზისგან დაბრუნდა.

— დედა. — ბჭვა ირაკლიმ გაუბედავად.

— რა იყო, შვილო?

ირაკლი დუმს. ვერ გადაუწყვეტია, შეეკითხოს თუ არა.

— დამიძახე, თუ მომეჩვენა? — ჰკითხა დედამ.

— დავიძახე...

— რა გინდოდა?

— ხომ არავენ მოსულა... ვინმეს ხომ არ ვუკითხეა? დღეს?

— არავის, შვილო.

ირაკლი იცის, რომ დედას ესმის მისი ტანჯვა და ამის გამო უფრო ცუდად გრძნობს თავს.

მაშ ასე, ხათუნა აღარ მოდის... წავიდა და აღარ მოდის...

რა უბრალოდ და მოულოდნელად მოხდა ყველაფერი... ირაკლის კი ეგონა... მას სხვანაირად ჰქონდა წარმოდგენილი...

„ცხადია, ჩვენი დაშორება აუცილებელი იყო, მაგრამ თუ ასე უბრალოდ და მოულოდნელად მოხდებოდა, ვერ წარმომედგინა...“

დედას არაფერი უთქვამს, ისე ჩართო რადიომიმღები. და ირაკლიმ იგრძნო, რომ ძალიან უნდოდა მოესმინა მუსიკა, რომელიც მის განწყობას გადმოსცემდა...

დარდიანად მღეროდა ქალი. ნაღველი და ტკივილი ისმოდა მის ხმაში. ირაკლიმ გაიფიქრა, რომ ქალი სულ ახალგაზრდა იქნებოდა და მას, ალბათ მართლაც აწუხებდა ნაღველი.

„შენ არასოდეს არა ხარ მარტო“, — მღეროდა ქალი.

შენთან ყოფილა ქარი და წვიმა, შენთან ყოფილა ღამე და ფიქრი, შენ არასოდეს არ გტოვებენ მარტო გარდაცვლილები, ქვეყანა სავსეა შენი მსგავსებით, მაგრამ ეგ შენ არაფერს გშველის...

„შენ არასოდეს არა ხარ მარტო“, — მღეროდა ქალი.

მღეროდა ქალი. მის ხმაში ისმოდა მოუწონებელი ნაღველი. გაუყუჩებელი ტკივილი... მის ხმას მოჰქონდა ოკეანის შფოთვა, სადღაც სიბნელეში, უკაცრიელ ადგილებზე გაბმული მავთულების ზმუილი, ქარის ბორბვა და ჩივილი.

...შენთან ყოფილა ქარი და წვიმა, შენთან ყოფილა ღამე და ფიქრი, შენ არასოდეს არ გტოვებენ მარტო გარდაცვლილები...

ირაკლი დაწვა. დარბაზები ღია დატოვა და გასცქეროდა ბნელ ღამეს, ბნელ ცას. თვალები მილულა.

„შენ არასოდეს არა ხარ მარტო“, — ჩაესმოდა ბურანში. ქალი ნაღვლობდა, ქალს ტკიოდა. ირაკლიმ თვალები გაახილა. შემდეგ დახუჭა და დაინახა მომღერლის სახე. ისე ცხადად დაინახა...

მომღერალ ქალს ოქროსფერი თმა და მომწვანო თვალები ჰქონდა, კაეშნიანი დიდრონი თვალები. იგი მღეროდა და ღამაზად აღებდა შეულებავ პატარა პირს. ბაგეები მშრალე ჰქონდა. ოღნაჯ დამსკდარი, და იღიმებოდა. მაგრამ სევდიანი იყო ეს ღიმილი, კაეშანი ჩასწოლოდა მომწვანო, ღამაზ თვალებში...

ირაკლიმ საოცარი სიახლოვე იგრძნო ბაგემდამსკდარ მომღერალ ქალი-შვილთან. მისი მომწვანო თვალები ანათებდა სიბნელეში. და ირაკლიმ დაინახა, რომ ქალიშვილიც იწვა, ისიც მარტო იყო და ჰერისთვის მიებჯინა დიდრონი თვალები.

არც ქალიშვილს ეძინებოდა. დარდი არ აძინებდა. აი იგი წამოჯდა ლოგინში. ოქროსფერი თმა შიშველ მხრებზე აყრია და საბრალოდ უთრთის შეულებავი, დამსკდარი ბაგეები.

მერე სიმღერა წამოიწყო ქალიშვილმა — ხმადაბლა, სევდიანად.

„შენ არასოდეს არა ხარ მარტო“...

იგი ახლა მხოლოდ თავისთვის მღეროდა. მხოლოდ თავისთვის... და ირაკ-ლისთვისაც, რადგან ირაკლიმ იცის, რა არის დარდი... და მას ისე უნდა მიუა-ღეროსო ქალიშვილს, მოეფეროს, დაუყვავოს, დაამშვიდოს, გადაუსვას თითები მომწვანო თვალბზე და დაუხუჭოს...

— გეყოფა, დაიძინე!

ქალიშვილი გაჩუმდა, აღარ მღერის.

— გესმის, დაიძინე, უკვე გვიანაა...

ქალიშვილს დამსკდარი, ამობურცული ბაგეები უთრთის.

— არ გეძინება? მამ ცოტა ხანს კიდევ იმღერე და მერე დაიძინე.

ქალიშვილი მადლიერი თვალებით შეჰყურებს.

— ძილი კარგია. ძილი ყველაფერს გავიწყებს. დარდიც გავიწყდება ძილის დროს. — ეჩურჩულება ირაკლი.

ქალიშვილმა საბანი გადაიფარა, შიშველი მხრები დამალა, ირაკლიმ მოუა-ღერსა და მან თვალები მილულა. მას უკვე ეძინა. დარდიან ქალიშვილს უკვე ეძინა...

იგი ალბათ არ იყო ახლოს. ირაკლი გრძნობდა, რომ ქალიშვილი არ იყო ახლოს, მაგრამ მაინც ესმოდა მისი დარდი...

დარდიანი ქალიშვილი არ იყო ახლოს. იგი შორს იყო, მაგრამ ირაკლი აღარ გრძნობდა თავს ისე მარტო...

შემოდგომის გრძელ და ბნელ ღამეს სახლები იდგნენ სიცივეში და იბუზე-ბოდნენ. ჩაბნელებული იყო მათი ფანჯრები. ხალხს ეძინა შემოდგომის გრძელ და ბნელ ღამეში, მაგრამ არ ეძინებოდა ირაკლის.

*

ხათუნა მოვიდა. მას არაფერი უთქვამს. ახალი ჟურნალ-გაზეთები მოიტანა და ირაკლის დაუწყო წინ. თვითონ რომელიღაც უცხოური ილუსტრირებული ჟურნალი გადაშალა და თვალღერება დაუწყო.

ირაკლი გაფართოებული თვალბებით შესცქეროდა. ელოდა, რომ ხათუნა რაიმეს იტყოდა, მაგრამ ამოდ. ჟურნალ-გაზეთები აიღო და განზე გასწია. ახლა მას კითხვის თავი არ ჰქონდა: ხმამაღლა ჩაახველა. ხათუნამ ყურადღება არ მია-ქცია. ირაკლიმ კიდევ ჩაახველა. ხათუნამ არც ახლა მიაქცია ყურადღება.

— აი რა... — თქვა ირაკლიმ და შეჩერდა.

ხათუნას თავი არ აუღია ჟურნალიდან, მაგრამ ირაკლი მიხვდა, რომ იგი უსმენდა და განავრძო:

— აი რა... შენ ძალიან ლამაზი ხარ...

ხათუნამ თავი აიღო ჟურნალიდან.

— ...ცნობილი, სახელოვანი... — განავრძო ირაკლიმ. — შენ მხიარულება და ცხოვრების ხალისი თავსაყრელად გაქვს... შენ...

ხათუნამ გაცივებით შეხვდა ირაკლის, რომელიც მიცვალებულივით გაფით-რებულიყო და ხმა უკანკალებდა.

— მე კი... მე ცოცხალი შემთხვევითა ვარ... რაღაც გაუგებრობით მიდგას სული. ირაკლიმ ჩაახველა და ახლა უფრო ვაჟკაცური ხმით განავრძო: — მე რომ ცოცხალი ვარ, ეგ მხოლოდ რეფლექსიაა...

ხათუნამ ჟურნალს ხელი უშვა. თვალბები გაუფართოვდა.

— მხოლოდ სიცოცხლის რეფლექსია და მეტი არაფერი. მე ტკივილებზე მაწუხებს, ვიტანჯები, ღამით კოშმარებს ვხედავ და მხოლოდ ამით ვგრძნობ, რომ ცოცხალი ვარ, თორემ დიდხანია თავი მკვდარი მეგონებოდა...

— ირა!

— მე მოთავებულბ, გატეხილი კაცი ვარ, ხათუნა. განახევრებული და... შენ კი... შენ კარგი ცხოვრება უნდა გექნეს, ხათუნა.

— ირა!

— შენ ბედნიერი უნდა იყო. შენ ყველაფერი გაქვს ამისათვის. მე კი... ამიტომ ჩვენი ერთად ყოფნა შეუძლებელია, ხათუნა... შეუძლებელია!

— ირა, ძალიან გთხოვ...

— მადროვე! რასაც გეუბნები, გუშინ არ მომიფიქრებია, არც გუშინწინ. ამაზე ვფიქრობ მას შემდეგ, რაც ასეთი გავხდი...

ირაკლიმ ტანზე დაიხედა და გაჩუმდა. ხათუნა წრიალებდა, ერთ ადგილზე ველარ ისვენებდა.

— ამიტომ არ მინდოდა დაბრუნება... მაგრამ დავბრუნდი. თუ დამაბრუნეს... — ირაკლი ახლა სავსებით ვაქცაყურად ლაპარაკობდა. — დაბრუნების შემდეგაც ვფიქრობდი ამაზე, და ახლა უნდა გითხრა.

— ირა, შენი ჰირიმე... — ხათუნა წამოდგა.

— დაჯექი და მომისმინე. დღეს ყველაფერი უნდა გითხრა.

— არ მინდა, ნუ მეტყვი. ირა! გთხოვ!

— მე მესმის შენი. შენ, ალბათ, ვრცხვენია პირველმა მიმატოვო...

სულ ტყუილად გრცხვენია. შეიძლება ფიქრობ, ხალხი რას იტყვისო, შეიძლება ვინმესი გერიდება...

— ირა, შემობრალე! — ხათუნა წრიალებდა. მაგიდიდან ფანქარი აიღო და ადევლებული ხელში აწვალებდა.

— მე მინდა გითხრა, ხათუნა! მე უნდა გითხრა: არასდროს არ შეგირთავ, არასდროს!

ხათუნამ ფანქარს წვერი წატეხა. მერე გათლა დაუწყო.

— მე დამნაშავე ვარ, რომ ეს ადრე არ გითხარი, მაგრამ ახლა გეუბნები და იცოდე: არასდროს არ შეგირთავ!

— აჰ! — ხათუნამ შეჰკივლა და ფანქარი მაგიდაზე დაუვარდა.

— რა იყო? — შემფოთდა ირაკლი.

— არაფერი. ხელი გავიჭერი.

— ხელი? დიდზე? მაჩვენე!

— არაფერია, პატარაზე გამესერა.

— მაჩვენე! ახლავე იოდი წაისვი. იქითა ოთახშია, კედლის კარადაში.

ირაკლიმ თვალი მოარიდა ხათუნას სალოკ თითს, რომელზეც ღია წითელ, პაწაწკინტელა სისხლის წვეთს გამოეყინა.

— სისულელეა, რად უნდა იოდი.

— ძალიან გთხოვ! წაისვი იოდი... ხათუნა!

— რა მოგივიდა, როგორ გაფითრდი!

ირაკლი განზე იყურებოდა და შეცვლილი ხმით თქვა:

— ხათუნა, გაფიცებ... გაფიცებ ყველაფერს, წაისვი იოდი!

— ამ პატარა ჭრილობამ შეგაშინა? — ხათუნამ გაიღიმა. — რატომ არ მიყურებ? იმდენი სისხლი გინახავს და ამან შეგაშინა?

ირაკლის მკვდრის ფერი ედო. საზე ხელისგულეებში ჩამალა. არ შეეძლო ეცქირა ხათუნას სისხლისთვის...

აღარ ეგონა, ასე ბეჯით შეცადინებოდა თუ შეძლებდა. უკანასკნელ წინა დილაადრიანად დგებოდა და შუალამემდე ამზადებდა საბუღალტრო საგნებს. ხოლო როცა დაძინებას ვერ ახერხებდა, მაშინ ღამითაც მუშაობდა. შავი ჭირით უფროსი თავისუფალ დროს, რადგან როცა დაკავებული არ იყო რაიმე საქმით, მაშინვე ფიქრს იწყებდა...

ფიქრი კი არ იყო საჭირო!

ღეღა გოცებულები იყო. ვერ წარმოედგინა, ირაკლი ასე თუ დაუდებდა გულს შეცადინებოდა. სტუდენტობის პერიოდშიაც არ მუშაობდა იგი ამდენს. მაშინაც კი არა, როცა ჩათვლები და გამოცდები ეწყებოდა.

თუმცა ღეღა ხვდებოდა, რომ ირაკლის ბეჯითობა ერთგვარად სხვა რამითაც იყო გამოწვეული. იგი ყველაფერს ხედავდა და არც ის გამოჰპარვია მხედველობიდან, რომ ბოლო დროს ხათუნა ახალ მთვარესავით იშვიათად გამოჩნდებოდა...

ირაკლიმ მოკლე ხანში მოამზადა საბუღალტრო კურსების ყველა საგანი და შემდეგ ერთი კვირის განმავლობაში ყოველდღე აბარებდა გამოცდებს. მიუხედავად იმისა, რომ სრულიად არ იზიდავდა ბუღალტრის სპეციალობა, შეცადინებამ და გამოცდების ჩაბარებისას განცდილმა მღელვარებამ ერთგვარად გამოაცოცხლა.

იმ ხანებში ჯიბოს ნაჩუქარ საანგარიშოს აღარ იცილებდა, თან დაატარებდა. საქმიანი, დაკავებული კაცის მდგომარეობა უსაზღვრო სიამოვნებას ანიჭებდა.

— გვიგე, ბუღალტრის ფირმანი უბოძესო, მართალია? — ჰკითხა ოთარ კავაზაშვილმა. მან ადრეც რამდენჯერმე მოინახულა ირაკლი.

— კი, ავიღე დიპლომი. — უპასუხა ირაკლიმ.

— მალარიჩი შენზეა, აბა.

— უთუოდ.

— კიდევ გჭირდება დასვენება, თუ ბარემ დაიწყებ მუშაობას?

— გადასადები არაფერია. რაც უფრო ადრე დავიწყებ მუშაობას, მით უკეთესია. ყელში ამომივიდა უქმად ყოფნა.

— აბა დავტრიალდე?

— დატრიალდი. — ირაკლიმ გაიცინა.

— რას იტყვი, ჩვენს დაწესებულებაში რომ გიმოვო ადგილი?

— მაღლობის მეტს არაფერს.

— მომეცი ხელი.

— რა, უკვე გადაწყვეტილია? — ჰკითხა ირაკლიმ.

— თითქმის. დირექტორთან მოლაპარაკებული ვარ. ცოტა ხანში საცემით გადაჭრილ პასუხს შეგატყობინებ. — დაჰპირდა ოთარი.

წვიმდა. უკვე მესამე დღე იყო, წვიმდა დროგამოშვებით. ნათია მოსახვევში იდგა და ელოდა. მას კაპიზონიანი, გამჭვირვალე ლაზადა ჰქონდა მოხურული.

ნათია ელოდა. მან იცოდა, თუ დღეს ხათუნა მივიდოდა ბეშქენთან, მაშინ ამ დროს უნდა მოსულიყო. იგი უკვე მერამდენედ უდარაჯებდა ხათუნას.

„ძალიან ლამაზია... მართლა ძალიან ლამაზია. — ფიქრობდა ნათია. — და მართლა ძალიან ჰგავს იმ ქალიშვილს, კინოში რომ თამაშობს“.

დინჯად, აუჩქარებლად წვიმდა.

„ალბათ შეყვარებულია... შეიძლება საცოლვეც იყოს... ეგრე იქნება, რამე რა უნდა, ასე ხშირად რომ დადის...“ — ფიქრობდა ნათია.

წვიმა გაძლიერდა, კოკისპირულად დასცხო. ნათია სახლის შესასვლელს შეეფარა. აქედან უკეთესად მოჩანდა გზა, რომლითაც ხათუნას უნდა ამოევლო. წვიმათ როგორც უცბათ დასცხო, ასევე უცბათ გადაიარა. ახლა წვრილად ცრიდა. ნათია გამოვიდა თავისი საფარიდან და ამ დროს თვალი მოჰკრა, რომ ქუჩის დასაწყისში ხათუნა გამოჩნდა.

ნათია აღელდა. მას განზრახული ჰქონდა, აუცილებლად მისულიყო ხათუნასთან და გამოეკითხა, თუ ვინ იყო ბეშქენი, რა ერქვა სინამდვილეში, რატომ დადიოდა მასთან ასე ხშირად და საერთოდ რა დამოკიდებულება არსებობდა მათ შორის... ნათიამ ადრეც რამდენჯერმე გადაწყვიტა დახვედროდა ხათუნას, მაგრამ ვერ გაბედა და თანაც არ იცოდა, როგორ უნდა ელაპარაკა მასთან.

ხათუნა მოუახლოვდა. ნათია ჯიქურ წავიდა მისკენ. „წყვეული, რა ლამაზია და რა კარგად აცვია! სულ ასე კარგად ჩაცმული დადის ბეშქენთან“, — ფიქრობდა იგი და კიდევ დაუდგა ხათუნას პირისპირ...

ხათუნამ გაცემით შეხედა გოგონას, რომელმაც გზა გადაუღობა და მტრულად შესცქეროდა. უნდოდა გვერდი ექცია, რომ ამ დროს ნათიამ ფეხი გაჰკრა დაგუბებულ ტალახთან წყალს და მთლიანად გაუწუწა ხათუნას ტანსაცმელი. „ესეც შენი გამოწყობილხარ დედოფალივით...“ — გაიფიქრა ნათიამ და მერე ვითომ ფეხი დაუცდა, ჩაიჩოქა.

ხათუნამ შეჰკვილა. ჯერ ტანსაცმელზე დაიხედა, შემდეგ კი ნათიას მიემშველა და წამოაყენა.

— მუხლი იტყინეთ? — ჰკითხა მან.

— ჰო... მუხლი. — უპასუხა ნათიამ.

— რა მოგივიდათ, ასე როგორ წაიქეციეთ?

— რა უნდა მომსვლოდა?! — ნათიამ უხეშად გააშვებინა ხელი ხათუნას და დაცინვით ჰკითხა: — ხომ არ დაგსვარეთ? გამოწყობილა... მსახიობივით!

— მე მართლაც მსახიობი ვარ. — ხათუნამ გაიცინა.

— მსახიობი?!

— მსახიობი.

— ნამდვილი მსახიობი?

— ნამდვილი, სულ ნამდვილი მსახიობი. — ხათუნამ ხმამაღლა გაიცინა.

— ის ხომ არა, კინოში რომ თამაშობს?

— სწორედ ის.

ნათიამ უკან დაიწია. გაფართოებული თვალებით შეჰყურებდა ხათუნას.

— ჰმ.. იცით... მე ხშირად გხედავთ აქეთ.

— კი, ხშირად დავდივარ. — თქვა ხათუნამ.

— ვისთან? — სწრაფად ჰკითხა ნათიამ. — ვინ არის ის ახალგაზრდა კაცი, რომელთანაც თქვენ დადიხართ?

— რომელი ახალგაზრდა კაცი?

— რომელთანაც თქვენ დადიხართ... გმირ... აი, იმ სახლში რომ ცხოვრობს, — ნათიამ ხელით აჩვენა.

— ის ახალგაზრდა? ის ახალგაზრდა... რა უცნაური გოგო ხარ... ნახეთ, როგორ დამსვარეთ...

ხათუნამ ტანსაცმელზე ცხვირსახოცი ჩამოისვა და წავიდა.

ნათია სახტად დარჩა. გაოგნებული შეჰყურებდა ხათუნას, რომელიც ბეშ-



ქენის სახლისკენ წავიდა. ცრემლებმა გაუესო ლამაზი თვალები. „მინც წავიდა წყეული, მინც წავიდა... და მსახიობიც ყოფილა!“

ხათუნამ ნელი ნაბიჯით გადასქრა ქუჩა და ვიდრე ირაკლის ეზოში შევიდოდა, ნათიასკენ მოიხედა.

„მეგონა ასე დასვრილი მინც გაბრუნდებოდა უკან, მაგრამ არა... მინც შევიდა. მაკალოს! რომ გამოვა, ისეთ რამეს დაემართებ, აღარასდროს მობედოს ბეშქენთან მოსვლა“, — ფიქრობდა აცრემლებული ნათია.

ირაკლიმ ფიცი დადო. ფიცი დადო, რომ დღეს მორჩებოდა ყველაფერი. მორჩებოდა მისი ყოყმანიც და მისი ღრობებითი ბედნიერებაც. ეშინოდა, რომ დღესაც ვერ შეასრულებდა განზრახულს...

მაგრამ არა, ეს დღე უკანასკნელი უნდა იყოს!

ეს დღე უკანასკნელი უნდა იყოს... სხვა გამოსავალი არ არსებობს! ირაკლი ძაგძაგებდა. იგი აღგზნებული იყო და ძაგძაგებდა.

კარგად არც ახსოვს, როგორ დატრიალდა ეს ყველაფერი, რა როგორ მოხდა...

გაბრუნებული იყო და აღარ დაამახსოვრდა, როგორ დაიწყო და როგორ დამთავრდა. გარკვევით ისიც კი არ იცოდა, ცხადში ხდებოდა ეს ყოველივე, თუ სიზმარში.

გაიღო კარი...

შემოვიდა ხათუნა. მას ბაცი ქვედაწელი და თამბაქოსფერი პიჯაკი ეცვა. თავზე არაფერი ეხურა.

დღე იყო ღრუბლიანი. ღრუბლები სულ ძირს ჩამოსულიყვნენ და სახლების სახურავებს ევლებოდნენ. უბერავდა ქარი. მერე თქორი წამოვიდა.

ირაკლის კარგად ახსოვს, რომ ხათუნას დაღლილი სახე ჰქონდა, დაღლილი და ფერმკრთალი. თვალებში კაეშანი ჩასახლებოდა. დაბალქუსლიანი ზამშეს ფეხსაცმელები ეცვა.

ისიც ახსოვს, რომ თვალს ვერ აცილებდა ხათუნას. უყურებდა ისე, თითქოს ჩაყლაპვას უპირებდა და ძაგძაგებდა. გარედან ალბათ არ ჩანდა, რომ ძაგძაგებდა, მაგრამ შიგნით მთელი სხეული უთრთოდა და თავს ძალიან ცუდად გრძნობდა.

ეს დღე უკანასკნელი იყო... ხათუნას ნახვისაც და ბევრი სხვა რამისაც...

ირაკლიმ არ იცოდა, ნახავდა თუ არა კიდევ როდისმე ხათუნას ასე ახლო, ამიტომ ხარბად შეჰყურებდა, თვალს არ აცილებდა, სურდა სამუდამოდ დაემახსოვრებინა ეს საყვარელი სახე, თმა, მხრები... ირაკლი მოგონებებს იმარაგებდა, რომ შემდეგ ეს მოგონებები სიკვდილამდე გამოეზოგებინა...

„ეს დღე უკანასკნელია...“

ეს დღე უკანასკნელია...“

ჩაესმოდა გონებაში ვიღაცის ხმა, როგორც კოლოს წივილი.

ირაკლი აგვიანებდა, ვერაფერს ამბობდა.

„ცოტასაც დააგვიანებ და მერე ვერაფერს ეტყვი...“

ცოტასაც დააგვიანებ და მერე ვერაფერს ეტყვი...“

უთხარი, უთხარი! თუ თქმას აპირებ, რაღას ელოდები...“

ჩაესმოდა ვიღაცის ხმა, როგორც კოლოს წივილი.

გარეთ ჟინქლავდა, ქარი ბორგავდა. ძირს ჩამოსული ღრუბლები სახლების სახურავებს ევლებოდა. გარეთ ჟინქლავდა.



ირაკლის ეშინია, რომ ახლაც ვერ იტყვის ყველაფერს, რისი თქმაც განხრახნილი აქვს... მას ეშინია და ძაბდაგებს. ამიტომ განხრახნ უხეშად ლაპარაკობს. ხათუნას ცრემლები გადმოსცივდა.

ირაკლიმ თვალი მოარიდა და კვლავ უხეშად ლაპარაკობს. მას ეშინია, იგი ძაბდაგებს. ამიტომ უხეშად ლაპარაკობს. ვილაცის ხმა არ ისვენებს, კოლოსავით წივის და წრიბინებს:

„თქვი, ყველაფერი ბოლომდე თქვი...“

ხათუნა ტირის. ირაკლი გაჩუმდა. მას უნდა ან ყურები დაიცოს, ან ყველაფერს თავი ანებოს, ყველაფერი ჯანდაბანს გაგზავნოს, გადავარდეს სკამიდან, დაეცეს ხათუნას ფეხებთან, მიუალერსოს, დაამშვიდოს... მაგრამ კოლო წივის, კოლო გულისწამლებად წრიბინებს:

„თქვი, რისი გეშინია, თქვი! მთავარია, გული არ აგიჩუყდეს. მთავარია, ბოლომდე თქვა სათქმელი და გაათავო. თქვი და გაათავე!“

ხათუნა ტირის. ირაკლის ესმის, რომ ხათუნა ტირის... ის ვილაცა კი მინც არ ისვენებს, კოლოსავით წივის:

„მთავარია, გული არ აგიჩუყდეს... ხათუნა ტირის, მაგრამ იმით კი არა, რომ შენ გშორდებ! ძველ ირაკლის დასტირის, ძველი ირაკლის დაკარგვას დასტირის... ძველი ირაკლის, რომელიც უყვარდა. მაშ რაღას ელი, თქვი და გაათავე!“

ხათუნა წამოდგა. იგი ირაკლისავე მოდის. ირაკლის ეშინია, იგი ძაბდაგებს. ხათუნამ მისი თავი მკერდზე მიიხუტა და ქვითინებს... ხათუნა ქვითინებს. მას ცრემლები დაპალუპით ჩამოსდის და სახეზე ეცემა ირაკლის...

„ეს ხათუნა არ ტირის. ეს ხათუნა არ არის! ხათუნა არ ტირის! მთავარია, გული არ აგიჩუყდეს. ეს გაუბედურებული ადამიანი ტირის, რომელმაც სიყვარული დაკარგა, რომლის ტანჯვაში შენ მიგიძღვის ბრალი... შენ მიგიძღვის, რადგან დახეიბრდი, რადგან განახევრდი, რადგან მისთვის აღარ გამოდგები. სად შენ, სად ხათუნა! სად შენ, სად ხათუნა! მაშ თქვი, ყველაფერი თქვი!“

— გეყოფა... დამშვიდდი... გეყოფა. — ამბობს ირაკლი. თუმცა იგი არაფერსაც არ ამბობს, მხოლოდ ტუჩებს ანძრევს და ჰგონია კი, რომ ლაპარაკობს. ხათუნა ქვითინებს.

„საცოდავი... უბედური... შენზე ნაკლებ კი არ სჭირდება ნუგეში... პირველი სიყვარული დაკარგა... თავისი სიყვარულის ნაცვლად ახლა კუნძს უყურებს, დამახინჯებულს, გატიალეზულს“... — იმ ვილაცასაც კი ხმა აუკანკალდა და ტირილი დაიწყო.

როგორი ტირილი სცოდნია კოლოს!

ხათუნა ქვითინებს, გულამომჯდარი ქვითინებს, მხრები უთრთის. ცრემლები დაპალუპით ჩამოსდის და სახეზე ეცემა ირაკლის.

ირაკლი შეძრა ამ მთრთოლვარე, აქვითინებული ადამიანის სხეულმა. სიბრალულმა ყველა სხვა გრძნობა გაუყუჩა და საკუთარი გაყინული, აუტანელი ტკივილიც გაუთბო, გაუნელა.

აძაბდაგებული ხელი მოჰხვია ხათუნას და მოეფერა, დაამშვიდა. ხელი მოჰხვია ისე, როგორც მოჰხვევდა დაჭრილ მეგობარს... ალერსით და სიბრალულთ აკოცა შუბლზე და შემდეგ ფრთხილად, მაგრამ მტკიცედ გააშვებინა ხელები და მოიშორა.

მოიშორა...

კარი მიიხურა. კარი სამუდამოდ მიიხურა, რადგან ვინც ახლა გავიდა,

აღარასდროს შემოუღებს აწი კარს. ირაკლი იღო სკამზე გაუნძრევლად და დასჯდა მას.
 გასცქეროდა. მერე იფიქრა:

„შეიძლება მობრუნდეს. ხომ შეიძლება მობრუნდეს?!“

უნდოდა, რომ მობრუნებულიყო! მთელი სხეული უთრთოდა ამ სურვილით.

მაგრამ კარი არ იღებოდა. არავინ არ მოდიოდა. არავინ არ ბრუნდებოდა.

ირაკლი ჯერ არ გრძნობდა ტკივილს. იგი ჯერ არაფერს გრძნობდა, მაგრამ იცოდა, რომ სასიკვდილოდ იყო დაჭრილი. შემდეგ თითქოს შვება იგრძნო, შვება და განთავისუფლება რაღაც მძიმესაგან, მნიშვნელოვანისგან...

მან თავისი ვალი მოიხადა. რაც სათქმელი ჰქონდა — თქვა, რაც საქნელი ჰქონდა — ქნა.

და შვება იგრძნო.

(ვაგრაძელება იქნება)



ანზორ აბულაშვილი

გავფოგის სურათთან

როგორც ამ ოთახს ნათლად და ცხადად,
როგორც ამ კედლებს, ამ სარკმელს
უმზერ, —

ისე ცოცხლდება ყოველი ახლა
შენს წინ და რაღაც გაწვება გულზე.
შენ თვალებს ხუჭავ დუმილში ოდნავ
და შორს მზისფერი ღღენი ბრუნვავენ.
იმ ღღეებისა შენ შეგრაჩა ხსოვნა
და ამ ხსოვნის წინ დგომა მდუმარედ.
იმ მზით და იმ ცით კვლავ გინდა გათბე...
მერე კვლავ დიდი შარავზით წახვალ.
შენი თვალები ამხელენ ნათელს,
იმ შუქს, რაც შენში ჩამდგარა ახლა.
კედელზე სურათს უყურებ უხმოდ...
სწორედ ასეთი ღიმილი გქონდა.
ჩამავალი მზის მიმკრთალი შუქი
ყავისფერ ჩარჩოს ეცემა ოდნავ.
შენ ის ღღეები წუთით კვლავ განთებს,
გაქვს სიხარული ქვეყნის სამყოფი.
შენ ხედავ ოდნავ მოჭუტულ თვალებს,
ძალზე ბედნიერს, ძალზე კმაყოფილს.
შენ ხედავ ღრუბლებს მზით განათებულს
აპრილის წვიმებს, მაისის ზეცას,
როცა ცა იდგა ამ მთების თავზე
და როცა მოკლე შარვალი გეცვა.
როცა მისდევდი ტყეს ფეხშიშველი,
ანდა უსტვენდი ჩიტების ხმაზე...
საღღაც კვლავ მღერის ის ბიჭი შიშით,
ღამით სახლისკენ მიმავალ გზაზე.
და ვარდისფერი იღვრება უხვად...
მერე მიდიან წლები ქუხილით.
მოგჩერებია ის პაეშვი ახლა,
შენ გიღიმის თუ სიყრმეს უღიმის.
შენ მისი დიდი იმედი იყავ,
მაგრამ იქნება მის სავალს ასცდი...
თუ მოგწონს თავი, პატარა ბავშვო,

ამ შენთან მოსულ მდუმარე კაცით.
 თუ ის უცხოა და ის არ არის,
 ვისაც ოცნება ჰქონდა ცის ხელა,
 ვისაც გაანდე სულ სხვა სავალი
 და ის გზა მერე ვერ გაიხსენა,
 ვისშიც მიყუჩდა იმ დღეთა ღელვა,
 ბავშვობის წელთა მზიანი რიგი.
 ვისშიც შემორჩა ის ყოველივე,
 ვით წაქითხული ოდესღაც წიგნი.


ყველასთვის არის ვიღაც ძვირფასი,
 როგორც სინათლე და ერთგულება.
 გზა ეგულება ყველას თავისი,
 იმედად, შუქად — გზა ეგულება...
 არის, ვით ელდა სულ უცაბედად
 საკუთარ გულის და

ფიქრის პოვნა,
 სახლიდან წასვლას უცებ გაბედავ
 და შენი გზებით დაიწყებ ლტოლვას,
 რომლის სისწორეს იგრძნობ გუმანით
 და თუ გზად წუთით ძალა გლაღატობს,
 ღონეს მოიკრებ და ისევ წახვალ,
 ვით მინდვრად წყალი ეძებს კალაპოტს.
 იქნება სულში სინათლე, სითბო
 და ტრფობა — გულში გამდგარი ფესვით...
 ხელში მაისი გიჰირავს თითქოს,
 ვით ვარდი, ანდა

ვით ოქროს თევზა.

ისევ კახეთის ივლისის მთვარე,
 სულ ღია ფერის, დიდი და მრგვალი,
 სიცხიან ღამით გადმოვა მთაზე
 და რაღაც გრილი გეხლება ქარი.
 ახელს თოჯინას გაყინულ თვალებს —
 შუშის კრიალით და სიცივეთი.
 უსისხლო სახით იხრება მთაზე,
 მაინც კეთილი სიჩუმით გიმზერს.
 არის რაღაცა ნელი და მშვიდი,
 აქა-იქ მუქად დაჯრილი სილით...
 და ღამეებმა იციან ჩვენში
 მთვარე ვეება, ღია და გრილი.

ლოთაქიანი



ბი 25-ე მარტი 1937

ბასილის საფლავი

... ესეც უნგენი. ჩვენი სასაზღვრო სადგური.

სულ რამდენიმე ასეული მეტრია აქედან საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის სახელმწიფო საზღვრამდე. ჩვენ ვტოვებთ მატარებელს „მოსკოვი-უნგენი“ და მცირეოდენი „ფორმალობის“ შემდეგ, რაც ჩვეულებრივად ახლავს ხოლმე თან უცხოეთში მგზავრობას, გადავდივართ სადგურის მოპირდაპირე მხარეს — მეორე ბაქანზე. აქ უკვე ჩამოუყენებიათ რუმინული ვაკონები. მატარებელი „უნგენი-იასი“

დაიძრა. რამდენიმე წუთის შემდეგ იგი უკვე გასცდა მდინარე პრუტს, რომლის შუა ხაზზე გადის საზღვარი: მდინარის აქეთა ნახევარი საბჭოეთს ეკუთვნის, იქითა — მოძმე რუმინეთის სახალხო რესპუბლიკას.

რუმინეთი დაიწყო.

მარტის თვის მიწურულია. დამდება. ცა ვარსკვლავებით მოიქედა. მთვარე დანათის ტყიან მთებსა და გორაკებს, ტრადიციულ რუმინულ სახლებს პატარა, კოსტა ევოებიტა და სასიმიწდებიტ. აქა-იქ, რკინიგზის ხაზის გასწვრივ მოჩანან შარავნაზე მიმავალი წოწოლაქუდებიანა რუმინელი გლეხები. ისინი საქონელს მიერეკებიან. მატარებელი იასს უახლოვდება. იასი — ძველი მოლდავეთის ნატახტარი, ბევრის მნახველი და მრავალ ჭირ-ვარამგამოვლილი ქალაქია. ხვალ ჩვენ ერთმანეთს გავიცნობთ.

... კოპოეს მალალ ბორცვებზე გაშენებული. იგი განსაკუთრებით ღამაში ყოფილა დილით, როცა ამოშავალი მზის სხივები ძველი ტაძრების მოჭრავილ გუმბათებს, მოედნებზე აღმართულ ძეგლებსა და ახალშენებლობათა ხარაჩოებს ეაღერსებთან.

აქ ჩვენ მთელ დღეს გვატარებთ და ალბათ საინტერესოც ბევრი რამ იქნება. ვნახოთ, ვნახოთ.

... საოპერო თეატრისა და ფილარმონიის ახალი, მონუმენტური შენობები; ისტორიული მუზეუმი და სამხატვრო გალერეა; უნივერსიტეტი სახელგანთქმული ბილიოთეკითურთ. პოლტექნიკური, სამედიცინო და პედაგოგიური ინსტიტუტები; ფაბრიკები, ქარსნები... და შევგურებანი, ცნობისმოყვარე, მომღიშარი ადამიანებით სავსე ქუჩები. ასე დაიწყო გაცნობა ქალაქისა, რომელსაც თვით რუმინელები უწოდებენ — იასი.

ოპერის თეატრიდან, რომელიც, სხვათა შორის, ძალზე ჩამოშავს ოდესის ოპერისა და ბალეტის ცნობილ თეატრს, ფილარმონიის დასათავაღიერებლად გავეშურეთ... სცენაზე რეტეკიცია წყდება. ხალხურ საყარავთა ორკესტრის წევრებს სურთ გავაცნონ ახალი პროგრამა, რომელსაც ისინი რუმინეთის კომუნისტური პარტიის ორმოცი წლისთავის აღნიშვნასთან დაკავშირებით ამზადებენ, და ქართველი ტურისტები თითქმის მთელი საათის განმავლობაში სიამოვნებით უსმენენ მათ.

— ახლა საით? — ვკითხვებ მე და ჩემსკენ გამოქანებულ პატარა ბიჭს, რომელიც სუვენირის გარეშე დარჩენილიყო, თბილისის 1500 წლის საიუბილეო ნიშანი მივაგებე.

— ჯერ გოლიას მონასტერში.

ეს პასუხი ყველას გვაკმაყოფილებს.

აი, ისიც, მატარიალური კულტურის ეს საინტერესო ძეგლი იმითაც აღმოჩნდა საყურადღებო. რომ...



— ვასილი ლუპუ, რომელსაც თქვენ ამ სურათზე ხედავთ, — და მონასტრის მსახურმა კედლისკენ მიგვიტოთა, — ძლიერი ბოიარინი, თავისი დროის გამოჩენილი რეფორმატორი და, საერთოდ, პროგრესული პიროვნება იყო. მას ზშირად პეტრე პირველს ადარებენ, თუმცა ასეთი შედარება მთლად ზუსტი და მართებული არ უნდა იყოს. თუმცა ამგვარი შედარება ასე თუ ისე წარმოდგენას იძლევა ლუპუს პიროვნებაზე, მის საქმიანობასა და დამსახურებაზე.

— ეს კი, — ახლა მსახურმა მეორე სურათზე მიგვიტოთა, — ლუპუს შვილი შტიფანიცაა. მასაც ისტორიულ პიროვნებათა რიცხვს მიაკუთვნებენ. მაგრამ ვახსვირი ის არის, — განაგრძობდა შედეგში ჩაცმული ქალი, — რომ ამ მაღალი წოდებისა და მდგომარეობის პირებს ცოლად და დედად უბარალო წარმოშობის ქართველი ქალი მყავდათ.

— როგორ, საიდან, ვინ?! — თითქმის ერთხმად წამოიძახა ყველამ.

— სახელად ეკატერინე ერჭვა, გვარს კი, სამწუხაროდ, ვერ მოგახსენებთ. მას შემდეგ სამ საუკუნეზე მეტია გასული. ვიცი მხოლოდ ის, რომ, როცა ვასილი ლუპუს ცოლად შეურთავს, ეკატერინე სრულიად ახალგაზრდა და ზედმწიფენით ლამაზი ქალი ყოფილა. იმასაც ამბობენ, მის გამოსახვიდად ერთი ქართველი თუ ყირიმელი თავადისაგან ლუპუს საქმოდ დიდი თანხა დაუბარგავსო.

— ქართველები ვართ ჩვენც, — ვეღარ მოითმინეს თბილისელებმა, მაგრამ ვერც ამ მუდარის მსგავსად წარმოთქმულმა სიტყვებმა გაჭრა. ეკატერინეს შესახებ მეტი ვეღარაფერი გავიგოთ.

— აქ, ჩვენთან, მონასტრში, — კვლავ განაგრძობდა მსახური, — ერთ დროს საფლავის ქვა ინახებოდა. არავინ იცოდა, ვისი იყო იგი, მაგრამ, თუ არ ვცდები და მეხსიერება არ მდალტობს, ამ ქვაზე თქვენებური წარწერა უნდა ყოფილიყო. ყოველ შემთხვევაში საფლავის ქვა ახლა მუზეუმშია გადატანილი და შეგიძლიათ ნახოთ.

ამ ქვის ისტორია მე დაახლოებით უკვე ვიცოდი. მუზეუმისაკენ მიმავალ გზაზე მეხსიერებამ გადაურკვია ჩემი დიდი წინაპრის საინტერესო ბიოგრაფიისა და ტრაგიკული დასასრულის გავითვლელი ფურცლები.

მას აქ, ამ მიწაზე, რომელზედაც მე მივაბიჯებ, უკლია.

იგი აქ, ამ მიწაში, რომელზედაც მე ახლა ვდგავარ, მარბია.

აქ, იასში, ცხოვრობდა ქართული ლექსის დიდი ოსტატი.

აქ გაატარა ბესიკმა თავისი ცხოვრების უკანასკნელი წლები.

„პერი ცივანაიანი
ჩემთვის აღარ-ა დღიანი...“

საიდან სად?

და რატომ?

რისი გულისთვის?

... 1784 წელი. იმერეთის მეფის სოლომონ პირველის გარდაცვალება. ხანგრძლივი ბრძოლა ტახტისათვის და დავითის გამარჯვება. მეფის კარზე დაწინაურებული ბესიკის გავლენა კიდევ უფრო იზრდება. იმერთა მეფის უპირველესი მდივანი და მწიგნობართუხუცესი კნიაზი ბესარიონ ზეპარიას-ძე გაბაონელისძე 1784 წელს მეთაურობს საგანგებო მისიას მის აღმატებულებასთან, სამხრეთის ჯარების მთავარსარდალ გრიგოლ პოტიომკინთან. ბესიკს დავალებული აქვს შეამზადოს ნიადაგი იმისათვის, რომ, მსგავსად ქართლ-კახეთისა, იმერეთშიც მიიღოს რუსეთის პროტექტორატი, შემოიყვანოს რუსეთის ჯარის ნაწილები და ბოლო მიიღოს ბარბაროს მეზობელთა დაუსრულებელ თარეშს.

მაგრამ...

1787 — 1791 წლები.

რუსეთ-თურქეთის ომი.

ბესიკი პოტიომკინს მოახსენებს:

— „... ვხედავთ, რომ თათრების სამტრო დროებს ჩვენ ვეღარ ვნახავთ ამისთანას და რომ არ მოგახსენოთ, არ შეგვიძლია და თუ ახლა ამისთანა დროს ჩვენი მეფე და მისი მხედრობა აქედამ უპასუხოდ დარჩნენ, ვიცი, რომ მტერნი სიმაგრეს შეიმატებენ და ჩვენც უიმედო ფიქრით სიმაგრეებს ვეღარ მივიღებთ და ახლანდელი საქმის სიადვილე მერმე სიძნელეში შევა“.

ბესიკი მეორე ომისაკენ მოუწოდებდა ერთმორწმუნე რუსეთის სარდლობას და ურჩევდა კავკასიიდანაც დაერტყათ თურქებისათვის.

... 1790 წელი.

იშმაილის ციხის დაცემამ საბოლოოდ გატეხა თურქეთის წინააღმდეგობა და აქ, იასში,



სადაც ბესიკი კრემენჩუკიდან ჩამოვიდა, დაიწყო საზავო მოლაპარაკება რუსეთსა და უკრაინის შორის.

— „შერიგებაში რომ ჩვენი კაცი არ დაესწროს, ჩვენთვის ავია... უშენობა კი არ იქნება“, — სწერდა მაშინ ბესიკს აფხაზ-იმერთა კათალიკოსი მაქსიმე.

საზავო მოლაპარაკება 1791 წლის ბოლომდე გაქანურდა. და იმერთა სამეფოს წარგზავნილი მის შედეგებს ვეღარ მოესწრო. 1791 წლის 25 იანვარს ორმოცი წლის ასაკში გარდაიცვალა დიდურ ქართველი პოეტი და დიპლომატი ბესარიონ გაბაშვილი.

მაგრამ კვალი ბესიკის ნამოღვაწერისა დაჩანდა და საკმაოდ მკაფიოდაც საზავო ხელშეკრულებას, რომელშიც აისახა მაშინდელი იმერთა სამეფოს ვითარება, თურქეთს აეკრძალა იმერთა საქმეებში ჩარევა და ყაჩაღური თავდასხმები.

... ჩვენ უკვე იასის ისტორიულ მუზეუმს ვეცნობით. აქ გავიგე, რომ ბესიკის გარდა მაშინ იასში სხვა ქართველებიც ყოფილან.

აი, XVIII საუკუნის ქართველი მოგზაურის იონა გედევანიშვილის ჩანაწერები: „მოველ ქალაქსა იასში და დავსდევ მონასტერსა ტრისიარხის სახლს... სახლი კეთილი და უცხოთ მოფენილი“, და შემდეგ: „იასისა ქალაქი არს დიდი“—ცხიც მისი სიტყვებია. 1790 წელს იასში ერთმანეთს შეხვედრია ორი გადახვეწილი ქართველი მოღვაწე — გაიოზ ბარათაშვილი და ჩვენთვის უკვე ცნობილი იონა გედევანიშვილი, რომელიც ამ შეხვედრას ასე აღწერს: „დიდად მაიმა, რა მოვიდა გაიოზ და ვნახეთ ერთმანეთი; გადავხვივენით, იტირა გაიოზმა და ვკითხე — რაისთვის სტირი, მაიმა და ძმაო? მიპასუხა: საიდან ვართო და სად შევიყარებითო სადაომა და ვინაომა სულთ-იქვანა და მეც მასულ-თქმა“. ეს შეხვედრა ბესიკის იასში ყოფნის დროს მომხდარა და მათ გარდა ამ ქალაქში ყოფილან: კრეკლე მეორის წარგზავნილი სულხან მდივანი თუმანიშვილი, ბესიკის ბიძაშვილი სიმონ გაბაშვილი, რუსეთის ატაშე სერგეი ბიბილური-ლაშქარაშვილი და სხვები.

მართლაც და „სადაურსა სად წაიყვან...“

მე მინდა ვინაბულო ტრისიარხის ტაძარი, რომლის ეზოშიც ცხოვრობდა იონა გედევანიშვილი, მაგრამ ეს ალბათ ვეღარ მოესწრება. მუზეუმს დიდი დრო სჭირდება და მე კი ჯერ ბესიკის საფლავის ქვამდეც ვერ მივალწიე.

მაგრამ, აი, ისიც. აქ რაღაც წერია. ვგონებ ბერძნულ ენაზე. ეს კი ნამდვილად ჩვენებურია. ქართულია. კარგია.

ბესიკის ფიქალი ყვავილავანი ჩუქურთმით არის შემკული და თავში გაბაშვილების საგვარეულო ღერბი აქვს ამოკვეთილი. აქვეა ამოღადრული ორი პატარა ჯამი: ალბათ ნაწიმიარზე წყალი ღვებოდა და მას ჩიტები სვამდნენ. ქვემოთ მოზრდილი წარწერა ბერძნულ ენაზე, უფრო ქვევით კი ქართული: „საფლავსა ამას შინა მდებარე არს თავადი ბესარიონ ზაქარაიას-ძე იობან-გაბაშვილი, რომელიც წარმოგზავნილ იყო იმერთა მეფისა დავითისაგან დესანანად რუსეთისა დიდებულებისა სამიერატოროსა კარისაღმი და მიიცვალა აქა იასსა წელსა — ჩლტო, იანვარს კდ, მხილველთაგან შენდებია მთხოვნელი“.

ერთი ათჯერ მაინც წავიკითხე ეს წარწერა და ის იყო უბის წიგნაკში გადაწერას ვამთავრებდი, რომ მუზეუმის მეცნიერმა მუშაკმა საუბარი დაიწყო:

— სამხრეთის ჯარების მაშინდელი მთავარსარდლის პოტიომკინის ბრძანებით ბესიკი „ფინერის“ ანუ წმინდა პარასკევას ძველ ტაძარში დაკრძალეს. თითქმის ცხრა ათეული წლის შემდეგ, 1878 — 1890 წლებში ეს ტაძარი, რომელიც სიძველის გამო ჩამოინგრა, აიღეს. მიცვალეს მუზეუმში, ვისაც ჰირსოფილი პუცოვა ან პატრონი გამოუჩნდა, სხვაგან გადაასვენეს, დანარჩენები კი ადგილზე დატოვეს. იქ დარჩა ბესიკის ნეშტიც...

მე უნებლიეთ პოეტის მუღარა გამხსენდა:

„მკვდარი ბესიკი მოდი, მნახე,
ჩამიდგი სული!“

ვერაინი გაიგონა,
არავინ მიხულა.

¹ თბილისში დაბრუნების შემდეგ ჩემთვის ცნობილი გახდა, რომ ბერძნული წარწერის ტექსტი გ. ლეონიძის თხოვნით თარგმნა პროფ. ს. ყაუხჩიშვილმა. წარწერის თარგმანი ასეთია: „როგორც საფლავიდან... კაცი ბერიელი, წარმთხოვით კეთილშობილი, ბრწყინვალე შეილი ზაქარაიასი, სახელად ბესარიონი, კეთილსათნო ბუნების, გაბაონთა გვარიდან, ჩამოვიდა ელჩობასთან ერთად კოლხიდიდან. მაშინ გადაუხადა მან ვალი უფალი, იცოცხლა რა ორმოცი (წელი), კარდაიცვალა წელსა ღვთის შობიდან 1791-ს იანვარს...“



არავის უნახავს...

საუბარს კი არ შეწყვეტილა, გრძელდებოდა და მე ნათქვამიდან რაღაც მგონი გამომჩინა.

— ადგილზე დარჩენილი საფლავის ქვების დიდი ნაწილი სამშენებლო მასალად იქნა გამოყენებული. ეს ფიქალი კი, როგორც ძვირფასი მარმარილო — გადარჩა. კარგა ხანს იგი გოლიან მონასტერში ინახებოდა, მაგრამ, სამწუხაროდ, მაშინ არავინ იცოდა, ვის ეკუთვნოდა იგი. ამ რამდენიმე წლის წინათ ქავს მიაგნეს ქართველმა მეცნიერებმა — აკადემიკოსებმა აკაკი შანიძემ და ნიკო ბერძენიშვილმა. წარწერის ამოკითხვის შემდეგ ცხადი და საყოველთაოდ ცნობილი გახდა, რომ ფიქალი ბესიკს ეკუთვნის და საფლავის ადგილსამყოფელიც დადგინდა.

ჩვენ სულგანაბულნი ვუსმენთ საუბარს ბესიკის საფლავის აღმოჩენის საკვირველი ისტორიის შესახებ:

— იმ ადგილას, სადაც ძველად წმინდა პარასკევას ეკლესია იყო, ახლა პატარა მოედანია, ზოლო იქვე, გვერდზე ქალაქის ერთ-ერთი ბაზარია გამართული. მოედნის შუაგულში დანგრეული ეკლესიის ეზოში დაკრძალულ მიცვალებულთა ხსოვნის აღსანიშნავად ჯვრით დაგვირგვინებული ობელისკია აღმართული.

რამდენიმე ჩვენთაგანი მუზეუმებიდან პირდაპირ ობელისკისაკენ გავეშურეთ. ყველაფერი ზუსტად ისეა, როგორც მუზეუმში გვიამხეს. მაგრამ საფლავის ზუსტი ადგილსამყოფელი აღნიშნული მანძიკ არ არის. ჩვენ ობელისკთან ვდგავართ თავდახრილნი. სადღაც აქ, სულ ორიოდ ნაბიჯზე ან, შესაძლოა, ჩვენ ფეხსქვევითაც განისვენებს ბესიკი.

მკვდარი ბესიკი.

მოვედით.

ვნახეთ.

და სული კი ვერ ჩაუდგით.

დიდი ქალაქის ჩირაღდნები

მანქანა უკან იტოვებს ნაირფერად აჭრელებულ ბოძებს, რომლებზედაც კილომეტრებია აღნიშნული: ერთი, ორი, სამი... შვიდი... ათი... ასი...

პლოეშტი.

სინაია.

ბრეშოვი.

და იქ გატარებული დღეების სასიამოვნო მოგონება.

... რუმინეთის ყოფილი მეფის და სხვა „რჩეულთა“ საზღვსულო „ნასახლარში“, შესანიშნავ საკურორტო ადგილას, რომელიც თავისი ადგილმდებარეობით ბორჯომის მიდამოებს მაგონებდა, ახლა მშრომელთა სანატორიუმები და დასასვენებელი სახლებია გამართული.

— ამ თემთმეტი წლის წინათ — გვიამბობდა სინაიაში ერთი ადგილობრივი ექიმი, — როცა განთავისუფლების შემდეგ აქ დამსვენებელთა პირველი ჯგუფი მივიღეთ და სანატორიუმში მოვთავსეთ, მონურ მორჩილებასა და სიდატაკეში გაზრდილებს ლოგინში დაწოლაც კი ვერ გაებნებოდა. ჯერ კიდევ იმდენად დიდი იყო შიში, რომ იმ პირველ დამეს თითქმის ყველას იატაკზე ეძინა და ლოგინებს ახლოსაც არ ეყარებოდნენ, სანამ არ ვაიძულეთ ტანთ გაეხალეთ და სულთა საწოლებში დაეძინათ.

ჩვენ გაგვიცინა.

— თქვენ ალბათ იმიტომ გეცინებთ, — შევნიშნა მან, — რომ ძველ დროს არ მოსწრებოხართ და არც კი გახსოვთ, ჩვენთან კი სხვაა. არის განსხვავება თხოუმეტსა და ორმოცდასამს შორის. ბევრი ჩვენთაგანისთვის, განსაკუთრებით განთავისუფლების პირველ წლებში, არც ისე ადვილი დასაჯერებელი იყო, რომ იმ ადგილებსა და შენობებში, სადაც გუშინ მეფე და მისი ამაღა დასეირნობდა, დღეს ყველა პატიოსან მშრომელს შეუძლია ისეირნოს, დაისვენოს და იმკურნალოს.

ირველივე დამსვენებლებს მოუყრიათ თავი. ჩვენ ერთმანეთს ვეცნობით, ვსაუბრობთ, სურათებს ვიღებთ. დამსვენებელთა შორის არიან ქალაქ ბრეშოვის დეპოს მუშებიც. ჩვენ პირობას ვაძლეოთ, რომ აუცილებლად ვეწვევით მათს მშობლიურ ქალაქს.

...ეს რუმინეთის ცენტრია. ბრეშოვი რუმინეთის ერთ-ერთი უღამანესი ქალაქთაგანია. თავისი ადგილმდებარეობითა და იქ თავმოყრილი ისტორიული ძეგლებით იგი კაცს უზარმაზარ მუზეუმად ეჩვენება. ჰალარა ქალაქის მრავალრიცხოვანი რელიქვიები აქ მცხოვრებ სამი ეროვნების ხალხის ხანგრძლივი ისტორიის ცოცხალი მატარებელია. ერთად იტანჯებოდნენ, ერთად



აშენებდნენ და გაერთიანებული ძალებით აღწევდნენ მტერზე გამარჯვებას — რუმინელებს გერმანელები და უნგრელები, რომლებიც ახლაც ხელითელჩაქიდებულნი სკეღენ აწვასა და ბედნიერ მომავლს.

ჩვენ ქალაქის ცენტრალურ მოედანზე ვართ. ეს ძველი ბრეშოვის ქვის გულია. მას ჩეტაბის უწოდებენ. მოედნის შუაგულში ხუთ საუკუნეზე მეტია ამაყად დგას სამოცმეტრიანი კოშკით დამშვენებული რატუსის შენობა. ძველად, შორეულ წარსულში აქ ასთა საბჭო იტრიბოლდა. მოსამართლესთან — ქალაქის მაგისტრატთან და მის შვიდ მრჩეველთან ერთად საბჭო განაგებდა ბრეშოვის ბედ-იდუმლს, რატუსის უკან ბარაკოს სტილით აგებული კათოლიკური ტაძარია. იგი ამ სტილის ერთადერთი ნაგებობაა, რადგან ქალაქში გოთური, რუმინული და ბიზანტიური არქიტექტურის ნიმუშები უარბობს.

— ეს შავი ეკლესიაა, — გვიხსნიან ჩვენ. — მას საუკუნეზე მეტი ხნის განმავლობაში აშენებდნენ. XIV საუკუნეში დაიწყეს და XV საუკუნის მეორე ნახევარში დაამთავრეს.

— შავი რატომ? — დაინტერესდნენ ტურისტები.

— თავდაპირველად მას წმინდა მარიაშის ეკლესია ერქვა. მაგრამ 1689 წლის ხანძრის შემდეგ ქვის ამ უზარმაზარი ნაგებობიდან, რომლის აშენებამ ბევრი სიცოცხლე შეიწირა, შავად გარუჯული კედლები-და დარჩა, სწორედ მაშინ შეარქვა სახლმა ამ ეკლესიას შავი. ასე, თითქოს ძაბებით შემოსილია, იღვა იგი ოცდაორი წლის განმავლობაში. 1711 — 1715 წლებში გალესია რესტავირირებულ იქნა, მაგრამ ძველი სახელი — შავი-მანაც შემორჩა.

ჩვენ ვტოვებთ მოედნს და მივყვებით ქალაქის ქუჩებს. ისინი აქაც ხალხითაა სავსე. ნაცხოვრებელი სახლების ახალი კვარტალები. ერნსტ ტელმანის სახელობის უზარმაზარი საავტომობილო და სატრაქტორო ქარხნები, პოლიტექნიკური ინსტიტუტი, მუზეუმები, თეატრები, სკოლები... ვველაფერს ვერ ნახავ. მაგრამ სინააში მიცემული პირობა კი მანაც შევასრულეთ: ვიყავით დეპოში და დამსვენებელთა კოლეგებს მათი მოკითხვა გადავცეთ.

...მნქანა ისევ კილომეტრებს ითვლის. აქედან რუმინეთის დედაქალაქამდე 167 კილომეტრია.

დიდი ქალაქის ჩირადღები. გაშლილი მოედნები. ფართო, მწვანეანი ქუჩები. ტბების პირას გაშენებული თვალწარმტაცი პარკები. რკალამები ყველგან: მაღალიბზე, კინოთეატრებზე, სასტუმროებზე, რესტორნებსა და კაფეებზე. ლალი, მხიარული და ამპარტავანი ქალაქი.

ბუქარესტი

— მართლა ვინმე მწყემსის სახელთან არის დაკავშირებული ამ ქალაქის წარმოშობა?

— ამბობენ, რომ არის! — და ჩვენი ახალშემნილი მეგობარი, პროფესიით პედაგოგი სავს კარიბიდის ზღაპარით გვიყვება უსსოვარი დროიდან შემონახულ ამბავს ქალაქის წარმოშობისა და მისი პირველი მცხოვრებლების შესახებ.

— იყო და არა იყო რა, — დაიწყო ღიმილით სავანმა, — იყო ერთი მწყემსი, რომელსაც სახელად ბუკური ერქვა. სიტყვა „ბუკური“ რუმინულად ნიშნავს მხიარულს...

— ესე იგი სწორი ყოფილა ბუკურესტი და არა ბუქარესტი.

— დიახ, ბუკურესტი!

— კი მაგრამ...

არა, ამაზე აქ მსჯელობა არა ღირს, მაგრამ მე მანაც იმ აზრისა ვარ, რომ, მაგალითად, ბუკურესტის ქართულადაც ბუკურესტი ერქვას, რუსულადაც და ინგლისურადაც. ან რატომაა საქართველო და კიდეც... გრუზია ან ყორეთა, ან კიდე გერმანელი, ნემეც და თვით გერმანულად კის სულ სხვაგვარი სახელწოდება. რომი და რიმ, მტკვარი და კურა... და სხვა მრავალი.

სავანმა ერთი უკვე საქმაოდ მოძველებული პატარა შენობის წინ შეგაჩერა.

— ამ სამლოცველოზე ამბობენ — ბუკურს აუშენებიაო. ასე რომ რუმინეთის დედაქალაქის ისტორია აქედან იწყება. ამ სამლოცველოდან გაიზარდა დღევანდელი ბუკურესტი.

— გასაგებია!

— თქვენი დედაქალაქის სახელწოდება რაღასთან არის დაკავშირებული? ესე იგი, მე მინდა გითხოთ, საიდან წარმოიშვა სიტყვა თბილისი და რას ნიშნავს იგი? — სავასი მახლობელი პარკისაკენ გაგვიძღვა: ჩავიშუხლოთო.

ჩავიშუხლოთ.

თბილისის წარმოშობაზე ნამბობ ლეგენდას ყველა ყურადღებით უსმენდა. როგორც ჩვეულებრივად ხდება ხოლმე, ირგვლივ ხალხმა მოიყარა თავი. კვირა დღე იყო. ჩვენ უკვე წასასვლელად ვემზადებოდით, რომ საუბარმა სრულიად მოულოდნელად, ასე ვთქვათ, ისტორიულ-გეოგრაფიულ-ფილოლოგიური ხასიათი მიიღო. ამ თავისებური ვიქტორინის წამომწყებთ თავისდა უნებურად თვით სავასი აღმოჩნდა. მან თქვა:

— ქალაქი სოფია, სადაც თქვენ ზეგ იქნებით, ბერძნულად სიბერძნეს ნიშნავს. აღარ მასხვავს ვინ უპასუხა:

— ეგ ცნობილია. ადის-აბეგა კი აბისინურ ენაზე ახალი ყვავილია. და აირია მონასტერი:

— ამსტერდამი?

— ამსტელ — მდინარე, დამ — ჯებირი, ესე იგი — ჯებირი მდინარე ამსტელთან.

— ანტვერპენი?

— ანტვერპენი — ქალაქი ნავთსადგურთან.

— სწორია! ან დერ ვერტ — გერმანულად ასეა, — გამოამდევნა ვიღაცამ თავისი განათლება.

— აბა, ბაქო რას ნიშნავს, ვინ იცის?

— ბაქოში სულ ქარი უბერავს და ბაქოც ამახ ნიშნავს. სპარსულად...

— კაცო, გეუოფათ, რა დროს სპარსულია ყველა ქალაქი ზომ არ უნდა ჩამოთვალთ? კაცო, წვიდეთ, რა მოგვიდათ! სულ აქ ზომ არ ვიკვებოთ! ამისთვის ჩამოვდით ამ სიშორიდან? — მოიშარათა მოთმინებიდან გამოსული თბილისის ერთ-ერთი ქარხნის ახალგაზრდა მუშა და, როცა ყველა წამოიშალა, დინჯად დაუმატა:

— აბა ვინ იცის — საიდან წარმოიშვა და რას ნიშნავს სიტყვა „სტადიონი“?

ფეხბურთის მატჩის დაწყებამდე. ფეხბურთის მატჩის დაწყებამდე არც თუ ისე ბევრი დრო იყო დარჩენილი. ავტომატით, მაგრამ მინც იმედინად ვიყავით: სტადიონის ბილეთები უკვე აღებული იყო.

როგორც ბავშვები მგვანან ერთმანეთს, ისე ფეხბურთის გულშემოტყვიერებიც, მსოფლიოს რომელ ქვეყანაშიც უნდა ცხოვრობდნენ ისინი, — „ტყუებოვით“ არიან.

სტადიონზე კი...

სტენა.

ყვირილი.

შეძახილები.

და მსაჯის ლანძღვა-გინება.

შესვენების დროს რადიო გადმოსცემს სპორტის ახალ ამბებს, მუსიკას, განცხადებებს წესრიგის დაცვისა და ტრანსპორტის მოძრაობის შესახებ.

— ...ბუქარესტი... დინამო... გარუზია...?! — დიქტორი რაღაცას აცხადებს. მე კი ისევ მოქმედი... „გარუზია“.

ვეითებით სტადიონის ტრიბუნებზე მსხდარ მეზობლებს, რომლებმაც უკვე იციან, რომ ჩვენ უცხოელები ვართ.

ბერტეანი გულშემოტყვიერი შავ სათვალეს იხსნის და დამტყრელი რუსულით გვეუბნება:

— დღეს ბუქარესტში, „დინამოს“ სპორტულ დარბაზში გაიმართება საქართველოსა და რუმინეთის სპორტსმენთა ამხანაგური შეჯიბრება კლასიკურ ჭიდაობაში.

— ვაშა!

ფეხბურთის მატჩის დამთავრებისათვის აღარ მოგვიცდია.

— ყველანი ჭიდაობაზე! — ასეთი ლოზუნგით დავტოვეთ სტადიონის ტრიბუნები, ერთმანეთის მტრულად ერთმანეთს ვიყავით. გუნდს გამარჯვება ვუსურვეთ და ძუნძულით მივაშურეთ „დინამოს“ სპორტულ დარბაზს.

...სპორტდარბაზის ხელმძღვანელობასთან ხანმოკლე მოლაპარაკება და ჩვენ უკვე აღვადგინებთ ვართ. ქართველმა მოჭიდავეებმა მაშინვე მოგვაქციეს ყურადღება, რადგან ჩვენ შეგნებულად ხმამაღლა ვლაპარაკობთ. ერთმანეთს ვესალმებით, ვუცინით, ვამხნევეთ. მოპირდაპირე მხარეს, მიკროფონთან ვიღაც დგას. ხელში ფურცლები უჭირავს და ტექსტს რუსულად კითხულობს. მგონი მისასალმებელ სიტყვას ამბობს. კი, ასეა. მაგრამ ვინ უნდა იყოს? ვაკვირდები: ვლადიმერ სამსონაძე — საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის პრეზიდენტის თამაშდამარცხის მოადგილე.

იგი უკვე ამთავრებს სიტყვას.

მაგრამ მე გულმა აღარ მომიშინა, ნახევარ დარბაზს ირგვლივ შემოვუარე და მიკროფონს მივუახლოვდი. აქვეა გივი კარტოზიაძე.

— გაუმარჯოს!

— ოჰ, გამარჯობათ! საიდან, როგორ?

— ისე, ვმოგზაურობთ. როგორაა საქმე!



— არა უშავს, მაგრამ ჩვენი ოთხი მოქიდავე თავის წონაში ვერ გამოდის. ერთი სიტყვით ვნახათ.

— რატომ?

— გუნდის ინტერესებისათვის დუდუშაური, ქორიძე, გვანცელაძე და აბაშიძე ერთი წონითი კატეგორიით მაღლა გამოდნენ. მაინც მოვიგებთ, — დამამშვიდა გივიმ და მე ისევ ჩვენებთან დავბრუნდით.

აი, დაიწყო კიდეც. ხალიჩაზე არიან უმრატესი წონის მოქიდავეები: ოლიმპიური ჩემპიონი ბინკულესკუ და შეყრილაძე. შეხვედრა გარდამავალი უპირატესობით მიმდინარეობს. ეტყობა, არც ისე იოლია ოლიმპიური ჩემპიონის ბეტებზე დადება. დარბაზში კი განუწყვეტელი სტვენა და უვირილია:

— ჰაი, მარნიკე!

— ჰეი, მარნიკე!

განსაკუთრებით აქტივობს ჩვენს უკან მჯდომი, ასე 14-15 წლის ბიჭი. მამამისს, ეტყობა, ამისთვის უფრო წამოუყვანია იგი და ხმის ჩახლენამდე აუვირებს. თან ცალი თვალით ჩვენსკენ იხედება.

შეყრილაძეს არაფერი გამოსდის, ოლიმპიური ჩემპიონი პირკულესკუ მინიმალური უპირატესობით იგებს შეხვედრას, ახლა უკვე მრატე წონის მოქიდავეები ებრძვიან ერთმანეთს. კვლავ გამბული სტვენა და უვირილი.

— ბიჭებო, აუვირდეთ ჩვენც, თორემ ცუდადაა საქმე, — გადავუღამარავე ჩვენებს.

— მიდი, მიდი, არ გაუშვა! — ავღრიალდით ყველა.

— აქა ვართ! — დაიყვირა უცებ უკვე შექალაქავებულმა რკინიგზელმა.

— არ გაუშვა! — შიამახეს დანარჩენებმა.

მგონი უშველა. გადავრჩით. ეგაძის და ჩერნეას შეხვედრა, რომელშიც გადაწყვეტე უპირატესობას ვერც ერთმა ვერ მიაღწია, ფრედ დამთავრდა.

პირველი გამარჯვება საქართველოს გუნდს დუდუშაურმა მოუტანა, შემდეგ ქორიძემ, გველესინამ და აბაშიძემ.

— ვაშა!

ამხანაგური საერთაშორისო შეჯიბრება კლასიკურ ჰილაობაში, რომელსაც მე ვესწრებოდი ქ. ბუქარესტის „დინამოს“ დარბაზში, დამთავრდა 4,5 : 3,5 ქართველ მოქიდავეთა სასარგებლოდ.

მე შეჯიბრების პროგრამა წამოვიდე. იქ წერია: დ. პირკულესკუ — ოლიმპიური ჩემპიონი. ი. ჩერნეა, მ. შულცი, დ. გეორგი, ი. ტარანუ — რომის ოლიმპიადის პრიზოორები. ვ. ბულარჩა — მსოფლიო პირველობის პრიზოორი...

4,5 : 3,5. კარგია!

დილით ადრე უკვე სასტუმროს ფოიეში ვართ და ვეცნობით „სპორტულ პოპულარში“ დაბეჭდილ ანგარიშს, რომელსაც აქვე მყოფი რუმინელი მეგობრები გვითარგმნიან.

... ისევ ქუჩები. მაღალი შენობები. ძველი, კარგად შენახული სახლები მდიდრული და ორიგინალური არქიტექტურისა.

— ეს ხომ ტრიუმფალური თალია — გავიკვირე მე, როცა ახალაგებული პოლიგრაფიული კომპინატის „სკინტიას სახლისკენ“ მიმავალ გზაზე ქვის ნაცნობი ნაგებობა შევნიშნე.

— ის ვახლავთ, — მიპასუხა კომპინატის თანამშრომელმა, რომელიც ჩვენს შესახვედრად გამოსულიყო. — ეს პარიზის ტრიუმფალური თალის, ასე ვთქვათ, ასლია. ჩვენს ყოფილ მეფეებს ჩვეულებად ჰქონდათ ევროპელთა მიბაძვა. და, აი, ეს თალი ააგეს. ულამაზო არ არის, მაგრამ პარიზში იგი მაინც უეთესი იქნება, იმიტომ, რომ მისი სამშობლო იქ არის. ყოველ შემთხვევაში, სხვის ასლს, თუნდაც კარგს, ჩვენ საკუთარი დედანი გვრჩია.

ჰაი, ჰაი, რომ გვრჩიათ. გავიფიქრე გუნებაში და ფოტოაპარატი მოვიმარჯვე.

სოფელი ქალაქში

ეთნოგრაფიული მუზეუმი. „რუმინეთის სოფელი“ — ასე უწოდებენ მას. ცხრა ჰექტარზეა გაშლილი მუზეუმის ტერიტორია. მაღლა ცაა, დაბლა — დედამიწა. მუზეუმს შენობა არა აქვს. სამაგიეროდ თვით მუზეუმი შენობებით არის სავსე: სახლები, სასიმინდეები, კოხტად შემოღობილი ეზოები, სოფლის შარავნები... ჩვენს თვალწინაა რუმინეთის სოფლის განვითარების მრავალსაუკუნოვანი ისტორია.

... აი ქიშკარი. შეგიძლია გამოაღო და ეზოში შეხვიდე. იქ სახლი დგას. ჰა, უკან საღორე, საქათმე. სახლიდან გამოვლენ, მოგვხალმებთან, აგისხინან: რომელი საუკუნისა და უმთავრესად



რუმინეთის რომელი მხარისათვის იყო დამახასიათებელი ასეთი ტიპის სახლ-კარი და ენა-გარემო. შემდეგ მივიწვევენ ოთახში, რომელიც ისეა გაწყობილი, როგორც მაშინ იყო, სწავლავს: ტანსაცმელი, ჭურჭელი, ავეჯი... მეზობლად მორთავს ხელს. განსხვავებული იგი უფრო გვიანდელ ხანას მიეკუთვნება. აქ კი თანამედროვეობაა. ასეთი სახლები მე უკვე ვნახე. ერთი სიტყვით, ეს მთელი სოფელია, პატარა და ორიგინალური სოფელი, სოფელი ქალაქში.

მე ფოტოსურათებს ვიღებ და თან ვფიქრობ: ჩვენ რომ ამის მსგავსი მუზეუმი გავაკეთებინა, ძალიან საინტერესო გამოვიდოდა: სვანური კოშკები, მეგრული ფაცხა, გურული ოლა, ხევსურული და ფშაური სოფლების სპეციფიკური ხედები. არა, ნამდვილად დიდებული სანახაობა იქნებოდა!

— აი, ეს სახლიც უნდა გადავიღო. და ისევ ვფიქრობ: რა თქმა უნდა, იქნებოდა, ძალიან კარგი სანახაობა იქნებოდა.

მერე ოცნებამ გამიტაცა და საკუთარ თავს დილაღად გავუმარტე:

— აი, თუნდაც ვაკის პარკის ტერიტორია.

— არა, საბურთალოსე აჯობებს.

— ჩვენი სახალხო მეთრენების მიღწევათა გამოყენება უკეთესია. ბარემ ყველაფერი ერთად იქნება.

— ადგილის მეტს რას იშვავს კაცი. თუ გული გულობს, ქადა ორივე ხელით...

— ქადა არა... ნიჭიერი და ზედმიწევნით განათლებული, მაღალი გემოვნების მქონე არქიტექტორის ხელია საჭირო. შეიძლება აქაც მოვადვინოთ, რათა საკუთარი თვალთ ნახოს ეს არაჩვეულებრივი „სოფელი ქალაქში“. მთავარია კარგი დაგეგმარება.

— ძვირი დაჯდება და ფულს არავინ მოგვეცემს.

— არა! — ვარწმუნებ საკუთარ თავს. — არ დაჯდება ძვირი. სვანები ერთ კოშკს როგორც ერთ წამოქმედებენ. ან კახეთის და ქართლის რაიონებს რატომ უნდა გაუჭირდეთ თითო სახლის დადგმა და ენოს მოწყობა? თითო-თითო სახლი სამეგრელოს, გურიის, იმერეთის რაიონებიდან და შაბაში!

— მიწის სამუშაოები იქნება!

— იქნება და იყო. გავაკეთებთ. ყველა ვიმუშავებთ, გზებს გავიყვანთ. ხებილს დავრგავთ. ვენახს გავაშენებთ. მარანს მოვაწყობთ. გავამწვანებთ კიდეც იქაურობას. შემოსავალიც იქნება: რამდენი ათასი ტურისტი ჩამოდის საბჭოთა კავშირის ქალაქებიდან, რესპუბლიკებიდან და უცხოეთის ქვეყნებიდან! უცხოეთის რამდენი დღეეგაცაა მოდის ჩვენთან, განსაკუთრებით ზაფხულობით.

— თანამშრომლებად განათლებული ახალგაზრდები უნდა ავიყვანოთ: ენებიც რომ იცოდნენ, ისტორიაც და...

არა, მე ძალიან შორს წავიდე. ამაზე მერე, თბილისში. ახლა კი შემთხვევით უნდა ვიხარებო და დღევანდელი რუმინეთის სახალხო განათლების სისტემას გავეცნო. ამაზე უკეთეს დროს ვეღარ ვნახე. სკოლებში არადადგებია. აქაურობა საესეა მოსწავლეებით. მათ, ალბათ, მასწავლებლებიც თან ახლავან და თუნდაც ნახევარსაათიანი საურბანო ბევრს შემძენს. ჩვენებს დავცილდი და ბავშვების ჯგუფს მივუახლოვდი. თვითიველ მათგანს მკლავზე ოთხკუთხი ფორმის ლურჯი ნაჭერი აკერია, რომელზედაც ოქროსფერი ასიებითაა ამოქარგული: „ჩ“ და ქვევით „მ7“. ეს იმას ნიშნავს, რომ ისინი ქალაქ ბუქარესტის № 27 საშუალო სკოლის მოსწავლეები არიან.

— გამარჯობათ! — მივესალმე. ისინი წამოდგნენ, ხატვა შიატოვებს და გაწვილი ხელი ჩამომართეს:

— ვალერია კოდიცა.

— ალდა სტურჯა.

— გაბრიელ დინუ.

ბავშვებს სანდომიანი სახის ახალგაზრდა ქალი მოუახლოვდა. ალბათ მასწავლებელია. ასეც არის. ჩვენ ერთმანეთს ვეცნობით:

— შია ფილოტიანუ.

მისა პედაგოგიური ინსტიტუტი დაუშთავრებია. ამიტომ იგი არასრულ საშუალო სკოლაში ასწავლის. საშუალო სკოლაში მასწავლებლობის უფლება მხოლოდ უნივერსიტეტის კურსდამთავრებულებს აქვთ. ცალკეა აგრეთვე ინსტიტუტი დაწყებითი კლასების მასწავლებელთა მოსამზადებლად.

— მაგრამ, — განაკრძობდა ფილოტიანუ, — მასწავლებლობის უფლება მე ინსტიტუტის დამთავრებიდან სამი წლის შემდეგ მოვაპოვე.



— ეს როგორ? — გავიკვირებ.

— უნივერსიტეტის ან პედაგოგიური ინსტიტუტის კურსდამთავრებული, — მიუვება სკოლაში მუშაობის სამი წლის განმავლობაში ითვლება.. ერთი სიტყვით, მას სტაჟიორს უწოდებენ. ეს მათთვის, ასე ვთქვათ, გამოსაცდელი ვადაა. ამ სამი წლის განმავლობაში ახალგაზრდა სპეციალისტმა, საჭირო კონდენსა და მომზადებასთან ერთად, უნდა გამოავლინოს უნარი და პედაგოგიური მუშაობისადმი მიდრეკილებაც, რასაც ჩვენთან ძალიან დიდ ყურადღებას აქცევენ. სტაჟიორად მუშაობის სამი წლის შემდეგ მე შევითანე განცხადება და ვითხოვე განეხილა საკითხი ჩემთვის მუდმივი მასწავლებლის უფლების მონიჭების შესახებ.

— ვინ იხილავს ამ საკითხს? — დავინტერესდი მე.

— რა თქმა უნდა, განათლების სამინისტრო, — გავიკვირა მიამ. — მაგრამ ეს საბოლოო, უკანასკნელი ინსტანციაა. თვითიველ ოლქში შექმნილია კომისიები სპეციალობების მიხედვით, იმისდა მიხედვით, თუ რა ისწავლება და რა სპეციალობების მასწავლებლები მუშაობენ სკოლებში. ცალ-ცალკეა, მაგალითად, მშობლიური ენისა და ლიტერატურის, მათემატიკის, ისტორიის, გეოგრაფიის, უცხო ენებისა და სხვა საგნების კომისიები. კომისიის წევრები ესწრებიან გაკვეთილის, ამოწმებენ საპროგრამო მასალის ათვისებისა და მოსწავლეთა მომზადების ხარისხს, ეცნობიან იმასაც, თუ რა მონაწილეობას ღებულობს მასწავლებელი სკოლის კოლექტივისა და სასოფადობრივი ორგანიზაციების მუშაობაში. ამის შემდეგ ტარდება გამოცდები სპეციალურ საგანსა და სასოფადობრივ-პოლიტიკურ დისციპლინებში. თავის დასკვნას სათანადო მასალებთან ერთად კომისია უდგენს განათლების სამინისტროს, რომლის გადაწყვეტაა დამდობიანიც გვეძლევა მუდმივი მასწავლებლის წოდება და ამის დამადასტურებელი მოწმობაც. აი, ასე, — გამიღიმა რუმინელმა მუდმივმა მასწავლებელმა და, შეკითხვის მიცემა არ მაცალა, ისე განაგრძო: — ერთი წლის შემდეგ მე პედაგოგიური მუშაობის სუთი წლის სტაჟი მექნება. ამიტომ აქედანვე ვემზადები იმისათვის, რომ მეორე ხარისხის მასწავლებლის წოდება მივიღო. ამისათვის, გარდა იმისა, რაც უკვე ვთქვი, როცა მუდმივი მასწავლებლის უფლების მოპოვებაზე ვლაპარაკობდი, საჭიროა გამოცდის ჩაბარება პედაგოგიაშიც.

— ესე იგი, — შევაწყვეტინე საუბარი, — ისევ კომისია, გაკვეთილებზე დასწრება, გამოცდები სპეციალობაში, პოლიტიკაში და, გარდა ამისა, დამატებით, პედაგოგიაშიც. ასეა არა?

— დიახ, ასეა, — დამემოწმა მიამ.

— და ხელფასიც მოგემატებათ? — აღარ ვეშვები მე.

— რა თქმა უნდა, მოემატება, — და მიამ უბის წიგნაკი გამომართვა. — ჩვენთან ასეა: მასწავლებელი, რომელსაც ერთიდან სამ წლამდე მუშაობის სტაჟი აქვს და მისი კვირეული დატვირთვა ერთ განაკვეთს, ანუ თვრამეტ საათს შეადგენს, თვეში ცხრაას ლეის ღებულობს.

მია წერს. მე ვხედავ, როგორ ივსება ციფრებით ფურცელი უბის წიგნაკში და ვკითხულობ:

- 1 — 3 — 900;
- 3 — 5 — 1000;
- 5 — 10 — 1125;
- 10 — 1275.

— თუ მასწავლებელს, — მიამ წერა დაამთავრა და თავი ასწია, — სკოლაში მუშაობის სუთ წელზე მეტი ხნის სტაჟი და, ამავე დროს, მეორე ხარისხის მასწავლებლის წოდება აქვს, იგი თვითრად ათას ოთხას ლეის იღებს. ათ წელზე მეტი ხნის სტაჟის მქონე პირველი ხარისხის მასწავლებელი კი — ათას ექვსასს. მაგრამ იმისათვის, რომ გახდეს პირველი ხარისხის მასწავლებელი, საჭიროა სკოლაში ათი წლის ნაყოფიერი მუშაობა, მოსწავლეთა მომზადების რაღაც მაღალი დონე, გამოქვეყნებული სამეცნიერო-პედაგოგიური ხასიათის შრომები და კვლავ გამოცდების ჩაბარება სამ საგანში.

— სპეციალობა, პოლიტიკა, პედაგოგია! — წამოვიძახე მე უცებ, მოულოდნელად და თითქმის შექანიკურად. მერე, რატომღაც, გამახსენდა „პეის კალი“ და გერმანის: სამიანი, შვიდიანი, ტუში.

მის, რა თქმა უნდა, არაფერი შეუნიშნავს და ჩვენ გულთბილად, მეგობრულად დავემშვიდობეთ ერთმანეთს, რადგან ორივეს გვეჩქარებოდა. მას, მუდმივ მასწავლებელს, ბავშვებთან, მე კი...

მაგრამ ამაზე შემდეგ.

მადლობა ღმერთს, ან ვისაც გნებავთ იმას, რომ ამჯერად ჩვენ ღამით არ ვმგზავრობთ. იასიდან პლომტამდე კი, რაც მართალია-მართალია, გვარიანად გავიკვირდა. დამერწმუნეთ, რომ არც თუ ისე იოლი და მაინცდამაინც სასიამოვნოა, როცა კუბეში რვა კაცი გაუნძრევლად წის და ფეხსაცმლიდან დაწყებული ჰალსტუკამდე ყველაფერი გასაცარი თანმიმდევრობით



იწვევს მოქერას, როცა გეჩვენება, თითქოს ან შენ სივდები, ან რაც გაცვია — ის პატარაა და
 ბა, ხოლო გათენებიადავე კი მთელი დღის განმავლობაში ფეხზე უნდა იდგე.

მაგრამ, როგორც მოგახსენებ, დღეს ჩვენი მატარებელი ბუჭარესტიდან დილით გამოვი-
 და და საღამოს უკვე პლევენში ვიქნებით. ასეთი მგზავრობა გაცილებით უფრო სასიამოვნოა.
 მით უმეტეს, რომ დღისით დროც უფრო ჩქარა გადის და, რაც მთავარია, უცნობი ქვეყნის
 მიწა-წყალს ათვალიერებ. რკინიგზის სადგურების მიღმა ქალაქის ხედები მოჩანს:

- ჟილავა.
- აღუნაიცი კოპჩენი.
- კოლიბაში.
- ფრეტი.
- ვიუჟიუ...

საღლაც ახლოს სახელმწიფო საზღვარია. იგი მდინარე დუნაიზე გადის. მატარებლიდან
 მშვენივრად მოჩანს ზღაპრული სანახაობის ვებერთელა „მეგობრობის ხიდი“. ხიდის „მეორე
 სართულზე“ სავტომობილო გზა გადის, ქვევით კი — დუნაი მიედინება.

... რკინიგზის ორივე მხარეს ვენახები, პურის ყანები, თამბაქოსა და ვარდის ნათესები
 გასდევს. ეს უკვე ბულგარეთის მიწაა.

აი, გავიარეთ ბიალა, გორანა სტუდენა, ობნოვა, გრივიცა...

პლევენი!

ჩემს წინ დიდი, მრავალგუმბათიანი ტაძარია აღმართული. მას ირგვლივ გალავანი აკრავს.
 იქიდან ქვემეხები იცქირებიან, მრავლის მომსწრე, ბრძოლებში გამოწრთობილი ქვემეხები.
 ატარის საკუთარი სახსრებით აუშენებია ხალხს იმ დღეების უკვდავსაყვად, როცა რუსეთის
 არმიამ ბულგარელი ხალხს თურქების მონობისაგან გაათავისუფლა. და როცა საბჭოთა არმიამ
 იგი კვლავ გაათავისუფლა ამჯერად ფაშისტი დამპყრობელებისაგან, ტაძრის შესასვლელთან
 ლექსი ამოიკეთა რუსულ ენაზე. ირგვლივ პარკია, დიდი და ღამაზი. პარკში ბულგარელი
 პარტიზანების უზარმაზარი ობელისკია აღმართული. აქვეა ბზის დეკორატიული წრცე მცე-
 ნარეობისაგან გამოკრილი სიტყვებით:

„გმირებო, თქვენს ძელებზე დამკვიდრდა ჩვენი თავისუფლება“.

... ავტომანქანა კვლავ განაგრძობს თავის გზას: ითვლის კილომეტრებს. ამჯერად ბულ-
 გარულ კილომეტრებს.

პლოვდივი!

მისი ანტიკური სიღამაზე, სიმდიდრე და, განსაკუთრებით, სტრატეგიული მდგომარეობა
 მაგნიტით უზიდავდა ურიცხვ დამპყრობელს. ქალაქი გმინავდა, მაგრამ ნანგრევებად და
 ფარფლად ქცეული მანძი განაგრძობდა სუნთქვას, სიცოცხლეს, ცხოვრებას. თვითელი დამ-
 პყრობელი ამ ტანჯული ქალაქის „ნათლიაც“ იყო. თაკიელთა ეპოქაში დღევანდელი პლოვ-
 დივი პულბუდევის სახელწოდებით იყო ცნობილი. მერე, როცა #41 წელს ჩვეს წელთ-
 აღრიცხვამდე იგი ფილიპე მკედლონელმა დაიპყრო, — ფილიპოპოლი ეწოდა. უფრო გვიან
 რომელიმემა ქალაქს ტრიმონციუმში შეარქვეს. XIV საუკუნის მეორე ნახევრიდან კი ოსმანთა
 ხელთაწლიანი ბატონობის მანძილზე ფილიპედ წოდებული პლოვდივი დღეს მეტოქეობას უწევს
 ბულგარეთის ღირსეულ დედაქალაქს — სოფიას.

პლოვდივიდან სოფელ ბაჩკოვამდე ოცდაათი კილომეტრია. კიდევ ორი და...

მე ხევი ავირბინე. მოედანზე გავედი. აი, ისიც, ბალკანეთის ნახევარკუნძულზე, ძველი
 მკედლონის მიწაზე აგებული ქართული მონასტერი. ჩვენი ეროვნული კულტურის ერთ-ერთი
 უმნიშვნელოვანესი საზღვარგარეთული ცენტრი.

ივერიის მონასტერი ათონის მთაზე.

სვიმონ საკვირველმოქმედის სავანე შავმთაზე ანტიოქიის მახლობლად.

ჯვრის მონასტერი პალესტინაში.

და პეტრიწონის მონასტერი მკედლონიაში.

მე შის კარიბჭესთან ვდგეარ. მარჯვნივ, გალავანზე წარწერაა: „108#“. მაღლა, ცაში
 მოედვარე ოქროს ჯვარზე კი ქართული ასოებით გამოყვანილი — „ძლევაი“.

— კამენ კოლდვი. ბაჩკოვოს მონასტრის ისტორიკოსი. — გავვეცნო სასიამოვნო გარე-
 ნობის ახალგაზრდა, რომელიც ჭიშკართან შემოგვეგება და შემდეგ გალავნის შიგნით შეგვი-
 ყვანა.

— ეს მთავარი მონასტერია, — დაიწყო მან. — იგი 108# წელს ააშენა ბიზანტიის ისტო-
 რიაში კარგად ცნობილმა გრიგოლ ბაქურიანამ. მთავარი მონასტერი ღვთისმშობლის მიძინების
 სახელზეა აშენებული. სხვა ორი, რომელსაც ჩვენ შემდეგ ვნახავთ, იოანე ნათლისმცემლისა
 და მთავარმოწამე გიორგის სახელებზე. გრიგოლ ბაქურიანის მამას მაღალი მდგომარეობა



გაკვა და მშობლებს თავისი ორი ვაჟიშვილისა და ქალიშვილებისათვის კარგი აღზრდა მიუცნოთ. გრიგოლის ძმის — ასპაზისათვის ბიზანტიის კარის მაგისტრობა უზომებიათ, მაგრამ 1088 წელს, როცა ეს მონასტერი აშენდა, ასპაზი გარდაიცვალა. დიდად განათლებული, ენერგიული და ქვიანის გრიგოლი კი ამ დროისათვის საკმაოდ მდიდარი და აღმატებული პიროვნება გახლდათ.

— თუ შეიძლება, ცოტა უფრო დაწვრილებით, — შევეხვეწეთ ბულგარელ ისტორიკოსს, — ჩვენ ქართველები ვართ...

— ქართველები თუ ხართ, — გაიცინა კამენმა, — დაწვრილებით თქვენ უნდა მომიყუეთ. მე არ ვხუმრობ. ჩვენს აკადემიას, სამწუხაროდ, არ გააჩნია საკმარისი მასალა ამ მამდილიად დიდი და მნიშვნელოვანი ისტორიული ძეგლის, თვით გრიგოლ ბაკურიანისა და აქ მყოფი სხვა ქართველების შესახებ.

— ?!

— მაგრამ მე მაინც ვეცდები უკმაყოფილო არ დაგტოვოთ. მაშ ასე. გრიგოლმა საკუთარი მეცადინეობითა და მონდობებით სიმდიდრეც შეიძინა და აღმატებასაც მიაღწია. იმპერატორ მიხეილ დუკას მეფობის — ეს 1071—1078 წლებია — და ნიკიფორე ბოტანაიტეს დროს — მომდევნო 1078—1081 წლებში, — იგი უარსის დუკად იყო სომხეთში, არზრუმსა და მაკედონიის სმოლენაში, შემდგომში გრიგოლ ბაკურიანმა დიდად შეუწყო ხელი ალექსი კომნენის გამეფებას, რის გამოც მაშინვე, 1081 წელს დაინიშნა „დასავლეთის დომესტიკად“ და დაეკისრა ბიზანტიელი ჯარების ხელმძღვანელობა იმპერიის ევროპულ თემებში.

— თუ შეიძლება გვითხარით — რატომ ან რა მიზეზით ააშენა გრიგოლ ბაკურიანმა აქ ეს მონასტერი? — შევეკითხეთ ჩვენ.

— საქმე ისაა, რომ გრიგოლ ბაკურიანსა და მის თანამემამულეებს ძალიან დიდი ღვაწლი მიუძღოდნო ბიზანტიის იმპერიის, კერძოს, მისი აღმოსავლეთი და დასავლეთი საზღვრების დაცვაში. სწორედ ამ დიდი ღვაწლისათვის დაუმტკიცეს გრიგოლ ბაკურიანს ოქრობეჭდულად სოფელი პეტრიწი¹ ბიზანტიის იმპერატორებმა. ახლა თვით მონასტრის შესახებ, ისტორიიდან ცნობილია, რომ ბიზანტიის დიდ მოხელეთა და დიდებულთა შორის მიღებული იყო განსაკუთრებული სიბერეში აშენება. გრიგოლმა, როგორც ეს მაშინ იყო მიღებული, გააშენა ეს მონასტერი ძმის — ასპაზისა და თავისი ძველების დასაქმდავლად.

განვავარძობთ მონასტრის დოკუმენტებს. დავიკრებ ტაძარი, ვიყავით ტრაპეზონიაც. კედლებზე ზაქარია ზოგრაფის რეალისტური მხატვრობის შესანიშნავი ნიმუშებია. მე მოზრდილ ხატთან შეეჩერდი. ისედაც გამოჩენილ ადგილზე მოთავსებული იგი საოცრად გამოირჩეოდა მხატვრული ფერებითა და მოქედითობით.

— ეს ხატიც ქართული წარმოშობისაა, — გვიხსნის კოლევი. — აქ იგი ორ ქართველ მოძღვარს — ძმებს ათანასეს და ოქროპირს მოუქედიათ. ხატზე წარწერაა. იგი აკადემიკოსებმა ა. შანიძემ და ნ. ბერძენიშვილმა ამოკითხეს.

მე ამ წარწერას ვუყურებ და ნაკარნახევს ვიწერ:

„ეს ხატი ნაჩუქარია ორი ძმის ათანასესა და ოქროპირის მიერ 1311 წელს“.

ეს სიტყვები ჩემთვის გაუგებარი ძველი ქართული ასოებით ეწერა ტაძარში დასვენებულ ხატზე, ქართულ ხატზე.

— ახლა გლავანის გარეთა მონასტერი დავათვალიეროთ, — კამენ კოლევი გასასვლელისაკენ გაემართა. — ისიც 1088 წელს ააშენეს ქართველებმა და მას გრიგოლის საქმლეს ეძახიან.

— ორივე ძმა აქ არის დასაფლავებული? — შევეკითხეთ მე.

— არა!

ჩვენ უკვე გარეთა მონასტრის „სარდაფში“ ვართ. ეს მართლაც ნამდვილი საქმლე ყოფილა. მიწაში ამოკრულ სწორკუთხედებში სამი-ოთხი ათასამდე მოძღვრისა და მონასტრის მსახურის ძველები ინახება. თხოთმეტი წლის განმავლობაში მიცვალებული მონასტრის ევოში მარხია, შემდეგ კი ძველები საქმლეში გადაქვთ.

— ბაკურიანების ძველები ხად ასვენია? — კვლავ შევეკითხეთ მე.

— აი, იქ, — და კამენ კოლევიმ კედლისკენ, რიგით პირველი ორი სწორკუთხედისაკენ მიითითა.

მე ნელა, მოწინებით მივუახლოვდი ნაჩვენებ ადგილს. მარცხენა საქმლეში ასპაზის ძველები ესვენა. მარჯვენა ცარიელი იყო.

¹ ამ სოფლის თადამირველი სახელწოდება უნდა იყოს — პეტრიწკა, ანუ წმინდა ღვთისმშობელი. შემდგომში, თურქების ბატონობის დროს, ეს სახელი შეიცვალა. სახელწოდება ბაჩკოვო დაკავშირებულია თურქულ ბაჩ-თან, რაც ნიშნავს ბაქს, ბუგარას. ამ ადგილას ოდესღაც გადიოდა საზღვარი და ალბათ ბაქის ალბაეც ამით იყო გამოწვეული.

გრიგოლ ბაკურიანი მტერთან ბრძოლაში დაეცა. არავინ იცის, სად დარჩა სახელმწიფო ქართველის ძვლები.

ჩემი თანამგზავრი ტურისტები თანდათან გაიფანტენ. ვის ღია ბარათების ყიდვა სურს, ვის წყალი მოსწყურებია, ვის დაღლილობა მოერია და ვის კიდევ რა.

მაგრამ, ბაჩკოვოს მონასტრის ისტორიკოსთან მე ჯერ კიდევ მაქვს სალაპარაკო. ჩემის აზრით, მას ყველაფერი არ უთქვამს. ორივენი სკამზე ჩამოვჯექით, იქვე, მონასტრის ეზოში.

— აჰ, ვგონებ, სემინარიაც უნდა ყოფილიყო, — პირდაპირ დავიწყებ მე.

— იყო, იყო. ამის შესახებ, სხვათა შორის, მონასტრის წესდებაშიც არის ნათქვამი. სემინარია ამჟამად მონასტრის მსახურებს, ესე იგი მღვდლებს, რომლებიც სწავლის დამთავრების შემდეგ აქვე, მონასტერში რჩებოდნენ.

— სწავლება ალბათ ბერძნულ ენაზე იყო?

— არა. ეს მონასტერი მხოლოდ ქართველთათვის იყო აშენებული, აგრეთვე სხვა ტომის იმ ბერებისათვის, რომლებმაც ქართული ენა იცოდნენ. ეს წესდებით იყო გათვალისწინებული. გრიგოლ ბაკურიანმა მონასტრის წესდება 1080 წელს დაუწერა. ამ საჯაროდებულ წესდების მიხედვით მონასტერში არასოდეს არ უნდა მიეღოთ ბერძენი მღვდელი ან ბერი. არავინ, გარდა ერთისა, რომელიც საქმის მწარმოებელი და წინამძღვრის გადაწყვეტილებათა გამცნობი უნდა ყოფილიყო.

— საინტერესოა, რამ გამოიწვია ბაკურიანის ასეთი გულისწყრომა? — დავინტერესდი მე.

— ამის შესახებ წესდებაში დაახლოებით შემდეგი წერია: ვერაგი ბერძენი ბერები, რომლებიც ძალმომრეობას, მტაცებლობას და ანგარებას არიან მიჩვეულნი, სარგებლობენ ქართველი ბერების გულწრფელობით და იტაცებენ ჩვენს მონასტრებს. იქ ჯერ თავიანთ წინამძღვრებს აყენებენ და შემდეგ მათ თავის საკუთრებად აცხადებენ.

— ალბათ წესდებაც ქართულად იქნებოდა დაწერილი?

— რა თქმა უნდა, ქართულად, აგრეთვე ბერძნულად და სომხურად, მაგრამ დაცულია მხოლოდ წესდების ბერძნული ტექსტი. იგი სოფიაში ინახება.

— რაიმე საინტერესო გამოკვლევა ხომ არ გამოკვეთილა თქვენთან პეტრიწონის მონასტრის შესახებ?

— სერიოზული არაფერი. სამწუხაროდ არაფერი. თითქმის ყველაფერი, რაც ვიცოდი, გითხარი. ეს ძალიან ცოტაა. ეს წვეთია ზღვაში. ჩვენთან კი ყოველწლიურად ძალზე ბევრი უცხოელი ჩამოდის. საბჭოთა კავშირიდანაც და თითქმის ყველა საზღვარგარეთული ქვეყნიდან. დელეგაციების უმრავლესობა აქ ამოდის, ტურისტული ჯგუფები და ცალკეული მოგზაურებიც ბაჩკოვოს დასათვალიერებლად აქ მოდიან. მე კი ზოგჯერ მათ შეითხვევზე რიგაინ პასუხსაც ვერ ვაძლევ და უხერხულ მდგომარეობაში ვვარდები.

— მო, ეს ცუდია! — დავეთანხმე მე.

— ძალიან ცუდი. თქვენი მეცნიერებათა აკადემია კი სულ გვიპრდება დახმარებას, მაგრამ ჯერჯერობით არაფერი ჩანს. ჩვენ იმ მეცნიერთა გამოკვლევებსაც ვერ ვიცნობთ, რომლებიც აქ იყვნენ და, სხვათა შორის, შევგვირდნენ — რასაც დავწერო, გამოგზავნიო.

— ეს კი ვერ მოგვსვლია კარგი საქმე, მაგრამ... — კამენ კოლეგმა სიტყვა შემაწყვეტინა:

— აი, თუნდაც ბაკურიანის მიერ დაწერილი წესდება. იქ მოთხრობილია მონასტრის აშენების ისტორია, აღწერილია მისი შინაური წესები და მონასტერთან არსებული სემინარიის ორგანიზაცია. და ეს მდიდარი ისტორიული მასალა მხოლოდ ბერძნულ ენაზე შემონახული. არც თვით გრიგოლ ბაკურიანზე ვიცი თუ ჩვენ ყველაფერთ, არც იოანე პეტრიწის აქ მოღვაწეობაზე. მან კი ოცი წელი დაყო აქ და პეტრიწის სახელიც ამ მონასტრისაგან მიიღო. ხომ ასეა?

— კი, ასეა, — დავემოწმე მას. — პეტრიწონელთა სკოლამ მთელი ეპოქა შექმნა ჩვენს მწერლობაში. მეტად მნიშვნელოვანი და საინტერესო.

— მოდა, დავგიწერეთ, გამოგიგზავნეთ, გვითხარი, რაც იცით. ჩვენ კი სხვებს ვეტყვით. ბაჩკოვოს მოკლე ისტორიული მიმოხილვაც რომ გვქონდეს, შეიძლებოდა მის გამოცემაზე გვეფიქრა. ხალხი შეიძენდა, წაიკითხავდა და ქმყოფილ დარჩებოდა.

— ეს კარგი აზრია. მე დავანამუსებ ჩვენებს, — შევპირდი ცოტა არ იყოს დარცხვენილი.

— აი, ეს თქვენი წინაპრების სამფლობელოში ჩვენი შეხედობის საშაბსოვროდ, — და ბულგარელმა ისტორიკოსმა გამომიწოდა ღია ბარათი, რომელზედაც აღბეჭდილი იყო პეტრიწონის ქართული მონასტრის ხედი. ბარათის მეორე მხარეს წარწერა იყო გაკეთებული ბულგარულ ენაზე. მე იქვე ვთარგმნინე ტექსტს და უბის წიგნაკში ჩავიწერე:

„მე ბედნიერი ვარ იმით, რომ შევხვდი ქართველების ჯგუფს და მოვეუბნე მათ გრიგოლ ბაკურიანის მიერ აშენებული ბაჩკოვოს მონასტრის ამბავი.“



მე დიდად ნასიამოვნები დავრჩი ამ სახელგანთქმული მხედართმთავრის, ევროპაში ტიხანოვიჩის ტიხანოვიჩის არმიის მთავარსარდლის შთამომავალთა ნახვით.

უძველესი ნაგებობანი თავიანთი უძველესი არქიტექტურული ფორმებით და ძვირფასა წარწერებით (ზოგიერთი მათგანი XI საუკუნისაა) ყოველთვის იწვევდნენ ჩვენი და უცხოელი მნახველების ინტერესსა და აღფრთოვანებას.

გისურვებთ ჩვენი პატარა, მაგრამ ლამაზი საშობლოს და მისი შრომისმოყვარე ხალხის უყუთ ვაცნობას.

გულწრფელად ვისურვებდი კიდევ ეროზილ შეხვედრას ბულგარეთსა და საქართველოში.

კამენ კოლევი

ბაჩკოვის მონასტრის ისტორიკოსი“.

ესეც ასე! ახლა ჩვენი, ქართველი ტურისტები, ოცდაჩუხუთე მერიდიანს დავშორდებით და, როცა ოცდამეორეს გადავსვრავთ, ჰალარა სოფია, ეს ძველი „იბერძნის“ ქალაქი, უკვე სულ ახლოს იქნება...

მონახტიალმ ვუსიკოსის ნაკვალავზე

სოფია!

ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის დედაქალაქი.

ეს ბალკანეთის ნახევარკუნძულის გულაა.

ვინ არ ყოფილა აქ.

ვის არ უფლია მის ჭურჭეში.

მტერსაც და მოყვარესაც...

იმპერატორმა ტროიანემ მას უღპია უწოდა.

კონსტანტინე დიდს რომის იმპერიის დედაქალაქი აქ, ამ „ერცელსა და კეთილშობილ“ ქალაქში უნდოდა გადმოეტანა: „ჩემი რომი“, — ასე უწოდებდა იმპერატორი ბალკანეთის ნახევარკუნძულზე დაბადებულ ქალაქს, რომელსაც მაშინ სედრია ერქვა.

აქ გაუფლია მრისხანე ატილასაც, შან დაიპყრო და დაარბია იგი.

მერე იმპერატორი იუსტინიანე. სედრია რომაელთა აღმოსავლეთი იმპერიის — ბიზანტიის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ქალაქი ხდება.

808 წელს, როცა ეს ქალაქი ბალკანეთის ნახევარკუნძულზე მცხოვრები სლავების გამაერთიანებელი ცენტრის როლს ასრულებს, მას სრედეცი ეწოდა.

ოცდამეოცი კარიბჭე, ათას შვიდასი კოშკურა, ჩვიდმეტი ათასი სათოფური იცავდა ქალაქს კარზე მომდგარი თურქი დამპყრობლებისაგან. აღუაშემორტყმული ქალაქი არ ნებდებოდა. ცხენ შიგნიდან გატყდა: დალატი... ეს მოხდა 1386 წელს.

მაგრამ აქ მეგობრებიც ყოფილან.

1878 წელს რუსეთის ჯარებმა ბოლო მოუღეს თურქ დამპყრობთა თარეშს და სოფია ბულგარეთის დედაქალაქი გახდა.

მე ამ ლამაზი, ვიტოვის, ლიუბლინისა და სტარა-პლანინის მთებით გარშემორტყმული ქალაქის ღია ავტორისფერი „პარკეტით“ მოპირკეთებულ ჭურჭეში დავებეტები. აქ ქალაქის ცენტრია. ჩემს წინ პარტის სახლის, ცენტრალური უნივერსალური მაღაზიის, სასტუმრო „ბალკანის“, მძიმე მრეწველობის სამინისტროს შენობებია, რომლებიც ერთ მთლიანსა და დიდებულ არქიტექტორულ ანსამბლს ქმნიან.

საღზის დინებას მივყვები და ვკითხულობ:

„ცხრა სექტემბრის ჭურჩა“...

„აღექსანდრე სტამბულიისკის ჭურჩა“...

„ქნიაზ დონდუკოვის ჭურჩა“...

„გოორგი დიმიტროვის ჭურჩა“...

არ ვიცი ძველად, ასე, ორმოციოდე წლის წინათ რა ერქვა ამ ჭურჭებს. მაგრამ, ის კი ვიცი, რომ ამ ჭურჭეში მაშინ ერთი ქართველი მუსიკოსი დავებეტებოდა. იგი „ხეტიალს“ უწოდებდა თავის ნახევარსაუკუნოვან მოგზაურობას მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში.

ეს იყო 1922 — 1927 წლებში.

გაზეთი „ნაროდი“ მაშინ წერდა:

„ვის არ გაუგონია ილიკო ჭურხული? ვის არ წაუკითხავს მასზე? იგი ქართველია, მოხეტიალე მუსიკოსია, ერთადერთი მოცეპული დიადი იდეისა — „მუსიკა ხალხს“.

მე ისიც ვიცი, რომ ილიკო ჭურხულმა ცანკოვის პოლიციის მიერ კანონდღობის ცხენზე დამწყვედულ პოლიტაპატირებს კონცერტი გაუმართა.

— ქირა და ლინში არ დაიფრებენ ილიკო ქურხულსა და მის ლეგენდებს, — უკმაყოფილო ცანკრავის ხელისუფლების წინააღმდეგ აჯანყებულთა მეთაურს ივ. ვლადევს.
აქ, სოფლაში გამოსცა მოხეტიალე მუსიკოსმა ბულგარულმა ინსტრუმენტით დაწერილი ოხრულება. „ვარსკვლავთა კაშკაშზე, ბულბულთა ინაზე, ლავარად საქართველოზე“.

აი, კიდევ ერთი უშუა. ეს უკვე ქალაქის გარეუბანია. მე შორიდან ვცნობ სკოლის შენობას. ილიკო ქურხული ალბათ აქაც ყოფილა. ხუთი წელი დაყო მან ბულგარეთში. თითქმის ყველა ქალაქი, დაბა და ექვსასზე მეტი სოფელი შემოიარა ქართველმა მუსიკოსმა ამ ხნის განმავლობაში და სამ ათასამდე სკოლაში გამოსცა თავისი რეგიონალური მუსიკალური მემკვიდრეობა და კონცერტები.

„მუსიკოსებო, მგონებო, მხატვრებო, დაუახლოვდით ხალხს, მიღით მასთან ნდობითა და სიყვარულით, მიუღწევით მას ბელოვნების წმინდა საგანძურის და ხალხი დააფასებს თქვენს კეთილ საქმეებს საქმე-სადიდებლად“, — ამბობდა სოფლის ქურჩებში მოხეტიალე ქართველი მუსიკოსი.

მე მინდა ვნახო ვინმე, ვინც იცნობდა ილიკო ქურხულს, ვინაც ახსოვს იგი, ვინაც წაუკითხავს მისი წიგნი „...ლავარად საქართველოზე“. მაგრამ ვერც ბულგარელი მწერალი ქალის ლ. შიშმანოვას ნახვა მოვახერხე და ვერც დამსახურებულ არტისტს ი. იოსიფოვს შევხვდი. იგი საგანგებოდ იყო წასული. მე კი ყველაზე უფრო მისი ნახვა მინდოდა. იმიტომ, რომ მას ნათქვამი აქვს:

„— მუსიკის სიყვარული პირველად ქართველმა გამოიღვიძა. ცნობილი ქართველი მოხეტიალე მუსიკოსი ილიკო ქურხული ჩემი პირველი მასწავლებელია...“

მე კი ვერაფერს შევხვდი. ვერც უურნალ-გაზეთების რედაქციებში, ვერც ბულგარეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოებაში, ვერც ისე, შემთხვევით გაცნობილი სოფიელისაგან შექმნილი რაიმე მომენტისა მოხეტიალე მუსიკოსის თავისებური და საინტერესო ცხოვრების შესახებ აქ, ბულგარეთის მიწაზე.

კიდევ დიდხანს დავებებოდი სოფლის ქურჩებში და შემდეგ, დაღლილ-დაქანცული სასტუმროში დავბრუნდი. ჯერ უბის წიგნიანი გადავთავალიერე, ზოგიერთი ჩანაწერი გავაყეთე და ნერც ადგილობრივ უურნალ „ნაშა როდინას“ 1961 წლის თებერვლის ნომრის ფურცელს შევუღდეი. უურნალი რუსულ ენაზე იბეჭდება და მე წავიკითხე: „...დამიანის სიცოცხლის გახანგრძლივებისათვის“. სათაურმა დამაინტერესა: კაცი ვართ. იქვე დივანზე წამოვწყვი და კითხვას შევუღდეი. ვინმე ზ. კრისტევა წერდა:

„გასული წლის მიწურულში სოფიელმა ექიმებმა დ-რმა გირგინ ზახარიევმა და დ-რმა კონსტანტინე აბაჯიევმა დაიწყეს ცდების ჩატარება სისხლის მალალი წნევით დაავადებულ...“

— ემ, — გაიფიქრე მე, — ამისთვის დროის დეკარგვა არ ღირს, — და გადავწყვიტე თავი დამენებებინა წერილის კითხვისათვის, რადგან ამ თემაზე სახლშიც მქონდა წაკითხული ჩვენს გაზეთებში დაბეჭდილი ექიმის რჩევა-დარიგებანი: მშვიდი ძილი, მაწონი, კუჭის ნორმალური მოქმედება, ბაკო, მკვიდი და კარგი ხასიათი... მაგრამ სულმა წამძლია და მაინც ჩავთვალერე წერილის შუა ადგილი. სრულიად შემთხვევით ამოვიკითხე:

„... იგი სიცოცხლეს უბრუნებდა ელექტროდებით მოკლულ... ბავშვზე, რომელიც გარდაიცვალა. ექიმებმა მას გადასცეს ბიოდენი... და... გულის მოქმედება ისევ აღდგა...“

— არა! — გადავწყვიტე მე, — ამ წერილს ნამდვილად თავიდან ბოლომდე უნდა წაკითხვა.

მერე იმ ადგილს დავეუწრე ძებნა, სადაც კითხვა შევწყვიტე:

„...მალალი წნევით დაავადებულ ადამიანებზე ბიოდენის მოქმედების შესწავლის მიზნით...“

— აი, აქედან! — უცებ მივაგენი აზრის ბოლო სტრიქონს.

და განვაგრძე:

„... ბიოდენი — ეს არის ყოველი ცოცხალი უჯრედის სიცოცხლისუნარიანობის სპეციფიკური ელექტრული გამოვლინება. მისი აღმოჩენის პირველი ცდები ჯერ კიდევ გასულ საუკუნეში ჩატარდა. უფრო მოგვიანებით დაიწყეს ცდების ჩატარება ბიოდენის რეგისტრირებისათვის, ხოლო შემდგომში მას იყენებდნენ გულით დაავადებულთა დიაგნოსტიკისათვის...“

სამწუხაროდ, ოთახში არავინ იყო. მე კი მინდოდა ხმამაღლა წამეკითხა სიტყვები, რომლებიც ამ საინტერესო „ბიოლოგიური დენის“ შესახებ მოგვითხრობდნენ. სხვებსაც რომ სცოდნოდათ.

მაგრამ მე მარტო ვიყავი და ამიტომ ისევ ჩუმად განვაგრძე:

„... კითხვა — შესაძლოა თუ არა ბიოდენის გამოყენება არა მარტო დიაგნოსტიკაში, არამედ მკურნალობისთვისაც — დიდი ხნის მანძილზე აინტერესებდა დ-რ ზახარიევს, რომელიც სოფლის საოლქო საავადმყოფოში მუშაობს...“

— უნდა წავიდე ზვალ ზახარიევთან, — გამიღვია თავში, მაგრამ კითხვა არ შემეწყვიტია:



„... ჯერ კიდევ ტრინსკის ოკოლიის სოფელ ფილიპოვცაში უბნის ექიმად მუშაობის დროს მან დაიწყო ცდები ჩატარება ბიოდენის ერთი ცხოველისაგან მეორეზე გადაცემის მარჯონ ცდებში უჩვენეს, რომ მეორე ცხოველის გულის მოქმედება შესამჩნევად ძლიერდება. მაშინ დროა წახარბიევა გადაწყვიტა შესწავლა ბიოდენის მოქმედება გაჩერებულ გულზე. მან შექმნა ბიოდენის გამაძლიერებელი აპარატი. ამ აპარატის მეშვეობით იგი სიცოცხლეს უბრუნებდა ელექტროდებით მოკლულ კურდღლებსა და თაგვებს.“

„დოქტორი წახარბიევი დაინტერესდა ბიოდენის მოქმედებით ცხოველთა რეფლექსებზე, აღმოჩნდა, რომ, თუ ცხოველები მისი აპარატის მეშვეობით არიან ერთმანეთთან დაკავშირებული; მაშინ ერთ-ერთ მათგანში გამოწვეული რეფლექსი მეორეშიც ვლინდება. მშობიარე ბაცაციისაგან გადაცემულმა ბიოდენმა გამოიწვია მშობიარობის მოვლენები მეორე მკვე ბაცაცში, რომელიც მანამდე მშობიარობის დაწყების არავითარ ნიშნებს ჩრ ამუღვენებდა...“

ვილცამ კარზე ორჯერ მოაკაკუნა და ოთახში შემოვიდა. ჩვენები იყვნენ.
— ბიჭებო, ყური დაუგდეთ. ხმამალა წაგიკთხავთ. მერე თქვენ წაიკითხეთ თავიდან, — წამოვჯექი დივანზე მე და უკვე ხმამალა ვკითხულობ.

„... მიმდინარე წლის აპრილში წახარბიევა დოქტორ კ. აბაჯიევთან ერთად განაგრძო თავისი ცდები საავადმყოფოს სამშობიარო განყოფილებაში. როცა მშობიარე ქალს, დაყოვნებულ სამშობიარო პროცესით, რაც ბავშვის სიცოცხლეს საფრთხეს უქმნიდა, გადასცეს ბიოდენი მეორე, ნორმალურად მშობიარე ქალისაგან, ამან კარგი შედეგი გამოიღო. საინტერესოა აგრეთვე ცდა ნადრტევად შობილ ბავშვზე, რომელიც მალე გარდაიცვალა. ექიმებმა მას გადასცეს ბიოდენი ბაცაციისაგან (ახლადშობილი ბავშვისა და ბაცაციის მაჯისცემა ერთნაირია) და ბავშვის გულის მოქმედება ისევ აღდგა...“

— როგორ, როგორ? — შემაწყვეტიანეს კითხვა, — ერთხელ კიდევ წავიკითხოთ!

მე წაიკითხე გავიმეორე და შემდეგ შეუჩერებლივ განვაგრძე:
„... ტარდება ცდები დამბლის მკურნალობის მიზნითაც: ბიოდენი ჯანმრთელი კუნთისაგან გადაცემა დაწინაებულ კუნთს. განსაკუთრებით საინტერესოა ცდები, რომლებიც საშუალებას იძლევიან თვალყური ვადევნოთ ბიოდენის მოქმედებას სისხლის წნევაზე. თუ აპარატის ჩართვისას პაციენტებს სხვადასხვაგვარი მაჯისცემა აქვთ, იგი თანდათან ერთნაირი გახდება. ეს იმის მაჩვენებელია, რომ სისხლის დაბალწნევიანი ადამიანისაგან მომდინარე ბიოდენს შეუძლია გავლენა მოახდინოს და წნევა დაუწიოს სისხლის მაღალი წნევის მქონე მეორე ადამიანს...“

— ე კაცო, მიშველეთ რამე, თუ გწამთ ღმერთი! — იყვირა ვილცამ. მაგრამ მას ლაპარაკი არ აცალეს და მთხოვეს კითხვა განმეგრძო:

„... ამჟამად ორივე მკვლევარი მუშაობს საკითხზე: რამდენად შესაძლებელია ამ წესით სისხლის წნევის დაწევა და რამდენად ხანგრძლივი იქნება ეს დაწევა...“

— ვამთავრებ, ვამთავრებ, — შექანიკურად წამოვიძახე მე და უკანასკნელი აბჯაცი ჩავიკითხე:

„... წახარბიევი არის ბიოდენის ჩამწერი აპარატის ავტორი. თუ მოხერხდა ბიოდენის კვლავ-წარმოქმნილი აპარატების გამოშვება, მაშინ მათი დახმარებით მეორე ცოცხალი არსების გარეშეც შესაძლებელი იქნება გულის შეწყვეტილი მოქმედების აღდგენა, სისხლის დენის შეჩერება, მშობიარობის დაჩქარება. განსაკუთრებით ძვირფას გამოყენებას პოვებს ეს აპარატი ქირურგიაში...“

— ვისაც თავიდან არ მოუსმენია, ან მეორედ უნდა წაიკითხოს, შეგიძლიათ წაიღოთ ეს ყურნაღი, მხოლოდ აუცილებლად დამბრუნეთ, — კატეგორიული ტონით განაცხადე მე და დასაძინებლად მოვემზადე. დილით ადრე გაზეთ „უნიტელსკო დელოს“ რედაქციაში მიმელოდნენ.

სოლუნელი ძმების მემგვიდრენი

მე ვრცელი მოედანი გადავხერე და გიორგი დიმიტროვის მავშოლეუმის მოპირდაპირე მხარეს აღმოვჩნდი.

„მოსკოვის ქუჩა № 3“ — ადგილიცხვო სლავური ასოებით დაწერილი სიტყვები და მერე აბრა მოვქმენე: „უნიტელსკო დელო“ — მხსვილი შრიტები ეწერა აბრაზე. ლიტებიდან მესამე საართულზე გადამოვიდი...“

— მარია სილიანოვა, — გამეცნო ბულგარელ მანწავლებელთა გაზეთის „უნიტელსკო დელოს“ რედაქტორი.

აქვე არიან რედაქციის თანამშრომლები: პენჩო ჩერნიანევი და გიორგი კოლევი. მრგვალ ნაგიდას ვუსხედვართ და მეგობრულად ვსაუბრობთ. ჩემმა ბულგარელმა კოლეგებმა უკვი

იცინა, რომ მე ჟურნალისტი ვარ და რამდენიმე ხანს პედაგოგიურ პრესაშიც ვმუშაობდეთ. ამიტომ მათ ქართველი მასწავლებლების გაზეთის „სახალხო განათლების“ რედაქციის მუშაობაში შეიშალა. ამიტომ მათ ქართველი მასწავლებლების გაზეთის „სახალხო განათლების“ რედაქციის მუშაობაში შეიშალა. ამიტომ მათ ქართველი მასწავლებლების გაზეთის „სახალხო განათლების“ რედაქციის მუშაობაში შეიშალა.

— როგორ არის მოწყობილი პრაქტიკოს მასწავლებელთა ჟურნალისტიკური დახელოვნების საქმე?

კითხვას პასუხი მოსდევს, პასუხს ახალი კითხვა. მე კი ცოტა დრო მაქვს და ამიტომ „ურბიტელსკო დელოს“ ერთ-ერთ უკანასკნელ, 1961 წლის 7 მარტის ნომერს ვშლი. გაზეთი 8 მარტისადგამა მიძღვნილი, მაგრამ „სადღესასწაულო“ მასალებს მხოლოდ ერთი, პირველი გვერდი უკავიათ. დანარჩენი სამი მკითხველებს მოუთხოვს სკოლის ცხოვრებისა და ბავშვთა აღზრდის საჭიროებებს სკოლებზე. მე მომწონს გაზეთის ფართობის, ასე ვთქვათ, რაციონალური გამოყენებისადმი ამგვარი დამოკიდებულება.

— მეორე გვერდი, — მეთუხუცე პენსი ჩერნიაცი, — მთლიანად სადისკუსიოა.

— სადისკუსიო? რა გაგებით?

— იმ გაგებით, რომ გვერდში სადისკუსიო ხასიათის მასალებია გამოქვეყნებული და თვით ამ მასალების შინაარსიც სადისკუსიოა.

საუბარში მარია სილიანოვა ჩივდა:

— ამ გვერდში დაბეჭდილი წერილების უმრავლესობას აერთიანებს „უღი“: „ღირქტორი მასწავლებელთა კოლექტივის გული და გონება“. ისინი მკითხველებს მოუთხოვნიან სკოლის მოწინავე ღირქტორებს მუშაობის გამოცდილებაზე, იმაზე, თუ როგორ ხელმძღვანელობს ღირქტორი პედაგოგიურ კოლექტივს, რა მონაწილეობას ღებულობს იგი სასკოლო პარტიული და საზოგადოებრივი ორგანიზაციების მუშაობაში. ამ წერილებში მოტანილია ღირქტორის პედაგოგიური ტაქტიკის, მშობლებთან და „ძნელადაზარდელ“ ბავშვებთან მისი მუშაობის გამოცდილება და მთელი რიგი სხვა საკულისხმო მაგალითები. გამოთქმულია აგრეთვე ზოგიერთი მოსაზრება, რომელთა შორის...

— ალბათ ბევრი სადისკუსიოა, არა? — დავამთავრე მე რედაქტორის აზრი.

— ბევრი, ძალიან ბევრი, — გამოტყდა იგი და მე მივხვდი, რომ გაზეთი ამ საკითხზე სარედაქციო წერილს აშუადებდა.

— ეხებ სადისკუსიოა? — მივუთითე მე „სარდაფში“ მოთავსებულ წერილებს.

— ეხეც. იგი მათემატიკისა მომავალი რესპუბლიკური შეტრებისადგამა მიძღვნილი. საქმე ისაა, რომ ამ მხრივ ჩვენთან ვერ არის უველაფერი რიგზე. ჩვენი ბავშვები მოისუსტებენ მათემატიკურ საგნებში. რედაქცია ეხმარება განათლების სამინისტროს ამ შეტრების მომზადებაში: ვეძებთ ჩამორჩენის მიზეზებს, ვცდილობთ ანალიზი გაუყუეთათ არსებულ მდგომარეობას და ვიპოვოთ გამოსავალი.

— უნდა გითხრათ, — მიუვუცე მე, — რომ ეს საკითხი ჩვენც გვაწუხებს. მისი ერთბაშად მოგვარება ძნელი საქმეა, მაგრამ რაღაც კი მართლაც უნდა ვიღოთ.

— ჩვენ, მაგალითად, იმ აზრისა ვართ, რომ ჩამორჩენა ბევრ შემთხვევაში მასწავლებლის ბრალია. ბავშვს საგანი უნდა უყვარდეს.

— ამისათვის ჯერ თვითონ მასწავლებელი უნდა შეიყვაროს, — პენსი თავის მოსაზრებას იცავდა. — არც მე მეტრბრებოდა მაინც და მაინც აღგებრა და გეომეტრია, მაგრამ ისეთი მასწავლებელი შევდა, რომ მისი სათრთია და პატივისცემით თავს ვიკლავდი. კარგადაც ვიცოდი მათემატიკა. სხვებმაც იცოდნენ და ბევრმა სწორედ მათემატიკა აირჩია თავის მომავალ სპეციალობად.

— ეს მართალია, — დავეთანხმე მას, — მასწავლებლის ავტორიტეტი დიდი საქმეა.

— აი, ეს მასალა, მაგალითად, სწორედ მასწავლებლის ავტორიტეტის საკითხებს შეეხება, — და რედაქტორმა წერილის სათაურს საჩვენებელი თითი გააყუდა. — აქ მოთხრობილია იმის შესახებ, თუ როგორ მასწავლებელს სცემენ პატივს მოსწავლეები.

...შემდეგ საუბარი გრძელდებოდა გაზეთის დანარჩენ გვერდებში გამოქვეყნებული მასალების, სარედაქციო მუშაობის პრაქტიკისა და ჟურნალისტთა საქმიანობის აკარგის შესახებ. მერე რედაქტორი ადგა და თავისი სამუშაო მაგიდიდან მოგროო ფორმის, კარგ უდაში ჩასმული თხელი წიგნი მოიტანა.

— ამ ალბომში მოთხრობილია განათლების ისტორია ბულგარეთში დასაბამიდან დღემდე, — და მან გაღაფურცლა ილუსტრირებული ალბომის პირველი გვერდი, რომელსაც სამ ენაზე ეწერა: „სასწავლო საქმე ბულგარეთში“.

ახლა ალბომის ფურცლას მე შევედღეი. ჩემს თვალწინ ორი მოხუცის ნაცნობი გამოსა-



ხელბაჲ. გვერდით კი წარწერა: „ბულგარული სკოლების წარმოშობა მიქიდროდ არის დაწვე- შირებული სოლუნიტო ძმების — კირილესა და მეთოდეს — სლავური დაწვერლობის შექ- ძმენლთა და სლავურ-ბულგარული კულტურისა და განათლების უაღრესად გამორჩენილ ფუ- ძმედებელთა უდიდეს ისტორიულ საქმიანობასთან, ისინი არიან ბულგარულ მეცნიერთა და მასწავლებელთა პირველი მასწავლებლები“.

ისტორიული განვარდნობ ალბომის ფურცელას, თან ვგრძნობ, რომ იგი ჩემი საჩუქარი უნდა იყოს და მიხარია. მიხარია ის, რომ ამ ალბომს თბილისელ გამომცემლებს ვუჩვენებ და ვიტყვი: ასეთი რამ არც ჩვენ გვაწყენს. ეს კარგი საჩუქარია, მაგრამ არც მე მივსულვარ ხელცარიელი...

თითქოს თვალს არ მაშორებენო, ისე მიეუბრებენ სლავთა პირველი მასწავლებლების ქა- ლაღღე ალბეგელი თეთრწვერიანი სახეები: თედორე ტირნოვსკი თავის მოწაფებთან, პატ- რიარი ეფრემი, პაისი ხილენდარსკი, სოფრომ გრანანსკი, პეტრე ბერონი, ნეოფიტე რილსკი... მათ შეუქმნიათ პირველი ბულგარული სკოლები, ისინი იყვნენ ამ სკოლების პირველი მასწავ- ლებლები. აი, ოხრიდის ეკლესია. აქ ცნობილი სკოლა ყოფილა. შემდეგ სურათზე ალბეგელია საშუალო საუკუნეების ბულგარეთის დედაქალაქ პრესლავში გახსნილი სკოლის ნანგრევები.

ფურცელი ფურცელს ედება და... „1944“. მარცხენა სურათზე აჯანყებულთა გამარჯვე- ბული რაზმი მიახვევს. მარჯვენა მხარეს გიორგი დიმიტროვის პორტრეტია. აქედან იწყება ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის ქვეშაობილად სახალხო განათლების ისტორია.

— მე რუმინეთში შესაძლებლობა მქონდა ჩვენგან განსხვავებულ ზოგიერთ საინტერესო საქითს ვაგვეცნობოდი, — მივმართე რედაქციის მუშაებს და დღევანდელი ბულგარეთის სკო- ლის ცხოვრების ამსახველ სურათებს დავუწყე თვალჩირება. — მაგალითად, პედაგოგიური კადრების მომზადების საქითს. იგი ძალზე საინტერესოა.

— მომავალ მასწავლებლებს ჩვენც სხვადასხვა ტიპის უმაღლეს სასწავლებლებში ვამზა- დებთ. — მიასუსხა მარია სილიანოვა. — დაწყებითისას — ცალკე, არასრული საშუალო სკო- ლისათვის — ცალკე, უნივერსიტეტში კი — საშუალო სკოლის მასწავლებლებს.

— თქვენთანაც არდადეგებია ახლა? — თქვითებ მე.

— არა, ჯერ არა, — მიასუსხა რედაქტორმა. — არდადეგები ჩვენთან აპრილში დაიწყება. ბულგარეთში სასწავლო წელი სამ ნაწილად არის დაყოფილი. თქვენ „მეოთხედები“ გაქვთ, ჩვენ კი სასწავლო წლის ყოველ მესამედს „სროკს“ ვუწოდებთ, ჩვენთან სწავლა 15 სექტემ- ბერს იწყება და 31 დეკემბრამდე გრძელდება. 1-დან 10 იანვრამდე ზამთრის არდადეგებია. მეორე „სროკი“ 11 იანვრიდან იწყება და 31 მარტამდე გრძელდება. 1 აპრილიდან საგზაუბრ- ლო არდადეგებია. 11 აპრილიდან იწყება სასწავლო წლის უკანასკნელი „სროკი“. უმცროსი ასაკის ბავშვები და დამამათვრებელი კლასების მოსწავლეები სწავლას მაისის ბოლო რიცხვებ- ში წუვებენ, დანარჩენებისათვის კი სასწავლო წელი 15 ივნისამდე გრძელდება.

— საინტერესოა!

— აპრილში, არდადეგების შემდეგ, — განავრძობდა მარია სილიანოვა, — ჩვენ დიდა ზეიმი გვექნება.

— რა ზეიმი?

— დამწერლობის დღეს ვიდღესასწაულებთ. კირილესა და მეთოდეს დღეს. უკვე ერთი საუკუნეა, რაც ჩვენ ყოველწლიურად ვზეიმიობთ კულტურისა და განათლების ამ დიდ დღე- სასწაულს.

— ეს კარგია, — მივუხე მე და უბის წიგნაკში ჩემთვის გამზადებული რამდენიმე ცნობა გადავიტანე:

— სახალხო ხელისუფლების არსებობის წლებში, ე. ი. უკანასკნელი 10 წლის მანძილზე, ბულგარეთში აშენდა 1.000 სასკოლო შენობა, 70-მდე ყოველწლიურად.

— ახლა აქ 7 ათასამდე ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა და მილიონ 200 ათასი მოსწავლეა.

— 23 პედაგოგიური სასწავლებელი და 10 სამასწავლებლო ინსტიტუტი.

— 1943 — 1944 წლებში ბულგარეთში მხოლოდ 150 გიმნაზია იყო. ახლა მათი რიცხვი 355-მდე გაიზარდა და მოსწავლეთა რაოდენობამ 180 ათასს მიაღწია.

— საშუალო სკოლის კურსდამთავრებულთა შეფარდებითი რაოდენობის მიხედვით ბულ- გარეთს 1957 წელს მსოფლიოში პირველი ადგილი ეჭირა.

... უბის წიგნაკი დაჯივრებ და ფეხზე წამოკდექი:

— თქვენ ხომ არათერი გექნებთ საწინააღმდეგო, მე რომ რაიმე დავწერო და გამოვა- ქვეყნო, ვთქვათ, ასეთ თემაზე: „სოლუნიტო ძმების შემკვიდრენი“?



პეპკი ბანაქელი

გერონტი ქიქოძე

(გარდაცვალების 1 წლისთავი)

ეს წერილი არც დაგვიანებული ნეკროლოგია, არც ვრცელი განხილვა გარდაცვლილ მწერლის ნაწერებისა. კრიტიკული ანალიზის დროს ჩვეულებრივ ავიწყლებათ ავტორის პიროვნება, რაც ამ შემთხვევაში შეუძლებლად მიგვაჩნია. აბა რა სათქმელია: გერონტი ქიქოძის სიკვდილმა ყველა მის მეგობარს, ხანდაზმულსა თუ ახალგაზრდას, დასწვავიბა გული. საყოველთაო სიყვარულით სარგებლობენ მისი წიგნები.

ყურადღებით წაუკითხავთ გ. ქიქოძის წერილი ძველი იბერიელების ფსიქოლოგიაზე, ძვირფასი თვლებით ელვარებენ მისი ეტიუდები ჩვენი მწერლების შესახებ, ხოლო ქართული თარგმნითი ლიტერატურის კლასიკად უნდა ჩაითვალოს გ. ქიქოძის მიერ ფრანგულიდან გადმოღებული „ტრისტან და იზოლდა“ და „შაგერის ტყავი“. ვინ არ მოხიბლულა მისი ხავერდითი რბილი, ლამის ზელშესახები სტილით. არსად ხაზგასმა ან დაყოფა სიტყვებისა, არსად შეკითხვის ან გაკვირვების ნიშნები. ეს სტილი გასაოცარი სიუხვადი გვაცნობს თვით ავტორისა და მთარგმნელის ხასიათს — იგი აღბეჭდილია შინაგანი სინათლით და წყნარი რიტმით. ასეთი იყო თვითონ გერონტი ქიქოძეც. არაფერი ექსცენტრული და ხაზგასმული არ იყო მის ხასიათსა და ქცევაში; ეს დიუნჯი ქართველი ორგანულად ვერ იტანდა ამგვარ რასმე.

გ. ქიქოძე გულგრილი იყო აპლოდისმენტებისადმი. აქედან გამომდინარეობდა მისი აპათია მკაფიოდ გამოხატული აქტივობისადმი მწერლობაში, არავის მოუხმენია გ. ქიქოძის ხამალაი განცხადებანი მომავალი გეგმების ან უკვე გამოქვეყნებული საკუთარი ნაწერების შესახებ. თუ ასეთი რამ ოდესმე წასცენდია — მხოლოდ თვითორიონის ან, უწინარესად, მათს ნაკლებ მითითების სახით. ჯენტლმენი იყო და აბეზარა და პატივმოყვარე ხალხი სძულდა. ტრიბუნაზე თუ მღვარა, ოქრობარის თვისებებ-

ით არასოდეს ყოფილა დაჯილდოებული. მისი სიტყვა სასაუბრო კილოთი იყო წარმოთქმული და ერთი წამითაც არ სტოვებდა ტირადის შთაბეჭდილებას. მშვენიერი სისადავე გ. ქიქოძის ბუნების უპირველესი ნიშანი იყო.

გ. ქიქოძე არ ყოფილა თვითკმაყოფილი, არასოდეს არ მიუჩნევია თავი უკვდავების კანდიდატად. შეიძლება იმის გამოც, რომ ყოველგვარი უკვდავება ეფემერული ეჩვენებოდა.

გ. ქიქოძე დიდად მიმზიდველი აღამიანი იყო კერძო საუბრის დროს. იგი იძულებულს არ გზდიდათ უსათუოდ გაგვიზარბინათ მისი შეხედულებანი ამა თუ იმ საკითხზე, ლიტერატურისა და ზელოვნების ძეგლების შესახებ. ზოგჯერ სადღა იყო მისი სიმპათიები თუ ანტაპათიები. მოსაწყენად ეჩვენებოდა „ფაუსტი“, ხოლო რომელიმე მეორეხარისხოვანი პოეტის ლექსებს კი გულსყურით ეკიდებოდა. საერთოდ კი შედეგების შერჩევისას არ ცდებოდა გულდასმით უკითხავს მარც ავრელიუსი და პასკალი, მგონი ზეპირადაც იცოდა ამ უკანასკნელის „აზრების“ ის საკვირველი აღვლი, რომელიც სიზმარს ეხება. იშვიათად თუ დააყლებოდა საინტერესო კონცერტებს. მოცარტი, ბეთოვენი, ბრამსი და შოპენი მისი საყვარელი მუსიკოსები იყვნენ, ხოლო მხატვრობასა და ქანდაკებაში, ძველი ელინელებისა და იტალიის აღორძინების ეპოქის გიგანტებს ვაზდა, ფრანგი იმპრესიონისტები (განსაკუთრებით რენუარი) და როდენი უყვარდა.

ყველაზე მეტად კი ბუნება უყვარდა.

საერთოდ, გ. ქიქოძე ყველა მწიგნობარს ცხოვრებიდან მოწყვეტილ აღამიანად და სქოლასტიკოსად თვლიდა, ფიქრობდა, რომ ყველა დროში ყარგი მწვდარი ან მეომარი სჯობდა ფოლიანტებზე თავდახრილ მემკვიდრეს. მაგრამ ამას ხელი როდის შეუშლია მისთვის ისტორიული წარსულით ყოფილიყო დაინტერესებული და ექსკურსიებში ზშირი მონაწილეობის დროს



კარგად ათავსებდა ბუნების სიყვარულსა და არქეოლოგიური ძეგლებისადმი ფიზიკურ ყურადღებას. საქართველოს თითქმის ყველა მთავარი ციხე-სიმაგრე, ტაძრები და მღვიმეები ჰქონდა ნანახი. როგორც ყველა ქვეშაირი პატრიოტს, გ. ჭიჭინაძეს სწვევია შემსუვრელი ჰმუნვა ზაგრატიისა და წრომის ტაძართა ნანგრევების, დავით გარეჯისა და ვარძიის გაპარტახებული გამოქვაბულების ხილვის დროს. მაგრამ ადვილად გასასაღებელი პატრიოტულა სენტიმენტებით არ უვარჯია.

გახაფხულზე ან შემოდგომით ხანგრძლივად შექმლო მართო მჯდარიყო რომელიმე სვეტრში, ბოტანიკურ ბაღში ან სხვაგან საღმე. აქ, მის ახლოს, ხეებს კვირტები გამოესხათ, ან კიდეც უკვე ფოთლების ცვენა დაწყებულიყო და ბუნება ჩუმი რეჟიმით ეგებებოდა ზამთრის მოახლოებას. და გ. ჭიჭინაძე ალბათ ფიქრობდა მუდმივი განმეორების იმ კანონზე, რომელიც ჯერ კიდევ ძველი ბერძენისათვის იყო ცნობილი.

ერთი წელი გავიდა ამ კეთილშობილი მეოცნების გარდაცვალებიდან.

საერთოდ, 1959 — 1960 წლები დასახსრდებულა ლი თარიღია ქართულ მწერლობაში. გულშინ ჩვენს თვალწინ იდგა დარბაისელი შალვა დადიანი, ლერწამით თრთოდა გალაკტიონ ტაბიძე, ფანატიურით სიჯიუტით გამოთბდა კონსტანტინე ჭიჭინაძე. ამით გვერდით კი სკეპტიკურად გამოიყურებოდნენ გერონტი ჭიჭინაძის მოჭუტული თვალები.

ახლაც ცხადად ვხედავ ამ თვალებს, რომელნიც ვილაც ჭირვეულის მსჯელობას მართოდენ წამწამების თავისებური რხევით იგერიებდნენ ხოლმე.

გერონტი ჭიჭინაძე მზად იყო ყველაფერი ეპიტეზინა ადამის შეილისათვის, რადგან მგონი ნეტარი ავგუსტინესავით ფიქრობდა, რომ თვითონ ქვეყნის გაჩენისას იყო დაშვებული შეცდომა და რისაზე გამოსწორება აღარ შეიძლებოდა.

... ღმერთმანი, რა გულდასაწყვეტია, რომ ეს შესანიშნავი და დიდბუნოვანი ადამიანი ჩვენს შორის აღარაა.



ბიოგრაფიული

გურამ რჩეულიშვილი

ჭაბუკი ქვის კიბეზე აღიოდა, აქეთ-იქიდან გახურებული კლდის ხრიოკი კედლები აცხუნებდა, უფლისციხის კედლები. სვენებ-სვენებით აღიოდა. იმიტომ კი არა, რომ დაღლილი იყო და სულის მოთქმა უნდოდა. არა, მახვილი თვალი აყოვნებდა და წინ არ უშვებდა. აქ თვითველი ლოდი თავისკენ ეძახდა და უხმობდა. ზევით, კლდეში გამოკვეთილ გამოქვაბულებში ყრუ სენაკებსა და ფართო დარბაზებში საუკუნოებით დაგუბებული დღეილი ხმაურობდა. უცნაური ხმაური იზიდავდა, მაგრამ, სანამ იქ ავიდოდა, ქვის ბილიკებს, კიბეებს, იღვმალ ზერებებს ავირდებოდა. იმ იღვმალ ხმაურზე ჯერ არ ფიქრობდა.

ჭაბუკს შავი სატინის ხალათი ეცვა. საყვლო გულისფიცრამდე ჩახსნილი ჰქონდა. ვაჟაკური, ძლიერი მყვრლი მზეს გაერუჯა. ეს აქაური შხის ოინი არ იყო... ახლა, ახალი მზე, უფლისციხის მხურვალე მზე დასცემოდა და ძველი ნარტუჯი წითლად შეეშვებოდა. ახლად გასწითლებოდა საზე, განიერი ქელი, დაპარღველი გულმკერდი და ღონიერი მაჯები.

ამ დღით თბილისიდან მარტო წამოვიდა. ეს მისი კარგი თვისება იყო. ფიქრს სიმარტოვე უყვარს, სხვა ხელს შეუშლიდა. უნდოდა ენახა და ეფიქრა, განეცადა და ეწერა. ესმინა და ეწერა აქვე, მარტოს, რასაც ეს ყრუ, შორეული, სხვისი ყურისთვის მიუწვდომელი გუგუნო უქარახებდა.

ამ დღეს მის ბედად უფლისციხე უცაკრიელი იყო. არქეოლოგთა მცირე ჯგუფიც კი, რომელიც აქ გათხრებს აწარმოებდა, სწორედ დღეს ისვენებდა: მათ ნიბებები, წერაქვებები და ამოთხრილი მიწის საზოდი რკინის ორთავადა გამოქვაბულის შესასვლელთან მიეყარათ.

წამოსვლამდე რამდენიმე დღეს უჯდა «ქართლის ცხოვრებას», ხმადაბლა, თვალთ კითხულობდა და მის ფურცლებშიც ეს უცნაური დღეილი ხმაურობდა. «ქართლის ცხოვრების» ფურცლებიდანაც ხრიოკი მიდამოების ცხელი ქარი სცემდა, მისი ფურცლებიც უფლისციხის გახურებული კედლებით აცხუნებდა—თავის დაუვალ მზეს უქილებდა ჭაბუკს სახეზე, ტანზე.

ფაქტები მშრალი იყო, მცირე. შემდეგ «სადაც აესხა მივივი». კონსპექტი შეადგინა, «უფრო კარგად იგონო» უფლისციხე და ოთახში ველარ გაჩერდა. თვალწინ უფლისციხის დათხრილი თვალები ებლანდებოდა. გახურებული კედლები ეძახდნენ, უფლისციხის კედლები, რომლებიც ქართლის ცხოვრების ფურცლებით შრიალენდნენ და საიდუმლოს ახსნას ჰპირდებოდნენ.

ახლა კი უკვე უფლისციხეში იყო და ერთი ქვაბულიდან მეორეში აღიოდა, მეორიდან მესამეში გადაიოდა, იმ იღვმალ ხმაურის უფრო ახლოდან მოსმენა ეწვია. ერთ გამოქვაბულში რომ შევიდოდა, ის ხმაური ახლა სხვა დარბაზებიდან მოისმოდა ყრუდ და ისევ თავისკენ იზიდავდა. იმ ზღაპრული ჭაბუკით ემართებოდა, ვარსკვლავები დაბლა რომ მოეჩვენა და მთაზე აირბინა, ეგებ ხელით შეეწვდო. აირბინა, მაგრამ ვარსკვლავებმა ზევით აიწიეს და სხვა მაღალი მთის თავზე აენთნენ. არბოდა ჭაბუკი მთიდან მთაზე, ვარსკვლავები კი მაღლა იწვედნენ, უფრო მაღალი მთის მწვერვალზე კამყაშებდნენ.

ამ უჩვეულო ხმაურმა უფლისციხის ყველა ქვაბული, დარბაზი და საიდუმლო ზერელი შემოატარა. ვერ მიაგნო, ვერ დაიჭირა, ვერ მისწვდა. მოიქანცა. პირი გაუშრა.

„საშინელი წყურვილს ვგრძნობ, მათარა თანა მაქვს. მაინც არა ვსვამ. რატომღაც მინდა უფრო მომწყურდეს. შევდევარ დიდ ტლანში, აქ ქვის სკამებია და ქვის მაგილები. ვჯდები ქვის სკამზე. ვინ იცის, ვინ იჯდა?.. შეიძლება დიდი მთავარი ვამეხიცი. ვფიქრობ. ვიწყებ წერას. არ შემიძლია, ამდენი ვნახო და არაფერი დავწერო“.

•
„რატომღაც მინდა უფრო მომწყურდეს“... მათარა თანა ჰქონდა, მაგრამ მაინც არა სვამდა.



ეს დაუწყურებელი წყურვილია სათავე შე-
მოქმედებისა. ვისაც საწურთროს მათარა მუდამ
პირზე აქვს მოყუდებული და ყოველ მოწყურე-
ბაზე იკლავს ეინს, ვინც არ განიცდის მეუ-
ღანბნოეს სულიერი შემშოლსა და სასიამოვნო
წყურვილს, ვერც ბაგეს აღძრავს კარგის სა-
თქმელად.

ეს დაუქმყოფილებელი წყურვილი იმ სიჩუ-
ნის ყრუ ხმაურს ჰგავდა, რომელიც მუდამ საი-
დანდაც, შორიდან ესმოდა.

იმ ვარსკვლავებს ჰგავდა, რომელთაც ზღაპრუ-
ლი ჰბატუცი მაღალი მწვერვლების თავზე ან-
თებული ვარსკვლავებისკენ ასწრავდა.



„არ შემიძლია, ამდენი, ენახო და არაფერი
დაეწერო“.

სიღრმე ამ უბრალოდ გამოთქმული აზრისა
ზოგ მწერალს შეგნებული არა აქვს: მოუბრუ-
ნებელ მდინარესავით ჩაივლის მის წინ მღელ-
ვარე ცხოვრება, განუმეორებელი ისტორიული
მოვლენები. ის კი ტრიალებს ამ უჩვეულო
ამბების შუაგულში და ვერ გრძნობს, ვერ ხე-
დავს, გამაზნაობას ვერ იჩენს — დახატოს
თვალთ ნახული და განცდილი... მისთვის არ
არსებობს „არ შემიძლია ამდენი ენახო და
არაფერი დაეწერო“... საკუთარ ფიქრს, აზრებს,
თავდადასავალს, სულის არქივში ინახავს,
უფრთხილდება, სამომავლოდ სდებს მათს გამო-
ზურებას. შენახულს ფერფლი ეყრება, და-
ვიწყებას ეძლევა, ცვდება. დრო მიდის, გვიან
დაეწეროს ფასი და მნიშვნელობა ეკარგება.

ხალხს ის მწერალი აინტერესებს, ის მწერა-
ლი იზიდავს, ვინც თავის დროზე უპასუხებს
მის გულისთქმას, ფიქრსა და ოცნებას, დააყ-
ენებს ან ვადაწყვეტს მისთვის გაურკვეველ სა-
კითხებს. მკითხველს აინტერესებს თავისი
მდღევარე სულის ყოველდღიური რეპორტაჟი.



ასე შეიქმნა ლეგენდა უსახელო უფლისცი-
ხელზე, რომელიც მტრის ჯარებით გარემოცუ-
ლი მშობლიური ქართლი იხსნა.

გურამ რჩეულიშვილს არ შეეძლო უფლის-
ციხე ენახა და მშრალი ნარკვევი დაეწერა. მას
არ შეეძლო — ენახა უფლისციხის დარბაზები,
ქვის მაგიდები, ქვის სკამები და ის ხალხი არ
წარმოედგინა, ვინც ამ დარბაზებს იცავდა, ამ
სკამზე იჯდა, ამ მაგიდაზე ედგა ღვივით სავ-
სე ჯამი. არ შეეძლო... მწერალი ის არის, ვი-
საც მშრალის და სუსტის დაწერა არ შეუძლია.

მან ჩაბნელებულ მღვიმეებსა და საუბუნეთა
წინით გამოკვეთილ გამოქვაბულებში დანახა
ის კაცი, ვინც ამ საოცარ ქვის ქალაქს კეთილ
საკუთარ სახლად და ციხედ, ამ ციხით იცავდა

თავს. ამ ციხეს იცავდა. მან აშკარად დაეწერა
კაცი.

„უფსკრულში კაცი მიოცავს. ის ფეხშიშვე-
ლბა. ქალმინანი ფეხის მოკიდება აქ არ შეიძ-
ლება. კაცის თვალში არა ჩანს, არც ტანი
ჩანს, არც თავი, არც სისხლიანი ხელები. ის
მიოცავს. ყინვა იჭრება მის სხეულში, თით-
ებ უხვევდება. ცერი ყველაზე აღრე კვდება.
მერე კვდება ნეკი“.

ამ ნახევრად დამზრალმა და გაყინულმა უენო
კაცმა იხსნა ქართლი... ალყამემორტყმული
უფლისციხელები გაოცებული არიან ამ გაწამე-
ბული კაცის გმირობით, სთხოვენ:

„თქვენს თავისი ვინაობა. ის კი უენოა.
სთხოვენ: დაწეროს თავისი გვარი ან სახელი.
მან კი წერა არ იცის“.

უფლისციხე გაღარჩენილია. ხალხი ზემოხს.
მემართანე დიდი ასობით წერს: „...დიდმა მთა-
ვარმა ვამხმამ... მტერი უკუაქცია... კედლები-
დან უფლისციხისა“.

იმ კედლებიდან, რომლებიც დაფხაჰნილია
უენო, უსახელო კაცის დამზრალი ფრჩხილე-
ბით, მოთხვრელია მისი სისხლები. მისი სახელი
დაიკარგა. არაფერ იცის. იცის მხოლოდ აქ, ამ
ჩაბნელებულ დარბაზში მკადარმა ჰბატუკმა. რე
ფხიზლდება. ფეხზე დგება.

„... მეჩვენება, რომ მე ვიცი იმ კაცის სახე-
ლი, აღბათ ვევა ერქვა, ამ უბრალოდ წყალობა,
ან მახარი, ან ჭიტესა, ქართველებს უმეტესად
ეს სახელები ჰქვიათ. იმასაც ეს ერქმეოდა“.

გმირი ნაბოენია, ეს მისი იღუმელი ჩურჩუ-
ლია, საიდანდაც, შორეული ქვაბულიდან რომ
ისმის. საპიროა ამ ჩურჩულის მოსმენა და წერა.
წერა აქვე... ავერ ქვის მაგიდა. იქვე ქვის
სკამი. ჰბატუცი ცდილობს ჩამუხდროებას. ქვის
მაგიდას მიუჯდება, მაგრამ წერას ვერ ახერ-
ხებს. ისევე აწრიალდება, არქეოლოგების დი-
ტრეებულ რკინის ორთვალას წააწყდება. უნე-
ბურად ჩამოჯდება.

„... ჩემს გარშემო ტალანია დიდი, ცარიელი,
საშოში... მე ვზივარ ერთი თვის წინათ ვაკეთე-
ბულ რკინის ორთვალაზე და ვწერ. ეს ორთვა-
ლა უფრო მოხერხებულია ჩემთვის. აღბათ
ერთ დროში რომ ვართ ვაკეთებული ორივე,
იმიტომ“.



ასე იყო ყველგან. სილაც იყო, სილაც მი-
დიოდა, შინაგანი პოეტური ხმა, შინაგანი დაუ-
ღვარი რიტმი შორეულ იღუმელ ძახილად იქ-
ცეოდა და თავისკენ ეძახდა.

სიარულით კი ბევრს დადიოდა. მოგზაურობის
წყურვილი მამამ გაუღვიძა. იყო სპორტსმენი,
მთამსვლელი და მოუქანცავი მოგზაური. ბევრს
დადიოდა საქართველოს მთებში, ველებზე,
ზღვის ნაპირებზე... თანაბარი სიძლიერით

გრძნობდა საქართველოს მთებისა და ველების მშვენიერებას, ზღვის ბუნებას, მის თავისებურებასა და სილამაზეს. ამიტომაც იგრძნობდა მის ბევრ მოთხრობაში ზღვის სილამაზის, სივრცე-სივრცის, ძალის, მობისანების დიდი ვაძღვი, იღუმალი შიში... იქნებ წინაგრძნობაც...

ფეხით ჰქონდა მოვლილი ფშაგ-ხევსურეთი, თუშეთი, სვანეთი, აფხაზეთი, ჯავახეთი და საქართველოს თითქმის ყველა კუთხე. ზოგიერთ კუთხეში, რომელიც განსაკუთრებით იზიდავდა, რამდენჯერმე იყო ნამყოფი. კავკასიონის მალა-ლი მწვერვალები კი მუდამ იზიდავდა. როგორც ალპინისტი, და ზოგჯერ ჯგუფის ხელმძღვანელი, ასულია მთავარი კავკასიონის თერამეტ მწვერვალზე. გადალახული ჰქონდა შვიდი უღელტეხილი და ათი მწვერვალის ტრავერსი. მოვლილი ჰქონდა ჩრდილო კავკასიის მთაბარი: კასპისპირეთი, დაღესტანი, ქისტეთი, ყაბარდო-ბლღარეთი, ქლუხორი. ემახდა ტიანშანის მწვერვალი... წასვლა აღარ დასცალდა.

მოგზაურობის, ქვეყნების მოვლის, სხვა ხალხების ცხოვრების შესწავლის ფინი კავკასიის ვაკეთაც ეწეოდა — თხილამურებით გადაიარა დასავლეთ უკრაინის კარპატები, თვლიდათ ცხოვრობდა რუსეთის ქალაქებში, ეცნობოდა მკვიდრთა ზნეჩვეულებას, ფსიქიკას... რომ დაი-ღუბა, ოცდაექვსი წლისა იყო... როდის უნდა დაეწყო მოგზაურის ცხოვრება, როდისღა მოას-წრო ყველაფერი ეს?

მოსკოვის განიერ ქუჩებში, ფართო მოედნებ-ზე, რუსულ ყინვაში ისევე თავშიშველი და მკვრდგაღვლილი დადიოდა, როგორც ავვისტოს სიციხით გახურებულ თბილისის ქუჩებსა და უფლისციხის მღვიმეებში; აკვირდებოდა ხალხს, იმახსოვრებდა, იწერდა; წერდა. როგორც ჩანს, სიკაბუჯიდანვე, როცა პირველად კალამი ხელ-ში აიღო, მისი ფართოდ გახელილი ცნობისმო-ყვარე თვალებისთვის უცნობი ქვეყანა თავიანთ დიდი თუ წვრილი ამბებით, სიბარულითა თუ ტკივილით — სანახაობას წარმოადგენდა, სანა-ხაობას, რაც ხსოვნაში უნდა აღბეჭდილიყო, ქალიღაღებ უნდა გადასულიყო.

ასე იწერებოდა უშუალო შთაბეჭდილებებით შთაგონებულ დღიურები. დღიურები და ჩანა-ხატები ზეგუსრეთისა („სიკვდილი მთებში“, „თვირთვლია“, „ბათარეკა ქიქარაული“), დღი-ურები შავი ზღვისა („ზღვა ბნელი იყო“, „ნე-ლი ტანგო“, „მუნჯი აბმელი და სიციცხლე“, „იირანი“), დღიურები სვანეთისა და კახეთისა („დედების ცეკვა“, „ასლა“, „ალავერდობა“). ასე დაიწერა ერთსა და იმავე წელს (1956 წ.) ორი პატარა შესანიშნავი მოთხრობა „სიყვარუ-ლი მარტოს თევში“ და „სიყვარული შემოდგო-მაზე“. ორივე მოთხრობა ჩუმი ადამიანური გუ-ლისტკივილითაა სავსე. ერთში გახაზულთა მკერდის ამაკრება და სიკაბუჯის უღრობა სე-

დაა, მეორეში — სევდა გვიანი შემოფარგლავს ერთში მიონის ადრევე სიკაბუჯეში, უბედური შემთხვევის გამო გაცრუებული იმედების მახ-ლი, მეორეში — მისი ბრძოლის დამკვიდრის ყვავილის სურნელი დამკრის.

ასე იწერებოდა მისი დღიურები, პატარა მო-თხრობები. იწერებოდა ყოველდღიურად: ლექ-ციებზე წასვლის წინ, ლექციებიდან დაბრუ-ნების შემდეგ. წარმოადგინეთ, ლექციებზე... მის არაერთ მოთხრობას, დღიურსა და უბრა-ლო ესკიზს მიწერილი აქვს დაწერის თარიღი, საათი, ადგილი, უნივერსიტეტის იმ აუდიტო-რის ნომერიც კი, სადაც ეს დიდი, თვალმ-ბრაილა ბუე მონოტონურ ლექციას ცალი ყუ-რით უსმენდა, ფიქრით კი თავისთავით იყო. აკვირდებოდა საკუთარ თავს, მეგობრების საქ-ციელს, სწავლობდა და ოქმივით აღწერდა ამ ფიქრებს, მომხდარს; ამ მომხდარში ყოველთვის რაღაც აზრს ღებდა. საქართველოდან შორს წასული წერილების მაგიერ მოთხრობებს უჯ-ზავნიდა მშობლებს. ამ მოთხრობებს მხოლოდ ორ სიტყვას აწერდა: „წერილის მაგიერ“... ამ მოთხრობებს გზაში, მატარებლის კუბეში წერ-და. პირველ მსჯავრს ახლობლებს სთხოვდა („მატარებელი სტუპში“). აგროვებდა ამ ჩანა-წერებს და მომავლისთვის ემზადებოდა.

სამწუხაროდ, ის, რაც მომავალში უნდა გაზრდილიყო, ამაღლებულიყო, ახლა ლიტერა-ტურულ მეგვერდობადა იარს ქვეული და შე-სწავლა-შეფასებას მოითხოვს. ამ წერილს ამ-გვარი პრეტენზია არა აქვს. ამის საფუძველზე შეიქმნება, როცა გამოიყენა ამ ნაყოფიერი და მრავალმხრივი მწერლის ყველა ნაწერი.



გზარამ რჩეულიშვილის გამოჩენამ, მისმა პირ-ველმა მოთხრობებმა ყველა დაგვაფიქრა. იყო რაღაც ახალი ამ ჰაბუჯის პატარა მოთხრობებ-ში. ორი-სამი კვირაც არ იყო გასული მისი გამოჩენიდან, რომ იგი, როგორც ახალგაზრდა ნიჭიერი მწერალი, ახრთა გაცვლა-გამოცვლის, დისკუსიების ცენტრში იღდა.

ზოგის აზრით უჩვეულო იყო გ. რჩეული-შვილის მოთხრობების ფორმა, მცდარი იყო ზოგიერთი მისი მოთხრობის კონცეფცია.

ამ საკითხს საგანგებო შესწავლა სჭირდება, ორიოდ სიტყვით კი შეიძლება ითქვას, რომ ეს შეხედულება დამყარებული არ იყო გ. რჩე-ულიშვილის მოთხრობების მართებულია გაგება-ზე. მისი ლაქონიზმი, გმირთა მოქმედების ფო-ნის მოჩვენებითი სიმკაცრე და ფსიქოლოგიუ-რი ძიებანი მოდიოდა ქართული კლასიკური და საბჭოთა პროზის საუკეთესო ტრადიციე-ბიდან. „უჩვეულო“ ამ ჰაბუჯის მოთხრობებში იყო ის სამყარო, რომელიც მან გაბედულად შემოიტანა უცანასკნელი წლების ქართულ



მწერლობაში; თანამედროვე ინტელექტუალური კლასის მღვდლად განცდილი, მისი სიყვარული თუ გულსიტყვილი, სიკვდილისა და სიცოცხლის ჰილიდი... ძველი, მაგრამ ადამიანისთვის მუდამ ახალი და შემაწუხებელი საკითხები. ეს ყველაფერი მკაცრ რეალისტურ ჩარჩოებში იყო მოქცეული, დამშვენებული იყო სისხლადით და ოსტატური უბრალოებით, არ იყო შტამით დღადამღელი. ყველაფერი, რაც მის შემოქმედებას ასაზრდოებდა, ბუნებრივად იყო გატყვევებული და სულის ქტრაში გატარებული.



ხეცურეთის ზრიც მიწაზე წევს ოჯახის დედა. სულ ათიოდ წუთის წინ ის მხიარული, ჯანმრთელი და ბედნიერი იყო, ქმართან და უმცროს შვილთან ერთად ტკბებოდა ამ ველური მთების სილამაზით. ახლა კი გულამა წევს და თვლები დახუჭული აქვს. დაბნეული მამაშვილი თვალს აჩივებს მათი შომავე დედაცაცის ცხედარს. გარკვეული სიმშვიდე ვერ ფარავს იმ გულგამგვირავ ტრავმას, რაც მათ განიცადეს. ცოტაც და ეს დაგუბებული გრძნობა თავს დააღწევს ევროპული ზრდილობისა და სიმტკიცის ჩარჩოს. ისინი საუბრობენ დაკოქლებულ ცხენზე, ყვავილებზე, მაგრამ ამ სიმშვიდეში იგრძნობა დიდი ტკივილი.

„ორივე გაუბოდა ცხედარზე ლაპარაკს. რაღაც იყო მათთვის სიკვდილში საოცარი და უკვე მომზადარი, რომელსაც არაფერი ეშველებოდა. ვარშემო კი ყველაფერი უცნობი იყო, საშიში“.

მოულოდნელი უბედურება ადამიანის გულში პირველად გაცივებს და სახტად დარჩენას იწყებს; მერე თანდათან მოდის უბედურების შეგრძნება. ამ შეგრძნებას მოსდევს სევდა და დანაწევა იმისა, რაც დაიკარგა და არასოდეს დაბრუნდება.

უეცარი ელდით გარგნებული გერმანელი მწერალი აღფრთო კურელა მოხიბლულია ხეცურთა თანავრძნობით. მისთვის ამ უცხო მიწაზე მომზადარ ტრაგიკულ ამბავში „საკვირველი უფრო მეტია, ვიდრე საზარელი“, საკვირველია ის, რომ მისი ხუთი შვილის დედა ასე უეცრად დაიღუპა, ისიც, რომ ეს უცხო ხალხი ასეთი ყურადღებით ეპყრობა.

„მე უღრმესად მადლობელი ვარ, ხეცურებო, თქვენი, უღრმესად. არც მე და არც ჩემი ხალხი არ დავივიწყებთ თქვენს ამბავს. კიდევ ერთხელ ვმადლობთ, ჩემი და ჩემი განსვენებულნი მეუღლის სახელით; მოგრიჩი, — თქვა მან“.

მოთხრობის ბოლო ნაწილში კურელა და გუარამი მშვიდად საუბრობენ სიკვდილ-სიცოცხლის მტიკაურულ საკითხებზე. მკითხველს აოცებს ამ საუბრის სიღრმე, განზოგადების უნარი; მოსაუბრენი იხსენებენ იმ გარისკაცს, რომელიც

ორმოცდახუთ წელს დაეცა უკანასკნელმა დაჯარაჯაროლი ტყვეით გულგანგმირული და მიდიან იმ დასკვნამდე, რომ:

„ხალხს არ შეუძლია იდარდოს ყველა ერთად, ამიტომ დარდობს იმას, სწორედ იმას, ვინც რაღაცეა გამოირჩევა, იმიტომ რომ „ის“ თავის სიკვდილით განსხვავდა სხვებისაგან. მთელი ომის უბედურება იმ ერთის სიკვდილში გადააქვთ...“

არის რაღაც დამაფიქრებელი და ნამდვილი ამ სიტყვებში. გურამ რჩეულშვილი ხომ ასე განსხვავდა თავისი სიკვდილით მათგან, ვინც უღრმოდ გამოგვტაცა ცხოვრების მღვდლად ზღვამ. მართლაც შეუძლებელია „იდარდო ყველა ერთად“. ადრე დაღუპულთა სახით ყველას ვიღაც ახლობელი წარმოუდგება თვალწინ და ყველას უბედურება იმ ერთის სიკვდილით ესახება.



გურამ რჩეულშვილი ცოცხლობდა თანამედროვე ახალგაზრდის ინტრიგებში და მისწრაფებებით... ყოველგვარი მანკიერი მოვლენა და წარსულის უღრმესი გადმონაშთი მას ზიზღს უღვიძებდა.

ღროს თავისი გაუტანია, ძველ ეროვნულ დღესასწაულს — ალავერდობას თავისი მომზილავი შინაარსი გამოსცნია, ევკაცობისა და რინდული გართობის ასარჩები ღამისთვის, გამოყვეყნებული ლოთების, ლაზღანდარობის მოედნად ქცეულა. თანამედროვე ადამიანის სულისკეთების ველორ ეგუება დამაბინჯებელი სახე ოდესღაც დიადისა და წარმტაცის.

„ალავერდობა აღარ არის ალავერდობა, გრძნობ, ეს რელიგიური დღეობა მხოლოდ ინერცია, სასაცილომდე მისული ინერცია“.

მოთხრობის გმირს ბოლმა აღჩნობს, არ შეუძლია გულცივად უტყვიოს ღვინის სმით გამოთავყვანებულ სახეებს, დაუსრულებლად, გულისამრევად მოცეკვავე წყვილებს... იგი იმეება მოქმედების წყურვილით, იკუშმება ზამბარასავით, ხდება სახიფათო და პირქუში ირგვლივ მყოფათათვის.

„სასაცილო ინერციასთან“ კონფლიქტი მოთხრობის გმირს ალავერდის გუმბათზე აიყვანს. ამ დიდებული კვარცხლბეკიდან მას ეჩვენება, „რომ მიადწია იმ საწაღელს, რომლის სახელი სიტყვებით აღარც კი ახსოვდა“.

მაგრამ არა იყო ეს წუთიერი აჯანყება „სასაცილომდე მისული ინერციისა“ და სიმბინჯის წინააღმდეგ რით, როგორ გაილაშქრა ჰაბტემა ამ სიმბინჯის აღმოსაფხვრელად სახიფათოდ... წონასწორობა დაკარგა და ცხენით მიიჭრა დამსხმეთლებს. ამ ფიქრმა „მოულოდნელი სიკვდილ“ დაუბრუნა ჰაბტის გონებას. „და

იმევე წუთში საღაღაც გაქრა მთელი მისი უსახლგრო ვენბადქცეული სურვილი“.

ოთხ წელს ებრძოდა თვირთვილა ლაგამს. ებრძოდა, მაგრამ მინდიას მუჯა ძლიერი ჰქონდა, იმორჩილებდა. მაგრამ, აი, დადგა წუთი და თვირთვილამ აიწყვიტა: მიშვეებული საღაღაც იგრძნო, იგრძნო მთვარალი ხეცსურის მოღუ-ენებული მუჯა და ბედისწერამ აიტაცა. მხედარი ცხენიდან გადმოვარდა. სამ ღღეამემს დაეხე-ტებოდა უპატრონოდ თავისუფალი თვირთვი-ლა. მეთხე ღღეს სოფელში დაბრუნდა.

„უზოს შუაში მისი პატრონი იწვა და არ ინძრეოდა. თვირთვილამ თავი ასწია, კბილები გამოაჩინა და საზარლად დაიქიხინა: პატრონი არ ინძრეოდა. მის თავთან იდო საყვარელი ცხენის ადვირი. ულახი დასწედა ლაგამს და ღეჰვა დაუწყო.

— ჰეი, ჰეი, თვირთვილა!

— ჰაი, ღედასა, მინდიავ!

— ვერ გასძლო.

— ვერა, ვერა, გუდანის ჯგერის მადლმა!

— სასწაულ არს.

— ვაი, ღედასა, მინდიავ!

ხეცსურებმა გლოვა განაგრძეს“.

ჰაბუკი მთამსვლელი ყინულზე ჰკიდა უფს-კრულის პირას. საკმარისია უბრალო განძრევა და იგი დაილუპება. ჰაბუკი საოცარ ნებისყოფას და ძალას იჩენს. აქ საკვირველი თითქოს არა-ფერია: ყველა შეძლებისდაგვარად შეეცდე-ბოდა თავის გადარჩენას. მაგრამ საქმე ის არის, რომ მთებში წამოსვლის წინ, ამ ჰაბუკს გა-დაწყვეტილი ჰქონდა თავის მოკვლა, მისი გუ-ლი ჯერ განუტრნეული არც არის ამ ტრა-გიკული ცთუნებისაგან. აი საუკეთესო შემთხვე-ვა. საკმარისია ერთი განძრევა და... მაგრამ იმარჯვებს ლამაზი სიცოცხლის ფინი. ნაბრალზე დაიკიდულს ასენდება დედა, თავისი ბავშვობა: ცბილი რომ ასტკივდებოდა, დედა მტკივან ადგილზე თბილ ლოყას მიადებდა და ტკივილი გაუვლიდა.

რამდენად ადამიანური და მართალია ეს დეტალი!

ალავერდობაა. ადრიაინი დილა. ვალავანში დაბარბაცებენ მთვარალი მოქვიფენი. მთვარალი პატრონების დანახვაზე ფრტუტუნებენ ყინზე მო-სული ცხენები.

„დილის არაყი შესვი, დღის არაყი“ — ხორბოცებენ ღამენათვეი მოალავერდენი.

გაკერა, ამას ნამდვილად იტყოდნენ. ორიოდ ფრახით დაუვიწყარი სურათია დახატული.

გ. რეპუბლიკის შექმნა ყოველგვარი მომ-

ჰანცევი აღწერილობის გარეშე გვანგრძობენ სული თვისი გმირების ვარეგნობა.

„ბიჭის ფართე დაფებურები ღრმად ანდებო-და ქვიშას, გოგო კი თითქოს ფეხსაც არ აკა-რებდა მიწას; ისე მკრთალი იყო მისი ნატერფა-ლი“ („ახმედი“).

ან კიდევ, დაგვიხატოს დაუვიწყარი სურათი მოხუცი მეთევზისა, რომელსაც ადრე სიკაბუ-კეში ზღვამ აჩუქა ბედნიერება და მერე ისევ წაართვა.

„... ნაირის ქვეშ ძლივსა ცოცხლობდა ცეცხ-ლი. მიმჭალ ნალვერდას ზელახლა ადვიებ-და ახმედი. ალი უნათებდა შეკრულ კრიქას; დანაოკებულ სხეს და ბერვის ღროს წინ გაშ-ვერილ ტუჩებს. ძალის ლეკვი იწვა ცეცხლის პირას, პატრონის ცივ ფეხზე ელო თავი და თვლემდა. სითბო გადადიოდა პატრონში“.

მწერალი გრძნობს ბუნებას. ხედავს. ამ სურათებში არ არის მოგონილი და გაკრილე-ბული, ჩვენს წინ დგას დაკვირვებული-მხატვარი.

„შემშინელებად მიზარული შეეჩვია თვალი სინელეს, საიდანღაც უცებ უცნაური ძალით ამოხეთქეს ვარსკვლავებმა და მთლიანად დაი-ყრეს კახეთის ცა“.

გურამ რეპუბლიკის ქვეშაირიტად მწერლო-ბისათვის იყო დაბადებული. ამას ზემოთ ნა-თქვამთან ერთად ადასტურებს მისი ქართულიც. მის პირველსავე მოთხრობებში ისარდავე და უბრალოება, ფრახის ლაკონურობა და სიმ-კაცრე იგრძნობოდა. ჯერ სრულიად ახალგაზრ-და და გამოუცდელი მუდამ ცდილობდა ნათე-ლი და გაშვირვალე, ყოველგვარ მანქვა-გრეხას, მრავალსიტყვაობას მოკლებული ქართული ეწერა. მისთვის სიტყვა თვითმიზანი ან ბრჭყვილა-სამკაული კი არ იყო, არამედ მას-ლა მთავარი მიზნის მისაღწევად. მან იცოდა, ყოველი სიტყვა თავის ადვილას ღამაზია. სი-ტყვის ასეთი გამოყენების შედეგად მისი ქარ-თულის იქით მოვლენები და მდგომარეობან-საგნებივით ხელშეხახები ხდებოდნენ.

მაგრამ ეს არ შეიძლება ითქვას მისი უკანას-კნელი მოთხრობების ენაზე. ვინც მის მუშაო-ბას ვაკვირდებოდით, გამჩნევდით, რომ ბოლო ხანებში მისი ენა გაბუნდოვანდა, გამოერია ქართულიისათვის მიუღებელი სინტაქსური წყო-ბა, რაც მის ადრეულ მოთხრობებს არ ახასია-თებდა.

ამას თავისი მიზეზები ჰქონდა: მისი პირველი პატარა მოთხრობები, ესკიზები და სურათებ-დღიურების სახითა დაწერილი, ჰაბუკი მწერ-ლის ენობრივი მარაგი შეესაბამებოდა გმირთა მეტყველების პორიონტს; შემდეგ, პირველი ნაბიჯის, პირველი მოთხრობების გამოქვეყნე-ბის შემდეგ იწყება ძიება, ფსიქიკის სიღრ-

მეებში უფრო ღრმად ჩაწვდომის სურვილი, რაც ენის მეტ ცოდნას, ღრმა აზროვნების გამოხატველი ენობრივი საშუალებების ათვისებას მოითხოვს, დავაყვავებული მწერლის გულმკერდი ვეღარ ეტევა იმ ენობრივ პერანგში, რაც პირველი ცდებისთვის შესაფერი და მორგებული იყო, ჩქარობს, ნერვულობს, სცოდანს... სვირდება შალაშინი.

ამის გამო აბრაოთხელ მოგვსვლია კამათი. კამათი კი შეუირიგებელი იცოდა, ცხარე და მღელვარე.

ცხარე და მღელვარე იმის გამო, რომ მისი ჭაბუკური სული ლიტერატურით ცოცხლობდა. მწერლობის საკითხებს სისხლის დენასავეთ განიცდიდა, შეუირიგებელი, იმის გამო, რომ უკვე თავისი შეხედულებები ჰქონდა ცხოვრებასა, ლიტერატურაზე და ენაზე. ბევრს ფიქრობდა და ნაფიქრის გადაჯერება უძძიმდა...

ორიოდე სიტყვა უნდა ეთქვას იმ მოთხოვნებზე, რომლებიც ავტორის სიკვდილის შემდეგ დაიბეჭდა ან იბეჭდება. სამი-ოთხის გარდა („მუხჯი ასმელი და სიცოცხლე“, „ნათარეკა კინჰარაული“, „სალამურა“) ამ მოთხოვნების გამოქვეყნებას, როგორც მე ვიცი, გურამ რჩეულიშვილი არ ფიქრობდა. ზოგი მათგანი უკვე აღარ მოსწონდა და რომ ეცოცხლა, ალბათ, აღარც გამოაქვეყნებდა. იგი თავისი მომავლადან დასცქეროდა ამ მოთხოვნებს. და უკვე განვიღო გზად თვლიდა. სწრაფად იზრდებოდა, მწიფდებოდა და ადრე დაწერილი თავის შესაძლებლობასა და გეგმებთან შედარებით სუსტად მიაჩნდა... მართალი იყო თუ არა? ამის

გადაწყვეტა მკითხველისთვის მიგვიტყვიან... კი უნდა ვთქვათ, რომ ეს პაწია მოთხოვნები, ჩანახატები და დღიურები ორგანულად შეუერთდნენ იმას, რაც მთავარი იყო გურამ რჩეულიშვილის შემოქმედებაში.


დიდი ხანია მინდოდა დამეწერა და, აჰ, დაეწერე!

ღირსი იყო... ის არ ჰგავდა იმ მწერლებს, ვისი შემოქმედებაც სიკვდილის შემდეგ დაიწყებას ეძლევა. ამიტომაც მიუძღვენი ეს სტრიქონები ადრე დაღუპული ჭაბუკის ხსოვნას. მან თავის დროზე თავისი არსებობით და სიტყვით ბევრი კარგი რამ მაგარმზონინა.

მისი დაღუპვით სიკვდილმა ერთხელ კიდევ გვიჩვენა თავისი უაზრო, შეუბრალებელი ძალა. კიდევ ერთხელ გაგვახსენა ძველი ქართული ლექსი:

ნეტავი რა სვირს სიკვდილსა,
ვერ მიხვდა ჩემი გონება,
შიგ ამოარჩევს ვაჟკაცსა,
რომელიც მოეწონება!

სიკვდილსაც კარგი და ლამაზი ჰყვარებია... და თუ მართალია მეორე ძველი ნათქვამი — ხელი მწერლისა ლეების, ხოლო სახელი მისა ჰგავს საუკუნოდო, — ესუსტვით ამ სიჭაბუკეშივე დაბრძენებული მწერლის პირველ წიგნს კეთილად მისტლიყოს ქართველ მკითხველადე, თავისი ადგილი დაეჭიროს მის გულში და ეცოცხლოს.



სიანა თოფუჩიძე

ერნესტ ჰემინგუეის პირველი რომანები

2 ივლისს რადიომ მთელ მსოფლიოს აუწყა ერნესტ ჰემინგუეის მოულოდნელი ტრაგიკული დაღუპვა. გარდაიცვალა XX საუკუნის ლირიკული პროზის ბრწყინვალე ოსტატი, სიცოცხლეშივე აღიარებული დიდ კლასიკოსად. ჟურნალ-გაზეთების ფურცლებს უჩვეულო ნეკროლოგები მოეფინა. ისინი არ ჰგავდნენ ტრაგედულ ვალის მოხდას ცნობილი მოღვაწის წინაშე. არა, ამ ნეკროლოგებში გაისმა გულის სიღრმიდან აღმომხდარი სინანული. ცოტაა იმის თქმა, რომ ერნესტ ჰემინგუეი XX საუკუნის გამოჩენილი ამერიკელი მწერალა და სტილის შესანიშნავი ოსტატი; ჰემინგუეი პოეტური განწყობის პროზაიკოსია, რომელიც ყველასათვის ახლბელია, ამაღლვებელი თავისი ლირიკული სიღრმითა და ემოციური ძალით, რომელიც მკითხველს იმორჩილებს არა მოზღვავებული პათეტიკური აღმადრენითა თუ ისტერიული კვილით, არამედ მეტად სადა, უბრალო თხრობის კილოთი და დაგუბებული გრძნობის გაზიარებით. და ახლა, როცა ფიქრობ ჰემინგუეის დაღუპვაზე, ძალაუვნებრად უბრუნდები მრავალჯერ გადაკითხულ მის წიგნებს, შესანიშნავ მოთხრობებს — „ცილიმანჯაროს თოვლიანი მთა“, „ფრენსის მაკობერის ხანმოკლე ბედნიერება“ თუ ვრცელ მოთხრობას „ბერიკაი და ზღვა“, უბრუნდები მწერლის სიჭაბუკეს, პირველ მსოფლიო ომს, ომის შემდგომ პერიოდს — ოციანი წლების თაობას, რომელიც ასე ცოცხლად წარმოგვიდგა მის პირველ რომანებში „აღმოსხმების მზე“ და „მშვიდობით, იბარალო“. ამ რომანებით დაიწყო ჰემინგუეი, ამ რომანებით გადაუშალა პირველად გული მკითხველს და ამ რომანებშივე გაწერთა პირველად მხატვრული სიტყვა, სიტყვა მარტივი, განუზომლად წრფელი, შინაგანი გრძნობითა და აზრით ღრმა და უძირო.

ჰემინგუეი იმ ამერიკელ ახალგაზრდობასა და მწერალთა თაობას ეკუთვნოდა, რომელსაც გულუბრყვილოდ სწამდა, რომ პირველი მსოფლიო ომი დემოკრატიზმისა და პატრიოტიზმის დასაცავად წარმოებს. მათ დათმეს თავიანთი სამშობლოს ერთფეროვანი სიმყუდროვე, კოლეჯები და უნივერსიტეტები, სპორტული შეჯიბრებები და მშვიდი ფერმები, უარი თქვეს აღზრდის მოსაზრებულ ნორმებზე და ევროპას მიაშურეს ახალგაზრდული ენერგიით, რათა ებრძოლათ მაღალი რწმენისათვის, მაგრამ ომის საშინელებამ ყოველგვარ მოლოდინს გადააკარბა და მათს წარმოდგენაში გადაიქცა გადაუღახვე კოშმარად. ეს იყო არა მარტო საზარელი სისხლისღვრის საკუთარი. თვალთ ხილვა, არამედ აგრეთვე დემოკრატიზმისათვის ბრძოლის ილუზიის გაქარწყლება. მათ დაკარგეს რწმენა ტრადიციული მორალის, რელიგიისა და „დემოკრატიზმისა“, თავიანთი სულიერი მდგომარეობის გამომხატველ ლოზუნგად მიიჩნიეს მწერალი ჯალის გერტრუდ სტაინს მერ ნასროლი ფრაზა — „თქვენ ყველანი დაღუპული თაობა ხართ“, — რომელიც ჰემინგუეიმ უპიგრაფად წაუშმღვარა თავის რომანს „აღმოსხმების მზე“. დაკარგულობის გრძნობამ მოიცვა ამერიკის და, მით უფრო, ევროპის ინტელიგენციის დიდი ნაწილი. ამაოება, ყოველგვარი მორალური ნორმების დაგმობა, ძველ ღირებულებათა უარყოფა „დაღუპული თაობის“ ახალ ღირებულებად იქცა.

„დაღუპული თაობა“ თავისთავად ნიშნავს იდეალების კრახს, გარდუვალ პესიმიზმს, პიროვნების გამოფიტვას, ყველაფრის დაგმობას, მათ შორის შემოქმედებისაც. დაღუპვის გრძნობა, სისოწარკვეთილება, ცინიზმი ხელსაყრელ ვერ კვდება ჰუმანური იდეალებით. ხელოვნება კი ჰუმანიზმის გარეშე ვერ იარსებებს. ოციანი წლების „დაღუპული თაობის“ მრწამსი — ღირებულებათა უარყოფის დოქტრინა — თავისთავად შეიცავს პოზიტიურ მხარეს, კერძოდ, გაბედულ ჯანყს ომის იმპერიალისტური პოლი-

* ერნესტ ჰემინგუეი ე. წ. „დაღუპული თაობის“ მწერლად, მესვეურადაც კია მიჩნეული.



ტიკის წინააღმდეგ. „დაღუპული თაობა“ სწორედ თავისი უარყოფის ტენდენციითაა ძლიერი და მისაღები; ამდენად, სახელწოდება „დაღუპული“ უკვე კარგავს თავის პირდაპირ მნიშვნელობას და გამოხატავს, მართალია, იმ ეტაპზე ბრძოლაში უძლურს, ბრძოლის გზების ძიებაზე ხელაღებულს, მაგრამ მაინც ომის ბოროტების წინააღმდეგ გულწრფელად ამხედრებულს. ამიტომ მემთხვევითი არაა ის ფაქტი, რომ 1951 წელს ერენსტ ჰემინგუეი პირად ღწრილში კარლოს ბეიკერისადმი წერს, რომ იგი არც საკუთარ თავს, არც თავის თაობას არ მიიჩნევს ვ. წ. „დაღუპულ თაობა“: „შესაძლოა ჩვენ მრავალმხრივ ნაგებში ვიყავით, მაგრამ დაღუპულნი არ გვეთქმობდა დახოცილთა და ნამდვილად შეშლილთა გარდა. დაღუპულნი? არა... ჩვენ ძალზე სოლიდური თაობა ვიყავით, თუმცა აღზრდა კი გვაკლდა (ზოგ ჩვენგანს), მაგრამ მისი მიღება ყოველთვის შეიძლება“¹.

ოციანი წლების ე. წ. „დაღუპულ თაობას“ მიზნად ჰქონდა მხატვრულად დამაჯერებლად აეხსება ომის ძალმომრეობა, თავისივე „მწარე ხედრი“ და მისი მიზნები. ეს აზრი ასულდგმულებად ერიბ მარა რემარკის, რიჩარდ ოლდინგტონის, კამინგსის, ჰემინგუეის თითქმის ერთდროულად გამოქვეყნებულ ანტიმილიტარისტულ რომანებსა და მოთხრობებს. ყველა ეს მწერალი პირველ იმპერიალისტურ ომში იბრძოდა და მწვავედ განიცადა ილუზიების გაქარწყლება. ჰემინგუეი მძიმედ დაიჭრა 1918 წელს ავსტრია-ბოლოის ფრონტზე. მის დიდხანს აწამებდა ომის კოშმარები, ფიზიკური ტკივილები და სულიერი დებრესია, პირადად განცდილმა მთელი ძალით გადმოხეტია მისი შემოქმედების ადრეულ ეტაპზევე, კრებულში „ჩვენს დროში“ (1923 წ.), რომანებში „აღმოხდების მზე“ (1927 წ.), რომელიც ინგლისში „ფიესტას“ სათაურით გამოქვეყნდა და „მშვიდობით, იარაღო“ (1929 წ.).

რომანები „აღმოხდების მზე“ და „მშვიდობით, იარაღო!“ პირველი მსოფლიო ომის წინააღმდეგაა მიმართული და გვისურათებს ომის დამღუპველ გავლენას ადამიანზე, სიყვარულსა და ცხოვრების ნორმალურ დინებაზე. ქრონოლოგიურად „აღმოხდების მზე“ უსწრებს „მშვიდობით, იარაღოს“, მაგრამ სიუჟეტურად და იდეურად პირველი უნდა მივიჩნიოთ მეორის გავრცელებად. რომანში „მშვიდობით, იარაღო“ ნაჩვენებია თვით ომი, თუ როგორ ტყის იგი ფიზიკურად და სულიერად პიროვნებას, ნაჩვენებია „დაღუპვის“ პროცესი, ხოლო რომანში

„აღმოხდების მზე“ ასახულია ომის „დაღუპვის“ შემდეგ.

რომანში „მშვიდობით, იარაღო“ კონფლიქტი სიყვარულსა და ომს შორის სრულდება სიყვარულის ტრაგიკული მარცხით. ჯერ კიდევ „ჩვენს დროში“ სექტრში „თავი VI“ და მოთხრობაში „ყველაზე პატარა მოთხრობა“ ჰემინგუეიმ დასახა რომანისათვის „მშვიდობით, იარაღო!“ დამახასიათებელი ძირითადი სიუჟეტური და თემატური ხაზები. პირველი იმპერიალისტური ომის მთელი ტრაგედია რომანში გარდატეხილია ლეიტენანტ ჰენრის განცდების პრინციპში. ჰენრი ტიპიური საშუალო ამერიკელია, რომელსაც ბრძელ სჯერა პატრიოტული ლოზუნგებისა და უშიშრად იბრძვის იტალიელთა რიგებში. მაგრამ ჰენრის წარმოდგენაში ომი თანდათანობით ღებულობს საზარელ ხასიათს, ემსგავსება ჩიკაგოს სასაკლავოს, მხოლოდ იმ სხვაობით, რომ ომში ხორცს პირდაპირ მიწში ყრიან. ახალგაზრდა მღვდელთან გულითად საუბარში ჰენრი აღიარებს, რომ მისთვის უკვე სულერთია ვინ გაიმარჯვებს და ვინ დამარცხდება; მას ურჩევნია დამარცხებაც კი, ოღონდ აღამიანთა ვლტუვას, შიმშილს, მოსახლეობის აწიოკებას როგორც ბოლო მივლს. ომის კოშმარულ სანახაობა კულმინაციურ წერტილს აღწევს იტალიის ჯარის უკანდახეტისას. ჰენრი სეპარატულ ზავს დებს, გარბის ბრძოლის ველიდან, სამუდამოდ ჰყრის იარაღს, ცდილობს დაუბრუნდეს მშვიდობიან ცხოვრებასა და მეხსიერებლიდან ამოიგდოს ომის საშინელება. მაგრამ ომი მაინც იჭრება მის ცხოვრებაში, მისა საცოლე ქეთრინ ბარკლი ილუპება და მასთან ერთად ჰქრება ჰენრის უკანასკნელი იმედი მყურლი და მშვიდობიანი ცხოვრებისა. ერთი შეხედვით ქეთრინის დაღუპვა შოშიაბრობის დროს თითქმის მემთხვევითია, მაგრამ რომანში დამაჯერებლადაა ნაჩვენები, რომ მისი სიყვდილი ომის მიმე განცდების, მარტოობისა და დამარცხების შინაგანი, ემოციური შედეგია. ლეიტენანტ ჰენრისა და ქეთრინს ჰემინგუეი თავის რომეო და ჯულიეტისა უწოდებს. ორივე წყვილი მტრობის მსხვერპლია: რომეო და ჯულიეტა საშუალო საუკუნეებისათვის დამახასიათებელი ფეოდალური შინაომების, ხოლო ჰენრი და ქეთრინი — პირველი მსოფლიო ომის ძალმომრეობის.

ჰემინგუეი თავის ნაწარმოებებს ყოველთვის ღრმა მნიშვნელობის სათაურებს არჭმევს. შეიძლება თიქვას, რომ ჰემინგუეის მოთხრობები და რომანები არაა მწიგნობრული, აკადემიური ხასიათისა, სათაურები კი მეტწილად მწიგნობრული, ლიტერატურული წარმოშობისა. XVI საუკუნის ცნობილი ინგლისელი დრამატურგისა და პოეტის ჯორჯ ბილის ლექსის სათაური „მშვი-

¹ Carlos Baker, Hemingway the Writer as Artist, Princeton University Press, 1956, p. 83—81.

დობით, იარაღი! ჰემინგუემ უცვლელად გადამოიტანა თავისი რომანის სათაურად. პილი თავის ლექსში დასტირის უღონობას, რომ აღარ შეუძლია იარაღის ხმარება, ბრძოლისათვის დამატუნდა, ჰემინგუე კი ამ სიტყვებში სხვა აზრს აქსოვს. ჰენრის არ მოკვლევია მოქმედების უნარი, მაგრამ იგი შეგებულად ტოვებს ბრძოლის ველს, რადგანაც მას ომი სამართლიანობისათვის ბრძოლის ასპარეზად აღარ მიაჩნია.

„მშვიდობით, იარაღი“ გამოქვეყნებისთანავე ბოსტონში აკრძალეს. მუსოლინის ფაშისტური ორგანიზაციები სდევნიდნენ როგორც წიგნს, ისე რომანის მიხედვით გადაღებულ ფილმს. 1932 წელს ეს ფილმი იტალიაში დაუწვავთ. მაგრამ თვით ჰემინგუე არ დამშვიდობებია სიმართლისათვის ბრძოლის იარაღს. რომანებში „ვის უხმობს ზარი“ (1939 წ.), „მდინარის გაღმა ჰალაში“ (1950 წ.), პიესაში „მეხუთე კოლონა“ (1935 წ.), მთელ რიგ მოთხრობებსა და გამოსვლებში ჰემინგუე განაგრძობს ბრძოლის უსამართლო ომის წინააღმდეგ.

რომანი „აღმოსხმების მზე“ პირველ მსოფლიო ომში „დაღუპული“ თაობის ოციანი წლების ახალგაზრდობის მორალური გატეხილობისა და ტკივილების საუკეთესო მატჩანაა. რომანს წამდგვარებული აქვს ორი ეპიგრაფი, რომლებიც გამოხატავენ ამ რომანის ორ მხარეს.

პირველი ეპიგრაფი, — გერტრუდ სტიანის სიტყვები — „თქვენ ყველანი დაღუპული თოხა ხართ“ აჯამებს ოციანი წლების ტ. წ. „ჯაზის ეპოქის“ ახალგაზრდობის სულიერ ტრაგედიას, გამწარებულ სიხარულს. რომანის გმირები ამერიკელი ეურნალისტი ჯეიკ ბარნსი და ინგლისელი ლედი ბრეტ ეშლი ომის ვეტერანები არიან და ომის დამთავრების შემდეგაც მწვავედ განვიღობს ომში მიყენებულ ტკივილებს. ჯეიკ ბარნსს ჰემინგუეს პირველი წიგნის — „ჩვენს დროში“ — გმირის ნიკ ადამსის მსგავსად ომში მიუღია მძიმე ჭრილობა, დამღამობით აწამებს კომშარები, სიბნელეში ვერ იძინებს, ხშირად ცრემლავს ვერ იკავებს, მაგრამ ცდილობს ტკივილებს მოთმენასა და დაფარვას. ბრეტიც ომში მოწყალების დად იყო, ომშივე დაკარგა საშრო, მისი ქორწინებაც არ აღმოჩნდა ბედნიერი. ჯეიკს, ბრეტსა და ამ უქანსკენლის ვაკოტრებულ საქმის მაიკ კემპელს, რომელიც აფრთხილავს ომის ვეტერანია, აჯავშირებთ შინაგანი გატეხილობა. ისინი ერიდებიან წარსულ ტკივილებზე ლაპარაკს და თუ ზოგჯერ მათდა უნებურად მათში იღვიძებს ეს ტკივილები, ისინი დროებით ტირილსა და გულის მოთხრებას სჯერდებიან. მაღალი იდეალი, რწმენის ძიება, თავმოყვარეობა თუ მორალი ზედმეტ ტვირთად მიაჩნიათ. მათ შერჩენიათ თავდაცვის

ერთი იარაღი — დროის თანახმად ზუსტად მდებარე, უმტკივნეულო, უხიფათო თავდაცვების ძიება, გარგებული სიმშვიდე და უღარდებლობა. ჯეიკსა და ბრეტს კარგად აქვთ შეგნებულა, რომ მათი სიყვარული განუხორციელებელი დარჩება, ამიტომაც ისინი ამქვეყნიურ სიამებს ესწრაფვიან, და თავდაცვებს ლოთობაში ეძებენ, (ხოლო ბრეტე თავისუფალ სიყვარულში) და მთელი ეს წრე კი პამპლოას ფესტისა, ხარკთან ბრძოლის სანახაობასა და საერთო ღრეობაში.

მეორე ეპიგრაფი ეკლესიასტეს პირველი თავიდანაა აღებული: „ნათესავი წარგას და ნათესავი მოვას, და ქვეყანა ჰკიეს უქონისაშდე აღმოსხმების მზე, და დახმების მზე, და ადგილადე თვისდა მიიზიდოს...“. ეკლესიასტეს ამ სიტყვებში ცვალებადობის უცვლელობასა და მარადიულობაზეა ლაპარაკი. რომანის ავტორი ამ სიტყვებში ხედავს არა ამოებასა და დაღუპვის გარდევლობას, არამედ იმებს, რომ ეს გამწარებული თოხა ან დაღუპება, ან შეცვლება, ბოლოს კი ისიც წავა, ისიც არ არის მარადიული, სწორედ ამიტომაც შეურჩია ჰემინგუემ რომანს სათაურად ეკლესიასტეს სიტყვები „აღმოსხმების მზე“. საგულისხმოა 1926 წელს ცნობილ ამერიკელ მწერალს სკოტ ფიცჯერალდს პირად წერილში სწერდა, რომ, მართალია, რომანის გმირები ჯოჯობთურად იღუპებიან, მაგრამ პირადად მას არ აწუხებს ამოების პარობლემა, რომ წიგნი არ იქნება „უბრალო ან მწვავე სატირა, არამედ წყვეული ტრაგედია, რომელშიც მარად იარსებებს მიწა, როგორც გმირი“. რომანის გამოქვეყნების შემდეგ კი მწერალი გამოთქვამს რწმენას თავისი თაობისათვის, რომანის ყველა გმირს დაღუპულად არ თვლის და საერთოდ ერიდება ამ თოხას „დაღუპული“ უწოდოს: „ყველა ადამიანი ისეთი ცუდი როდია, როგორც ზოგიერთ მწერალს მიაჩნია, ან ისეთი გამოფიტული და ემოციურად დაცლილი, როგორც ზოგნი არიან (ხაზი ჩვენი. — ც. თ.).“ „შნის თაობიდან“ (იგულისხმება რომანის შემოკლებული სათაური. — ც. თ.).

რომანში „აღმოსხმების მზე“ აშკარად ისახება მეორე ხაზი — დაღუპულობის დაძლევის და ნორმალური ცხოვრების აღდგენისა, რომლის გმირად, ჰემინგუეის სიტყვებით რომ ვთქვათ, ავტორს მიწა და ბუნება ესახება. ბარნსის მეგობარი, ამერიკელი მწერალი ბილ გორდონი შეგებულბას ჯეიკთან და ბრეტთან ერთად ატარებს ესპანეთში. იგი ვენისალი, ნორმალური, ენერგიული, თავისი საქმის მოყვარული ვაჟაკია, რომელსაც ომის სუსში არ შეგებია, იგი ჯეიკს ჰკიცხავს დახვეულობისა და ექსპატ-



რიობისათვის. უფრო მეტად მოზიზილავია თავისი ჯანსაღი ბუნებით ესპანელი პედრო რომერო, შესანიშნავი ვარგუნობის პაბუკი, მტკიცე ნებისყოფის, უდრეკი და დაოსტაბეული მატადორი, მაღალი ადამიანური ღირსებისა და მორალის პიროვნება, რომელიც ბრეტს სთავაზობს თავის ერთგულ სიყვარულსა და მოუხმობს ნორმალური ცხოვრებისაკენ. დიდი სიმბათით ხატავს ავტორი ეპიზოდურ გმირებს, ესპანელ ხალხს, მათს ჯანსაღ ხალისსა და გულთაღ ურთიერთობას ადამიანებსადმი.

რომანის ლირიკული გმირი ჯეიკ ბარნსი რთული და გაორებული სახეა, სწორედ მის სახეშია გადამტყდარი რომანის ორთავე ხსენების მხრივ, იგი, როგორც ომში ტრავმირებული, ბრეტის ჯგუფის კოდექსს იზიარებს, მეორე მხრივ, ცდილობს დაძლიოს ტრავმა არა მარტო ლოთობითა და თავდავიწყებით, არამედ მიწასთან, ბუნებასთან სიახლოვით, შრომით, შემოქმედებით, ენერგიული მოღვაწეობით; იგი ხშირად ფიქრობს და ლაპარაკობს თავის საქმეზე, რეაქციაში მუშაობს და იღვწის სამწერალს საქმისათვის. ჯეიკ ბარნსი ოციანების იმ თაობის წარმომადგენელია, რომელსაც ჰემინგუეი საყუთარ თავს აუთუნებს და რომელსაც უწოდებს არა „დალუბულს“, არამედ „ნაცემს“, მაგრამ „სოლიდურს“.

რომანში „აღმოზღვების მზე“ პირველ მსოფლიო ომში ფიზიკურად და სულიერად დასახინჩებულ ახალგაზრდობას მწერალი უპირისპირებს თავის ეთიკურ და ესთეტიკურ იდეალს — ჯანსაღ, ნორმალურ ცხოვრებას, მიწის და ბუნებას, მაგრამ ამავე რომანში ჩანს, რომ მწერალმა, ისევე როგორც მისმა გმირებმა, არ იციან ამ იდეალისათვის ბრძოლის ჰემინგუეის გზა. ამიტომ არიან ეს გმირები ტრაგიკულნი და ცხოვრებისაგან დაქანცულნი. ერთადერთ გამოსავალს ჯეიკი, როგორც თვით ჰემინგუეი, ხედავს მწერლის წმინდა მოვალეობაში — რაც შეიძლება მართებულიად ასახოს ომის დამღუპველი გავლენა ადამიანზე.

ჰემინგუეის სტილი ყალიბდებოდა რთული წინააღმდეგობების გზით. მწერალი განიცდიდა მოღერწელო მწერლობისა და ლიტერატურულ მიმდინარეობათა (გერტრუდ სტიანის, შერვულ ანდერსონის, ჯემს ჯოისის, თომას ელიოტის, იმაინიზმის) სტილისტური თეორიების გავლენას. მაგრამ იმათივეთ შეთვან ითვისებდა მხოლოდ ენობრივ სისადავს, ფაქტის კონკრეტულ, ნათელ ასახვას. მეროგის მხრივ, სტენდალის, ფლობერის, ტურგენევის, ჩეხოვის, ჯოზეფ კონრადის, მარკ ტვენის, სტევენ კრეინისა და სხვა ცნობილი მწერლების მაგალითზე იგი

რეალისტური ლიტერატურის საუკეთესო სტილად იციებს იზიარებდა და აღრმავებდა.

ჰემინგუეის შემოქმედება XX საუკუნის მოდერნისტული „ზომების“ არც ერთ ლოკტრინას არ პასუხობს. მწერალს არ სწამს ვიწრო ლიტერატურული მიმდინარეობანი. წიგნში „სიკვდილი ნაშუადღევს“ ჰემინგუეი აზნობს, რომ ხელოვნება დიდი ოსტატები ქმნიან, ხელოვნებაში ყოველწინაში მიმართულება სპირითა მხოლოდ უნიკო მიმდევართა კლასიფიკაციისთვის. ჰემინგუეი ხელოვანი ითვისებს ყველაფერს, რაც მასზე ადრე შექმნილა და აღმოუჩენიათ ლიტერატურებს და თავის მხრივ კიდევ რაღაცას ახალსა და წინიშვანდოვანს უმატებს. ასეთივეა თვით ჰემინგუეის მხატვრული სტილიც, ძირითადად წარსული რეალისტური ლიტერატურის საუკეთესო ტრადიციებზე დაფუძნებული და ახალი სტილისტური ოსტატობით შევსებული და გამდიდრებული. სწორედ ამან აიძულა მოდერნისტული სტილის მეხოტბე მწერალი ქალი გერტრუდ სტიანი, რომელიც დარწმუნდა, რომ ჰემინგუეი მის თეორიებს კრიტიკულად ითვისებდა, ელიარუნინა: „იგი (ჰემინგუეი) — ც. თ). მოღერწეს წაავას და თანაც მუზეუმების სენი ადისის“.

ოციანი წლების დამლევს ჰემინგუეიმ შემდეგნაირად ჩამოაყალიბა თავისი ესთეტიკური კრედო: „დავწერო ის, რასაც მე ვხედავ და ვგრძნობ, იმდენად საუკეთესოდ და მართებულად, რამდენდაც შევძლებ მის გამოთქმას“. ჰემინგუეის სტილი რეალისტური სტილია, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ტრადიციული ეპიკური თხრობის ნაცვლად იგი სინამდვილეს ლირიკული განირის ემოციებისა და შთაბეჭდილებების განასევრო ხატავს. მწერალი პირინციპულად გმობს მოვლენის ავტორისეულ კომენტარებას, სინამდვილისადმი ავტორის დამოკიდებულების გამოვლენას მსჯელობის სახით, XIX საუკუნის ცნობილ ამერიკელ მწერალს მელვილს, რომანის „თეთრი ევშაის“ ავტორს სწორედ რიტორიკობის გამო იწუნებს. ჰემინგუეი თავის ტენდენციას მხატვრულ სახეებში აქსოვს, სურათების, მოვლენების ასოციაციებით აზროვნებს და პუბლიცისტურად არ გადმოგვცემს თავის განცდას თუ შეხედულებას. ჰემინგუეის ბუნებისათვის უტეხია ავტორისეული ჩარევები მოქმედების მსველობაში, რემარკები და ლირიკული უკანდახევები. მეტიც, იგი ხშირად თავის გმირებსაც ართმევს მოვლენათა განალოზების, განსჯისა და დასკვნების გამოტანის უფლებას. მისი გმირები მხოლოდ მოქმედებენ და განიცდიან, შეიხველი კი ამ მოქმედებისა და განცდების პრიზმაში მთელი სიმწვავით ხედავს და გრძნობს სინამდვილეს. სწორედ ამ თვალსაზრისითაა ჰემინგუეის

პროზა პოეზიის სიმალემდე აყვანილი. ძალაუნებურად ვაგონდებათ თვით ჰემინგუეის სიტყვები წიგნიდან „სიკვდილი ნაშუადღევს“; აისბერგის მოძრაობის სიღრმადე ახსენება იმით, რომ მისი მხოლოდ ერთი მერვედია ამაღლებული წყლის ზედაპირზე. ჰემინგუეის პროზას ახასიათებს ასეთივე აისბერგული შინაგანი ძალა და მოძრაობის სიღრმადე.

ჰემინგუეის პროზაში ფაქტების კონტექსტულობას ენიჭება გადამწყვეტი მნიშვნელობა. დეტალების, ფაქტების მჭიდრო თანმიმდევრობა და არა სიუჟეტური კვანძი ქმნის მოქმედების დინამიზმს. მწერალი იძლევა მხოლოდ ფაქტებს, თითქმის მათემატიკური სიზუსტით პასუხობს კითხვებზე: სად? როდის? როგორ? იგი ქმნის ამგვარი გარეგნულად ცივი ფაქტების უწყვეტ ჯაჭვს, რომელიც ინტენსიურად ისწრაფვის ფოკუსისაკენ, თანაც ფოკუსიც მოცემულია ასეთივე გარეგნულად უბრალო ფაქტის სახით. მისი საშუალებით გახსნილია ჩამოთვლილი ფაქტების შინაგანი აზრი. ჰემინგუეის სტილისტური ფორმულა გულისხმობს, რომ იგი მოვლენას ხედავს მთლიანობაში, აღიქვამს მის ფორმასა და შინაარსს და კონკრეტული ფაქტების ლოგიკური თანმიმდევრობით აღწევს მოვლენის ზოგადი შინაარსის გადმოცემას.

რომანის „აღმოხდების მზე“ მესამე თავში აღწერილია ვაზაფხულის საღამო, ჯეიკისა და ბრეტის ყველა მოქმედება გადმოცემულია ელვისებური სისწრაფით, უბრალო ფაქტებით. ჯეიკი ზის კაფეში „ნაპოლიტენ“, გაჰყურებს ქუჩას, რეკლამებს, შექნიშვნებს, მოსიერნე ხალხს, კაფეს ჩაუღლის ორი ქალი, ერთერთი მათგანი, რომელიც ბარნს უფრო ლამაზი ეჩვენა, მიუახლოვდება და მის მაგიდას მიუჯდება. ქალი, რომელსაც სახელად ჟორჟეტი ჰქვია, პარიზის ქუჩების ჩვეულებრივი მეძაგია, ჯეიკი მას უმპასიონდობდა მაგარი სასმელებით. მათ შორის გაიმდგმა საუბარი, მერე ისინი ქირაობენ ეტლს, მიდიან პარიზის ქუჩებში, შედიან ერთერთ რესტორანში, კვლავ სვამენ. ჯეიკი აქ გადაეყრება ნაცნობებს, ჟორჟეტი მათთან ერთად მიიყავს დანსინგზე, ისევ სვამენ, ჟორჟეტს ჯეიკის შექვიფიანებული ნაცნობები დასცინიან. ცეკვავენ მასთან, ბარნის შეხედება კონს, სვამს მასთან ერთად, აქვე გამოხრდება შემთვრალი ბრეტეცი, რომელიც ცარიელი ჰქვით ხელში დგას დახლთან, მოკლედ შევბრლი თმებით, მშვენიერი მოყვანილობის ქალი, კონი თვალს ვერ ამორებს, ჯეიკი უბრალოდ მიესალმება, გაეხუმრება, ბრეტეცი ავტებულად პასუხობს, მერე აკორდონისა და ბანჯოს აკომპანემენტის ქვეშ ცეკვას დაიწყებენ, ჩაუღლიან ჟორჟეტს და მათ შორის ასეთი დიალოგი გაიმართება:

„ — ნეტა რამ წამოგაყვანიან! ინტენსიული
— მე თვითონ არ ვცი. ავდექი და წაიხტეყვანიან ინტენსიული
ჯეიკი.

— რომანტიკამ წამოგარა?
— არა, მოწყენილობამ.
— ახლაც?
— არა, ახლა არა“.

ერთი შეხედვით ეს დიალოგი თითქოს მარტივი და არაფრის მთქმელია, მაგრამ კონტექსტში წინამორბედი ფაქტების კულმინაციაა, ფოკუსია, აქ ირკვევა, რომ ბარნს აწამებს მარტოობა, ბრეტის გარეშე ყოფნა და, საერთოდ, უშიზნობა. იგი სმით, თავის გართობით, უშიზნო მოქმედებით ცდილობს დაარღის გაქარვებას. მკითხველი თანდათანობით ხედება, რომ, რაც ხდება, ეს ერთია, მოვლენის ზედაპირია მხოლოდ, მთავარია ის, რაც ამ „რაც მოხდას“ უკან იწალება.

ამავე თავში ბრეტი დასტრათებულია კაფერესტრანებში მოხეტიალე ლოთ ქალად, რომელსაც გარს ქარაფშუტა ყმაწვილების წრე ახვევია. ყველა ეს ფაქტი უშიზნო დეტალბად მოჩვენებობდა მკითხველს, ფოკუსში რომ არ იყარდნენ თავს. ჯეიკი ჟორჟეტს მხიარულ ყმაწვილებს შეატოვებს, შემთვრალ ბრეტთან ერთად გამოდის რესტორნიდან, ისინი ტაქსში სხდებიან, ავტორი დეტალურად აღწერს ამ პროცესს, რთაც აღღერებს ფოკუსის მოახლოებას. ბრეტი მანქანის კუთხეში მიიყუდება, თვალბს დახუჭვის და მხოლოდ ერთ ფრაზას წარმოთქვამს: „რა უბედური ვარ, ჩემო კარგო“, სწორედ ეს სადა წინადადება კულმინაცია, რომელიც ხსნის ბრეტის მთელი საქციელის შინაგან აზრს: ლოთობა და ცინიზმი მის შინაგანი ტრევილების გასაყურებლად ესაპირება. და ბრეტი მკითხველს უკვე ქარაფშუტა ლოთად კი არ წარმოუდგება, არამედ ტრაგიკულ პიროვნებად.

ჰემინგუეი საცნაურს ხდის არა მარტო ფაქტების დინების ქვეშ ჩამალულ შინაარსს, არამედ ზოგჯერ უბრალო ფაქტში დიდ ვანოგადებულ აზრს ხედავს, სიმბოლურ მნიშვნელობას ანიჭებს ამ ფაქტს. ჰემინგუეი მიჩნეულია, ლანდშაფტის აღწერის საუკეთესო ოსტატად, მაგრამ მის შემოქმედებაში ლანდშაფტის არა აქვს დეკორატიული თუ პასტორალური ხასიათი, ლანდშაფტი მოქმედების ორგანული ნაწილია, მნიშვნელოვანი ფაქტია ფაქტების კონტექსტში და ღრმა სიმბოლური მნიშვნელობის მქონე. ჰემინგუეის ერთ-ერთი უკანასკნელი ნაწარმოებია „ბერიკაცი და ზღვა“ (1952 წ.) მთლიანად ამგვარ სიმბოლოებზეა აგებული. ამიტომაც მიიჩნეის ეს მოთხრობა არა უბრალოდ პროზაულ, არამედ ჰემინგუეის მალაპოეტურ ქმნილებად. მწერლის პირველსავე რომანებში



ასევე მრავალი ფაქტი და ლანდშაფტი ასრულებს სიმბოლოს როლს, ხსნის ნაწარმოების ძირითად შინაარსს.

ჰემინგუეი დიალოგების შესანიშნავი ოსტატია. გერტრუდ სტანიცი კი, რომელიც ჰემინგუეის თავის მოწაფედ მიიჩნევდა, მისგან სწავლობდა დიალოგების წერას. ხასიათების გამომხატველი დიალოგები საერთოდ რეალისტური ლიტერატურის ერთ-ერთი ყველაზე ნიშანდობლივი მხარეა. ჰემინგუეის დიალოგები დაწერილია უბრალო სალაპარაკო ენით, პროფესიონალური ლექსიკა თუ შემახილები ბუნებრივად მოედინება მათში. ყოველი სახე განწყობილებისა და ხასიათის შესატყვისი კოლორიტული ენით მეტყველებს.

ჰემინგუეის დიალოგებში მთავარია არა ის, რაზედაც გმირები საუბრობენ, არამედ ის, რაც ქვეტექსტშია მოცემული, რის შესახებაც გმირებს უმძიმთ საუბარი ან უბრალოდ სიტყვებით ვერ გამოუთქვამთ, მთავარია განწყობილება, შინაგანი სულიერი მდგომარეობა, რომელიც იგრძნობა, კიდევ ჩანს, მაგრამ არასდ არა პირდაპირ დასახელებული. დიალოგებში სტრიქონებს შორის ჩამალულ აზრსა და განწყობილებას, ქვეტექსტებს, მკითხველი თითქმის ისევე ადვილად სწვდება, როგორც პირდაპირ წაითხული სიტყვის მნიშვნელობას. ავტორი ამას აღწევს თავისი ძირითადი სტილისტური ფორმულით — ფაქტების ინტენსიური თანმიმდევრობით. ჰემინგუეისთან დიალოგი ფაქტების გაჯეშში მჭიდროდ ჩამჯდარი ფაქტია და მისი ქვეტექსტი იოლად გასაგებია ფაქტების კონტექსტში. ამიტომაც დიალოგებში ერთი მნიშვნელობით ნახსობი სიტყვა შეიცავს არა მარტო ამ მნიშვნელობაზე მეტს, არამედ ზოგჯერ საწინააღმდეგო აზრსაც კი.

ერთ დღეს, როცა კოკისპირულად წვიმს, ჰენრი და ქეთრინი ლაპარაკობენ წვიმის შესახებ. ჰენრის დაყენებით კითხვაზე — რატომ გეშინია წვიმისო, ქეთრინი პასუხობს — „არ ვიცი“; ქვეტექსტში კი იკითხება საწინააღმდეგო მნიშვნელობა — „ვიცი“, რადგანაც ბოლოს დიალოგი მიდის ფოკუსამდე, სადაც ქეთრინი აღიარებს, რომ ხშირად ეჩვენება საკუთარი თავი მკვდარი წვიმისო, ხოლო მთელი ამ დიალოგის ქვეტექსტის სიღრმე კიდევ უფრო ნათელი ხდება რომანის დასასრულს, როცა ქეთრინი იღუპება წვიმიან ამინდში და მკითხველს ძალუწებურად ავონდება ჰენრისა და ქეთრინის საუბარი მილანის ჰოსპიტალში.

რომანში „აღმოხდების მზე“ გმირთა რთული ურთიერთობა და სულიერი მდგომარეობა გახსნილია დიალოგებში, რომლებშიაც ლაპარაკია სმარზე, სიყვარულზე, ხარკთან ბრძოლაზე, მაგრამ ყველაზე ნაკლებად მთავარზე — შინაგან

გატეხილობაზე. გმირები ადვილად გამოხატავენ ერთმანეთს, ცდილობენ გარეგნულად უბრალოდ გამოუმეტყველონ და სიმშვიდე შეინარჩუნონ, მაგრამ ისინი ბოლომდე ვეღარ ერევიან თავს, მინც ამჟღავნებენ ხოლმე შინაგან გულსიტყვილს და ეს საქმარისია, რათა გაიხსნას მათი უზრუნველი სიტყვების ქვეტექსტი. ჯეიკი და ბილი სათუთრად მიდიან ესპანეთის მთებში; მათი მოქმედება და საუბარი ერთი შეხედვით უბრალო, უმნიშვნელო და ლალია, ისინი თითქოს მექანიკურად მოქმედებენ და საუბრობენ, მაგრამ მათი ზედაპირულად ლალი დიალოგების უკან განუწყვეტელი იგრძნობა ჩახშული ფეიქი და სევდა. ბილი, როგორც გულთხად მეგობარს, აწუხებს ჯეიკის უიღბლო სიყვარული, ჯეიკი კი, რომელიც სიმწრისაგან ლამაზობით იტრემლება, გაურბის ამ თემაზე საუბარსა და ფეიქსაც კი, მაგრამ ბოლოს ბილი ვერ ითმენს და ჯეიკს ბრეტზე ჩამოუვდებს სიტყვას, მეგობრები არც აქ ლაპარაკობენ ბოლომდე, მაგრამ მკითხველმა უკვე იცის ჯეიკის წარსული, მისი ინვალიდობა, ომის ტრავმა და ხვდება ბილისა და ჯეიკის სიტყვებშილმა დაფარულ ფეიქრთა დინებას.

განმეორებები ჰემინგუეის დიალოგებში ერთი შეხედვით მონოტონურია, მაგრამ კონტექსტში ისინი უფრო აღრმავებენ ქვეტექსტსა და აძლიერებენ განწყობილების მოზღვავებას. ბრეტი კონს იშორებს ლალატი, მიდის პედროს რომეროსთან, კონი წონასწორობიდან გამოიღის, სცემს რომეროს, შემდეგ ჯეიკს დაეტაკება, მაკნაგალსაც უწოდებს, ქუნაში დაანარცხებს მიწზე. ჯეიკი უზომოდ მთვრალია, შეურაცხყოფილი, გაოგნებული, მაგრამ კონს მინც შეიბრალებს და პიტელში მიიკითხავს, მათს დიალოგში აშკარადება საწინააღმდეგო ხასიათები: ჯეიკი და კონი ბრეტის გამო ეწამებიან, მაგრამ ჯეიკი ღუმს, კონი კი ისტერიულად მოთქვამს, ჯეიკი ამტანი სულგრძელი ვაჟაკია, ეს ისმის მის მოკლე გამეორებებში: „არაგვი“, „არაფერია“, კონი, პირიქით, სუსტი და აბრამაკაურო ხასიათისაა და ტირილით განუწყვეტლივ იმეორებს: „ვეღარ ავიტანე“, „ჯოჯოხეთი გამოვიარე“ და სხვა.

განმეორებები ავტორი მიმართავს შინაგან მონოლოგებშიც გმირთა მღელვარების, აზრისა თუ განცდის პერსპექტივების გადმოსაცემად. ქეთრინის განსაცდელის დროს ჰენრის აეკვიტება აზრი სიკვდილზე, რომელიც მის შინაგან მონოლოგში სულ უფრო და უფრო ძლიერდება, თუმცა ჰენრი ცდილობს მის დაეწყუებას და დაძლევას.

ჰემინგუეის პროზა მკეთრად რიტმული და ექსპრესიულია, რაც აიხსნება ფაქტების თანმიმდევრობის ინტენსიური განვითარებით, ჰემინ-

გუეის გმირები მეტწილად მექანიკურად მოქმედებენ, საუბრობენ, ერთობიან, ყოველ წვრილმანს გულდაგულ აკეთებენ, რათა ფიჭვის დრო აღარ დაჩნდეთ. ავტორი მისდევს თავის გმირთა ყოველ მოძრაობას, ხშირად მეტად უმნიშვნელო დეტალსაც აღწერს, რათა უფრო ნათლად გამოხატოს მოქმედების მექანიკურობა და სისწრაფე, ამიტომაც მწერალი ცდილობს მოქმედების რიტმის მიღებას წინადადებების სიჩქარით, ანუ სიმოკლეთა და რიტმულობით. აგრეთვე ავტორი რიტმულობას აღწერს ე. წ. სინტაქსური სიმეტრიულობით, ვრცდება კი რთული და მარტივი წინადადებების ერთმანეთში არევას. განმეორებებში რიტმს იყენებს ემოციური ზემოქმედების გასაძლიერებლად. მაგრამ ზომიერებისა და ბუნებრივობის გრძნობა არსად არ ღალატობს მახვილი სმენის პროზაიკოსს.

ჰეინეშვილის სტილისტური ფორმულა მოითხოვს გარკვეულ სიმკაცრესა და შინაგან სიბოლოს. მწერალი ძუნწად იყენებს გარეგანულ სამკაულებს, მხატვრულ ხერხებს, მეტაფორებს, შედარებებს, ფიგურალურ თქმებს. წიგნში „სიკვდილი ნაშუადღევს“ იგი აღნიშნავს — გამოთქმა ან მეტაფორა თავისთავად რაც უნდა შესანიშნავი იყოს, მხატვრულ ნაწარმოებში მისი გამოყენება დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მის გარეშე მწერალი ვერ გამოხატავს სათქმელს და ვერაფრით ვერ შევსდის. ჰეინეშვილის სადა, შეკრულ სტილში იშვიათად ჩნდება ორნამენტები, მხატვრული ხერხები, და, თუ ჩნდება, იმდენად ლაკონურად და ლოგიკურად ჯდება მთელ კონტექსტში, რომ მკითხველს შთაბეჭდილება ექმნება — ავტორი მათ გარეშე სურათს მართლაც ვერ გადმოგვცემდა.

ჰეინეშვილის ენობრივი თავისებურება, პარადოქსულად რომ გამოთქვით, მის არათავისებურებაში მდგომარეობს. მწერლის სტილს შეესაბამება მისი ენაც — მოკლე, სხარტი, დაწურბული წინადადებები, მარტივი და ნათელი, უბრალო სალაპარაკო მასალა, ვაგრცელებული, ყოველდღიური ხმარებით გაცვეთილი სიტყვები და გამოთქმები. ჰეინეშვილისათვის არ არსებობს სიტყვა წონის გარეშე, არ არსებობს სიტყვა პოეტური და არაპოეტური, იგი უბრალო, ავადგულე ხმარებით დაჩაღუნებულ სიტყვას ისევე აიკისხება, ისევე წერთნის, ლესავს და მკითხველს უბრუნებს მაღალი ღირსებით, მასთან ყოველი სიტყვა მნიშვნელოვანია და მოცემულ კონტექსტში ისე ღრმადია ჩამჯდარი, რომ მისი გადაადგილება ეკითხველს არბრუნებულ ანსამბლს დანგრევით ემუქრება.

ჰეინეშვილი ყოველთვის დიდხანს წერდა და ვერ ელეოდა ხელნაწერს, მანამ არ აქვეყნებდა,

სანამ საბოლოოდ არ დახვეწდა. ოციანე წლებში ბის დამდევს, როცა პარიზის ბულვარებში კაფეებში უაზროდ იფლანგებოდა მრავალი ნიჭიერი ახალგაზრდის ენერგია, ჰეინეშვილი, შეხიზნული ლათინურ კვარტალში, თავგამოდებით შრომობდა და ებრძოდა პოზიორ ხელოვანთა უსაქმურობას, გაუმართლებელ ამპარტანულ და მოვიდებულებას ქეშმარიტი ხელოვნების მიღწევებისადმი: „ენერგიას, რომელსაც ქეშმარიტი ხელოვანი ახშარს თავის შემოქმედების საქმეს, თუ ისინი ხარჯავენ ყბედლობაში იმის შესახებ, რომ ისინი გაკეთებას აპირებენ, ანდა იმით არიან ვართუნი, რომ კიცხავენ ასე თუ ისე აღიარებულ ხელოვანთა შემოქმედებას, — წერდა ჰეინეშვილი 1922 წელს, — ხელოვნების შესახებ ყბედობით ისინი ღებულობენ ისეთსავე კმაყოფილებას, როგორსაც ქეშმარიტი ხელოვანი ღებულობს თავისი შემოქმედებით“.

ჰეინეშვილისავე ბევრი მეგობარი ჰყავდა, ისიც ხშირად ესტუმრებოდა ხოლმე პარიზის კაფერესტორნებს, გატაცებული იყო სპორტით, ხან გერმანიაში მიემგზავრებოდა სათხილამუროდ, ხან ველოსიბიებით გადიოდა სორიულ გზებზე, ჩერდებოდა მივარდნილ სოფლებში, ხან რეპორტიორად მუშაობდა, ხან კორექტორად. მაგრამ თავის ღვიძლ საქმეს დაძაბული გულმოდგინებით, ვაკაცური ნებისყოფით შეუფლებოდა და სწორედ პარიზის პერიოდში შეიმუშავა ის ოსტატობა და მხატვრული სტილი, რომელიც მის პირველსავე კრებულში, შემდეგ კი რომანებში „აღმობების მზე“ და „შევიდობით, იარაღი!“ მთელი ძალით გამოვიდინდა.



ერნესტ ჰეინეშვილის შემოქმედება არ განისაზღვრება ანტიმილიტარისტული თემითა და ომში ნაყოფი თაობის დაღუბულობის პრობლემებით; მწერლის შემოქმედების შემდგომი ეტაპები, მოყოლებული ოცდაათიანი წლებიდან სიკვდილის უკანასკნელ დღემდე, გამსჭვალულია ძლიერი ხასიათებისა და დამუცხებულობის პორტენციის ძიებით, რომელმაც მწვერვალს მიაღწია მოთხრობაში „ბერიკადი და ზღვა“. იგი მუდამ ეძიებდა ახალ-ახალ მწვერვალს. მართალია, მწერალი ღრმა შინაგანი წინააღმდეგობებით ვადროდა ან გზას, არ ივიწყებდა თავის პესიმისტურ შეხედულებას, რომ „გამარჯვებულს არაფერი ხდება“, რომ თვით ბრძოლა ამოა, მაგრამ არსად არ უღალატნია სიმართლისა და ჰუმანიზმისათვის. იგი დაეინტერესებდა ბუნებრივ ადამიანს, რომელსაც ძალის აძლევს არა რელიგია და ილუზიები, არამედ მისივე ადამიანურობა, პირდაპირობა, სიმამაცე და ხასიათის სიმტკიცე.

ჯამბაე ჭამბურიძე

ილია — ლიტერატურის კრიტიკოსი

(60-იანი წლები)

60-იანი წლებიდან ეროვნული ლიტერატურის განვითარებას სათავეში ჩაუდგია ილია ჭავჭავაძე და ნახევარი საუკუნის მანძილზე „ქალთით ატარა“ ჩვენი მწერლობის ბედი და უბედობა. ბუნებრივია, თუ ასეთი დიაპაზონის შემოქმედის საქმიანობა სალიტერატურო კრიტიკის სფეროსაც გადასწვდა და იქ წარუშლელი კვალი დატოვა. ილიამ საბოლოოდ განსაზღვრა ახალი, რეალისტური ესთეტიკისა და სალიტერატურო კრიტიკის პრინციპები. ილია ის ხელოვანია, რომელიც სამოღვაწეო ასპარეზზე უკვე ჩამოყალიბებული, გამოკვეთილი თვალსაზრისით გამოვიდა და ამ თვალსაზრისს შეუფარდა თავისი მხატვრული შემოქმედება. ქართული ლიტერატურის ისტორიკოსებს არა ერთხელ აღუნიშნავთ, რომ ილია საოცრად მონოლითური ჰიროვნება იყო და მწერლის ზოგადი თვალსაზრისი თანმიმდევრულად ისხამდა ხორცს მისი პრაქტიკული საქმიანობის დროს. ამიტომ უფლება გვაქვს ვილაპარაკოთ არა მარტო მწერლის ცალკეულ კრიტიკულ შენიშვნებსა და წერილებზე, არამედ ილიას ზოგად ლიტერატურულ პრინციპებზე, ილიას ხელოვნების თეორიაზე. რა თქმა უნდა, არ უნდა ვიფიქროთ, რომ ამ პრინციპებში პირველად ქართული მწერლის შემოქმედებაში იჩინა თავი. ცხადია, ეს პრინციპები საუკუნეთა განმავლობაში შეიძუშვავა ესთეტიკური აზროვნების ისტორიამ, ხოლო მე-19 საუკუნეში ისინი ახლებურად გაიაზრეს და გარკვეული სისტემის სახით ჩამოყალიბებს ილიას უფროსმა თანამედროვეებმა: ბ. ბელინიკიმ, ნ. ჩერნიშევსკიმ, ნ. დობროლუბოვმა. ილიამ ორგანულად შეისისხლბორცა ეს პრინციპები და თავის საკუთრებად აქცია. მან მიიღო ეს ახალი თვალსაზრისი, რადგან ამას კარნახობდა მწერალს ქართული სინამდვილე, მშობლიური ლიტერატურის განვითარების ინტერესები, საკუთარი მხატვრული მეთოდი. ხელოვნების ეს ზოგადი პრინციპები ილიამ არა მარტო შესანიშ-

ნავად შეუფარდა ჩვენი ქვეყნის სასიციცხლო მოთხოვნილებებს, არამედ ზოგჯერ საცესებით ახლებურად გაიაზრა ისინი და ხშირ შემთხვევაში გააფართოვა საკითხების სფერო, რამდენადაც ამას ეროვნული მწერლობის თავისებურება საკურობდა. ამიტომ ილიას უფლება ჰქონდა განეცხადებია:

„ჩვენდა საბედნიეროდ, ვიტყვი, რომ ზოგნი ჩვენში, რუსულ ლიტერატურის მეოხებით გაზრდილნი და გაწურთვნილნი, ასე ბრმად ტყვედ არ მისცემიან ამ ლიტერატურის აუცილებელ შემოქმედებას. ამათ ჯერ გამოუძიებიათ მისი გამოანარკვევნი და მერე ისე ან შეუთვისებიათ, ან უარუყვიათ. ჩვენდა სახელგეშოდ, მართო ამას არ დასჯერებია: იმაე კრიტიკით და გამოძიებით მზარდამზარ ასდევნებია ან ლიტერატურის წინსვლასა, წარმატებას და არ გაჩერებულან მის რომელსამე ხანაზედ“¹.

ცნობილი ეპიგრაფი, აღებული ბელინიკიდან, რომელიც ი. ჭავჭავაძემ 1861 წელს წაუშლდვარა თავის „პასუსს“, უკვე მიუთითებდა იმ კავშირზე, რომელიც რუს რევოლუციონერ-დემოკრატებსა და ქართველ სამოციანელებს შორის არსებობდა და თანაც ნათელყოფდა, თუ რა მოთხოვნებს უყენებდა ქართველი მწერალი ლიტერატურასა და კრიტიკას.

იმის შემდეგ, რაც დავით რექტორმა „კრიტიკის“ თავისებურთ, პრიმიტიული განმარტება მოგვცა, ორმოცმა წელმა განვლო. ამ ხნის განმავლობაში ეს სიტყვა დამკვიდრდა ქართულ მწერლობაში, იგი მეტ-ნაკლები სისწორით იხმარებოდა ჩვენს პრესაში, აღიარებული იქნა სალიტერატურო კრიტიკის მნიშვნელობა, მაგრამ ცნების განმარტება, მისი სრული მეცნიე-

¹ ი. ჭავჭავაძე, თხზულებათა სრული კრებულის, პ. ინგოროყვის რედ., ტ. VIII, 1957, გვ. 333.

რული ასნა პირველად ი. ჰავეკავაძემ მოგვარა და თავის „პასუხში“.

მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ ჰუმბოლტი კრიტიკის წარმოდგენილია იმ უნარის გარეშე, რასაც „თვითმსჯელობა“ და „თვითმხედველობა“ ჰქვია („რა მიზეზია, რომ კრიტიკა არა გვაქვს“).

ილიას მსჯელობიდან ისიც გამომდინარეობს, რომ არსებობს კრიტიკული ანალიზის სხვადასხვა მეთოდი. თვით ილიასთვის უცხო იყო დოგმატური და მეტაფიზიკური კრიტიკა, ასევე უარპყობდა იგი განხილვის იმპრისიონისტულ მანერას. ილია ნათელი წარმომადგენელია იმ ტენდენციისა, რომელსაც კრიტიკის ისტორიაში „განმანათლებლურ კრიტიკას“ უწოდებენ (ა. ლუნჩარსკი). კრიტიკული ანალიზის დამაჯერებელი კრიტერიუმები, არგუმენტაცია და ბელოვების საზოგადოებრივი ღირებულებების თვალსაზრისით შეფასება — აი რა განსაზღვრავს ილია-კრიტიკოსის პოზიციას. დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ი. ჰავეკავაძე „ისტორიული კრიტიკის“ პრინციპებსაც. ყოველივე ეს კი საშუალებას აძლევდა ქართულ მწერალს ღრმად გაეშუქებინა ლიტერატურის პრობლემები და დაესახა ეროვნული მწერლობის განვითარების პერსპექტივა.

ილია იმ მწერალთა კატეგორიას ეკუთვნოდა, რომლებიც არა მარტო შედევრებს ქმნიდნენ, არამედ აგრეთვე ღრმად უფიქრდებოდნენ მხატვრული ფენომენის ბუნებას, ეძიებდნენ ხელოვანის ადგილს პიროვნებისა და საზოგადოების ცხოვრებაში და ცდილობდნენ თავიანთი შემოქმედებითი ძიების თეორიულად გააზრებას. ილია თავიდანვე დაკვირვებდა ხელოვნების ფუნქციას, სპეციფიკას და, ჯერ კიდევ ჰაბუკს, გაუცვნიდა სათანადო ლიტერატურა. ჩვენამდე მოღწეულია ი. ჰავეკავაძის სტუდენტობისდროინდელი ორი ფრაგმენტი, რომლებშიც ავტორი გაკვირვებულად ესთეტიკის რამდენიმე ძირითად საკითხს ეხება.

მაგრამ ამ მხრივ მასაკუთრებით მნიშვნელოვანია ილიას პირველი დამუშავებული სტატია — „ორიოდ სიტყვა თავად რევან შალვას ძის ერისთავის კახოვის-მერ „შეშლილი“-ს თარგმნაზედა“, რომელიც 1861 წელს გამოქვეყნდა „ციცკარში“ (№ 4). ამ წერილმა ნათელიყო არა მარტო ავტორის, არამედ, საერთოდ, ახალი თაობის ლიტერატურული პოზიცია. უკვე აღნიშნულია, რომ ილიას „ორიოდ სიტყვას“ ლიტერატურული მანიფესტის მნიშვნელობა ჰქონდა. ამ სტატიამ ჩვენს სინამდვილეში ისეთივე როლი შეასრულა, როგორც თავის დროზე ფრანგული რეალიზმის ისტორიაში სტენდალის სტატიებმა, ანდა შანფლერის წიგნმა „რეალიზმის შესახებ“.

„ორიოდ სიტყვას“ მოჰყვა „პასუხი“ („ციცკარი“, 1861, № 6), შემდეგ კი საპროგრამო წე-

რილი „საქართველოს მოამბეზედ“ („საქართველოს მოამბე“, 1863, № 1). ძირითადად ამ სტატიებში ჩამოაყალიბა ი. ჰავეკავაძემ 60-იან წლებში რეალისტური ხელოვნების პრინციპები და საბოლოოდ დაამკვიდრა ისინი ქართულ მწერლობაში.

უწინარეს ყოვლისა, ილიამ იმ გარემოებას მივუთითა ყურადღება, თუ რა ტენდენციის მიხედვით უნდა განვითარებულიყო ჩვენი მწერლობა, მაშასადამე, რა ლიტერატურულ მიმართულებას უნდა განესაზღვრა მისი ხასიათი. ბუნებრივია, რომ არსებულ ვითარებას ილია მხოლოდ და მხოლოდ რეალისტური სკოლის პოზიციებიდან აფასებდა, რეალიზმი მიაჩნია ერთადერთ მეთოდად, რომელიც მოწოდებულია მხატვრული სიმაართლით ასახოს სინამდვილე და ეროვნული ლიტერატურის განვითარება სწორი გზით წარმართოს. ამიტომ იყო, რომ ილიამ უპირველესი იერიში იმ მიმართულებაზე მიიტანა, რომლის გაკლენითაც, ილიას აზრით, შექმნილი იყო ივანე კობლევის „შეშლილი“, ქართულად გადმოთარგმნილი რ. ერისთავის მიერ. ი. ჰავეკავაძემ სენტიმენტალიზმს ისტორიული თვალსაზრისით შეხედა და მიიჩნია, რომ ამ მიმართულების ნიმუშების გადმოღობას ქართულ ენაზე სარგებლობის შოტანა არ შეეძლო ეროვნული მწერლობის შემდგომი განვითარებისათვის. სენტიმენტალიზმი, როგორც მიმართულება, უკვე ისტორიას ეკუთვნოდა და მისი ტენდენციები სრულებით არ ეხმარებოდა ჩვენი ლიტერატურის სასიცოცხლო მოთხოვნილებებს. ევროპისა და რუსეთის ლიტერატურის ისტორიაში სენტიმენტალიზმი განვლილი ეტაპი იყო და ქართულ მწერლობას, რომელიც 60-იან წლებში ახალი ძალით იწყებდა აღორძინებას, განსხვავებული ინტერესები და მიზანდასახულობა ჰქონდა.

ილიას დიდი დამსახურება სწორედ ის არის, რომ ჩვენს სინამდვილეში მან პირველად მოგვარა ლიტერატურული მიმართულებათა ანალიზი, დაახასიათა სენტიმენტალიზმის ბედი ევროპასა და რუსეთში და დაასაბუთა როგორც სენტიმენტალიზმის დრომოქმელობა, ასევე ახალი, რეალისტური ხელოვნების პრინციპების უპირატესობა.¹

სენტიმენტალიზმის დაახასიათებთა და ქართული მწერლობის საპირობების ანალიზით ილიამ ისიც დაგვანახა, რომ იგი იმთავითვე ემიჯნებოდა ევოლუციონისტურ თეალსაზრისს, რომელმაც მე-19 ს. დამლევსათვის საქმოდ მოიკიდა ფეხი ქართულ კრიტიკაში. ილიას არ მიაჩნდა საჭიროდ და შესაძლებლად, რომ ქართულ

¹ ს. უმიკავილი აღნიშნავს, რომ „თვით ამ სიტყვის შემოღება, „მიმართულება“, ი. ჰავეკავაძის ეკუთვნის“ („კრებული“, 1872, № 8 — 9).



მწერლობაში თავი ეჩინა ყველა იმ ტენდენციას, რომლებიც დამახასიათებელი იყო ევროპისა და რუსეთის ლიტერატურისათვის.

ესაბიძ, თავისი ზოგადი ლიტერატურული თვალსაზრისის მიხედვით დაახასიათა ილიამ სხვადასხვა მიმართულების წარმომადგენლები — ბაირონი, ანდრე შენიე, ა. მიცევიჩი... განსაკუთრებით კი ი. კოზლოვი და ნ. კარაშჩინი. ამ უკანასკნელთა შეფასების დროს ილია საგნებით იხიარებს ნ. ბელინსკის შეხედულებებს. ამის თაობაზე თვით ქართველი კრიტიკოსი მიუთითებს: „მე კოზლოვზედ ახალი არა მითქვამს-რა. მე ისა ვსაქვი, რასაც მთელი განათლებული რუსეთი ამბობს“.¹

დასასრულ, ისიც უნდა ითქვას, რომ ილიას მსჯელობაში მიმართულებათა შესახებ ცალკეული ფაქტის მეტ-ნაკლებად სწორად დახასიათება კი არ არის მთავარი, არამედ ის წამყვანი პრინციპი, რომელზეც ქართველ მწერალს საშუალება მისცა ღრმად გაეშუქებინა იმდროინდელი ვითარება, დაეგმო მოძველებული ლიტერატურული ტენდენციები და ფართოდ გაეხსნა გზა რეალისტური ხელოვნებისათვის.

მეორე მნიშვნელოვანი საკითხი, რომელსაც შეეხო ი. ჭავჭავაძე 60-იან წლებში, მთარგმნელობითი მუშაობის პრინციპების გარკვევა იყო. სენტრალისტობის, როგორც მიმართულების, ავტორიანობის ჩვენებად ამ მეორე საკითხის გადამწყვეტის საჭიროება იკვეთება.

ილიას დიდი დამახებრება ისაა, რომ მან დაასახლეთ თა რეალისტური მთარგმნის პრინციპები და ფართო კრიტიკული ანალიზის საფუძველზე უჩვენა არა მარტო ის, თუ რა არ უნდა მთარგმნილიყო, არამედ, რაც მთავარია, კონკრეტულად მიუთითა რა უნდა მთარგმნილიყო და როგორ მთარგმნილიყო ქართულად. ილიამ საბოლოოდ განსაზღვრა მთარგმნელობითი საქმიანობის ძირითადი პრინციპები და, მასთანადავ, ამ მხრივ გვარკვეა მუშაობის შემდგომი გზაც. ყოველივე ეს ილიამ წარმოადგინა დიდი ერთდროის მქონე კრიტიკოსის მისაზრებით და მთარგმნის კონკრეტულ საკითხებზე მსჯელობის დროსაც ნათელყო, თუ როგორი იყო საერთოდ ქართული რეალისტური მწერლობის განვითარების გზა და მთარგმნელობითი მუშაობის გონივრულად წარმართვას რაგვარად შეეძლო ხელი შეეწყო ეროვნული ლიტერატურის განვითარებისათვის.

ი. ჭავჭავაძემ თავის პირველსავე წერილში მოგვარწადა სენტრალისტური მიმართულების ანალიზი, შემდეგ დაახასიათა ი. კოზლოვი,

როგორც ამ მიმართულების წარმომადგენელი ცალკე გამოყო კოზლოვის „შეშლილი“ და, დასასრულ, საგანგებოდ დაახასიათა აღნიშნული პოემის ქართული მთარგმნი. ილიამ იმათივე სანიშნუყო კრიტიკული ანალიზი წარმოადგინა მკითხველს. და, უნდა ითქვას, რომ ქართული კრიტიკის ისტორია მანამდე არ იცნობდა მსგავსი ხასიათის სტატიას, რომელშიც მოცემული იქნებოდა ობიექტის ასეთი დამაჯერებელი და ყოველმხრივი განხილვა.

ილიამ თავიდანვე კატეგორიულად მოითხოვა, რომ საგანგებოდ შეჩვენულიყო მთარგმნი მასალა, ყველაფერი ხელაღებით არ გადმოვლით ქართულად, გაეთვალისწინებინა ჩვენი მწერლობის საჭიროება და მე-19 ს. ქართული ლიტერატურა, რომელიც არც თუ ისე განვითარებული იყო მთარგმნებით, გაემდიდრებინათ იმ მწერალთა შემოქმედებით, რომელთაც ლიტერატურის ისტორიაში გარკვეული კვალი დატოვეს. უჩვენა რა კოზლოვისა და მისი ყოფილი მწერლების უვარგისობა, ილიამ კონკრეტულად მიუთითა, თუ ვის გაცნობას საჭიროებდა ქართული ლიტერატურა:

„მართლა-და საყვირველია! თუ კაცს რუსულიდან მთარგმნა უნდა რისამე, პუშკინი, ლერმონოვი, გოგოლი როგორ უნდა დაეაწყდეს და მიეარდეს წიარბლიანს კაზლოვსა, მერე ნეტავ იმის ცუდ პოემებში უტუდესი მაინც არ ამოერჩივა თავად ერისთავს. ეს „შეშლილი“ — მართლა, რომ შეშლილი — რა სათარგმნელია?!“¹

რატომ დაიწერა ი. ჭავჭავაძემ ი. კოზლოვის აღნიშნული პოემა?

უწინარეს ყოვლისა, იმიტომ, რომ „შეშლილი“ არ არის ეროვნული ნაწარმოები, მასში არ ჩანს ეროვნული ხასიათები. მწერალი ვერ ახერხებს რუსი ხალხის სულიერი თვისებების ჩვენებას, ნაციონალურ თავისებურებათა გამოკვეთას. ილია წერს:

„ბუნება „შეშლილს“ ქვეშ აწერია რუსული მოთხრობა, მაგრამ ამ მოთხრობაში მართალია, ზარი, მარხილი და იემშიცი თუ არის რუსული, თორემ სხვა არაფერი. ქართველმა ბევრიც რომ იკითხოს, არამც თუ ეს საშინელი მთარგმნი თავად ერისთავისა, არამედ ათი-ათასჯერ უყუთესი, მაინც იქნება არა გამოვიდეს-რა: ათი-ათასჯერ ათაფერი მაინც არაფერია; ბევრიც რომ წაიკითხოს, მაინც ქართველი ვერ გაცნობს ფრჩხილის ოდენსაც რუსის სოფლის გოგოსა, იმიტომ რომ ეს შეშლილი გოგო, თუმცა კაზლოვი ამბობს რუსისააო, მაგრამ რუსის სარაფანიც არ აცვია ზედე; ეგ რაღაც ურუსო

¹ ი. ჭავჭავაძე, პასუხი, თბ. სრ. კრებული, III, გვ. 35.

¹ ი. ჭავჭავაძე, ორიოდე სიტყვა „შეშლილი“-ს მთარგმნაზედა, თბ. სრ. კრებული, ტ. III, 1953, გვ. 12.

რუსია, კაზლოვის ფანტაზიის შვილი, და არა რუსის ცხოვრებისა¹.

ეს არის კოზლოვის პოემის ნაელი, რომელიც ჯერ კიდევ ბელისკიმ აღნიშნა. ილიამ კი თავისი მსჯელობით ჩვენს სინამდვილეში განსაკუთრებით გაამახვილა ყურადღება ნაციონალური ლიტერატურის ბუნებაზე, ნაციონალური ხასიათების შექმნის აუცილებლობაზე. მართალია, ქართული კრიტიკის ისტორიაში ეს საკითხი უფრო ადრეც დაიხვა (თეიმურაზ ბატონიშვილი, მ. თუმანიშვილი, ნ. ბერძენიშვილი), მაგრამ 60-იან წლებში ილიამ კიდევ უფრო ფართოდ გააშუქა იგი და ახალი მასალის ანალიზით უჩვენა, თუ რა ჰქმნის ეროვნული მწერლობის სულს, რომ ერის სულიერი ფიზიონომიის გამოხატვის გარეშე არ არსებობს ნაციონალური მწერლობა. ერთი სიტყვით, ილიამ კვლავ შეკეთრად დასვეტრებული ლიტერატურის საკითხი და ამით 60-იანი წლების ქართულ მწერლობასაც გაუთვალისწინა ქუშმარიტი შემოქმედების ურთულესი პრობლემა. აქვე ილიამ უჩვენა, რომ ეროვნული ლიტერატურის შექმნა დიდ მხატვრულ განზოგადებას, ღრმა ტიპიზაციას ეფუძნება.

შეორე მიზეზი, რის გამოც ილიამ მკაცრად გააკრიტიკა ი. კოზლოვის პოემა, ის არის, რომ „შეშლილი“ მხატვრულად სუსტი ნაწარმოებია. უსუსურია მწერლის გამოსახვის საშუალებანი. კოზლოვი ვერ ახერხებს გმირთა სულიერი სამყაროს გახსნას და მხატვრული დამაჯერებლობით ჩვენებას. ყალბია გმირთა ბუნების ფსიქოლოგიური ანალიზი, არ ჩანს ქუშმარიტი ღრამატრიზმი. ილია განსაკუთრებით აღნიშნავს, რომ ხელოვნების ნაწარმოებში მხატვრული სხის სიმართლეს უნდა განსაზღვრავდეს დამაჯერებელი სიტუაცია, გმირის ხასიათი უნდა იხსნოდეს მოქმედების მანძილზე, პერსონაჟის ქცევასა და შეტყვევლებაში და არამედ აარამე ავტორის რემარკებში. მწერალმა გმირის ბუნება უნდა გვიჩვენოს და არა ამტკიცოს მისი ხასიათის ესა თუ ის თავისებურება.

საყურადღებოა, რომ თავისი აზრის დასასაბუთებლად ილიამ მოიშველია მსოფლიო ლიტერატურის ნიმუშები, კერძოდ კი შექსპირის ტრაგედიები. ეს გარემოება იმ მხრივაც აღსანიშნავია, რომ ჩვენს სინამდვილეში ი. ჭუბავაძემ ფართო ასპექტით დაუწყაო განხილვა ლიტერატურულ ფაქტებს. წინამორბედი კრიტიკოსების მოკრძალებულ ცდას, გაეფართოებიათ კრიტიკული მსჯელობის არე და ქართული მწერლობისა და ენის საკითხების ანალიზის დროს ასე თუ ისე გაეთვალისწინებიათ ლიტერატურის განვითარების საერთო ანალოგიური პროცესი, ილიამ მძლავრი ბიძგი მისცა. ილია პირველი ქართველი კრიტიკოსი იყო, რომელიც ხელოვნების ცალკეულ საკითხებზე მსჯელობდა მსოფლიო ლიტერატურის გამოცდილებას, ხოლო ეროვნული მწერლობის დახასიათების დროს არ ერიდებოდა პარალელებს და, საერთოდ, ქართველ მეთიხველს უთვალისწინებდა მსოფლიო ლიტერატურის ტენდენციებისა და ფაქტების მონებობისა და განზრახვის საჭიროებას. უკვე 60-იან წლებში მან დამაჯერებლად უჩვენა, რომ ყოველი ეროვნული მწერლობა მსოფლიო ლიტერატურული პროცესის ორგანული ნაწილია. ამით ილიამ ქართულ კრიტიკას ფართო თვალთვლება მიახინიჭა და საერთოდ, იგი გაუთანაბრა იმდროინდელი კრიტიკული აზროვნების დონეს. ეს არის ი. ჭუბავაძის, როგორც კრიტიკოსის, ერთი უეჭველი დამსახურება.

ილიამ დაწვრილებით განიხილა „შეშლილი“ ქართულ ენაზე და ამ ერთი ფაქტის მავალითზე უჩვენა, თუ, საერთოდ, როგორი არ უნდა იყოს თარგმანი. რევაზ ერისთავის თარგმანში ილიას საშუალება მისცა ზოგადად ჩამოეყალიბებინა პოეტური თარგმანის პრინციპები, განესაზღვრა მისი პოეტიკა და ტექნიკა.

ილიამ აღნიშნა, რომ როგორი ცუდიც არ უნდა იყოს კოზლოვის ნაწარმოებები, მთარგმნელი ვალდებული იყო დაეცვა სიზუსტე და არ დაემთხინჯებინა დედანი. კრიტიკოსმა მიუთითა აზრობრივი, სტილისტური და ენობრივი შეუსაბამობის მრავალ მაგალითზე.

ილიამ მოიყვანა იმის დამაჯერებელი ნიმუშები, რომ თარგმანის მრავალი სტროფის აზრი სრულებით გაუგებარია, რომ რითმების „მწყობრ ხმოვან ბრახბარებს“ ეწირება ლექსის შინაარსი. ილიამ განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია ენის, საერთოდ სტილის დამახინჯების ფაქტებს და აღნიშნა, რომ ფრაზის არქართული კონსტრუქცია, იმის მსგავსი, როგორცაა „ხელი გავეწიე ფეხი“, რ. ერისთავის თარგმანში ძალზე ხშირად გვხვდება.

ილიამ უჩვენა მეთიხველს, რომ მთარგმნელმა ორი ენა მაინც უნდა იცოდეს ზედმიწევნით: დედნის ენა, ე. ი. საიდანაც თარგმნის და ის ენა, რომელზეც თარგმნის. ილიამ მრავალი კონკრეტული ენობრივი მავალითის მოყვანით ცხადჰყო, რომ რ. ერისთავი, ყოველ შემთხვევაში მშობლიურ ენას, სუსტად ფლობდა.

ილია არ ეკუთვნოდა იმ კრიტიკოსთა რიცხვს, რომლებიც ხელადღებით ყოველ წერილმანს გამოეციდებინა დედალიბონ რაღაც ან უნდა დაუჯდოთ გააბიაბრონ მსჯელობის ობიექტი. ილია, რა თქმა უნდა, ითვალისწინებდა, რომ პოეზიას თავისი სპეციფიკა გააჩნია და იგი (პოეზია) ზოგჯერ უშუალო ენობრივი ნორმებიდან გადახვევისაც კი, რომ ე. წ. „პოეტური სილაღე“ (l'ecentia poetica) ხელოვანის უფლებია. სწორედ ამას გულისხმობდა კრიტი-

¹ ი. ჭუბავაძე, თოროდე სიტყვა „შეშლილი“-ს თარგმანზედა, თხზ. სრ. კრებული, III, გვ. 14.



კოსი, როდესაც ერთ ტაეპთან დაკავშირებით —
„ევე ყოველი სახელოვნება
არის საიდუმლოს აღსაარება“ —

შენიშნავდა:

„ა აღსარებაში მოუმატინა, რადგანაც სიღაბი არ გამოდოდა, მაგრამ ეგ პოეტური სიღაბე, მიეტყუებას! მაგრამ ილიას დაუშვებლად მიანინადა ყოველგვარი დამახინჯება ენისა, იგი, უფინარეს ყოვლისა, მხატვრულ ლიტერატურას აკისრებდა ენის სიწმინდის დაცვას და ამიტომ კატეგორიულად აცხადებდა:

„სამი ღეთაებრივი საუნჯე დავერჩა ჩვენ მამა-პაპათავან: მამული, ენა და სარწმუნოება. თუ ამითაც არ უპატრონეთ, რა კაცები ვიქნებით, რა პასუხს ვავსებთ შთაბრძნელობას? სხვისა არ ვიცი თუ ჩვენ-კი შშობელ მამასაც არ დაუთმობდით ჩვენ შშობლიურ ენის მიწმინდან ვასწორებას“¹.

ილია ჭავჭავაძე, რომელიც უმთავრეს ყუარადღებას ყოველთვის აქცევდა ნაწარმოების შინაარსობრივ-იდურ მხარეს და სავანგებოდ აღნიშნავდა აზრის მნიშვნელობას (ილიას კარგად აბსოვდა ბელისის ნათქვამი: „Надо содержанием оправдать форму“), სქემატურად, ცალმხრივად როდი უდგებოდა საკითხს. მას ჩინებულად ესმოდა, რომ შინაარსი ყოველთვის ეძიებს თავის შესატყვის ფორმას და მის ვარეშე იგი არ არსებობს. სწორედ ზემოაღნიშნული მსჯელობითაც ილიამ ნათესუყო, რომ იგი ერთნაირად მოითხოვდა შინაარსისა და ფორმის სისრულეს, რომ მისთვის ხელოვნების ქეშმარიტი ნაწარმოები, ორიგინალური, თუ ნათარგმნი, უფინარეს ყოვლისა გულისხმობდა შინაარსისა და ფორმის მთლიანობას. ჯერ კიდევ 60-იან წლებში მან კატეგორიულად გაილაშქრა ყოველგვარი ფორმალისტური ვარეშის წინააღმდეგ. ამავე დროს ილიამ, პირველმა ქართული კრიტიკის ისტორიაში, სავანგებო ყურადღება მიჰქცია მხატვრული ქმნილების ფორმალურ მხარეს, პირველად ფართოდ განიხილა ნაწარმოების ენობრივ-გამოსახებითი საშუალებანი და ამით საფუძველი ჩაუყარა „ესთეტიკურ კრიტიკას“, ნაწარმოების მხატვრულ ანალიზს.

ერთი უმთავრესი საკითხი, რომელიც რეალისტური ხელოვნების თეორეტიკოსს უნდა გაეშუქებინა, ლიტერატურისა და ცხოვრების ურთიერთობა იყო. ამიტომ, ბუნებრივია, რომ ი. ჭავჭავაძეც სავანგებოდ განიხილავს ცხოვრებასთან ლიტერატურის მიმართებას და სავსებით ნათლად აყალიბებს თავის თვალსაზრისს. ჯერ კიდევ

1861 წელს ილია თამამად აცხადებდა: „ჩვენთვის მიაღწია ილიას კარგად გვესმის დამოკიდებულმა ხელოვნებისა, პოეზიისა ხალხთა ცხოვრებაზედ“¹. ილიას მსჯელობის უპირველყოფი თხზის არის, რომ ხელოვნება „იზიდავს ცხოვრებასთან“, იგი რთული საზოგადოებრივი ურთიერთობის შედეგია. ამიტომ ხელოვნება ასახავს ცხოვრებას, ხელახლა წარმოქმნის სინამდვილეს. იგი არც შეიძლება არსებობდეს სინამდვილას გარეშე, თუთ ხელოვნების სპეციფიკა განსაზღვრავს ცხოვრებასთან მის დამოკიდებულებას. ილია წერს:

„პოეტსა ხალხი დაჰბადავს და ხალხის ცხოვრება ძეძუს აწოვებს; ამ საფუძველით ამზობენ, პოეზია ხალხის ცხოვრების გამოთქმელია, ჯერ უნდა ხალხმა დაიმუშაოს თავისი სულიერი ბუნება, შეამაროს თავის უქცელებას მარღვი, მოამზადოს მასალა თავის ცხოვრებითა და მერე თავისთავად უთქვენ-ბრძანებლოდ ძლიერი სული გენიისა ძლიერად გამოსცემს პასუხს ხალხის განვირგობას“².

ასეთი მსჯელობა მრავალგზისაა წარმოდგენილი ილიას სტატიებში.

ეს თვალსაზრისი, რომ ხელოვნება ცხოვრების წარმონაქმნია, რომ იგი „ხალხის ცხოვრების გამოთქმელია“ და, მამასადავამ, სინამდვილეს ასახავს, რეალისტური ხელოვნების საერთო პრინციპების აღიარებიდან გამომდინარეობს. ეს პრინციპები, მეტწილად სისრულით, ჯერ კიდევ რუსმა რევოლუციონერ-დემოკრატებმა ჩამოაყალიბეს. ასე, მაგალითად, ბ. ბელისკი უკვე 1839 წელს აღნიშნავდა, რომ „«Новейшая поэзия есть поэзия действительности, поэзия жизни»“³.

ეს შეხედულება, რომელიც ბელისკის მოღვაწეობის პირველ პერიოდშივე იჩენს თავს, შემდეგ უფრო ღრმავდება და დიდი რუსი კრიტიკოსი საბოლოოდ აყალიბებს თავის თვალსაზრისს ხელოვნებაზე, მით უმეტეს, რომ ბელისკი პრინციპულად წყვეტს კავშირს ჭეგელთან და ფიგურაბახის მატერიალისტურ ფილოსოფიას თესისებს.

როდესაც ი. ჭავჭავაძე და სხვა ქართველი საზოციანელი ლაპარაკობენ, რომ ხელოვნება ცხოვრების ამსახველია, მათ ცხოვრება ისმით ფართოდ, როგორც ობიექტური ვარემოხა და აღმზიანის შინაგანი საწყაროს თავისებურებანი, დაახლოებით ისე, როგორც განსაზღვრავს ჩ. ჩერნიშევსკი: „ხელოვნების ყველა ნაწარმოე-

¹ ი. ჭავჭავაძე, ორიოდ სიტყვა „შეშლილი“-ს თარგმანზედა, თხზ. სრ. კრებული, III, გვ. 17, სქოლიო.
² იქვე, გვ. 27.

¹ ი. ჭავჭავაძე, პასუხი, თხზ. სრ. კრებული, III, გვ. 45.
² იქვე, გვ. 45.
³ В. Белинский, «Горе от ума», Сочн. в трех томах, т. I, Москва, 1948, стр. 466.

ბის პირველი და საზოგადო მნიშვნელობა, ვთქვით ჩვენ, არის ხელახლა წარმოქმნა ნამდვილი ცხოვრების მთვლენებისა, რომლებიც ადამიანებისათვის საინტერესონი არიან. ნამდვილ ცხოვრებად, რასაკვირველია, გვესმის არა მართო ადამიანის ურთიერთობა ობიექტური ქვეყნის საგნებისა და არსებებისადმი, არამედ აგრეთვე ადამიანის შინაგანი ცხოვრებაც¹.

ი. ჭავჭავაძის ზემოაღნიშნულ სტატიებში არა ნაკლებ მნიშვნელოვანია იმის მტკიცებაც, რომ ხელოვნება ზედნაშენი აქტიური კატეგორიაა. მის წარმოშობს ცხოვრება, საზოგადოებრივი ვითარება, მაგრამ ხელოვნება შემდეგ პირველ მოქმედებს თავის ბაზისზე და ხელს უწყობს მის განვითარებას. ილიას კარგად ესმის ის დიალექტიკური ურთიერთობა, რაც ბაზისსა და ზედნაშენს შორის არსებობს. ეს თელასზრისი, განსაკუთრებით მნიშვნელოვანი და ახალი თავისი დროისათვის, ჯერ კიდევ რუსი რევოლუციონერ-დემოკრატების მიერ იქნა განვითარებული, ერთობლ კი ნ. ჩერნიშევსკიმ თავის სამაგივრო შრომაში — „ხელოვნების ესთეტიკური დამოკიდებულება სინამდვილესთან“ (1855 წ.) აღნიშნა, რომ „...გარდა ხელახლა წარმოქმნისა, ხელოვნებას მეორე მნიშვნელობაც აქვს — ცხოვრების ახსნა... მეცნიერება და ხელოვნება (პოეზია) — Handbuch არის ცხოვრების შესწავლის დამწყებათვის; მათი მნიშვნელობა ის არის, რომ მოაშუალოს ადამიანი წყაროების წასაქოთხავად და შემდეგ დროადადრო გამოდგეს ცნობების მისაღებად“².

მკითხველი ადვილად შეამჩნევს იმ საერთოს, რაც რუსი რევოლუციონერ-დემოკრატებისა და ილიას შეხედულებებს შორის არსებობს. ილიამ ამ შემთხვევაშიც გაიზიარა ხელოვნების, როგორც აქტიური ზედნაშენი კატეგორიის გაგება და თავისი თელასზრისი არა ნაკლები სიმკვეთრით ჩამოაყალიბა, ვიდრე ნ. ჩერნიშევსკიმ. ილიამ ერთხელ კიდევ ბავშვამით აღნიშნა, რომ „...გა წარმოადგენელთაგან ცხოვრებისაგან დამდევლური ფაქტები, ვენილის ჭკუისაგან ახსნილი და ცნობაში მოყვანილი, მეცნიერებისაგან მიღებულნი, როგორც კანონი და ხელთმღვანელები მოამკვირვებლისათვის, გადადიან დანარჩენ ხალხშიცა...“

ეგრე ცხოვრებისაგან აღმოსულნი, მეცნიერების სიკვრივით ნაყოფად მოწეულნი, ისევე ცხოვრებისავე დაუბრუნდება ხოლმე წარმატებისათვის... კიდევ მოვა დრო განახლებისა, კიდევ ამრავალ მეცნიერება და ხელოვნება ახსნის

ცხოვრების მოთხოვნილებასა, ცნობაში მოქმედების „ახალს“ და ამით შემწეობით გადადის ეს „ახალი“ ისევ ცხოვრებაში და სცვლის ცხოვრებას³. I.

მიუხედავად საკითხის ასეთი მატერიალისტური გადაწყვეტისა, მაინც უნდა აღინიშნოს ილიას მსჯელობის ცალმხრივობა. ილია თავისი დროის შვილი იყო და მის აზროვნებაში ასახა ეპოქის განსაზღვრელობა და წინააღმდეგობა. ჩვენს სამეცნიერო ლიტერატურაში უკვე მითითებულია, რომ ნ. ჩერნიშევსკისთან შედარებითაც ილიამ გადაჭარბებულად შეაფასა ზედნაშენის, ამ შემთხვევაში ხელოვნების როლი და, ნაცვლად კლასობრივ-ეკონომიური მიზნების სათანადოდ გათვალისწინებისა, იგი თითქოს შეეცადა მიეღო ისტორიული პროცესი, საზოგადოების განვითარება განსაკუთრებით დაეკავშირებინა მეცნიერებისა და ხელოვნების ზემოქმედებასთან.

მაგრამ ისიც გასათვალისწინებელია, რომ ილიას უფრო მეტად, ვიდრე სხვას, როგორც უფლებამყარო ხალხის შვილს, ჭირდებოდა მეცნიერებისა და ხელოვნების მნიშვნელობის პროპაგანდა და შეიძლება ერთნაირი თელასზრისიც უკარნახებდა არა კლასობრივ ბრძოლაზე, არამედ მეცნიერებისა და ხელოვნების წარმატებაზე დამყარებისა ერის გამოფინებისა და, საერთოდ, თავისი ქვეყნის აღორძინების იმედი, რაც ერთნაირი ბრძოლის და ერთნაირი თავისუფლების მოპოვების ერთი ძლიერი ფაქტორი იქნებოდა.

ილია პირველი კრიტიკოსი იყო, რომელმაც არა მარტო დაასაბუთა ხელოვნებისა და სინამდვილის ურთიერთობა, არამედ აგრეთვე დამაჯერებლად განმარტა ხელოვნების სპეციფიკა და მისი მიმართება სხვა დარგებთან. 50-იანი წლების ზოგადი კრიტიკოსს უკვე სასენებით შეგნებულ იქონია, რომ ხელოვნება ცხოვრებას ასახავს, რომ რეალობა მეცნიერება ყველგან — ცხოვრებაშიც და ლიტერატურაშიც (ნ. ბერძენიშვილი); ისიც კი იყო აღნიშნული, რომ „რასაც სამეცნიერო ლიტერატურა ჩვენ ვაღმოგვიცემს მშრალი, თუმცა სწორი ფაქტებით რომელიმე ადგილის, მასზე დასახლებული ხალხის შესახებ, მისი შინაგანი და ისტორიული ცხოვრებით, მას ხელეფრისტიკა ვაამშვენებს და მოსავს ცოცხალი ფორმებით“ (თ. თუმანიშვილი) და სხვ. ამ რეალობაში, ამ ხანის კრიტიკოსებისათვის სრულებით არ იყო უცხო რეალისტური ხელოვნების პრინციპები და ისინი თანმიმდევრულად უჭერდნენ მხარს რეალისტური ტენდენციების დამკვიდრებას ქართულ მწერლობაში. მაგრამ

1 ნ. ჩერნიშევსკი, ხელოვნების ესთეტიკური დამოკიდებულება სინამდვილესთან, რჩეული ფილოსოფიური თხზულებანი, 1945, გვ. 405.

2 ნ. ჩერნიშევსკი, რჩეული ფილოსოფიური თხზულებანი, გვ. 420.

3 ი. ჭავჭავაძე, საქართველოს მოამბეხელ, თხზ. სრ. კრებული, III, გვ. 62.



ეს იყო მინც რეალისტური ხელოვნების საყო-
ხებზე საერთო მსჯელობა. ი. ჭავჭავაძის დიდი
დამსახურება ისაა, რომ მან კონკრეტულად გე-
ოპოკეთა რეალისტური ესთეტიკისა და სალიტერ-
ატურო კრიტიკის საკითხები და თითოეულ
მთავანზე დასაბუთებულ, დამაჯერებელი აზრი
მოგვარდა. მან ახალ საფეხურზე აიყვანა დას-
მული საკითხების გაგება და საერთოდაც დი-
დად გააფართოვა პრობლემების სფერო.

ლიტერატურთა ძველი თაობისა და, კერძოდ,
ბ. ჯორჯაძისეულ ხელოვნების პრიმიტიულ
სქოლასტიკურ განმარტებას („ანბანთ თეორე-
ტიკას“) ილიამ დაუპირისპირა ხელოვნების სპე-
ციფიკის მეცნიერული დახასიათება. ჯერ კიდევ
პირველ წერბოში მან აღნიშნა, რომ „პოეზია
განსახოგნებაა ჭეშმარიტებისა, ცხოვრებისა და
არა ჯაკუა უთავბოლოდ გადაბმულ რითმების-
ა“¹. ხოლო მომდევნო სტატიაში ილიამ უფრო
ერკულად განმარტა თავისი აზრი და თანც მიუ-
თითა ხელოვნების სხვადასხვა დარგის გამოსახ-
ვით საშუალებებზე. ილია წერს:

„ხელოვნება არის განხორციელება სახეში
იდეისა, აზრისა: მუსიკა, მხატვრობა, პოეზია —
ენენი სულ სახეში გამოსთქვამენ იდეისა, მხო-
ლოდ იმით განიყოფებიან, რომ თავის იდეის
გამოსთქმულად სხვადასხვა მასალებსა ხმარო-
ბენ, როგორც მუსიკა — ხმასა, მხატვრობა —
ხანსა, პოეზია — სიტყვასა. სიტყვიერებით ხე-
ლოვნება პოეზიასა ჰქვიან, რადგანაც სიტყვის
საშუალებით და შემწყობით აღასრულებს ხე-
ლოვნების მნიშვნელობასა“².

რომ ხელოვნება სახებით აზროვნებს, რა
თქმა უნდა, ახალი არ იყო ესთეტიკის ისტო-
რიაში. რუს კრიტიკოსთაგან უკვე ბ. ბე-
ლინსკიმ მიუთითა, რომ «Поэзия есть истина
в форме созерцания; ее создания — вопло-
тившиеся идеи, видимые, созерцаемые
идеи. Следовательно, поэзия есть та же фи-
лософия, то же мышление, потому что име-
ет тоже содержание — абсолютную истину,
но только не в форме диалектического
развития идеи из самой себя, а в форме
непосредственного явления идеи в образе.
Поэт мыслит образами; он не доказы-
вает истины, а показывает ее»³.

მატერიალისტური ესთეტიკის ეს დებულება
ი. ჭავჭავაძემ მიიღო, როგორც ახალი ხელო-
ვნების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრინციპი
და უკვე 60-იან წლებშივე მას დაუკავშირა

მხატვრული განვოგადებისა და ტიპიკიზაციის
ბუნება⁴.

დახასიათა რა ხელოვნების სპეციფიკა, ილიამ
შემდეგ უჩვენა, თუ რა არის საერთო და განს-
ხვავებულ ხელოვნებასა და აზროვნების სხვა-
დარგებს შორის, კერძოდ როგორია ხელოვნების
მიმართება მეცნიერებასთან. ილია წერს: „ეს
ორნივე ერთ და იგივეს მსახურებენ: აზრის მოძ-
რობას; ერთ და იგივეს გამოთქვამენ: ხალხს
აზრსა, და თუ რაიმე განიჩინებენ, მხოლოდ
იმაში, რომ სხვადასხვა გზით და სხვადასხვა-
ნაირად მოქმედებენ და გამოსთქვამენ“⁵.

რომ ეს არ იყო შემთხვევითი ფრაზა, ჩანს
ილიას შემდგომი მსჯელობიდანც:

„მეცნიერება და ხელოვნება, რომელიც
დღე-მუდამ ზედ დასტრიალებენ ცხოვრებასა,
რომ ყოველი ცვლილება მისი ცნობიერად გად-
მოიღონ, რომ ყოველი ყვავილი მისი მოპარი-
ფონ, შეიტკონ, რისთვის არიან იგინი და რანი
არიან, — მეცნიერება და ხელოვნება სხვა-და-
სხვა გზით იკისრებენ ახლის ვითარების ახს-
ნასა, ცნობაში მოყვანასა“⁶.

როგორც ვხედავთ, ახლავარდა ილია საე-
სებით შეგნებულად უტყრს მხარს ბელინსკისა
და ჩენრისშევესკის ერთ-ერთ პრინციპულ თეზას,
რომ პოეზია არის იგივე აზროვნება, თოლონდ
სახეების საშუალებით. ჭეშმარიტებას იგი გვიჩ-
ვენებს და არა გვიმტკიცებს. მასასადავმა, პოე-
ზისათვის უპირატესად დამახასიათებელია სა-
ხეებით აზროვნება და არა ცნებებით. ამით
განსხვავდება ხელოვნება მეცნიერებისაგან
(ილია თითქმის ყოველთვის ფილოზოფი-
ის ნაცულად ლაპარაკობს მეცნიერებე-
სა და ხელოვნების ურთიერთობაზე)⁷.

ი. ჭავჭავაძე ის მოაზროვნე იყო, რომელმაც
ქართულ კრიტიკაში დააამკვიდრა ხელო-
ვნებისაღმი ისტორიული თვალსაზრისით მიდ-
გომის აუცილებლობა. მართალია, ქართული
კრიტიკის განვითარების მანძილზე ლიტერატუ-
რული ფაქტისაღმი ისტორიული თვალსაზრისით
მიდგომას ზოგჯერ უჩენია თავი. ვაიხსენოთ,
რომ ჯერ კიდევ ეფრემ მცირე შეეცადა ისტო-
რიულ ნიადაგზე აეხსნა ექვთიმე და გიორგი
მთაწმინდელის მთარგმნელობითი მუშაობის

¹ ი. ჭავჭავაძე, თორიდე სიტყვა „შეშლილი“-ს
თარგმანზედა, თხზ. სრ. კრებულო, III, გვ. 22.

² ი. ჭავჭავაძე, პასუხი, თხზ. სრ. კრებუ-
ლო III, გვ. 30.

³ В. Белинский, «Горе от ума», Собр.
соч. в трех томах, т. I, Москва, 1948,
стр. 464.

¹ შდრ. ილიას დაუმთავრებელი წერილი —
„ხელოვნება და მეცნიერება“.

² ი. ჭავჭავაძე, საქართველოს მოამბეუდ, თხზ.
სრ. კრებულო III, გვ. 63.

³ იქვე, გვ. 60.

⁴ რა თქმა უნდა, ილიას მხრივ ასეთი გან-
ცხადება იმას როდი ნიშნავდა, რომ კონკრე-
ტული შინაარსი და მიზანდასახულება ხე-
ლოვნებისა იგივეა, რაც მეცნიერების.

ხასიათი. მაგრამ ი. ჭავჭავაძემ პირველი კაცი იყო, რომელმაც ს ა ე რ თ ო დ მოიპარჯვა ისტორიული თვალსაზრისი და შეძლო ამისდა მიხედვით შეფასებინა არა მარტო ცალკეული ფაქტები და მოვლენები, არამედ ლიტერატურის განვითარების პროცესი.

უკვე 60-იან წლებში ილიამ დაამყვიდრა ისტორიული თვალთახედვა და ქართულ ლიტერატურისმცოდნეობასა და კრიტიკას მიაწოდა მარჯვე მეთოდი, რომელიც მეტ-ნაკლებად უზრუნველყოფდა ჩვენი მწერლობის ისტორიის მეცნიერულად შესწავლას.

ილიას მთელი ლიტერატურულ-კრიტიკული შემკვიდრება ნათელსყოფს, რომ იგი პრინციპულად იზიარებდა ბ. ბელინსკის იმ აზრს, რომ «Если смотреть только с художественной точки зрения на наших старых писателей, то не только какие-нибудь Сумароков, Херасков и Петров, даже Ломоносов — мало того — сам Державин лишится почти всего своего значения и перестанет казаться не только великим, даже замечательным явлением в области русской поэзии. Но исключительно эстетическая точка зрения, как всякая односторонность, всегда доводит до ложных заключений: и потому при суждении о литературе, кроме эстетической точки зрения, нужна еще и историческая»¹.

ისტორიული თვალსაზრისით მიდგომის დიდი უნარი გამოამჟღავნა ილიამ, როდესაც გამწვავებული პაექრობის დროსაც ობიექტურად შეაფასა ანტონ კათალიკოსის მნიშვნელობა ქართული კულტურის ისტორიაში:

„ნურაინ წუ გაიფიქრებ, რომ ამ არ მესოდეს დიდი მნიშვნელობა ანტონ კათალიკოსისა. ანტონი დიდს ალავს დაიპყრს ჩვენს ლიტერატურაში, როგორც წარმომადგენელი იმ დროის საქართველოს განათლებულთა, მაგრამ ეხლა, რომ პოეზიის განხილვა იმ დროის კანონებით მოვიწოდოთ, ძალიან შეეცდებით. მაშინ სხვა-რიგად ესმოდათ, ეხლა სხვა-რიგად“².

ისტორიული თვალსაზრისით შეხვდა ილიამ ლიტერატურულ მიმართულებებსაც. ამის შედეგი იყო, რომ მან უარყო არა მარტო კლასიციზმის, არამედ სენტიმენტალიზმის საჭიროება ქართული მწერლობის განვითარებისათვის. მართალია, ამ უკანასკნელის უარყოფითი დახასიათება აშკარად გადაჭარბებულია, მაგრამ ამ შემთხვევაში არსებითი და მნიშვნელოვანი ის არის, რომ ახალგაზრდა ილია, ისტორიულად

თვალისწინებდა რა სენტიმენტალისტური კავთულის ტენდენციებს, პრინციპულად მისწინაშე მათ საჭიროებას 60-იანი წლების ქართული ლიტერატურისათვის.

ი. ჭავჭავაძემ პირველი იყო ქართველ კრიტიკოსთაგან, რომელმაც ლიტერატურის ისტორიკოსის თვალსაზრისით შეხვდა ეროვნული მწერლობის ისტორიას. ვიდრე 90-იან წლებში მისა შესანიშნავი წერტილების სერია დაიწყო მისი ქართულ ლიტერატურაზე, უკვე 60-იან წლებში ილიას გამოთქმული აქვს ამ მხრივ საინტერესო მოსაზრებანი. ჩვენ ვგულისხმობთ მის დაუმთავრებელ წერილს — „ციცქარა 1857 წლიდან—1862 წლამდინა“. მართალია, მე-19 საუკუნის პირველ ნახევარში ჯერ ს. დოდაშვილმა მოგვცა ქართული მწერლობის რეტროსპექტული დახასიათება, ხოლო შემდეგ ნ. ბერძენიშვილმა ქურნალ „ციცქარის“ გარკვეული წლების მსაჯლის მიმოხილვა, მაგრამ, უნდა ითქვას, რომ ორივე შემთხვევაში ცალკეული მოვლენებისა და მწერლების შეფასება-დახასიათებასთან უფრო გვაქვს საქმე, ვიდრე ქართული ლიტერატურის ისტორიის მთლიან პროცესის გააზრებასთან.

ილია პირველი შეეცადა აღედგინა ლიტერატურის თანდათანობითი განვითარებისა და მომწიფების პროცესი, ეჩვენებინა მეცნიერობითი კავშირი წინა და მომდევნო თაობებს შორის და ამავე დროს აეხსნა და დაეხსნა უ თ ე ბ ი ნ ა მწერლობის ძირითადი ტენდენციების საფუძველი და ხასიათი.

მკითხველს ანკვირებას ახალგაზრდა ილიას არა მარტო ერუდიცია, არამედ უწინარეს ყოვლისა, ანალიტიკური მიდგომა ქართული ლიტერატურის ისტორიის საკითხებისადმი. ილიას ამ მსჯელობაში არაფერია არ არის დაფიქრებული: შეინარსი და იდეა; ფორმა, — მინიმუმბულია გამოსახვის თვით კონკრეტული ხერხები; შესანიშნავადაა გააზრებული ხელოვანის ბუნებასთან დამოკიდებულების საკითხი; ენარები; და, რაც მთავარია, ამ ფონზე გათვალისწინებულია ქართული მწერლობის თანდათანობითი განვითარებისა და მომწიფების პროცესი, ნაჩვენებია ძველი ლიტერატურის ტრადიციებიდან გადასვლა ახალი ლიტერატურის ტენდენციებზე და დანახულია საერთო და განსხვავებული ძეგლისა და ახალს შორის. ილია ცდილობს ამ მხრივ აღადგინოს მეცნიერობითი კავშირი, რადგან მას ჩინებულად ესმის, რომ ყოველი მსგავსება შემეციდრებით მიმართებას არ ნიშნავს. თითოეტი ილია წერს: „ჩვენ შევნიშნეთ, რომ „ციცქარის“ ახალ მოღვემეებს; ზოგიერთს გარდა, დიდი კავშირი აქვს ძველებზედა, კავშირი ისტორიული განვითარებისა კი არა, მსგავსება

¹ В. Белинский, Собр. соч. в трех томах, т. II, Москва, 1948, стр. 115.

² ი. ჭავჭავაძე, პასუხი, თხზ. სრ. კრებული, III, გვ. 48—49. სქოლიო.



ბი. ს. ა. გვლანდელი მეღვინის ამის იმეორებენ, რაც უწინდელს უთქვამთ, ისეთ-ნაირად ჰგვიანან ამათი აზრები იმათ აზრებსა, ამითი მიმართულენ — იმათ მიმართულენასა¹.

ამ დამთავრებელი წერილის დეპუტატები ავტორმა შემდეგ განავითარა და დაასაბუთა საპროგრამო სტატიაში „საქართველოს მოამბე-ზედ“, სტატიაში „ზოგიერთი რამ“ და განსაკუთრებით კი „წერილებში ქართული ლიტერატურაზე“, სადაც მან ფაქტიურად პირველად უჩვენა მე-19 ს. ქართული მწერლობის განვითარების სურათი.

საყურადღებოა, რომ ი. ჭავჭავაძე ახალი ქართული მწერლობის დასაწყისს „ევროპეიზმის შემოტანას“ უკავშირებს და ასეთ ტენდენციას უკვე დ. გუროვიძის შემოქმედებაში ხედავს. ცნება „ევროპეიზმისა“ ილიას ფართოდ იყენებს. მწერლის გაგებით, ეს არ გულისხმობს მხოლოდ ფორმალურ-მატერულ თავისებურებებს, არამედ ევროპული ლიტერატურის ტენდენციებთან, საერთოდ კი ევროპულ-რუსულ კულტურასთან კავშირს გამოხატავს. ეს იყო ქართულ ნიადაგზე, ეროვნულ ასპექტში წარმოდგენილი ახალი აზროვნება, განწყობილებები, მხატვრული ხედვა, თემატიკა, წერის მანერა და ამიტომ ილიასა და, საერთოდ, სამოციანელთა მხედვით, ეს გარემოება ნიშნავდა „თავისი აზრების მიმართულებით, იდეებით“ ქართული მწერლობის შემოპრულებას ევროპული აზროვნებისაკენ, მაშასადამე, აღმოსავლური კულტურის, კერძოდ კი სპარსული მწერლობის ტრადიციებთან კავშირის გაწყვეტას და მათგან ეროვნული ლიტერატურის საბოლოოდ განთავისუფლებას².

ასე რომ, ი. ჭავჭავაძე ახალი ქართული მწერლობის ისტორიას მე-18 ს. დასასრულითა და მე-19 ს. დამდეგით იწყებს და მის წარმოშობას მიიხედობს რეალისტური მიმართულების განვითარებას არ უკავშირებს. ამჟამად, რომ ილიას გაგებით, რომანტიზმი ახალი ქართული მწერლობის პირველი ლიტერატურული ტენდენციაა, რომელმაც საბოლოოდ განსაზღვრა „ევროპეიზმის“ დამკვიდრება ჩვენს სინამდვილეში.

საერთოდ, თავისი ნაწერებით ი. ჭავჭავაძემ საკმაოდ ნათლად გაუთვალისწინა მკითხველს ქართული მწერლობის, განსაკუთრებით კი

მე-19 ს. ქართული ლიტერატურის განვითარების საფეხურები, ამ საერთო პრობლემატიკით რელით გამოკეთა ზოგიერთი ჩვენი მწერლის ადგილი და მნიშვნელობა და ამიტომ, სასურველი დამსახურებულად, იგი შეგვიძლია ქართული ლიტერატურის პირველ ისტორიკოსად მივიჩნიოთ.

სალიტერატურო ენის საკითხები 60-იანი წლებისათვის საესებით მომწიფდა და საბოლოოდ გადაჭრას საჭიროებდა.

არ უნდა ვიფიქროთ, თითქმის თერგალეულს და, კერძოდ ი. ჭავჭავაძეს, პირველად მოუხდათ სალიტერატურო ენის საკითხებს შეხებოდნენ და მათ პირველად წამოჭრეს ენის დემოკრატიზაციის პრობლემა. 50-იან წლებში მწერალთა პროცესებში ნაწილში შეძლებისდაგვარად გაითვალისწინა დროის მოთხოვნილებანი და თეორიულად და პრაქტიკულად შესაფერისი ნაბიჯი გადადგა. ამიტომ ძნელად გასაზარებელია ისეთი მოსაზრება, რომ ილიამ 60-იან წლებში „...წერალი (მწერალი ეწერილი) ახალი ლიტერატურული ენით დაწერა. ამ მხრივ იგი როგორც ოაზისი ისე გამოიყურება „ციხის“ „უღაბანოში“: აქ პირველად მოცემულია ხალხისათვის გასაგები, თავის დროისათვის უღარესად გასაგები, მარტივი ენა“¹.

რა თქმა უნდა, ეს არ არის ი. ჭავჭავაძის დამსახურება ენის სფეროში, რადგან 50-იანი წლების როგორც მწერლობამ (გ. ერისთავი, ლ. არღანი, დ. ქონჯაძე და სხვ.), ასევე კრიტიკამაც ამ მხრივ უკვე მოგვეცეს სათანადო ნიმუშები. ცხადია, ილიას ენა, როგორც მხატვრული ფენომენი, როგორც ქართული ენის განვითარების ახალი საფეხური, დიდი მოვლენა იყო ეროვნული მწერლობის ისტორიაში. მაგრამ ეს საესებით სხვა სკიზიზმა. პრინციპულად კი, ახალი ქართულის თვალსაზრისით, ამჟამად ილიას „ორიოდ სიტყვა“ არ იყო პირველი ნიმუში.

ილიას, როგორც კრიტიკოსის, დიდი დამსახურება ის არის, რომ მან საესებით შეცნობიერებულად გადაჭრა ახალი ქართული ენის პრობლემები და თვალწინადაც დაასაბუთა, თუ რატომ უნდა ეფემეროდეს სალიტერატურო ენა ცოცხალ, ხალხურ მეტყველებას, როგორია ენის განვითარების ტენდენციები, კერძოდ კი ქართული ენის განვითარების პერსპექტივა. ილიამ სალიტერატურო ენის ძირითადი პრინციპები იმადაგვარად დაასაბუთა, რომ ამის შემდეგ არ სჭირდება შეუძლებელი იყო სხვაგვარი თვალსაზრისით ენის პრობლემის გაშუქება. ილიას მსჯელობით ფაქტიურად

¹ ი. ჭავჭავაძე, თხზულებათა სრ. კრებული, III, გვ. 458. ხაზი ჩვენია.

² ცნება „ევროპეიზმისა“ ჩვენს სინამდვილეში ილიას არ შემოუტანია, როგორც ზოგიერთი აღნიშნავს. იგი უკვე გვხვდება 50-იანი წლების ქართულ კრიტიკაში (იხ., მაგალითად, ნ. ბერძენიშვილის სტატია გვ. „კავკასიში“—1857 წ. № 87.

¹ იხ: ი. ჭავჭავაძე საიუბილეო კრებული, 1957, გვ. 238. იგულისხმება ილიას „ორიოდ სიტყვა“.

დამთავრდა ენის უმთავრესი საკითხების განხილვა და ამის შემდეგ მის მიერ დამკვიდრებულ დებულებებს არსებითი კორექტივი აღარ დასჭირვებია. ილიას მიერ უკვე 60-იან წლებში დასახული გზით წარმოართა ქართული ენის განვითარება და თუ დროა დრო კამათი კვლავ წარმოებდა, ეს უპირატესად სალიტერატურო ენის ცალკეულ მხარეებს ეხებოდა, რამდენადაც ენის განვითარების პროცესში ყოველთვის წამოიჭრება ენის დაბეჭდვისა და სრულყოფის საკითხი.

ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ ჯერ კიდევ პირველ სტატიაში ილიამ მკაცრად გააკრიტიკა რევოლუციისთვის თარგმანის ენა და ენობრივ-სტილისტური შეფუძნალობის პრაქტიკა მკაცრად მოიხილა. მაგრამ ცალკეული თარგმანის ენობრივი შეცდომების დახასიათებამ ენის ზოგად საკითხებზე მსჯელობის ხასიათი მიიღო. ილია, არაკლასიკური ენათმეცნიერი, ჩინებულად ერკვევა ლინგვისტიკის პრინციპულ საკითხებში. ილიას ამოსავალი დებულება ის არის, რომ კაცის ენა კერძო პირსავე იზრდება და ვითარდება; ამ ზრდაში იცვლება, როგორც ჩვენ კაცის ზრდაში ვიცვლეთი ხოლმე; ხშირად იქნება, რომ კანონები, ერთს დროს საჭირონი, სხვა დროს უუარგისნი არიან ხოლმე; იმიტომაც ახალი ენა ძველს ენას არა ჰგავს, როგორც ახალი კაცი არ ჰგავს ძველ კაცს¹. მაშასადამე, ილია ენის განვითარების თვალსაზრისზე დგას; იგი ამტკიცებს, რომ ენა ისტორიულად ცვალებადი კატეგორიაა და მას თავისი შინაგანი განვითარების კანონები გააჩნია².

ილიას მეორე პრინციპული დებულება ენისა და აზროვნების მიმართებას ეხება. ილია ჩინებულად განმარტავს, რომ „სადაც აზრი არ არის, იქ ენა, რაც უნდა კარგი იყოს, სულ უქმია; მერე შე არსად არ გამოიჭა, რომ უაზრო ენა იყოს სადმე, აზრი და მხოლოდ ერთი აზრი აძლევს ენას ენის მნიშვნელობას“³.

ილიას მსჯელობის მესამე ძირითადი დებულება კი ის არის, რომ ერთიანი სალიტერატურო ენა და მისი განვითარება საერთო ხალხურ ცენტრალ მეტყველებას უნდა ეფუძნებოდეს, „რადგან ხალხია ენის კანონის დამდები და არა ანბანთ თეორეტიკა“.

აი, ასეთი პრინციპებით მიუღდა ი. ჭავჭავაძე ენის კონკრეტული საკითხების გადაჭრას და

სწორედ ამიტომ მოახერხა მან ქართული ენის მრავალი საჭირობოტო ფაქტი გააგრძელა როგორც ცნობილია, ერთი პირველი საკითხი, რომელმაც ლიტერატურათა ძველი, კონსერვატიული თაობის აღმფლვითება გამოიწვია, სწორად ენის საკითხი იყო, კერძოდ კი მართლწერის გამარტივების მოთხოვნა. თავისი „ორიოდე სიტყვის“ დასწყისშივე ილიამ განაცხადა:

„უ ზმ, ა, ზ, ჯ, ეს ასობე არ გვიზმარია ჩვენ სტატიაში; თუ, ვინცობაა, ეს ენის წინააღმდეგ მიანიღდეს ვისმეს, ჩვენ ყოველთვის მზად ვართ ვაგსცეთ პასუხი და გამოუცხადოთ, რა მიზეზითაც არ ვხმარობთ“¹.

იტყვას რა ენის განვითარების თვალსაზრისის, ილია ამტკიცებს, რომ თანამედროვე ანბანისა და, საერთოდ, მართლწერის გამარტივება თვით ქართული ენის განვითარებით არის ნაკარნახევი. ილია ცალ-ცალკე განიხილავს თითოეულ სადავო ასოს და ასახულებს, რომ ასო ბგერის გრაფიკული გამოხატულებაა, ხოლო ამჟამინდელ მეტყველებაში აღნიშნული ბგერები აღარ იმის, მაშასადამე, დაკარგულია თვით სადავო ასოების ფუნქციაცო. ბ. ჯორჯაძის საბასუხოდ ილია დაბეჭდვით აცხადებს, რომ ასეთ შემთხვევაში თვით ენის ბუნებისა და მისი განვითარების ტენდენციის გათვალისწინებით, მხოლოდ ხალხის მეტყველებაზე დაყრდნობით შეიძლება გადაიჭრას სადავო საკითხები.

ილია მიუთითებს, რომ „შემსუბუქება და გადაღვილება მართლწერისა და ანბანისა“ ამჟამად შეიძენნევა ევროპის ყველა ქვეყანაში, რადგან, საერთოდ, აქტიურად მიიშართება ენის განვითარების ტენდენციაცო.

ასეთი ანალოგიით ილიამ კიდევ უფრო დამაჯერებელი გახადა თავისი მსჯელობა და არსებითად გადაწყვიტა კიდევ მართლწერის გამარტივების საკითხი.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ დასაშუსტებელია გავრცელებული აზრი თითქოს „...ილია იყო პირველი, რომელმაც ქართული ანბანიდან ზედმეტი ასოების განდევნის ხარჯზე მოითხოვა ქართული ენის გამარტივება“.

თუ საკითხის ისტორიის გათვალისწინებით, მაშინ ენახათ, რომ ჯერ კიდევ 50-იან წლებში წამოიჭრა მართლწერის გამარტივების ტენდენცია და უკვე 1855 წელს პროფ. დ. ჩუბინაშვილმა ამ მხარე საკმაოდ ნათლად ჩამოაყალიბა თავისი თვალსაზრისი:

„Следующие буквы: Ц, а, й, ъ, з, ж, ѣ внесены в алфавит без особенной надобности, светскими писателями редко употребляются и могут быть заменены други-

¹ ი. ჭავჭავაძე, პასუხი, თხზ. სრ. კრებულები, III, გვ. 40.

² როგორც ვიცით, აზრი, რომ ენა ისტორიულად იცვლება, უცნობი არ იყო წინა პერიოდის ზოგიერთი კრიტიკოსისათვის, მაგალითად, დიმიტრი ბაქრაძისათვის.

³ ი. ჭავჭავაძე, პასუხი, თხზ. სრ. კრებული, III, გვ. 38.

¹ ი. ჭავჭავაძე, თხზ. სრ. კრებული, III, გვ. 7. სწოლოც.



მი, а именно: буква **О** употребляется всегда после полугласной **უ** и в совокупности произносится, как **ჟ**, напр. ჩე^ჟბ, «цветные» пишатели пишут и выговаривают ჩე^ჟბ (чжен). Буква **ა** произносится, как **ი**, ставится в конце слов, в особенности в духовных сочинениях и никогда не произносится, напр არსება, читают и выговаривают არსება (арсеба) Буквою **ჟ** пишется одно только междометие ჟ!, которое можно безошибочно написать ჰოა! Буква **ჰ** в грузинском языке необходима, она может заменить буквы **ბ**, **ა**, **ჟ** Буква **ჟ** со знаком тупым есть полугласная или звук между **უ** и **ჟ** и заменяется буквою **ჟ**, напр. კჟა, пишут и выговаривают კჟა (кжа), камень. Буква **კ** соответствует греческому **κ** и заменяется буквами **ვ**, напр. მოგვ, пишут и выговаривают მოგვი (могви), маг. Буква **ხ** и **ჭ** в грузинском языке произносятся одинаково напр. ხელი и ქელი (хели), рука. Буква **ფ** в вшедном Писании не употребляется и заменяется буквою **ფ**, лучше писать ფრანგი, чем ფრანგი, катоლი; ფილოსოფია, чем ფილოზოფია, ფილოსოფი, и т. д. Из сих букв **ბ**, **ა**, **ჟ** приняты в грузинский алфавит только для пополнения знаков счисления; в счете буква **ბ** означает 8, буква **ა** 60, буква **კ** 7.000 и **ჟ** 10.000. Прочие же буквы **უ**, **ჟ** и **ფ** приняты для написания иностранных слов. Буква **ჟ** употреблялась в старину в счете вместо буквы **უ** и означала 400¹.

მაგრამ ფაქტია, რომ დ. ჩუბინაშვილის ამ განცხადებას თითქმის არავითარი გამოხმაურება არ ჰქონია, მას არ გამოუწვევია რაიმე რეაქცია ლიტერატურულ წრეებში, მაშასადამე, მართლწერის გამარტივების საკითხი წინანდებურად გადაუჭრელი დარჩა. ი. ქვეკვიციანს დიდი დასახტრება ის არის, რომ მისი მსჯელობის მეცნიერულმა ხასიათმა, წერილების შემტევმა, მეტრძოლმა ტონმა არსებითად განსაზღვრა არა მარტო ორთოგრაფიის გამარტივების, არამედ, საერთოდ, ავტორის მიერ წამოჭრილი საკითხების რეზონანსი. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ ცხარე პოლემიკა უნდა დაწყებულიყო, მით უმეტეს, თუ გავითვალისწინებთ, რომ ეს პრინციპ-

ბი წამოაყენა ახალმა თაობამ, რომელიც განსაკუთრებით მოთხოვნების წინაშე ლიტერატორთა ძველ თაობას აღარ ძალუძდა გულგრილი დარჩენილიყო. გამარჯვება ის, ვინც თავისი დროის მეცნიერული აზროვნების სიმძლავრე აღმოჩნდებოდა. და სწორედ ილიამ, — თერგდალეულთა თავაყმა, — 60-იან წლებში ერთხელ და სამუდამოდ გადაჭრა მართლწერის გამარტივების საკითხი, რადგან მან შეცნო იერულად და ის ახლათა ის დებულებები, რომლებიც დ. ჩუბინაშვილმა უპირატესად ფაქტების აღნიშვნითა და მორიდებულ სურვილსა სახით წარუდგინა მკითხველს.

ილია თვლიდა, რომ ენის სიწმინდის დაცვა ქართული მწერლობის უპირველესი მოვალეობაა. ბოლო იმეამინდელ ქართულს რომ მიხედვა სჭირდებოდა, რომ „ლიტერატურის ენა დაუშორდა ხალხის ენასა“, მწერალი ამას არ მოაგვდა. როგორც უკვე აღნიშნეთ, ამის ერთ უმთავრეს მიზეზად ილიას ფრანზის არაქართული კონსტრუქცია, არაბუნებრივი წყობა მიიჩნდა. მაგრამ მის აგრაფიკ კარგიდ ესმოდა, რომ არა ნაკლებ სახიფათო იყო უცხოური ლექსიკის მოჭარბება, რაც ბარბაროზების, უმთავრესად კი რუსიციზმების სახით მკვიდრდებოდა ჩვენში. ამიტომ ილია მკაცრად გამოხატა იმ მწერლებს, რომლებსაც „არადაც გამომიანული სიტყვები, მაგ. ზაღაჩა, ოსტროვები, ლინიები“ შემოქონდათ მშობლიურ ენაში. ამავე დროს, ითვალისწინებდა რა ენის განვითარების ტენდენციას, ილია მართებულად ფიქრობდა, რომ საქართველის ლექსიკური ფონდის გამდიდრება და ამის ერთი ვაზა საერთაშორისო სიტყვების მიღებაა. იგი აღნიშნავდა, რომ საქართველომ მკვეთრად გავმიჯნოთ ურთიერთისაგან ბარბაროზები და საერთაშორისო სიტყვები. ამ უკანასკნელთა მიღება არამედ თუ სასურველი, არამედ აუცილებელიცაა, რადგან ნაყარანბეცია ცხოვრებისა და ენის განვითარების ტენდენციით და ამ მხრივ ქართული ენა გამოჩნდა ისი ვერ იქნებოა.

ი. ქვეკვიციანე ერთი პირველთაგანი იყო, რომელმაც თანამედვერულად გაამუქა ყურნალისა და, საერთოდ, პრესის მოვალეობა და დანიშნულება. ილიამ, უწინარეს ყოვლისა, ყურადღება ყურნალის მიმართულების საკითხს მიაქცია და განმარტა, რომ ყოველ პერიოდულ გამოცემას, რომელიც შეგნეულად ემსახურება თავის მიზანს, აქვს გარკვეული პოლიტიკურ-სოციალური თუ ლიტერატურული მიმართულება. ასეთი მიმართულების გარეშე ნამდვილი პერიოდული ორგანო არ არსებობს და არც შეიძლება არსებობდეს, რადგან სწორედ იგი (მიმართულება) ჰქმნის გაზეთის თუ ყურნალის ქვემარტ სახეს, განსაზღვრავს მით ღირსებასა და მნიშვნელო-

¹ Д. Чубинов, Краткая грузинская грамматика, С.—Пб., 1855, გვ. 2. ამავე აზრს დ. ჩუბინაშვილი იცავს მომდევნო წლებშიც. მაგალითად 1857 წ. იგი აცხადებს, რომ შეგნეულად წერს ჩვენ და არა ჩუ მენ და სხვ.— რადგან ეს უფრო მართებულად მიგვჩანიაო (იხ. Ответ на отзыв о грузинской грамматике проф. Чубинова, Кавказ, 1857, № 48).

ბას. ილიას ღრმა რწმენით, ყოველი რიგიანი პერიოდული გამოცემა ხალხის აზრსა და მისწრაფებას გამოხატავს, თავისი დროის, ეპოქის ტიპილუბს ეხმარება. აი, ასეთი მოთხოვნილება წაუყენა ილიამ ქურონალ „ცისკარსაც“ და, თუმცა იგი თვლიდა, რომ ყოველი პერიოდული გამოცემა თავისუფალი უნდა ყოფილიყო ფინანსური და პოლიტიკური ზეგავლენისაგან, ილიას მაინც მიაჩნდა, რომ ასეთი ობიექტური მიზეზებიც საეგებით ვერ გაამართლებდა „ცისკრის“ ხელმძღვანელობას:

„ლიტერატურა — ხალხის ჭკვა, ხალხის გონება, გრძნობა, ფიქრი, ჩვეულება და განათლების ხარისხია. ლიტერატურის წარმომადგენელი ჩვენი მართო „ცისკარია“ ამ ეპოქად. ნუთუ მართლა, რაც „ცისკარში“ იწერება, საქართველოს ხალხის ფიქრია, ჭკუაა, გონებაა, ჩვეულებაა? ნუთუ მართლა „ცისკარში“ ჩვენი განვითარებაა, ჩვენი განათლების ხარისხია გამოთქმული? ნუთუ მართლა ეგრე დაეცა რუსთაველის ხალხი, რომ ეგრე ფიქრობს, ეგრე ჰგრძნობს? მეც მაგას ვჩივი და ვსტირი, რომ არა, ათასჯერ არა“¹.

¹ ი. ჭავჭავაძე, პასუხი, თბზ. სრ. კრებული, III, გვ. 37.

„ცისკრის“ ერთ დამსახურებად ილიას ის მიაჩნია, რომ „...ორიოდე თავად ალ. ჭავჭავაძის, თავად ნ. ბარათაშვილის და გრ. ორბელიანის ლექსებთან მაინც გაგვაცნო, რომ სხვა არა იყოს-რა“ (იქვე, გვ. 16).

ი. ჭავჭავაძე დარწმუნებულია, რაგორც დროის ინტერესების გარეშე პერიოდულ ორგანოს არსებობა არ შეუძლია და მისი მიმართულების ჯანსაღი, მეტროლი ხასიათიც იმაზეა დამოკიდებული, თუ რამდენად მოახერხებს იგი „შეატყოს ცხოვრების მაჯის ცემა“. ასეთი მოთხოვნილებანი წაუყენა ილიამ საქუთარ ორგანოს — „საქართველოს მოამბესაც“.

ასე წარმოვიდგება ილია ჭავჭავაძე, როგორც კრიტიკოსი, მე-19 საუკუნის 60-იან წლებში. ილიამ საბოლოოდ დაამკვიდრა ჩვენი „მეცნიერული კრიტიკა“. მან ახალ საფეხურზე აიყვანა კრიტიკული აზროვნება და განსაზღვრა ტელისტური სალიტერატურო კრიტიკის განვითარების შემდგომი გზა. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ილიამ, როგორც კრიტიკოსმა, შექმნა სკოლა, რადგან მას ჰყვანდნენ თანამებრძოლებიც და მიმდევრებიც. მათ გაიზიარეს და შეითვისეს ილიას არა მარტო ლიტერატურულ-ესთეტიკური პრინციპები, არამედ ზოგჯერ კრიტიკული განხილვის მანერაც. ილიას მიერ წამოჭრილი ლიტერატურული პრინციპები მათი მსჯელობის საგანი იყო და ამ მხრივ ისინი დიდ ერთსულოვნებასა და ენთუზიაზმს იჩენდნენ.

ილიამ საბოლოოდ დაამკვიდრა სალიტერატურო კრიტიკის საჭიროების შეგნება და ამიერიდან კრიტიკა ჩვენი მწერლობის მიუცილებელ ნაწილად იქცა.



საშუ

ხელოვნების დეპარტის

გაზეთი „უორკერი“ გულისხმავილით წერს ამერიკული ხელოვნების დაცემაზე. „საქმე იქამდე მივიდა, რომ ხელოვნება ხელმისაწვდომი ვახდა მხოლოდ დიდ ქალაქებში და ისიც ძალზე მცირე შექმნებულთათვის. ლოს ანჯელოსში, ნიუ-იორკში, ჩიკაგოში და სხვა მდიდარმა ქალაქებმა ხელთ იგდეს ყველა თეატრი, მუზეუმი, გამოცემლობა, ტელევიზიისა და რადიოს კამპანიები და საოპერო თეატრები. მაგრამ იქ ისეთი მაღალი ფასები დაწესდა, რომ მხოლოდ მდიდრები თუ შექმნებენ უზიარონ ხელოვნებასა და ვართობა-განათლებლას. ჭეშუნის დანარჩენი ნაწილი ქვეყნის კულტურულ უდაბნოდ, ხალცი წიგნის მაღაზიასაც კი იშვიათად შეხვდება კაცი. შეიქმნა გაიაროთ 1500 კილომეტრი ზღვა-გზატყვილზე ქალაქიდან ქალაქში, შტატიდან შტატში, და ვერც ერთ წიგნის მაღაზიას ვერ წააწყდეთ. გამოცემლობათა მონაცემების მიხედვით მონასტრობის მხოლოდ 2% თუ კითხულობს წიგნს. სხვა მონაცემების მიხედვით 100 მილიონი ამერიკელი თავის დღეში არ ყოფილა თეატრში. ხელოვნების მუშაკთა შორის უმუშევრობა არასოდეს არ ყოფილა ასეთი მასშტაბისა. ზოლივუდში უკანასკნელ წლებში დათხოვეს მთელი შტატის 50%. 11-თასიანი მსახიობთა არმიის 90%-ს ბრო-

დვეიზე არ გააჩნია მუდმივი საშუალო. მუსიკოსთა კავშირი იუწყება, რომ მისი წევრების 80-85% უმუშევარია. საქვეყნოდ ცნობილი და სახელგანთქმული ამერიკული სიმფონიური ორკესტრების დამკვირვებებიც კი წელიწადში 6-8 თვეს უმუშევრები არიან. უმუშევარ მოცეკვავეთა რიცხვის დადგენაც კი თითქმის შეუძლებელი შეიქნა, რადგან სულ უმნიშვნელო პროცენტულა მუშაობს მათგან. ასეთივე მდგომარეობაში არიან მხატვრები. რაც შეეხება მწერლებს, მათგან მხოლოდ 12 ცხოვრობს ლიტერატურული შრომით, ხოლო პოეტებისაგან — ორი“.

სტინინგის ახალი რეჟისორი

გამოვიდა სტინინგის ახალი რეჟისორი „ნენი უკმაყოფილების ზამთარი“. დასავლეთის კრიტიკის აზრით ეს რეჟისორი სტინინგის ნაწარმოებია, რომელიც მკაცრად პეცხავს ფარისებულობას, ადამიანის მიერ ადამიანის დამოკიდებულებას ყოველსავემდე დოლარით და ყოველსავე საზოგადოების ქარაფშუტულ ამპარტავნობას.

ოსპარის პრემიები

ჰოლივუდის კინოაკადემიამ უკვე მშ-ჯერ ვასცა ყოველწლიური პრემია „ოსკარი“. შარშან საუკეთესო ფილმის პრემია მიიღო სურათმა „მარტინიანი ბინა“, რომლის რეჟისორი ბილი უაილდერი დაჯილ-

დობულია „ოსკარის“ პრემიით საუკეთესო რეჟისურისთვის. ქალის როლის საუკეთესოდ შესრულებისათვის ეს პრემია მიენიჭა ელიზაბეტ ტეილორს ფილმში „ბეტლევონი ბატერფილდი 8“ მონაწილეობისათვის. მამაკაცთა შორის პრემია მიიღო ბერტ ლანკასტერმა სინკლერ ლუისის რომანის „ელნერ ვანტრის“ ინსცენირებაში მთავარი როლის შესრულებისათვის. უცხოეთის ფილმთაგან საუკეთესო რეჟისურის პრემია მიენიჭა შვედ რეჟისორს ინგმარ ბერგმანს ფილმისათვის — „ქალწულთა წყარო“.

„ოტალო“ თანამედროვე ჟანრის

კინოსტუდია „პარაპაუტი“ იწყებს შექსპირის „ოტელოს“ გადაღებას თანამედროვე ვაკინანტით, რომელშიც მოქმედება ხდება მეორე მსოფლიო ომის დროს; ოტელო, რომლის როლსაც თამაშობს სიდნი პუატიე, არის ამერიკელი ბომბდამშენის პილოტი, დეგდემონა — სარდინიაში წინააღმდეგობის მოძრაობის მებრძოლი ქალიშვილი, ხოლო იაგო — სამხედრო კორესპონდენტი.

ბრაზილი

ახალი წიგნები

წიგნის ბაზარზე გამოვიდა რამდენიმე ახალი ნაწარმოები, რომელშიც მიიხრო საზოგად-



დოკტორი აბის უფრადღებდა. დიდი წარმატება ხვდა მუშა-მწერალი ქალის კაროლინა მარია დე ხელს წიგნს — „გაქცევების უბანი“. ესაა დღევანდის სახით დაწერილი ნაწარმოები, რომელიც მოგვითხრობს როცა დე ვენეროს უღარიბეს უბანში — ზაფხულში მცხოვრები ღარიბი ქალის თავდადასავალს. მწერალ ქალს თვით უცხოვრია იქ და ქალაქის სანაგვე უფრადღებდა უყრფთა საწერი ქაღალდი. მისი წიგნი რამდენჯერმე გამოცემა და მინც მწელი სა-შოგნელია.

„გაბრიელა, მიხაკი და ქიშ-მიში“ — ასე ეწოდება უფრადღებამაღუს ცნობილ რომანს, რომელიც მეცამეტედ გამოვიდა. პირველად ეს რომანი ამ ორი წლის წინ გამოცემა „ედიტორა მარტინესის“ გამოცემილბოამ. ბრაზილიაში ჯერ სხვა წიგნს ასეთი გამოცემა იარ ჰქონია. გამოვიდა მისი ორი ახალი ნო-ველაც. საფრანგეთისა და პორ-ტუგალიის მოწინავე, პროგრე-სულმა მწერლებმა წამოაყენეს უფრადღებამაღუს ლიტერა-ტურაში ნობელის პრემიის მი-ნიჭების წინადადება.

წიგნის ბაზარზე გამოვიდა აგრეთვე „მევი წიგნი შიმშილ-ზე“ პროფესორ ზოსე დე კატ-რისი, და ლუის ბელტრაიოს ნაწარმოები — „შესავალი უფრადღებების ფილოსოფიაში“, რომელიც „ორლანდი-დანტის“ ჯილდოთი აღინიშნა.

ბულგარეთი

„დიდი ცხოვრების სურათები“

ბულგარეთის კულტურულ ცხოვრებაში დიდ მოვლენად აღინიშნა კინოფილმი „ვიორჯი დიმიტროვის“ პრემიერა. ესაა დოკუმენტური ფილმი ბულგა-რელი ხალხის მასწავლებლის, სახელგანთქმული რევოლუციო-ნერისა და თავდადებული პატ-

რიოტის ვიორჯი დიმიტროვის შესახებ, რომლის სახელი და-კავშირებულია არა მარტო ბულგარეთის, არამედ საერთა-შორისო მუშათა მოძრაობას-თანაც.

ავტორებმა ფილმს უწოდეს „დიდი ცხოვრების სურათები“, და მართლაც ეს სურათები ანა-რტულია დიმიტროვის არანე-რულიებრივად მდიდარი, ღირსეუ-ლად გატარებული ცხოვრებისა და 50 წლის მოღვაწეობისა კა-ცობრიობის უდიდესი იდეა-ლის — კომუნისმის გამარჯვე-ბისათვის.

ფილმის შინაარსი მოკლედ და სხარტად ასახავს დიმიტროვის ცხოვრებისა და მოღვაწეობის მნიშვნელოვან ეტაპებს, ყველა ღირსშესანიშნავ საერთაშორი-სო მოვლენას ჩვენი საუწყის დასაწყისიდან შუა წლებამდე — ორ მსოფლიო ომს შორის პე-რიოდს, ოქტომბრის რევოლუ-ციას, 1928 წლის აჯანყებას, 1933 წელს გერმანიაში, რაისს-ტაგის დაწვას და ვიორჯი დი-მიტროვის ბრძოლას ფაშისმი-წინადადებებზე. ფილმის დიდი ნა-წილი მოგვითხრობს დიმიტრო-ვის, როგორც ახალი ბულგა-რეთის ხელმძღვანელისა და მშენებლის მოღვაწეობას.

სენარის ავტორი კამედი კალ-ჩევი და რეჟისორი იორდან ველიჩკოვი ორი წლის განმავ-ლობაში აგროვებდნენ აქამდე უცნობ დოკუმენტებს, ფოტო-ებს, წერალებს, ფილმის ნაწი-ლებს. შემოქმედების კოლექ-ტვის ფილმის შექმნაში დიდი დახმარება გაუწიეს საბჭოთა კავშირმა და გდრ-მ, აგრეთვე დიმიტროვის საზღვარგარეთე-ლმა თანამებრძოლებმა.

ბანა

ამხტრონში უბარუნდება წინაპართა სამკვიდროს

ჯაზის ცნობილი ზანგი ოს-ტატი და რასობრივი დისკრი-

მინაციის წინააღმდეგ თავდა-მოღებული მებრძოლი ამხტრონგი სახლს იშენებენ. ესაა რესპუბლიკაში, აკვაიამის მთის ძირას. როგორც ჯაზის დიდოსტატმა განაცხადა, მას სურს დასახლდეს თავისი წი-ნაპრების ქვეყანაში, რომელ-საც, როგორც იქნა, ეღრისა თავისუფლება. 60 წლის ხე-ლოვანმა გადაწყვიტა სიცოცხ-ლის ბოლო წლები გაატაროს იქ, სადაც არ სძულთ შავა-ნიანები.

ბერმანია

ბერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა

ლუდვიგ რენის კოპულარობა

ერთ-ერთ ინტერვიუში ცნო-ბილმა გერმანელმა მწერალმა ლუდვიგ რენმა განაცხადა, რომ მისი ნაწარმოებები თარგმნი-ლია ინგლისურ, ფრანგულ, რუ-სულ, იტალიურ, ესპანურ, პორ-ტუგალურ, ჩინურ, იაპონურ, პოლონურ, ხელოვანურ, ლატ-ვიურ, ესტონურ, ფინურ, ნორ-ვეგიულ, პოლანდიურ და ფლა-მანდრულ ენებზე. პიტერის მიერ ძალაუფლების ხელში ჩაგდების შემდეგ რენი გადაი-ხვეწა მექსიკაში, ხოლო მისი ნაწარმები ესხელებმა საჯაროდ დაწვეს მუშაობდების უნივერ-სიტეტის წინ, დაწვეს ყველა, გარდა იაპონური და ჩინური თარგმანებისა.

განსაკუთრებით პოპულა-რულია ლუდვიგ რენის საბავ-შო წიგნები, ისტორიული რომანები და ნარკვევები. ამჟამად მწერალს განზრახული აქვს და-წეროს წიგნი ახალგაზრდობი-სათვის, რომლის სათაურიც იქნება „იმპერიის ნამსხრევებ-ზე“. წიგნის ავტორს სურს აღუ-სნას თანამედროვე ახალგაზრ-დობას 1918 — 1919 წლების



რევოლუციის სირთულე და ასახოს გერმანიის სოციალური განვითარება.

გერმანიის სახელმწიფოს პრემი- უმის მიხედვით

ამას წინათ იოჰანეს ბენერის სახელმწიფოს პრემია პირველად გადაეცა ლირიკოს პოეტებს გეორგ მაურერს და უვე ბერგერს.

გეორგ მაურერი გერმანიის ცნობილი ლირიკოსია, მისმა უკვე მრავალჯერ გამოქვეყნებულმა ლექსებმა საყოველთაო მოწონება და სიყვარული დაიმსახურეს.

უვე ბერგერი ახალგაზრდა ლირიკოსი პოეტია. მისი შემოქმედება განუყოფელია დაკავშირებული გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის განვითარებასთან, მის მომავალთან.

ანდერსენის ზღაპარი მარბენი

გეონ გიუნტერმა ფერადი ფილმისათვის დაწერა სცენარი, რომელსაც საფუძვლად დაედო ანდერსენის ზღაპარი — „ხელმწიფის ახალი ტანსაცმელი“. ფილმის რეჟისორია კონრად ბეტცოლდი. მასში მოწაწილეობას მიიღებენ ცნობილი მსახიობები ვოლფ კაიზერი, შორსტ დარნიე, გიუნტერ სიმონი, ევა-მარია ჰაგენი და სხვ.

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა

დასავლეთგერმანული ლი- ბერატორიის „გმირები“

მაინის ურანფურტის საზოგადოებრივი აზრის გამოკვლევით ინსტიტუტი იუწყება, რომ დასავლეთელი გერმანელების 47%-ს ერთი წიგნი კი არ გააჩნია. ცნობილია მწერალმა

ერის კენტნერმა ჯერ ამ რამდენიმე წლის წინ დახატა პირველი სურათი იმისა, თუ რა საყოველთაოდ გაქრება დასავლეთ გერმანიაში ლიბერალური დიანტრესება. მისი სიტყვებით, სულ ცოტა 20 მილიონ კაცს შინ არა აქვს არც ერთი წიგნი, ხოლო 14 მილიონს მთელ სიცოცხლეში ერთი წიგნიც არ უყვია.

მაშ რას კითხულობენ დასავლეთ გერმანიაში? წიგნის მადანების ვიტრინებში სულ უფრო და უფრო ხშირად ნახავთ „მხატვრულ ნაწარმოებს“, რომლებიც, ნაცვლად იმისა, რომ ცოდნა და განათლება შესძინონ მკითხველს, ზრდიან ძარცვა-მკვლელობათა ხალხ მომხრე-მიმდევრებს. აი სამი მაგალითი: 1. ლოტარ გრეილის „სიცრულე მარცაბოტოს შესახებ“; წიგნში სიცრულეა აღიარებული მთელი პროცესი გერმანელი დამნაშავეებისა, რომლებმაც გაჟლიტეს 1.830 მოსუცი, ქალი და ბავშვი მარცაბოტოში. წიგნი გმირად აქცევს ესტელ რედერს და გეორგ უსულგულაო მკვლელს, ესტელ ოფიცერ კაპლერს, ხოლო პროგრესული კაცობრიობა, რომელმაც „შელაბა წმიდა სსოგნა“ ამ ფაშისტი ჯალათებისა, დამნაშავედა გამოუვანილი; 2. ბ-ნ შმიდტის წიგნი — „ინდოეთი სასწაულებით და უსასწაულებოდ“; დასავლეთგერმანელი „კოვილოზებულის ინჟინერი“, რომელიც ინდოეთში აშენებს მეტალურგიულ ქარხანას, აცხადებს: „უფრო ჰქვიანური ის იქნებოდა, რომ მეტალურგიული ქარხნების ნაცვლად აგვეშენებინა გაზის კამერები 400 მილიონი ინდოელითვის“. ეს წიგნი, რომელსაც ბონის მთავრობა რეკლამას უკეთებდა და რომელიც წარმოდგენილი იყო კალკუტაში გამართულ წიგნის გამოცენაზე, სავსეა რასისტული ფილით ასობით მილიონიანი ინდოელი ხალხისადმი, რომელ-

საც ვითომდა არ შესწავლავს, რომელიც ფეხდაფეხ მიჰყვება კარგად იმის მსვლელობას; 3. ვ. ვენერის წიგნი — „იღუმალად“ რეკლამას უკეთებს ბონის საიდუმლო სამსახურს, რომელსაც სათავეში უდგას გოგენი — დივერსიული და ტერორისტული საქმიანობის ერთ-ერთი ორგანიზატორი.

დასანი

100.000 პარკონი პრემია

სამი წლის წინათ დანიში დაწესდა პრემია 100 ათასი კრონის რაოდენობით, რომელიც უნდა მიანიჭებოდა ამა თუ იმ პირს, ვინც ევროპული კულტურის განვითარების დარგში განსაკუთრებული დამსახურებისათვის. პირველად პრემია მიენიჭა ცნობილ ექიმ-მუშაინისტს და მუსიკოსს ალბერტ შვაიცერს, შარშან იგი მიეცა უთვან ინგლისელ ფილოსოფოსსა და საზოგადო მოღვაწეს ბერთან რახელს, ხოლო წელს — ცნობილ დანიელ ფიზიკოსს ნილს ბორს.

გოგენის ვაჟის სიკვდილი

კომუნაგენში 80 წლის ასაკში გარდაიცვალა სახელგანთქმული ფრანგი მხატვრის პოლ გოგენის ვაჟი, გამოჩენილი დანიელი მხატვარი ჟან გოგენი.

ეგვიპტე

სტინქსი ალაბასტარდა

მრავალი ათასი წლის დუმილის შემდეგ ერთ-ერთი ცნობილი სტინქსი „ალაბასტარდა“; ახლა იგი ტურისტებს მოუთხრობს ეგვიპტის ისტორიას რამდენიმე ენაზე. ეს მიღწეული იქნა ძალზე რთული და ძვირფასი დანადგარების მეშვეობით.

ბით, რომლებიც დამონტაჟებულია თვით სფინქსით.

სსპბანოი

ველასკისის „სეფექალეზი“... სენენაზი

მეყურებელთა დიდი ინტერესი გამოიწვია ანტონიო ბუერო ვალესის პიესის „სეფექალეზის“ დადგმამ მაღრიდის დრამატულ თეატრში — ტეატრო ესპანოლაში. პიესის სახელწოდება ემთხვევა ცნობილი ესპანელი მხატვრის დიეგო დე სილვა ველასკესის ნაწარმოების სახელწოდებას; რადგან კომედიის დადგმა განხორციელდა დიდი მხატვრის გარდაცვალების 30 წლისთავის აღსანიშნავ საზეიმო დღეებთან დაკავშირებით.

პიესის მთავარი მოქმედი პირია ველასკესი, როგორც კრიტიკა აღნიშნავს, მეყურებელს ავიწყდება, რომ მის წინ დიდი ხნის წინ გარდასული ისტორიული ეპოქა — პიესაში ის თავის თანამედროვეს ხედავს. სენენაზი ქედმოუხრელი, აჯანყებული მხატვარი. მეყურებელთა დარბაზი, როგორც პრესა იუწყება, ტაშით ზანზარდება, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით. ოღონდაც ველასკესი ხომ ისე მკვახედ და მოურიდებლად აკრიტიკებს ესპანეთის ცენზურას, გამოდის მხატვრისა და მისი შემოქმედების თავისუფლების დამცველად.

„სეფექალეზის“ ძალა ისეთი შთაბეჭედავი აღმოჩნდა, რომ რეპეტიციული წრეები ვაფთრებით დაესვენ თავს პიესას, მის დადგმებლებს და შემსრულებლებს.

მეყურებლის ყურადღება მიიპყრო აგრეთვე სპექტაკლის გაფორმებამ. მოქმედება იშლება ომ დროის ესპანეთის „სინათლისა და ნაზუვარჩირბლების“ ფონზე, როდესაც მოღვაწეობდა უკუდავი ველასკესი. რეინსორმა ტამაიომ, არგენტინის

გაზეთ „კლარინის“ სიტყვით, ამ დადგმით „გადაპარბა კინემატოგრაფიის ფანტაზიას“.

დეკორაციები შექმნილია ველასკესის სურათების მიხედვით და ყველა გმირი თითქოს მხატვრის ტილოებიდანაა გადმოსული, ხოლო ფინალური სცენა ძნელი გასარჩევია მხატვრის ცნობილი სურათის — „სეფექალეზისგან“.

ინფორმაცია

80 მხატვრული ფილმი

ამას წინათ ინფორმაციაში მიიღეს გადაწყვეტილება, რაც შეეძლება შეაქციოს თავის კვიცანაში პოლიცულის კინოსურათების დემონსტრაცია, რომელთაც დღემდე წამყვანი ადგილი ეკავათ ინფორმაციის კინოთეატრების ეკრანებზე. ინფორმაციაში საფუძველი ჩაეყარა საკუთარ, ეროვნულ კინომარეველობას, რომელიც მიმდინარე წელს გამოუშვებს 80 მხატვრულ ფილმს.

იტალია

ნობელის პრემიის კონკურსები

იტალიისა და შვეიცარიის კონფედერაციის პრეზიდენტთა ინიციატივით შეიქმნა ეუჯენიო ბალცანის სახელობის ახალი საერთაშორისო პრემიების ფონდი. ყოველწლიურად ამ ფონდიდან გაიცემა შემდეგი პრემიები: 1. შვიდობისთვის ბიძოლის დარგში დამსახურებისათვის; 2. ლიტერატურის, ფილოსოფიისა და სახვითი ხელოვნების დარგში დამსახურებისათვის; 3. საზღვრებისშეტყველო მეცნიერებისა და მედიცინის დარგში დამსახურებისათვის.

ამ ახალი პრემიის რაოდენობა ვაცოდებით უფრო მეტი

იქნება, ვიდრე ნობელის პრემიისა, რომელსაც, როგორც ცნობილია, უკვე სამოც წელია ანიჭებს შვეიციის მეცნიერებათა აკადემია. ბალცანის სახელობის პრემიის ყოველწლიური ფონდი 500 ათასი დოლარია. იგი შექმნილია იტალიური ეურნალიისტი ეუჯენიო ბალცანის ანდერძის მიხედვით. თვით ბალცანი 30-იან წლებში ფაშისტური იტალიიდან შვეიცარიისში გადაიხვეწა ამ მოღვაწეობად. იგი გარდაიცვალა 1958 წელს. თავისი ქონების დიდი ნაწილი მან ამ ფონდისათვის გადასცა. პრემიების გაცემის კრიტერიუმი ძირითადად უკვე გამოუსწავებულა და მოვლიან, რომ საერთაშორისო კომისია, რომელიც შედგის გამოჩენილი პოლიტიკური, კულტურული და მეცნიერული მოღვაწეები, წელსვე შეძლებს პირველი პრემიების მინიჭებას.

„ბობანოი“

მაღე დაიწება გადაღება ფილმისა — „ბობანოი“, რომელსაც შექმნის ოთხი სახელგანთქმული რეჟისორი — ვიტორიო დე-სიკა, ფედერეო ფელინი, მარია მონიჩელი და ლუიგინო ვისკონტი. მთავარ როლებს ასრულებენ ანიტა ებერგი და პეინო დე-ფილიპო.

მემსიტა

1.000 დოლარიანი წიგნი

„მემსიკის რევოლუციის კედლის მხატვრობა“ — ესაა არა მხოლოდ ერთ-ერთი ყველაზე სრული, არამედ უდავოდ ერთ-ერთი ყველაზე ძვირი წიგნი დედამიწაზე. ამ წიგნის გამოცემისას გამოყენებული იქნა ყველაფერი, რის მოცემაც შეუძლია თანამედროვე პოლიგრაფიულ ხელოვნებას: დიდებულ ქაღალდი, ყველაზე ძვირი



ფასი შრიფტი, შესანიშნავი რეპროდუქციები, იმსახურებს კიდევ ამას წიგნი — მასში ხომ თავმოყრილია ხელოვნებაში გამოსატული ყველა მშვენიერი ნაყოფი, რაც კი მოჰყვა მექსიკის რევოლუციას.

წიგნი 8 თვეს მზადდებოდა. მანუელ ალვარეს ბრავომ ფოტოაპარატით შემოიარა მთელი მექსიკა, უმთავრესად გვადალახარა, და ფოტოფირზე გადაჭმონდა სახელგანთქმული ფრესკები; მხატვარი ლეოპოლდ მენდესი აუარება მასალიდან არჩევდა ყველაზე უფრო ძვირფასს; ხოლო პოეტი კარლოს პელისერი შესავალსა და ტექსტს წერდა. წიგნში 300 გვერდია, 48 შავთეთრი ილუსტრაცია და 208 ფერადი რეპროდუქცია. წიგნი დაიბეჭდა მოლანდიაში — 5.000 ცალი ესპანურ ენაზე და 5.000 ცალი ინგლისურ ენაზე, საგანგებო ჯაღალღზე. წიგნის ფასია 1.000 დოლარი.

საფრანგეთი

პოეზიის თეატრი

ცნობილ ფრანგ მსახიობს და რეჟისორს ჟან ლუი ბაროს

განზრახული აქვს შექმნას ალბი თეატრი — პოეზიის თეატრი. მისი პირველი დაღვმა მიიქცნება პოეზიას ომსა და მშვიდობაზე, დაწებულს საშუალო საუკუნეებიდან და დამთავრებული 1945 წლით. ეს ჩვეულებრივი დეკლამაცია კი არ იქნება, არამედ ნამდვილი სპექტაკლი, რომელშიც გამოყენებული იქნება თანამედროვე თეატრის ხელთ არსებული სხვადასხვა ელემენტები: დეკორაციები, კინომონტაჟი, პროექცია, მუსიკა, გასმობანები თი ეფექტები და სხვ. შემდეგი დაღვმა მიიქცნება სატრფიალო პოეზიას, რომელიც აგრეთვე ისტორიულ ასპექტში გადაწყდება.

ჩინეთი

პირველი ნაბიჯები წიგნები

ჩინეთი იყო პირველი ქვეყანა, სადაც დაიწყო წიგნის ბეჭდვა. VI საუკუნეში უკვე იბეჭდებოდა წიგნი, ხოლო XV

საუკუნეში ბეჭდვის მუშაობა ერთ განვითარდა. პეკინის გამოცემლობა ვენჯუჩუ-პანშაომ გამოცემა პირველნაბეჭდი წიგნების რეპროდუქციები 8 ტომად, რაც მიგვითითებს ჩინური სახატამო საქმის ხანგრძლივ ისტორიაზე დაწებული ტანის დინასტიიდან (604 — 906 წ. წ.) ჩინის დინასტიამდე (1644 — 1911 წ. წ.). ამ უძველესი წიგნების ორიგინალები ინახება პეკინის ბიბლიოთეკაში და ქვეყნის სხვა დიდ მუზეუმებსა და ბიბლიოთეკაში.

უძველესი ვიკატორი მუსიკა

ჩინელ მუსიკოსთა კავშირში პეკინში მოაწყო ჩინეთის ძველი — VII — XVIII საუკუნეების — ვოკალური მუსიკის კონცერტი; მუსიკა გადაწერილია თანამედროვე სანოტო ნიშნებით. კონცერტში მონაწილეობდნენ 700-ზე მეტი მომღერალი და მუსიკოსი, აგრეთვე გუნდი.



18.1975



ფანონ 60 653.

**ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНО-
ХУДОЖЕСТВЕННЫЙ ЖУРНАЛ**

„Ц И С К А Р И“

ИЗДАТЕЛЬСТВО

„САБЧОТА МЦЕРАЛИ“